

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ორმაგი მოქალაქეობა თანამედროვე ქართულ სამართლებრივ
სინამდვილეში

ნინო სულაბერიძე

წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად

თბილისი, 0178

საქართველო

2018

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ნინო სულაბერიძის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „ორმაგი მოქალაქეობა თანამედროვე ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი /...../...../...../

ხელმოწერები:

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ წინამდებარე დისერტაცია „ორმაგი მოქალაქეობა თანამედროვე ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში“ ორიგინალურია, სხვა ავტორთა მოსაზრებები, დებულებები მითითებულია დადგენილი წესით, კვლევის მეთოდების გამოყენებისას დაცულია ეთიკის ნორმები.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის მიმართულების სადისერტაციო საბჭოში, დოქტორანტ ნინო სულაბერიძის მიერ დისერტაცია სახელწოდებით „ორმაგი მოქალაქეობა თანამედროვე ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში“ სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილია 2018 წლის -----
----- სხდომის ჩატარების თარიღია 2018 წლის -----

„ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს. ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.“

ნინო სულაბერიძე

დოქტორანტის ხელმოწერა:

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს ქვეყანაში მოქალაქეობის ინსტიტუტის როლი და მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული ის აქტუალური ასპექტები, რაც ხაზს უსვამს ჩვენს ამ მიმართულებით ქვეყანაში არსებულ რეალობას. ამასთანავე, წარმოაჩინოს, თუ რამდენად აუცილებელია ჩვენი სახელმწიფოსათვის მოქნილი სისტემის დანერგვა, რადგანაც მოქალაქეობის უფლება ერთ-ერთი ძირითადთაგანია სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში.

ნაშრომში შესწავლილია მოქალაქეობის ინსტიტუტთან დაკავშირებული და მისგან გამომდინარე სხვადასხვა სახის პრობლემები. კერძოდ, მოქალაქეობა, როგორც უფლება, რომლის გარეშეც არც ერთი ადამიანი არ უნდა არსებობდეს. ამ უფლების გარეშე, პიროვნება ვერანაირად მოახდენს საკუთარი თავის რეალიზაციას.

ნაშრომი წარმოდგენილია კომპიუტერზე აკრეფილ 160 გვერდზე. მოიცავს შესავალს, ავტორის მიერ ჩატარებულ სამეცნიერო კვლევის შედეგად მიღებულ შედეგებს და მათ განსჯას, დასკვნას. ნაშრომს თან ერთვის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციული მასალა მოქალაქეობის თემასთან დაკავშირებით. კერძოდ, ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების, მოქალაქეობის ნებაყოფლობით დატოვების და საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის ფაქტებთან დაკავშირებით.

შედეგები და მათი განსჯა მოიცავს ავტორის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს სამეცნიერო კვლევის საგნის ირგვლივ. კერძოდ, საუბარია საქართველოს ორგანულ კანონში „მოქალაქეობის შესახებ“ განსახორციელებელ ცვლილებათა თაობაზე, მასში არსებულ პრობლემებზე და მათი შესაძლო შეცვლის თაობაზე. ჩამოყალიბებულია თუ შეფასების როგორი მეთოდი და სისტემა იქნება მისაღები საქართველოში დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე.

ნაშრომი მოიცავს მოქალაქეობის ინსტიტუტთან დაკავშირებულ როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო სამართლებრივ რეგულაციებს. განსაზღვრულია ზოგიერთ პრობლემასთან ბრძოლის მეთოდები, რაც ჩვენი აზრით, დღეს საკმაოდ აქტუალურ პრობლემად ითვლება.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია მოქალაქეობის არქონის (აპატრიზმის) შემთხვევები, მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსი და შესაბამისად ამ

მოვლენის თავიდან აცილების მექანიზმები, საქართველოს აქტიური როლი და დამოკიდებულება ამ ანომალიის თავიდან აცილების მიზნით. ნაშრომის მესამე თავში განხილულია თემის ძირითადი მიმართულებების, ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტთან დაკავშირებული, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები, გამოკვეთილია ამ ინსტიტუტის უფრო მეტი უარყოფითი მხარე საქართველოში დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე. ასევე, ის საფრთხეები, რაც შეიძლება დადგეს ჩვენი ქვეყნის წინაშე უახლოეს მომავალში ამ ინსტიტუტის სამართლებრივად დაუზღვეავი სახით შემოღების საფუძველზე და მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გაზიარებისა და გათვალისწინების გარეშე. გამომდინარე იქედან, რომ ორმაგ მოქალაქეობას ქვეყანათა უმეტესობა არ უყურებს დადებითად, ქვეყნები მაინც ცდილობენ ამ მოვლენის ცივილური გზით გადაწყვეტას ისეთი რეგულაციების გამოძებნით, რაც ნაკლებ ზიანს მოაყენებს როგორც საკუთრივ ქვეყანას, ასევე ორმაგი მოქალაქეობის მაძიებელ პირს და მაქსიმალურად დაცული იყოს პირის უფლებათა და თავისუფლებათა საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპები, ასევე მისი პოლიტიკური და სოციალური უფლებები.

ნაშრომში ასევე განხილულია ორმაგი მოქალაქეობა ზოგიერთი ქვეყნის მაგალითზე და მათი დამოკიდებულება აღნიშნული ინსტიტუტის მიმართ. ორმაგი მოქალაქეობის მოპოვების წინაპირობები, რაც დაკავშირებულია „აქტიურ“ და „ეფექტურ“ პრინციპებთან. გარდა ამ პრინციპებისა, ნაშრომში შევეხეთ ასევე „ლოიალობის“ პრინციპს, რომელსაც დიდ ყურადღებას აქცევენ ქვეყნები, რომლის მოქალაქეობა უნდა მოიპოვოს უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე პირმა. ზემოთ აღნიშნულ პრინციპებს დიდ ყურადღებას უთმობენ სახელმწიფოები, რადგან არავინ არის დაინტერესებული საკუთარი მოქალაქეობა მიანიჭოს პირს, რომელიც არ არის მზად აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციით იცხოვროს ქვეყანაში და პატივი არ სცეს ისტორიულად ქვეყანაში ჩამოყალიბებულ ადათ-წესებს, კანონმდებლობასა და ძირითად პრინციპებს.

ნაშრომის მეოთხე თავი ეხება ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტთან დაკავშირებულ სასამართლო პრაქტიკას საქართველოში, სადაც განხილულია სხვადასხვა ხასიათის სარჩელები აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში და დავაფიქსირეთ საკუთარი შეხედულება სასამართლო გადაწყვეტილებების მიმართ.

ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება, საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭებისათვის უფრო მოქნილი სისტემის დანერგვის აუცილებლობაზე. ასევე შემოთავაზებულია შემდეგი სახის წინადადება: უფრო დახვეწილად ჩამოყალიბდეს „მოქალაქეობის შესახებ“ ორგანულ კანონში ნორმა, რომელიც საქართველოს მოქალაქეების რაოდენობის შემცირებას მნიშვნელოვნად შეუშლის ხელს. კერძოდ, ის ფაქტი, რომ სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების დროს, საქართველოს

მოქალაქეები კარგავენ საქართველოს მოქალაქეობას. დასახელებულ ნორმას უფრო მეტი სიფრთხილით უნდა მიდგომა და დახვეწა.

ასევე გასათვალისწინებელია საერთაშორისო კონვენციებით შემოთავაზებული ის მოქნილი მექანიზმები, რომლებიც აპატრიზმის და ბიპატრიზმის შემცირებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

მიუხედავად იმისა, რომ ორმაგი მოქალაქეობა მრავალ უარყოფით შედეგებზეა ორიენტირებული და საქართველო არ არის მზად ორმაგი მოქალაქეობის დასამკვიდრებლად, ვეცადე დამესაბუთებინა, რომ ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტის ჩამოყალიბება არის ობიექტური პროცესი, რამდენადაც ხალხს ყოველთვის ჰქონდა და ექნება ერთი ქვეყნიდან მეორეში საცხოვრებლად გადასვლის სურვილი, რაც გამოწვეულია სახელმწიფოთა შორის მჭიდრო ურთიერთობების დამყარებისა და შემდგომი გაღრმავების სურვილით, ასევე სახელმწიფოთა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ინტერესებით.

ვფიქრობთ, მოქალაქეობის სფეროში წამოჭრილი პრობლემები სახელმწიფოსათვის საკმაოდ ყურადსაღებია და მათი გადაჭრა გამოიწვევს ეროვნული კანონმდებლობის შემდგომ სრულყოფას და ადამიანის უფლებების და ინტერესების განმტკიცებას.

Resume

The aim of the foregoing work is to reveal the role and importance of the institute of citizenship and actual aspects referred with it, which emphasizes the reality in our country under the mentioned trend. Besides, to reveal, if how necessary is for our country to implement a flexible system, as the right of citizenship is one of the main ones in the state development issues.

In the work there are studied a different types of problems related to and coming out of the institute of citizenship. In particular, the citizenship as the right, without which none of the human should exist. Without this right, the person in no way will be able to realize himself / herself.

The work is submitted in 160 pages taped on PC. It consists of introduction, the results gained as a result of scientific research held by the author and their discussions, conclusion. The work is attached with an information data regarding the citizenship topic submitted by Public Service Development Agency. In particular, the data (for recent 5 years) about the citizenship`s acquisition under the exceptional rule, voluntary refusals of citizenship and facts of termination of Georgian citizenship.

The results and their discussion covers the opinions risen by the author around the subject of scientific research. In particular, there is meant a changes to be made in the organic law of Georgia “about the citizenship”, the issues existed in it and about their possible changes. There are set forth if what kind of assessment method and system can be applicable in Georgia coming out of the existing reality.

The work covers the national and international law regulations related to the institute of citizenship. The methods of battle against some of the problems are defined, that according to our opinion, today is considered as quite urgent issue. In the second chapter of the work there are discussed the cases of absence of citizenship (apatrism), the statuses of persons not holding the citizenship and accordingly the mechanisms to avoid this event, Georgia`s active role and attitude to avoid such anomaly.

In the third chapter of work, there are covered the pros and cons regarding the topic`s main trend – the institute of dual citizenship, Coming out of the current reality in Georgia, more negative sides of the said institute are revealed. Also that threats, which might arise against our country in the nearest future on the basis if this institute will be implemented without legal improvement (perfection) and without foreseeing the leading countries` experience. Coming out of the fact, that

dual citizenship are less liked by most of the countries, yet they try to solve this event in a civil way by seeking such regulations, which deal lesser harm as the country itself and to the persons seeking a dual citizenship and to maximally protect the internationally recognized principles of person`s rights and freedom, also his / her political and social rights.

The work also discusses dual citizenship on some of the country`s example and their attitude towards the mentioned institute. The prerequisites for dual citizenship`s acquisition, which is related to “active” and “efficient” principles. Besides these principles, in the work we have covered also the principle of “loyalty”, which are being paid a huge attention by the countries, which citizenship should be acquired by the person holding a foreign country`s citizenship. The above mentioned principles are greatly paid attention by the states, as no one is interested to grant its citizenship to the person, which is not ready to live in the country with active civil position and won`t respect the historically formed traditions, habits, legislation and main principles of the country.

The fourth chapter of the work is about the judiciary practice in Georgia related to dual citizenship institute, where is discussed different types of appeals regarding the mentioned issues and we have stated our own opinion about the court resolutions.

An opinion declared in the work about the necessity to implement more flexible system to grant the citizenship of Georgia under an exceptional rule. There is also suggested the statement of the following type: more perfectly form the regulation into the organic law “about the citizenship”, which will significantly hinder the decrease of amount of the citizenships of Georgia. In particular, that fact, that during the acquisition of another country`s citizenship, the citizens of Georgia lose their citizenship. The said regulation requires more careful approach and perfection (improvement).

There should be also foreseen those flexible mechanisms suggested by an international conventions, which significantly promotes the decrease of apatrim and bipatrim.

Notwithstanding the fact, that dual citizenship is oriented on number of negative results and Georgia is not ready to establish the dual citizenship, I tried to bring argument, that forming the dual citizenship institution is objective process, as the people always had and always will have the wish to move from one country to another for the residential purposes, which is caused by desire to establish a close relations between the states and further deepen these relations, also caused by political, economic or social interests of the states.

We suppose, that the country should take into account the issues arisen in the field of citizenship and their settlement will cause the national legislation`s further perfection and reinforcement of human rights and interests

შინაარსი

შესავალი.....	10
ლიტერატურის მიმოხილვა.....	17

შედეგები და მათი განსჯა

თავი I. მოქალაქეობის ინსტიტუტის ჩამოყალიბება

1.1. მოქალაქეობის ინსტიტუტის წარმოშობა და განვითარება.....	19
1.2. მოქალაქეობის ცნება და არსი.....	25

თავი II. მოქალაქეობის არქონის შემთხვევები (აპატრიზმი)

2.1. მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსი.....	37
2.2. მოქალაქეობის არქონის შემთხვევის თავიდან აცილების საშუალებები.....	43

თავი III. ორმაგი მოქალაქეობა (ბიპატრიზმი);

3.1. ორმაგი მოქალაქეობის დახასიათება და წარმოშობის მიზეზები.....	56
3.2. ორმაგი მოქალაქეობა ზოგიერთი ქვეყნის მაგალითზე.....	71
3.3. ორმაგი მოქალაქეობის რეგულირება ქართული კანონმდებლობის მიხედვით.....	83
3.4. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების სტატისტიკა.....	103
3.5. ორმაგ მოქალაქეობასთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემები.....	109

თავი IV. მოქალაქეობასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა საქართველოში.....	121
---	------------

დასკვნა.....146

გამოყენებული ლიტერატურა.....156

შესავალი

კვლევის თემის აქტუალობა. მოქალაქეობის ინსტიტუტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სახელმწიფოს არა მარტო ეროვნულ, არამედ საერთაშორისო - სამართლებრივ სივრცეშიც. აქედან გამომდინარე, მოქალაქეობა არის ერთ - ერთი მნიშვნელოვანი და სახელმწიფოსათვის განსაკუთრებული და აუცილებელი ნიშანი, რომლის გარეშე არც ერთი სუვერენული სახელმწიფო არ არსებობს.

მოქალაქეობა არის ის მდგომარეობა, რომელიც თითოეულ ადამიანის უფლება - მოვალეობათა ფარგლებს განსაზღვრავს საკუთარი სახელმწიფოს მიმართ. მოქალაქეობის გარეშე ვერც ერთი ინდივიდი ვერ მოახერხებს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას, როგორც საკუთარ სამშობლოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

რადგანაც მოქალაქე სამართლებრივად დაკავშირებულია სახელმწიფოსთან და ხელისუფლება იცავს თავის მოქალაქეს როგორც მის ტერიტორიაზე, ასევე საზღვარგარეთ; ამიტომ მოქალაქეობის ინსტიტუტი ორი ასპექტით ხასიათდება, შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტებით. მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობაც შესაბამისად რეგულირდება როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით.

მოქალაქეობა ასევე ის ძირითადი ნიშანია, რომელიც გამოიყენება პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის სპეციალური ურთიერთობის დასამყარებლად.

მოქალაქეობის ინსტიტუტთან დაკავშირებულია ისეთი სერიოზული მოვლენები, როგორცაა სხვადასხვა ტიპის რევოლუციები, ახალი სახელმწიფოების წარმოქმნა, სახელმწიფო საზღვრების ცვალებადობა და ა.შ. ყველა ეს მოვლენა გარკვეულწილად უარყოფითად ზემოქმედებს მოქალაქეობის ინსტიტუტზე და იწვევს მოქალაქეობის დაკარგვას და ორმაგი მოქალაქეობის წარმოშობას, რაც ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში ანომალიურ მოვლენად არის მიჩნეული.

სწორედ ამიტომ არის აქტუალური აღნიშნული საკითხების სიღრმისეული განხილვა - განზოგადება. არსებული პრაქტიკა საშუალებას გვაძლევს

მოქალაქეობის ცნების განსაზღვრისას, მოქალაქეობის მოპოვების და დაკარგვის გზების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, გამოავლინოთ და შევაფასოთ მოქალაქეობის, როგორც მთლიანი ინსტიტუტის განვითარების ძირითადი ტენდენციები.

კვლევის მიზნები და ამოცანები. აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს მოქალაქეობის ინსტიტუტის და მისი ცალკეული მიმართულებების პრობლემების საერთაშორისო და ეროვნულ - სამართლებრივ დონეზე განხილვა, ეს კი პირდაპირ კავშირშია მოქალაქეობის ცნების წარმოშობის ისტორიასთან, მის განვითარებასთან როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო სამართალში. მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი სამართლებრივი მექანიზმები, ორმაგი მოქალაქეობა, მასთან დაკავშირებული პრობლემები და შესაბამისად მისი თავიდან აცილების საშუალებები, მოქალაქეობის არმქონე პირთა მდგომარეობის სამართლებრივი რეგულირება და მისი თავიდან აცილების მექანიზმები.

დისერტაციის მიზანია ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტის თეორიული საფუძვლების მოძიება, იმ სოციალურ-პოლიტიკური თავისებურებების ფონზე, რომლებმაც მომავალში შესაძლებელია მათი სამართლებრივი რეგულირების ამჟამინდელი მიდგომა შეცვალონ საქართველოში, რადგან მიმაჩნია, რომ დღევანდელი კანონმდებლობა სრულად არ პასუხობს იმ რეალობებს, რაც მსოფლიოში შეიქმნა ბოლო დროს და ზოგიერთი პრობლემის რეგულირების საკითხები ბოლომდე ამოწურული არ არის.

ამ მიზნის მისაღწევად განვსაზღვრეთ შესაბამისი ამოცანების სფერო:- მოქალაქეობისა და ორმაგი მოქალაქეობის წარმოქმნის ისტორიული და სოციალური წანამდღვრები;

-მოქალაქეობისა და ორმაგი მოქალაქეობის განსაზღვრის ფორმულირება და ამ ინსტიტუტების წარმოქმნის აუცილებლობის დასაბუთება, მათი არსისა და შინაარსის, სოციალური და პოლიტიკურ-სამართლებრივი ბუნების გახსნა;

-ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტის საკითხის წარმოქმნის კავშირი სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფოებრიობის ფორმირებასთან, სახელმწიფოს სუვერენიტეტზე მათი გავლენის შესაძლებლობები;

-ორმაგი მოქალაქეობის შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირების წყაროების განხილვა და ანალიზი;

-სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეობისა და ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუციების შედარებითი ანალიზი;

-ორმაგი მოქალაქეობის გამოყენების პრაქტიკასთან დაკავშირებული საკამათო საკითხების გამოვლენა, კვლევა და ანალიზი;

-შედარებითი ანალიზი საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და საქართველოს შიდა კანონმდებლობას შორის მოქალაქეობის საკითხის რეგულირებისა და მართვის კუთხით;

-ჩატარებული კვლევის შედეგად კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებისა და პრობლემების გამოვლენა, რაც მოქალაქეობის ინსტიტუტს ეხება.

-აქტიური და ეფექტური მოქალაქეობის განხილვა, როგორც ორმაგი მოქალაქეობის წარმოქმნის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა;

-მოქალაქის პირადი კანონი, როგორც ორმაგი მოქალაქეობის განმსაზღვრელი ფაქტორი;

-საპატიო მოქალაქეობის და ორმაგი მოქალაქეობის სამართლებრივი ბუნება;

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს დიალექტიკურ-მატერიალისტური მიდგომა ისეთი სახელმწიფო-სამართლებრივი მოვლენისა, როგორცაა ორმაგი მოქალაქეობის მოვლენა, რომლის კვლევა შეუძლებელია ზოგადად მოქალაქეობის ინსტიტუტის განხილვის გარეშე, რადგან იგი ძირითადად ამ სამართლებრივი მოვლენის ერთგვარ ანარეკლს წარმოადგენს და მისი ერთ-ერთი წახნაგია.

საკვლევი თემის გახსნის მიზნით მივმართეთ სოციოლოგიურ, ისტორიულ, სისტემურ და ფორმალურ-ლოგიკურ მეთოდებს ურთიერთშეჯერების, ანალიზისა და თემის განზოგადების გამოყენებით.

აღნიშნული მეთოდების გამოყენებამ საშუალება მოგვცა აგვეხსნა ორმაგი მოქალაქეობის პოლიტიკური, სოციალური და სამართლებრივი ბუნება. დისერტაციაში გახსნილია მოცემული ინსტიტუტის სხვადასხვა ასპექტები, მისი განვითარების ეტაპები. ნაშრომში განხილულია ორმაგი მოქალაქეობის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები, მისი სუსტი და ძლიერი მხარეები, მოცემულია პრობლემური საკითხების მოგვარების გზები იმ ქვეყნების მაგალითზე, რომლებიც იყენებენ ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტს და გააჩნიათ საკმარისი გამოცდილება საიმისოდ, რომ ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტის დანერგვის მსურველმა ქვეყანამ, დაგროვილი ცოდნის საფუძველზე, განსაზღვროს მისი შემოღების მიზანშეწონილობა.

სადისერტაციო კვლევის ობიექტს წარმოადგენს მოქალაქეობის ინსტიტუტი, რომლის შესწავლა ნაშრომში განხორციელდა ეროვნული და უცხოური ლიტერატურის გამოყენებით, ასევე, სხვადასხვა ხელშეკრულებების, კონვენციების, კანონების და მონოგრაფიული ნაშრომების საფუძველზე.

გამოთქმულია ჩვენი მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რამდენად არის შესაძლებელი საქართველოში დღეს არსებული მიდგომა ამ საკითხის მიმართ დარჩეს უცვლელი, მოქმედი საკანონმდებლო სივრცის ფარგლებში.

მოცემული ნაშრომის კვლევის ობიექტი ორმაგ მოქალაქეობასთან დაკავშირებული შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო-სამართლებრივი სისტემების ურთიერთობის მექანიზმებია, რომლებიც ობიექტურად ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობენ და ერთმანეთსაც ავსებენ და ამდიდრებენ პრაქტიკული თვალსაზრისით.

კვლევის საგანია ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტის არსებობა-არარსებობის უპირატესობების დადგენა იმ რეალობის ფონზე, რაც დღეს მთელ ცივილიზებულ სამყაროს გააჩნია. საქართველო ვერ განუდგება ამ პროცესს და განყენებულად ვერ გადაწყვეტს მოქალაქეობის დახვეწის მექანიზმებს, თუ არ გაითვალისწინა მსოფლიო სახელმწიფოთა მიდგომა გლობალიზაციის ფონზე, რადგან ადრე თუ გვიან, დადგება დღევანდელი კანონმდებლობის რეალობასთან უფრო მეტად მისადაგების პრობლემა, რაც საქართველოს არანაკლები გააჩნია, ვიდრე მთლიანად მსოფლიო ცივილიზებულ ქვეყნებს ერთობლივად ან ცალ-ცალკე.

ბოლო პერიოდში საქართველოს კონსტიტუციასა და ორგანულ კანონში „მოქალაქეობის შესახებ“ შეტანილმა ცვლილებებმა განაპირობა მთლიანად საკანონმდებლო სივრცის და შესაბამისად მოქალაქეობის სფეროში, კონკრეტულად კი ორმაგი მოქალაქეობის შესახებ საკითხის შემდგომი ოპტიმიზაცია, უფრო მეტი და სრული სამართლებრივი შეფასება ისეთი ინსტიტუტისა, როგორცაა ბიპატრიზმი, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით; მით უმეტეს, რომ ქვეყანა აპირებს ამ მიმართულებით საკანონმდებლო რეგულირების შეცვლას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააშკარაოზე გამოვიტანეთ ის პრობლემები, რომლებიც თან ახლავს მოცემულ ინსტიტუტს და შევიმუშავეთ შესაბამისი რეკომენდაციები.

სადისერტაციო კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. მოქალაქეობის ინსტიტუტი და მასთან დაკავშირებული პრობლემები, როგორცაა აპატრიზმი და ბიპატრიზმი, თანამედროვე ეროვნულ და სამართლებრივ სივრცეში მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემად განიხილება. ჩვენს მიერ გაკეთებული სამართლებრივი კვლევა და ანალიზი ვფიქრობთ, მოქალაქეობისა და ორმაგი მოქალაქეობის პრობლემატური საკითხის კვლევის სფეროში კიდევ ერთი ნაბიჯია, რაც სავარაუდოდ, დახმარებას გაუწევს ამ საკითხით დაინტერესებულ ადამიანებს.

საქართველოს საკანონმდებლო კურსი მიმართულია ქართული სახელმწიფოებრიობის და დემოკრატიის მშენებლობისაკენ, რაც

გულისხმობს ადეკვატურ თეორიულ გააზრებას. სამეცნიერო კვლევის მნიშვნელოვან ნაწილად მოიაზრება ის რადიკალური ცვლილებები, რაც მიმდინარეობს ქართულ საზოგადოებაში.

სამართლებრივი მდგომარეობის სტატუსის უმთავრეს ელემენტს და იმავდროულად კონსტიტუციური მშენებლობის საფუძველს წარმოადგენს მოქალაქეობის ინსტიტუტი. მოქალაქეთა უფლებება - მოვალეობები და თავისუფლებები განმტკიცებულია თითოეული სახელმწიფოს კონსტიტუციასა და კანონებში, მაგრამ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებისას ვაწყდებით ამ ინსტიტუტის პრაქტიკული გამოყენების პრობლემებს.

ადგილობრივი მოქალაქეების გვერდით, რომლებიც სახელმწიფოს ძირითად და უმეტეს ნაწილს შეადგენენ, ნებისმიერ სახელმწიფოში არიან აგრეთვე უცხოელი მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები და ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები, რომელთაც მათთან შედარებით განსხვავებული და რთული სამართლებრივი მდგომარეობა გააჩნიათ, რამდენადაც მათ მიერ მოქალაქეობის სახელმწიფოთა მხრიდან მინიჭებულ უფლებათა განხორციელების დროს ადგილი აქვს კანონთა კოლიზიას.

მოქალაქეობის ინსტიტუტის და მასთან დაკავშირებული საერთაშორისო-სამართლებრივი და კონსტიტუციურ-სამართლებრივი საკითხების გასაგებად აუცილებელია მასთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემების სისტემური და შედარებით-სამართლებრივი ანალიზი სხვადასხვა სახელმწიფოების მაგალითზე; მოქალაქეობის ინსტიტუტის განვითარების ტენდენციებისა და მიმართულებების განსაზღვრა; რიგი თეორიული დასკვნების, რეკომენდაციებისა და წინადადებების შეთავაზება, რომლებიც გარკვეული სარგებელის მომტანი იქნება მოცემული საკითხების პრობლემების შემდგომი შესწავლა-გაანალიზებისათვის.

განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენს მოქალაქეობის და მასთან დაკავშირებული საერთაშორისო-სამართლებრივი პრობლემების შესწავლა საქართველოსთან მიმართებით. აღნიშნული საკითხები სცდება ეროვნული ქვეყნის იურისდიქციის ფარგლებს და იძენს საერთაშორისო-სამართლებრივ მნიშვნელობას, რადგან ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო რეგულაცია ამ საკითხის მიმართ შესაბამისობაში უნდა იყოს საერთაშორისო სამართლებრივ სისტემასთან, რომელსაც მოცემული საკითხის რეგულირების მდიდარი გამოცდილება გააჩნია და გვამლევს გაკვალულ გზას ორმაგი მოქალაქეობისა და საერთო მოქალაქეობის საკითხების რეგულაციისთვის.

თუ განვიხილავთ ცალკეულ სახელმწიფოში მოქალაქეობის და მასთან დაკავშირებული საკითხების სფეროში არსებულ ვითარებას, დავინახავთ, რომ საერთაშორისო საზოგადოება აქტიურად რეაგირებს მოქალაქეობის, მათ შორის ორმაგი მოქალაქეობის მოპოვების უფლების დარღვევის ყოველ

ფაქტზე. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოქალაქეობის საკითხების სამართლებრივი რეგულირება უშუალოდ ზემოქმედებს ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლება-თავისუფლებათა უზრუნველყოფაზე. ამიტომ აქტუალური იქნება თითოეული ქვეყნის მიერ მოქალაქეობის საკითხების კონსტიტუციური და სხვა საკანონმდებლო რეგულირების სიღრმისეული გააზრება. აღნიშნული პრაქტიკის შესწავლა საშუალებას გვაძლევს ვაჩვენოთ მოქალაქეობის საკითხისადმი პოლიტიკურ-სამართლებრივი მიდგომის სახეები სხვადასხვა ქვეყნების სუვერენული სახელმწიფოების მაგალითზე, დავინახოთ და გავანალიზოთ მოქალაქეობის ინსტიტუტის განვითარებისათვის დამახასიათებელი ძირითადი პრობლემები.

რაც შეეხება საქართველოს, დღესდღეობით სულ უფრო აქტუალური ხდება მოქალაქეობის ინსტიტუტის სრულყოფისა და განვითარების საკითხი. როგორც დავინახეთ, ქვეყნის პოლიტიკური რეჟიმის პრობლემის გადასაწყვეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოქალაქეობის ინსტიტუტს, რადგანაც მოქალაქეობა ყოველი სახელმწიფოს სავალდებულო ატრიბუტია, რომლის გარეშეც არც ერთი სახელმწიფო არსებობს. დღეს, ფაქტობრივად არ არსებობს სახელმწიფო, რომელსაც არ გააჩნია მოქალაქეობის ინსტიტუტი და კანონმდებლობა მოქალაქეობის შესახებ, ეს კი საშუალებას აძლევს თითოეულ მოქალაქეს დაიცვას თავისი უფლებები და კანონიერი ინტერესები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობს საკმაოდ დემოკრატიული კანონმდებლობა მოქალაქეობის შესახებ, ეს მაინც არ ნიშნავს, რომ იგი იდეალურია და არ საჭიროებს შემდგომ სრულყოფას. მრავალი დებულება ამ სფეროში ჯერ კიდევ კოლიზიურია და მოითხოვს გასწორებას, დახვეწასა და განვითარებას. მოქალაქეობის სფერო, თავის ინსტიტუტებიანად, საკმაოდ ფართოა და მისი გაგრძელება შესაძლებელია ცალკეული მიმართულებების მიხედვით.

საქართველო, დაუშვა რა ორმაგი მოქალაქეობა გამონაკლისის სახით, თავისთავად აღმოჩნდა მასთან დაკავშირებული პრობლემების წინაშე. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა არაერთ სახელმწიფოსთან ორმაგი მოქალაქეობის და ბიპატრიდთა მიერ სამხედრო მოვალეობის მოხდის საკითხებზე ორმხრივი ხელშეკრულებების დადების აუცილებლობა. ხოლო ამ სფეროში ჩვენს მიერ აღიარებული საერთაშორისო ნორმები კი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს იმპლემენტირებული ეროვნულ კანონმდებლობაში.

სხვადასხვა სახელმწიფოების დამოკიდებულება ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტისადმი არაერთგვაროვანია და მერყეობს მისი გავრცელების დიაპაზონზე - გულგრილი დამოკიდებულებიდან მის აღიარებამდე.

აღსანიშნავია, რომ ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტის ფორმირება მრავალი სხვადასხვა ისეთი ფაქტორების ზეგავლენით ხდება, რომლებიც უკავშირდება მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას, მათ კულტურას, ისტორიას, ეკონომიკას და სხვ; გარდა ამისა, სახელმწიფოს პოლიტიკა უდიდეს ზეგავლენას ახდენს ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტის არსებობაზე, რაც გამოწვეულია მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებით და განსაკუთრებულად გამწვავებული არალეგალური მიგრაციით.

ვფიქრობთ, ამ სფეროში წამოჭრილი პრობლემები სახელმწიფოსათვის საკმაოდ ყურადსაღებია და მათი გადაჭრა გამოიწვევს ეროვნული კანონმდებლობის შემდგომ სრულყოფას, ადამიანის უფლებების და ინტერესების განმტკიცებას და ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებას.

ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომის შესრულების პროცესში დამუშავებულ იქნა სხვადასხვა სახის თეორიული და ნორმატიული მასალა. ეს არის უმეტესად სტატიები, მონოგრაფიები, ნორმატიული და ინტერნეტ მასალები ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. აღნიშნული ლიტერატურის გამოყენებით, შევძელით იმ ძირითადი საკითხების ჩამოყალიბება, რაც დასახელებულ ნაშრომს ეხება.

ორმაგი მოქალაქეობის საკითხი მთელს მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოშიც, მეტად აქტუალურია. მიუხედავად ამისა, ორმაგ მოქალაქეობასთან დაკავშირებით ქართულ სამართლებრივ რეალობაში შედარებით ნაკლებად მოიპოვება ნაშრომები, რის გამოც აღნიშნული თემის კვლევისათვის გამოვიყენეთ უცხოური ლიტერატურაც.

ა. ლორიას მონოგრაფიული ნაშრომი „ფილიაცია და ნატურალიზაცია საქართველოში“, ამომწურავად განიხილავს მოქალაქეობასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა საკითხს. ასევე აქტიურად გამოვიყენეთ სხვადასხვა ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემული „საქართველოს საკონსტიტუციო სამართლის“ სახელმძღვანელოები, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციების სხვადასხვა ტომები, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, სხვადასხვა ავტორების მიერ გამოცემული ნაშრომები, რომლებიც ეხება მოქალაქეობის საკითხებს საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში. ქართულ ენაზე გამოცემული პ. ბრანდერის, გ. რუის, კ. ელლის, „ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით“, ი. ბრაუნლის „საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპები“ და სხვ.

მოქალაქეობის და მისგან გამომდინარე სხვადასხვა უფლებების განსაზღვრისათვის გამოვიყენეთ პ. ცნობილადის „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“, თ. ნემსიწვერიძის „უცხოელთათვის საარჩევნო უფლების მინიჭება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე“, გ. ლობჯანიძის „ადამიანის უფლებათა სამართალი“, ა. შაიოს „ხელისუფლების თვითშეზღუდვა“.

მოქალაქის, როგორც ტერმინის განსაზღვრისათვის, გამოვიყენეთ არამართო ქართული, კერძოდ, ვ. გიგილაშვილის „მოქალაქეობის ცნება და საერთაშორისო სამართალი“ და სხვადასხვა ლექსიკონები, არამედ საერთაშორისო სამართლის უცხოელ სპეციალისტთა ნაშრომები: ჯ. მერვინი, ა. შაპარი, ა. ბლესკმანი, ჩ. ტილლი, უ. მასსი და ა.შ.

თემის ერთ-ერთი საყურადღებო საკითხის, „ქვეშევრდომის“ ინსტიტუტის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის, გამოვიყენე ა. ჰიტლერის ნაშრომი

„ჩემი ბრძოლა“, რომელშიც დიქტატორს განხილული აქვს იმდროინდელი გერმანიის კანონმდებლობა და გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებებს მოქალაქეობის საკითხებზე.

საკმაოდ მდიდარია უცხოური სამართლებრივი სივრცე, როგორც მოქალაქეობის, ასევე ორმაგი მოქალაქეობის სფეროში. ამიტომ, აქტიურად გამოვიყენე ს. ავაკიანის „მოქალაქეობა, უცხოელები და ეროვნული მიგრაცია“, ვ. ალექსანდრეენკოს „ქვეშევრდომობა და ნატურალიზაცია, ი. ბოიარსის „მოქალაქეობა საერთაშორისო სამართალში“ და სხვ.

იმის გამო, რომ ყველა ქვეყანა სხვადასხვანაირად განსაზღვრავს ორმაგი მოქალაქეობის მოპოვების პირობებს, დამოკიდებულებას ორმაგი მოქალაქეობის მოვლენის მიმართ, შედარებითი ანალიზისათვის გამოვიყენეთ „ორმაგი მოქალაქეობის და ლოიალობის პრობლემა“-ავტ. ა. ბელოვი, ასევე, ა. კოვლევის „ორმაგი მოქალაქეობა: პანაცეა თუ ხაფანგი?“, კ. ლუბარსკის „ერთი თუ ორი მოქალაქეობა?“ , ბ. ებზეევის „მოქალაქეობის აქტუალური პრობლემები“ და ა.შ.

თემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის - მოქალაქეობის არქონის (აპატრიზმის) შემთხვევების შესწავლისათვის გამოვიყენეთ სახელმძღვანელო „მოქალაქეობის არქონე პირთა დაცვის შესახებ“, ნ. დიაჩკოვას „მოქალაქეობის არქონის შემთხვევათა შემცირება ბავშვთა შორის“.

ნაშრომში საკმაოდ ვისაუბრეთ აქტიურ და პასიურ მოქალაქეობაზე, რაშიც დაგვეხმარა ნ. გრიგორიევი ნაშრომით „აქტიური მოქალაქეობა, როგორც თანამედროვე ევროპული პოლიტიკის სტრატეგია და მექანიზმი“, ასევე, ს. გუდმანის „ორმაგი მოქალაქეობა და მიგრაცია“, რ. ბრუბეიკერის ნაშრომი, რომელიც მოქალაქეობის ინსტიტუტის ყველა მიმართულებას მოიცავს, დ. ბოუეტის, ი. ბრაუნლის, მ. დების, თ. ფაისტის, რ. ჰელსენის და სხვათა შრომები, რომელთა გამოყენებითაც შევძელით შედარებითი ანალიზი გაგვეკეთებინა სხვადასხვა ქვეყნებში ორმაგი მოქალაქეობის და მოქალაქეობის არქონის შემთხვევების მიმართ.

გარდა დასახელებული ნაშრომებისა, გამოვიყენეთ სხვადასხვა ქვეყნების კონსტიტუციები და როგორც შიდანორმატიული, ასევე საერთაშორისო და რეგიონალური აქტები, რომლებთანაც წვდომა ძირითადად განვახორციელეთ ელექტრონული ბიბლიოთეკების ინტერნეტ საიტების მეშვეობით.

შედეგები და მათი განსჯა

თავი 1. მოქალაქეობის ინსტიტუტის ჩამოყალიბება

1.1. მოქალაქეობის ინსტიტუტის წარმოშობა და განვითარება

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოქალაქეობა ისევე ძველია, როგორც ცივილიზებული სამყაროს ისტორია. მოქალაქეობა თითქმის ყველა სახელმწიფოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი ინსტიტუტია, რომელმაც ჩამოყალიბების და განვითარების მეტად რთული და გრძელი გზა გაიარა. ეს ინსტიტუტი ჯერ კიდევ ძველი რომის სამართალში გვხვდება. ლათინურად მოქალაქეს ეწოდება „ცივის“, მოქალაქეობას კი - „ცივიტას“. ამავე ტერმინით აღინიშნებოდა არა მხოლოდ მოქალაქე, არამედ სახელმწიფოც. ეს გამომდინარეობდა იქიდან, რომ უძველესი სახელმწიფოები ქალაქებად (პოლისებად) იწოდებოდნენ და რადგანაც უძველესი დროიდან არსებობდნენ ქალაქ-სახელმწიფოები, მოქალაქეობის ცნებაც უძველესი დროიდან გვხვდება.

მოქალაქეობის წარმოშობის კვალს მივყავართ ანტიკურ საბერძნეთამდე, სადაც „მოქალაქეები“ იყვნენ ისინი, ვისაც უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფოს ფორმირებაში, თუმცა ყველა მათგანი მოქალაქედ მაინც ვერ ჩაითვლებოდა. ქალები და მონები იმ პერიოდში, დაახლოებით ერთ კატეგორიად მოიაზრებოდნენ და უბრალო სუბიექტებად ითვლებოდნენ. მათ, ვისაც ჰქონდათ მოქალაქის პრივილეგიებული სტატუსი, ისინი „კეთილსინდისიერი მოქალაქის“ კონცეფციის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო.

მოქალაქის გაიგივება ეროვნულ თვითმყოფადობასთან, ბუნებრივად აღმოცენდა იმ ფაქტიდან, რომ მოქალაქის სამართლებრივი სტატუსი ყოველთვის იყო დაკავშირებული ეროვნულ-ეთნიკურ სახელმწიფოსთან, სწორედ აქედან გამომდინარეობს კავშირი მოქალაქეობასა და პატრიოტიზმს შორის.

ზოგჯერ პიროვნების ცხოვრებაში მოქალაქეობის ინსტიტუტთან, მოქალაქეობის პრობლემებთან დაკავშირებულია გარკვეული მოვლენები, რაც გამოიხატება სოციალურ ძვრებში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების შედეგად ახალი სახელმწიფოების წარმოქმნაში, სახელმწიფო საზღვრების შეცვლაში და სხვა. ამიტომ, ჩვენი ინტერესის სფეროს სამართლიანად წარმოადგენს ისეთი საკითხების განხილვა, რომელიც დაკავშირებულია სუვერენული სახელმწიფოს ფორმირებისას მოქალაქეობის უფლების რეალიზაციასთან.

ფეოდალურ ეპოქაშიც მოქალაქეობა ძირითადად უკავშირდებოდა ქალაქში ცხოვრებას. სულხან-საბა ორბელიანი, თავის ლექსიკონში მოქალაქეს განმარტავს შემდეგნაირად: „ქალაქში მყოფნი, ვიეთინმე იტყვიან: მოქალაქეობითი ყოფაქცევით არს სახლის შჯულობითიცა“, ე.ი. სულხან-საბა, მოქალაქეს აიგივებდა ისეთ პიროვნებასთან, რომელიც ცხოვრობდა ქალაქში.¹

მოქალაქეობის ინსტიტუტი შედარებით გვიან ჩამოყალიბდა. მეცნიერთა ერთი ნაწილი მოქალაქეობის ინსტიტუტის წინაპირობად „ქვეშევრდომის“ ინსტიტუტს მიიჩნევს, რომელიც მონარქიულ სახელმწიფოებში დღესაც შენარჩუნებულია. რაც შეეხება თვით ცნებას „ მოქალაქე“ - იგი პირველად ოფიციალურად დაფიქსირდა 1789 წლის 26 აგვისტოს მიღებულ „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში,“ საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდში.

უდავოა, რომ მოქალაქეობის ცნების დამკვიდრება პირდაპირ კავშირშია ქვეშევრდომობის ინსტიტუტის თანდათანობით გაუქმებასთან. ზოგიერთი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა ტერმინ „მოქალაქის“ ნაცვლად იყენებს ტერმინს „ქვეშევრდომი“, რადგან სამართლებრივი თვალსაზრისით, ისინი იდენტური ცნებებია, მოქალაქეობაცა და ქვეშევრდომობაც გულისხმობს პირის სამართლებრივ ურთიერთობას მოცემულ სახელმწიფოსთან.

მეცნიერთა ის ნაწილი, ვისაც მიაჩნია, რომ „მოქალაქე“ და „ქვეშევრდომი“ ერთმანეთისაგან განსხვავდება, გამოყოფენ ზოგ განმასხვავებელ ნიშანს, მაგრამ რაც საერთო გააჩნიათ ის არის, რომ მოქალაქეზეც და ქვეშევრდომზეც ვრცელდება სახელმწიფოს სუვერენიტეტი, მიუხედავად მისი სახელმწიფოებრივი მოწყობისა, ე.ი. პირი სახელმწიფოს მხრიდან სარგებლობს მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიით, როგორც სახელმწიფოს შიგნით, ასევე მის გარეთაც.

მაგალითად, ს. ავაკიანის აზრით, „მოქალაქესა“ და „ქვეშევრდომს“ შორის იყო არამარტო ფორმალური, არამედ სამართლებრივი განსხვავებაც. მოქალაქე იყო თავისუფალი ადამიანი თავისუფალ ქვეყანაში, რომელიც ეკუთვნოდა საკუთარ თავს განსხვავებით ქვეშევრდომისაგან, რომელსაც არ გააჩნდა თავისუფალი ნება და ეკუთვნოდა მხოლოდ მონარქს, როგორც ნივთი. ავაკიანის მოსაზრებას სრულად იზიარებს ნ. კორჟიც თავის ნაშრომში.²

ქვეშევრდომობა დამახასიათებელია მონარქიული ქვეყნებისთვის და აღნიშნავს პირის პოლიტიკურ-სამართლებრივ კავშირს უშუალოდ

¹ ორბელიანი სულხან-საბა. სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი. თბ. საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა.1949. გვ.222

² Авакьян С. А. Гражданство, иностранцы, внешняя миграция. Санкт-Петербург. Изд. Юридический центр. 2003 г. стр. 18-19. Корж Н. Я. Гражданство Российской Федерации. Историко-правовой аспект. Санкт-Петербург. Изд. Нева. 2004 г. стр. 22.

მონარქთან. ქვეშევრდომობა თავისი პირველადი გაგებით ნიშნავს მოცემული ქვეყნის მონარქისადმი პირად ერთგულებას. ასეთი მიდგომით გამოირჩევიან არაბული აღმოსავლეთის ქვეყნები: ქვეშევრდომი ვალდებულია იყოს პირადად მონარქის ერთგული და ამ წესის დარღვევას ხშირად მოსდევს მისი დამრღვევის სიკვდილით დასჯა.

ქვეშევრდომობა უმეტეს ქვეყნებში წარმოდგენილია, როგორც ერთ-ერთი ისტორიული ეტაპი პიროვნებასა და მონარქს შორის განსაკუთრებული სახის ურთიერთობის განვითარებისა, რაც წინ უძღვის მოქალაქეობის ინსტიტუტს. ქვეშევრდომის ინსტიტუტი ფეოდალიზმის პერიოდში აღმოცენდა, როგორც მოქალაქეობის ანალოგი და გულისხმობდა პიროვნების მონარქის გავლენის ქვეშ ყოფნას. ქვეშევრდომს პრაქტიკულად არ ჰქონდა უფლებები, ჰქონდა ვალდებულებები უმაღლესი ხელისუფალის წინაშე, კერძოდ, საგადასახადო ვალდებულება და ყველაზე მთავარი-ერთგულება და მორჩილება“³

მოქალაქეობა, როგორც წესი, დამახასიათებელია რესპუბლიკური წყობის მქონე ქვეყნებისთვის. იგი გულისხმობს ადამიანსა და სახელმწიფოს შორის მყარ სამართლებრივ კავშირს, ე.ი. ეს არის პირი, რომელსაც გააჩნია უფლებები და ვალდებულებები სახელმწიფოს მიმართ და პირიქით, ასევე იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს სახელმწიფო ხელისუფლების რეალიზაციის პროცესში.⁴

ქვეშევრდომი იერარქიული ქვემდებარეობის ნიშანს უფრო შეიცავს, ვიდრე მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებებისა და თანასწორობის ნიშანს საკუთარ სახელმწიფოსთან.

თანამედროვე ეპოქაში ტერმინ „ქვეშევრდომობა“-ს უმეტეს ქვეყანაში, სადაც დღესაც არსებობს მონარქია, უფრო სიმბოლური დატვირთვა გააჩნია და გამოხატავს ტრადიციის მიმართ პატივისცემას, ვიდრე რეალურად ასახავს იმ შინაარსს, რაც მას გააჩნდა ძველ ეპოქაში. ამჟამად ეს ტერმინი, თავისი შინაარსით, აღნიშნავს მოქალაქეობას და არაფერი აქვს საერთო ქვეშევრდომობასთან. ისეთმა მონარქიულმა ქვეყნებმა, როგორებიცაა: ესპანეთი, ბელგია, ნიდერლანდები, თავიანთ კონსტიტუციებში ტერმინი „ქვეშევრდომი“ შეცვალეს ტერმინით „მოქალაქე“.

ისტორიულ რეტროსპექტივაში ქვეშევრდომობა გახდა მოქალაქეობის ინსტიტუტის წარმოქმნის წინაპირობა, რის გამოც ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც მონარქიული წყობილება გაუქმდა, ქვეშევრდომის ინსტიტუტიც გაუქმდა და დამკვიდრდა ერთიანი მოქალაქეობის ცნება, რამაც მრავალი მეცნიერის და პოლიტიკური მოღვაწის ყურადღება მიიპყრო.⁵

³ Ванюшин Я.Л. Гражданство и подданство. Челябинск. 2010 г. стр.61-62

⁴ Лапшин И.Е. Конституционное право зарубежных стран; Москва. Велби, 2004, С.29.

⁵ Александреенко В.Н. Подданство и натурализация. Варшава. Известия варшавского университета. 2004 г. стр.59.

მოქალაქეობის უფლებას განსაკუთრებული ადგილი უკავია ადამიანის ძირითადი უფლებების სისტემაში. ეს უფლება წარმოადგენს როგორც პიროვნების ინდივიდუალიზაციას, ასევე სახელმწიფოში განვითარებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობებში პიროვნების აქტიურ მონაწილეობას. სახელმწიფო მოქალაქეების გარეშე არ არსებობს და სწორედ ამიტომ, რომ მოქალაქეობის ინსტიტუტის არსებობა მისი ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია.

ამის ნათელი დადასტურებაა 1779 წელს, ჯეფერსონის მიერ შემუშავებული კანონი, რომელიც დაამტკიცა კონგრესმა და საკანონმდებლო წესით შემოიღო მოქალაქეობის ინსტიტუტი. ამ კანონის თანახმად, ამერიკის მოქალაქეებად გამოცხადდნენ თეთრკანიანი პირები, რომლებიც დაიბადნენ ამერიკაში და კანონის მიღების დროს ცხოვრობდნენ ამერიკაში ბოლო ორი წლის განმავლობაში.⁶

ასევე, საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ გააუქმა ქვეშევრდომის ცნება და დააწესა ერთიანი მოქალაქეობა მხოლოდ საფრანგეთის მოსახლეობისათვის, რაც აღიარებულ იქნა 1789 წლის „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში.“

1791 წლის საფრანგეთის კონსტიტუციით შემოღებულ იქნა მოქალაქეობის ახალი ინსტიტუტი (თავი (ტიტული)2,მ.2), რომლის მიხედვითაც საფრანგეთის მოქალაქეებად ჩაითვალნენ პირები, რომლებიც: დაიბადნენ საფრანგეთში ფრანგი მამისგან; დაიბადნენ საფრანგეთში უცხოელი მამისგან და საცხოვრებლად ამოირჩიეს სამეფოს საზღვრები; დაიბადნენ საზღვარგარეთ ფრანგი მამისგან, მაგრამ დასახლდნენ საფრანგეთში და მიიღეს სამოქალაქო ფიცი; და ბოლოს, დაიბადნენ რა საზღვარგარეთ მამით და დედით ფრანგებისგან, რომლებიც იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ სამშობლო რელიგიური მიზეზებით, დასახლდნენ საფრანგეთში და დადეს სამოქალაქო ფიცი.⁷

რაც შეეხება გერმანიას, აქ მოქალაქეობის ინსტიტუტი შედარებით გვიან წარმოიშვა. 1621 წლის ვიუტენბერგის კანონით ერთმანეთისაგან განასხვავეს ქალაქის მოსახლეობა-ბიურგერები, სხვა ქვეშევრდომებისაგან. 1818 წლის ბავარიის კონსტიტუციაში პირველად გამოჩნდა ტერმინი „მოქალაქე“.⁸

მოქალაქეობისა და ქვეშევრდომობის საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი იყო ადრეც, რომ მას ვერც ყველა დროის უდიდესმა დიქტატორმა ადოლფ ჰიტლერმა აარიდა თავი და საკუთარ ნაშრომში „ჩემი ბრძოლა“ (MEIN KAMPF), გამოხატა საკუთარი აზრი მოქალაქეობის, ქვეშევრდომობისა და

⁶ ლორია ა. ფილიაცია და ნატურალიზაცია საქართველოში, თბ. მერიდიანი. 2009წ. გვ. 25.

⁷ The French Constitution of 1791 National Assembly. September 3. 1791. Title II. Article 2. <http://wp.stu.ca/worldhistory/wp-content/uploads/sites/4/2015/07/French-Constitution-of-1791.pdf>

⁸ ლორია ა. ლორია ა. ფილიაცია და ნატურალიზაცია საქართველოში, თბ. მერიდიანი. 2009წ. გვ.

უცხოელების ინსტიტუტთან დაკავშირებით და იმდროინდელი გერმანიის საკანონმდებლო მიდგომაც ამ საკითხებზე.

გერმანიის იმდროინდელი კანონმდებლობა კარგად იცნობდა მოქალაქეობის, ქვეშევრდომობის და უცხოელის ინსტიტუტს. „ჩვენი ნაციონალური სახელმწიფო თავის მოქალაქეებს სამ კლასად ყოფს: მოქალაქეები, ქვეშევრდომები და უცხოელი მოქალაქეები. პრინციპში, ნატურალიზაცია ან აქ დაბადება ქვეშევრდომს არ ანიჭებს მოქალაქის ყველა უფლებას. მას იცავს ჩვენი კანონები, მაგრამ არ აძლევს უფლებას მონაწილეობა მიიღოს სახელისუფლო საქმიანობაში“.⁹

აქედან გამომდინარეობს, რომ გერმანიის კანონმდებლობა ყველაზე დიდ უპირატესობას ანიჭებდა მხოლოდ „ადგილობრივ მოქალაქეს“, განსხვავებით ქვეშევრდომისაგან, რომელიც არანაირი პოლიტიკური უფლებით არ სარგებლობდა, არ მონაწილეობდა კანონშემოქმედებით საქმიანობასა და სახელმწიფო ორგანოების ფორმირებაში, მიუხედავად ნატურალიზაციისა და გერმანიაში დაბადებისა. ამავე დროს, ქვეშევრდომს სრული უფლება ჰქონდა უარი ეთქვა ქვეშევრდომობაზე და მიეღო იმ ქვეყნის მოქალაქეობა, რომელთანაც ის სისხლით იყო დაკავშირებული.

„რაც შეეხება ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებში მცხოვრებ უცხოელს, მისი სტატუსი ფაქტობრივად იგივეა, რაც ქვეშევრდომისა, სანამ ის საზღვარგარეთ არ წავა ჩვენგან“ - ამბობდა ფიურერი იმდროინდელი გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით.

ჰიტლერის მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული იყო და მოქალაქეობას ადამიანის განსაკუთრებულ უფლებად მიიჩნევდა, რომელსაც სჭირდებოდა დამსახურება და მისი მოპოვება მხოლოდ გერმანიის მიწაზე დაბადებით არ უნდა განსაზღვრულიყო. იგი ფიქრობდა, რომ გერმანიის მოქალაქეობის მიღებამდე ყველა გერმანელი, გარკვეული პირობების შესრულებამდე, უნდა განხილულიყო როგორც ქვეშევრდომი და სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ, უმწიკვლო ატესტაციისა და რეპუტაციის შემთხვევაში, შეიძლებოდა მოეპოვებინა გერმანიის მოქალაქის საპატიო წოდება.

გერმანელ გოგონას მხოლოდ ქვეშევრდომად განიხილავდა ჰიტლერი და მხოლოდ გათხოვების შემდეგ ექნებოდა უფლება მოეპოვებინა გერმანიის მოქალაქის სტატუსი.¹⁰

მოქალაქისა და ქვეშევრდომის ინსტიტუტის მსგავსი გაგება გააჩნდა საქართველოსაც, რომელმაც აღნიშნულ საკითხზე პირველი აქტით - „დებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობისა

⁹ ლორია ა.ლორია ა. ფილიაცია და ნატურალიზაცია საქართველოში, თბ. მერიდიანი. 2009წ. გვ.30

¹⁰ ჰიტლერი ა. ჩემი ბრძოლა. თბ. ატლანტიდა. გვ.42

(ქვეშევრდომობისა)“, რომელიც საქართველოს ეროვნულმა საბჭომ და საქართველოს მთავრობამ 1918 წლის 16 ივლისს მიიღო, გამოხატა თავისი მიდგომა აღნიშნული საკითხების მიმართ. ეს იყო დროებითი აქტი მოქალაქეობის კანონის შემუშავებამდე.¹¹

თუ კარგად გადავხედავთ დებულებას, დავინახავთ რომ „მოქალაქე“ და „ქვეშევრდომი“ აქაც ერთი და იგივე მნიშვნელობით არის გამოყენებული.

რაც შეეხება პირველ, ევროპის ქვეყნების მსგავს, დემოკრატიულ საფუძველზე აგებულ, იმ პერიოდისათვის საკმაოდ პროგრესულ კანონს, სადაც მოქალაქეობის საკითხები იყო ჩამოყალიბებული წარმოდგენდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც დაუშვებელი იყო ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტი.¹²

მოქალაქეობის ინსტიტუციის განვითარება როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში, არცთუ იშვიათად დაკავშირებულია ახალი საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებასა და განსხვავებული აზროვნების ჩამოყალიბებასთან, რომლებიც სოციალური თუ ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების ან სხვა გლობალური თუ ადგილობრივი პოლიტიკური პროცესების თანამდევნი შედეგია. მოქალაქეობა საერთაშორისო სამართალში სტატიკურ ვითარებაში როდია. იგი დინამიურია კაცობრიობის განვითარების დონის, კონკრეტული ეპოქის, სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური წყობის და სხვა ფაქტორების შესაბამისად.¹³

თანამედროვე კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის შესახებ, უკავშირდება 1993 წლის 27 მარტს, როდესაც ძალაში შევიდა „ორგანული კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“, შემდგომ - 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მე-12 და მე-13 მუხლებს, რომლებიც ეთმობა მოქალაქეობის საკითხებს.¹⁴

1993 წლის 27 მარტის საქართველოს კანონი ეხება საქართველოს მოქალაქეობას, კერძოდ:

1. საქართველოს მოქალაქეობა არის საქართველოსთან პირის სამართლებრივი კავშირი;

¹¹ დებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობისა (ქვეშევრდომობისა). 1918 წ. 16 ივლისი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1919-1921წწ. სპეც. რედ. ვ. შარაშენიძე. ივერთა მხარე. თბ. 1990წ. გვ. 46-47.

¹² საქართველოს კონსტიტუცია. მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წელი, 21 თებერვალი. file:///C:/Users/UNIX/Desktop/const_1921.pdf

¹³ Боярс Ю.Р. Гражданство в международном и внутреннем праве. Рига, Латв. ун-та, 1986г. ст. 78

¹⁴ საქართველოს კონსტიტუცია. 1995წ. 24 აგვისტო, მ. 12-13.

2. საქართველოში დადგენილია ერთიანი მოქალაქეობა;
3. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე, გარდა ამ კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა;
4. არავის შეიძლება შეეზღუდოს მოქალაქეობის შეცვლის უფლება, გარდა ამ კანონით და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევის;
5. საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია;¹⁵

აღნიშნულიდან აშკარაა, რომ მოქალაქეობა არის პირის სამართლებრივი კავშირი სახელმწიფოსთან და ის, რომ საქართველოში დადგენილია ერთიანი მოქალაქეობა, თუმცა გამონაკლისის სახით, კანონი მე-17 მუხლით, საგამონაკლისო წესით, უშვებს სხვა ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესაძლებლობას.

ასევე, 1995 წლის კონსტიტუციის მე-12 მუხლმა განიცადა გარკვეული სახის ცვლილებები, კერძოდ, შეიცვალა ნორმის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, საქართველოში გამონაკლისის სახით დაშვებულ იქნა ორმაგი მოქალაქეობის მიღების შესაძლებლობა, რაც წარმოადგენს თემის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს და რომელსაც დაწვრილებით ქვემოთ შევხებით.

1.2 მოქალაქეობის ცნება და არსი

მოქალაქეობის ინსტიტუტმა ჩამოყალიბებისთანავე მიიპყრო მრავალი მეცნიერისა და პოლიტიკური მოღვაწის ყურადღება.¹⁶ მოქალაქეობა იურიდიულ და პოლიტიკურ ლიტერატურაში აღიარებულია როგორც სახელმწიფოებრივი მოვლენა. პროფესორი ლევან ალექსიძე აღნიშნავს: „მოქალაქეობა გულისხმობს ფიზიკური პირის სამართლებრივ კავშირს სახელმწიფოსთან, რომელიც: ა) წესდება მოცემული სახელმწიფოს მიერ; ბ) ხასიათდება მხარეთა ურთიერთობის სიმტკიცით და გ) შეიცავს სახელმწიფოსა და პირის უფლებებსა და მოვალეობებს; მოქალაქე ინარჩუნებს კავშირს თავის სახელმწიფოსთან სიკვდილამდე, მიუხედავად იმისა, ცხოვრობს ის სამშობლოში თუ საზღვარგარეთ“.¹⁷

მოქალაქეობის უფლებას განსაკუთრებული ადგილი უკავია ადამიანის ძირითადი უფლებების სისტემაში. ეს უფლება წარმოადგენს როგორც პიროვნების ინდივიდუალიზაციას, ასევე სახელმწიფოში განვითარებულ

¹⁵ საქართველოს 1993 წლის 27 მარტის კანონი მოქალაქეობის შესახებ, მ.3

¹⁶ Александренко В.Н. Подданство и натурализация. Известия Варшавского университета. Вып. V. Варшава. 1904г. Westlake J. International Law. Part 1. Cambr. 1904г. стр.34

¹⁷ ალექსიძე ლ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, იურისტების სამყარო, თბ. 2013წ. გვ. 255.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობებში პიროვნების აქტიურ მონაწილეობას. სახელმწიფო მოქალაქეების გარეშე არ არსებობს და ამიტომაც, რომ მოქალაქის ინსტიტუტის არსებობა მისი ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია. რისთვის სჭირდებათ მოქალაქეებს სახელმწიფო? თითოეული ადამიანისათვის მნიშვნელოვანია იმის გააზრება თუ რას ნიშნავს ის, როგორც ერთი კონკრეტული პიროვნება სახელმწიფოსათვის, როგორია მისი თავისუფლების ფარგლები და დაცულობის ხარისხი, როგორი უნდა იყოს მისი ურთიერთობა ხელისუფლებასთან, როგორი უნდა იყოს მისი როლი სასურველი სახელმწიფოს და საზოგადოების შექმნის პროცესში.¹⁸ აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა ექვემდებარება სახელმწიფოსა და მოქალაქის იმ ურთიერთობას, რაზეც ქვემოთ დაწვრილებით ვისაუბრებთ.

ძალიან ხშირად ვიყენებთ ტერმინს „მოქალაქე“-ს და ვსვამთ კითხვას, რას ნიშნავს იყო მოქალაქე? ადამიანთა უმეტესობას ნაკლებად აქვს გააზრებული ამ სიტყვის მნიშვნელობა.

მოქალაქეობის ცნებამ მრავალჯერ განიცადა ტრანსფორმაცია, თუმცა ამ ცნების თავდაპირველი ვერსია რომის იმპერიის ტრადიციებთან არის დაკავშირებული. მოქალაქეობა ეს არის იურიდიული სტატუსი, რომელიც პიროვნების პრივილეგიებზე მდგომარეობას აღნიშნავდა.

„ყველა თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო თავის მოქალაქეების მიმართ ისეთ უნიკალურ სტატუსს აწესებს, რომელიც მათ სპეციალურ უფლებებსა პრივილეგიებს ანიჭებს. მოქალაქეობის ძირითად ელემენტებს წარმოადგენს: თანაბარი იურიდიული სტატუსი, უფლებები და მოვალეობები, საარჩევნო ხმა და პოლიტიკური მონაწილეობა, სამშობლოში თავისუფალი შესვლისა და გასვლის უფლება, ასევე, სამშობლოსთან კავშირის განცდა.“¹⁹

„თანამედროვე მსოფლიოში მიღებულია განმარტება, რომ მოქალაქე არის პირი, რომელიც სამართლებრივ საფუძველზე მიეკუთვნება გარკვეულ სახელმწიფოს და აქედან გამომდინარე, წარმოემოხება განსაზღვრული უფლებათა ნაკრები.“²⁰ თავისი არსით, მოქალაქეობა წარმოადგენს სახელმწიფოებრივ მოვლენას.²¹

¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი. ავტორთა კოლექტივი. მერიდიანი. თბ. 2017წ. გვ.15.

¹⁹ Shachar A. Citizenship. The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, edited by Rosenfeld M., Sajó A., Oxford, 2013, pp 1003-1004

²⁰ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი. ლექსიკონ-ცნობარი ლ. ალექსიძის რედაქტორობით. თბ. 2005წ. გვ.127.

²¹ გიგლაშვილი ვ. მოქალაქეობის ცნება და საერთაშორისო სამართალი. ჟურნალი სამართალი. #5-6. 1993წ. გვ.32; ასევე, ნემსიწვერიძე თ. უცხოელთათვის საარჩევნო უფლების მინიჭება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე- სახელმწიფოს პოლიტიკურ გარემოზე ზემოქმედების სამართლებრივი ბერკეტი? სტუდენტური ჟურნალი. 2014წ. გვ.103

მოქალაქის ცნების განმარტება მრავალმხრივია. მაგალითად, „მოქალაქეობა არის პირის პოლიტიკურ - სამართლებრივი კავშირი სახელმწიფოსთან, რაც გამოიხატება ურთიერთსანაცვლო უფლებების, მოვალეობების და ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებლობის ერთიანობაში“.²²

მოქალაქეობა რომ პირის სამართლებრივი კავშირია სახელმწიფოსთან, თითქმის ყველა სახელმწიფო აღიარებს. ამასთან „პირები, რომლებიც კონკრეტულ სახელმწიფოსთან სამართლებრივ კავშირში იმყოფებიან, ანუ ფლობენ მოქალაქეობას, ამ სახელმწიფოს საკონსტიტუციო წყობილების უმთავრეს საფუძველს წარმოადგენენ. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო - პოლიტიკურ უფლებებს ძირითადად სწორედ ისინი ფლობენ. მოქალაქეები ზემოქმედებენ სახელმწიფო ხელისუფლებაზე, ირჩევენ წარმომადგენლებს, რითაც სახელმწიფოს პოლიტიკას განსაზღვრავენ.“²³

„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ თანახმად, მოქალაქეობის უფლება ადამიანის ერთ-ერთ ძირითად, თანდაყოლილ, გაუსხვისებელ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება. იმის მიხედვით, რამდენად ახდენს პიროვნება თავისი უფლება-მოვალეობების რეალიზებას, შესაძლებელია თამამად ვიმსჯელოთ სახელმწიფოთა დემოკრატიულობის ხარისხზეც.²⁴

სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხი პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს უზენაეს კანონთან - კონსტიტუციასთან, ხოლო კონსტიტუციის ხარისხს და ღირსებას კი, გ. ლობჯანიძის აზრით, განაპირობებს მისი მეორე თავი, რომელიც მოქალაქეობის საკითხებს და ადამიანის ძირითად უფლებებს ეხება.²⁵ ამით, გ. ლობჯანიძემ კონსტიტუციის ხარისხი პირდაპირ დაუკავშირა კონსტიტუციაში მოქალაქეობის ინსტიტუტს, სახელმწიფოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინსტიტუტს, რომელიც საკმაოდ დემოკრატიულ საფუძველზეა აგებული.

„მოქალაქეობა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს წინაპირობას პიროვნების მიერ კონსტიტუციურ და სხვა უფლება-თავისუფლებათა ფლობის, ასევე მისი უფლებების და კანონიერი ინტერესების, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ, დიპლომატიური წესით და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში დამკვიდრებული სხვა ფორმებით დაცვის წინაპირობას, პიროვნებისათვის შესაბამისი ვალდებულებების დაკისრების

²²ავტორთა კოლექტივი. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი ცნობარი, თსუ, თბ, 2003წ. გვ.188

²³ კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო, ა. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბ, 2005, გვ.98

²⁴ Universal Declaration of Human Rights, 1948; Article 15. <http://www.jus.uio.no/lm/en/pdf/un.universal.declaration.of.human.rights.1948.portrait.letter>.

²⁵ ლობჯანიძე გ. ადამიანის უფლებათა სამართალი. ინოვაცია. თბ.2005წ. გვ.136

თვალსაზრისით. მოქალაქეობა წარმოადგენს პირის - ინდივიდის სრული უფლებაუნარიანობის უნივერსალურ წინაპირობას“.²⁶

მოქალაქეობა არის პირის იურიდიული სტატუსი, რომელიც მოიცავს: ა) სამართლებრივ ნორმებს, რომლითაც დგინდება აღნიშნული სტატუსი; ბ) სამართალსუბიექტურობას; გ) ძირითად უფლებებს და მოვალეობებს; დ) კანონიერ ინტერესებს; ე) იურიდიულ პასუხისმგებლობას; ვ) სამართლებრივ პრინციპებს.²⁷

ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით, მოქალაქეობა თავისი მნიშვნელობით არის ეროვნულ-სამართლებრივი სისტემის ნაწილი, გათანაბრებული პარლამენტარიზმის ინსტიტუტთან, პრეზიდენტის ინსტიტუტთან და ა.შ... , რაც შესაბამისად რეგულირდება სახელმწიფოში ეროვნული და ასევე, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით.²⁸

მოქალაქეობა არის პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის სამართლებრივი ურთიერთობების დამყარება, რაც გამოიხატება სპეციალურ უფლება - მოვალეობათა განხორციელებაში, თუმცა იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ ურთიერთობებით. მოქალაქეობა ზეგავლენას ახდენს პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის დამყარებულ ურთიერთობებზე. შესაბამისად, მოქალაქეობის ინსტიტუტი ორი ასპექტით ხასიათდება - შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო-სამართლებრივი ასპექტებით.

სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას თავისი მოქალაქეები და მფარველობა გაუწიოს მათ. მნიშვნელობა არა აქვს დროსა და სივრცეს. მოქალაქეობა არ იზღუდება სახელმწიფოს ტერიტორიითა და ფარგლებით. მოქალაქის მხრიდან ვალდებულებები სახელმწიფოს მიმართ გამოიხატება არსებული საკონსტიტუციო წესწყობილებისა და მოქალაქეებზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებაში.²⁹

მსგავსი მიდგომა აქვს ანდრამ შაიოს, რომლის აზრითაც, სახელმწიფო მისი მოქალაქეების გარანტია. ანუ „მათთვის, ვისთვისაც გვსურს მშვიდი ცხოვრების საშუალების მიცემა იმიტომ, რომ ისინი ჩვენთან არიან იდენტიფიცირებულნი.“ ასეთი მოსაზრება შაიოს აზრით, უკავშირდება კონსტიტუციის ფუნდამენტურ წესრიგს.³⁰

²⁶ Козлова Е.И., Кугафим О.Е. Конституционное право Российской Федерации, Москва, Юрист, 2009 г. стр. 217

²⁷ Теория государства и права, Курс лекции под ред. Матузова Н. И., Малько А. В. Москва. 2013 г. стр.237

²⁸ Комаров С. А. Общая теория права. Юрист. 1998г. стр.181

²⁹ კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო. ა. დემეტრაშვილის რედაქტორობით. გამომცემლობა იურისტების სამყარო. თბ. 2005 წ. გვ. 99

³⁰ შაიო ა. ხელისუფლების თვითშეზღუდვა. თარგმანი ინგლისურიდან, მეცნ. რედ. ნინიძე თ. სეზანი. თბ. 2003წ. გვ.31.

ლ. ალექსიძე აღნიშნავს: „მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა ყოველი სახელმწიფოს სუვერენული უფლებაა, რადგანაც ეს საკითხი შიდასახელმწიფოებრივ კომპეტენციაში ერთ-ერთი ძირითადთაგანია“.³¹

მოქალაქეობის ინსტიტუტი მეტწილად შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სფეროს განეკუთვნება. ამასთან, თანამედროვე პირობებში, მოქალაქეობის საერთაშორისო - სამართლებრივი მნიშვნელობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ეს აიხსნება სახელმწიფოთაშორისი კავშირების გაღრმავებით, რომელსაც თან ახლავს მოსახლეობის მიგრაციის გაძლიერება, რაც თავის მხრივ იწვევს კონკრეტულ პირთა თუ მოსახლეობის განსაზღვრულ ჯგუფთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ სახელმწიფოთაშორისო დავების სავარაუდო ზრდას.

როგორც ლ. ალექსიძე აღნიშნავს, „მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის მოწესრიგების პრობლემა შიდასახელმწიფოებრივი სამართლის კომპეტენციაში შედის, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობის პრაქტიკამ შეიმუშავა მთელი რიგი საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმები, რომლებიც მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიებს ეხება. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედ სახელმწიფოთა ეკონომიკური და სხვა ურთიერთობანი ისე მჭიდროდაა დაკავშირებული მოსახლეობასთან, რომ დღეს შეუძლებელია ზოგიერთი საკითხის ცალმხრივად გადაწყვეტა... ამავ დროს კაცობრიობის განვითარების დღევანდელმა დონემ ისეთ საფეხურს მიაღწია, როდესაც შეუძლებელია პროგრესული კაცობრიობის მართლშეგნების გაუთვალისწინებლად, მოწესრიგდეს მოქალაქეების უფლებრივი რეჟიმი“.³²

ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების, დამოუკიდებლობა აღდგენილი სახელმწიფოების მიერ სამართლებრივი რეგლამენტაციის თვალსაზრისით „...მოქალაქეობა საერთაშორისო სამართალში სტატუტურ ვითარებაში როდია. იგი დინამიურია კაცობრიობის განვითარების დონის, კონკრეტული ეპოქის, სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური წყობის და სხვა ფაქტორების შესაბამისად“.³³

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოთაშორისი სამართლის დარგია, „მოქალაქეობის საკითხები აინტერესებს არა უბრალოდ, არამედ იმდენად, რამდენადაც მათი შიდასახელმწიფოებრივი სამართლით მოწესრიგება დაკავშირებულია

³¹ალექსიძე ლ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. იურისტების სამყარო. თბ. 2013 წ. გვ.251

³²ალექსიძე ლ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბ. იურისტების სამყარო. 2013 წ.გვ.252.

³³ Council of Europe. European Treaties No.166. Strasbourg. 6 XI 1997.

ადამიანის და მოქალაქის, აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა უფლებებისა და ინტერესების დაცვასთან, რაც საერთაშორისო დაცვის ობიექტია“.³⁴

საერთაშორისო სამართალი მართალია არ მოიაზრებს ფიზიკურ პირთა სამართალსუბიექტობას, მაინც გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს მათ სამართლებრივ მდგომარეობაზე, მოქალაქეობაზე, რაც პირველ რიგში ვლინდება იმაში, რომ სახელმწიფო მოქმედებს თავისი საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, ახორციელებს თავის საერთაშორისო უფლებებს, ანიჭებს მის იურისდიქციის ქვეშ მყოფ ინდივიდებს განსაზღვრულ უფლებებს და მოვალეობებს, მათი მოქალაქეობის შესაბამისად, რომლებიც დადგენილია შიდასახელმწიფოებრივი აქტებით.

„თითოეულ სახელმწიფოს შეუძლია, საკუთარი კანონის საფუძველზე დაადგინოს, თუ ვინ იქნებიან მისი მოქალაქეები. ასეთი კანონი აღიარებული იქნება სხვა სახელმწიფოების მიერ იმდენად, რამდენადაც ის შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო კონვენციებთან, საერთაშორისო ჩვეულებასა და მოქალაქეობასთან მიმართებაში სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან“.³⁵

საერთაშორისო-სამართლებრივი სახელმწიფოთაშორისი უფლებები, ვალდებულებები და მოვალეობები, რომელთა განხორციელებაც ზეგავლენას ახდენს ფიზიკური პირის მდგომარეობაზე, ხშირად დაკავშირებულია მის მოქალაქეობასთან. შესაბამისად, პიროვნების სამართლებრივი მდგომარეობა საერთაშორისო სამართალში გარკვეულწილად მოქალაქეობის საკითხსაც მოიცავს.

„მოქალაქეობის შესახებ 1997 წლის ევროპული კონვენციის“ თანახმად, ეროვნული კანონმდებლობა უნდა შეესაბამებოდეს კონვენციებს, ჩვეულებით სამართალსა და „მოქალაქეობასთან მიმართებაში სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.“³⁶

მოქალაქეობა რომ სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია, ამას ყველა მეცნიერი აღიარებს. ა. ლორია გვეუბნება: „მოქალაქეობა კონსტიტუციური სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. იგი სამართლის სხვა დარგებისთვისაც გამოიყენება, რამდენადაც მოქალაქეობის გარეშე არ არსებობს არც საჯარო სამსახური, არც სამხედრო ვალდებულება, არც დიპლომატიური ურთიერთობა..“³⁷

³⁴ Ибраимов У. С. Теоретические аспекты института гражданства и его законодательной рекомендации в странах СНГ. Автореф. Дис. на соиск уч. степени канд. Юрид. Наук. Москва . 2013г. с 42.

³⁵ ბრაუნლი ი. საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპები. საია-ს იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის ეგიდით. 2010 წ. გვ.424.

³⁶ European Treati Council of Europe. European Treaties No.166. Strasbourg. 6 XI 1997es; ETS No.166;

³⁷ ავტორთა კოლექტივი. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. პეტიტი. თბ. 2013წ. გვ.32.

მოქალაქეობის საკითხი, მისი საერთაშორისო-სამართლებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახელმწიფოთა განსაკუთრებული კომპეტენციის ფარგლებში ექცევა და სწორედ ამიტომ, მოქალაქეობის საკითხი არაერთხელ გამხდარა საერთაშორისო კონფერენციების განხილვის საგანი.

ჰააგის 1930 წლის კონფერენციაზე გაკეთდა განაცხადი, რომ „ მოქალაქეობა ძირითადად თითოეული ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის საკითხია მიუხედავად იმისა, რომ მას მეტწილად საერთაშორისო სამართლის პრინციპები არეგულირებს... თითოეულ სახელმწიფოს შეუძლია საკუთარი კანონის საფუძველზე დაადგინოს თუ ვინ იქნებიან მისი მოქალაქეები.“³⁸

„მოქალაქეობა წარმოადგენს გარკვეულწილად მიკუთვნებასთან დაკავშირებულ პრობლემას და ამ თვალსაზრისით ტერიტორიული სუვერენიტეტის შესახებ სამართალს ჰგავს.“³⁹

სუვერენიტეტის პრობლემა ყოველთვის იქცევა მეცნიერთა განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგან სუვერენიტეტის მრავალმხრივი და მრავალგანზომილებიანი მიმართულებები, პირდაპირ არის დაკავშირებული მოქალაქეობის ინსტიტუტთან, რაც სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების აუცილებელი და ძირითადი წინაპირობებია.⁴⁰

საერთაშორისო სამართლის კომისიის სპეციალურმა მომხსენებელმა, მენლი ო. ჰადსონმა შემდეგი მოსაზრება გამოთქვა: „პრინციპში, მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხები თითოეული სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში ექცევა“.⁴¹ აღნიშნული მოსაზრება მან დაასაბუთა სხვადასხვა ავტორიტეტულ შრომებზე და სასამართლო პრეცედენტებზე დაყრდნობით.

თუ რომელი სფერო ექცევა სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში დამოკიდებულია საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაზე. არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, მოქალაქეობის საკითხი სწორედ რომ სახელმწიფოს შიდა იურისდიქციას განეკუთვნება. მიუხედავად სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებისა მოქალაქეობის ინსტიტუტის მიმართ, ყველა ქვეყანა დამოუკიდებლად ახორციელებს საკუთარ მოქალაქეებზე კონტროლს.

³⁸ Shachar A., Citizenship, The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, ed. By Rozenfeld M., Sajo A., Oxford, 2013, pg. 1005

³⁹ Acts of the Conference II. Minutes of the Ist Committee, Plenary Meetings, V.14, 18-41(1930)

⁴⁰ Златопольский Д. Л. Возрождение федеративного государства: проблема государственного суверенитета. Вестник Моск. Ун-та. Серия II. Право. 1995. №2 стр.3-13. Курашвили К.Т. федеративная организация Российского государства. Гл.IV. Москва. 2000г. стр.34

⁴¹ ბრაუნლი ი. საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპები. საია-ს იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის ეგიდით. 2010 წ. გვ.419

ყველა სუვერენული სახელმწიფო საკუთარი კანონმდებლობით განსაზღვრავს მოქალაქეობის ინსტიტუტთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ მოქალაქეობის მოპოვების, დაკარგვისა და აღდგენის წესებს, თუმცა მოქალაქეობის შესახებ წესები უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

„ა) ყველას აქვს მოქალაქეობის უფლება,

ბ) მოქალაქეობის არქონა თავიდან უნდა იყოს აცილებული,

გ) არავის უნდა ჩამოერთვას მოქალაქეობა თვითნებურად;

დ) არც ქორწინება და არც ქორწინების შეწყვეტა ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქესა და უცხოელს შორის, არც რომელიმე მეუღლის მიერ ქორწინებისას მოქალაქეობის ცვლილება, ავტომატურად არ უნდა შეეხოს მეორე მეუღლის მოქალაქეობას.“⁴²

„უფლება მოქალაქეობაზე ყოველი ადამიანის განუყოფელი უფლებაა, რომელიც მოიპოვება დაბადების ფაქტიდან გამომდინარე, უთანაბრდება უფლებას ცხოვრებაზე და სახელზე. აღნიშნული უფლება გარანტირებულია სახელმწიფოს მხრიდან.“⁴³

მოქალაქეობასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები წესრიგდება სახელმწიფოთა კონსტიტუციების ან სპეციალური კანონმდებლობის საშუალებით. კონსტიტუციით, როგორც წესი, დადგენილია ზოგადი პრინციპები, რომლითაც რეგულირდება მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის პირობები, თუმცა, არიან ქვეყნები, რომელთა კონსტიტუციაში დაწვრილებით არის განხილული მოქალაქეობის საკითხები. ზოგი ქვეყნის კონსტიტუცია კი საერთოდ არ შეიცავს რაიმე ნორმას, რომელშიც საუბარი იქნება მოქალაქეობის საკითხებზე. მაგ; იტალიის კონსტიტუციაში საერთოდ არ არის საუბარი მოქალაქეობის შესახებ, მაშინ, როდესაც კუბის კონსტიტუციაში დაწვრილებით არის განხილული მოქალაქეობის საკითხები. ეგვიპტის 1971 წლის კონსტიტუცია ამ საკითხთან დაკავშირებით ამბობს: „ეგვიპტის მოქალაქეობა განისაზღვრება კანონით“. პორტუგალიის კონსტიტუციაში კი წერია: „პორტუგალიის მოქალაქედ ითვლება ყველა, ვინც აღიარებულია ასეთად კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით“.⁴⁴

მოქალაქეობის შესახებ საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის შეჯერების შედეგად, შეგვიძლია გამოვყოთ სამოქალაქო ურთიერთობების

⁴²European Convention on Nationality. Strasbourg, 6.XI.1997. Article 5. <https://rm.coe.int/168007f2c8>

⁴³ Швайко Д. Определение гражданства. Изд. Белорусский Государственный Университет. Минск. 2008 г. с.21

⁴⁴ Portugal's Constitution of 1976 with Amendments through 2005. https://www.constituteproject.org/constitution/Portugal_2005.pdf

ძირითადი პრინციპები. უპირველესად, მოქალაქეობა არის ერთიანი. ეს პრინციპი დამახასიათებელია სახელმწიფო წყობილების უნიტარული ფორმის მქონე ქვეყნებისათვის. მაშინ, როდესაც უმრავლეს ფედერციულ სახელმწიფოებში პირი ითვლება მთლიანად კავშირისა და ამ კავშირში შემავალი ფედერაციული სუბიექტების (შტატი, პროვინცია, კანტონი, მიწა, ავტონომია, გუბერნია და ა.შ) მოქალაქედ.

1994 წელს გერმანიის ძირითადი კანონიდან ამოღებულ იქნა 74-ე მუხლის მე-8 პუნქტი, რომლითაც რეგულირდებოდა გერმანიის მიწების მოქალაქეობის საკითხი. ამჟამად აღიარებულია მხოლოდ საერთო ფედერალური მოქალაქეობა, გარდა ბავარიის მიწისა, რომელსაც თავისი მიწის კონსტიტუციის შესაბამისად გააჩნია საკუთარი ბავარიის მოქალაქეობა. ასეთივე მიდგომა აქვს აგრეთვე რუსეთის ფედერაციას, აშშ-ს და სხვა თანამედროვე ფედერაციული მოწყობის მქონე სახელმწიფოებს.⁴⁵

უფლებების, მოვალეობების და თავისუფლებების ესა თუ ის ერთობლიობა, გამომდინარეობს ადამიანის და მოქალაქის სამართლებრივი სტატუსიდან.⁴⁶ ყველა მოქალაქე ითვლება თანასწორად თავის უფლებებსა და ვალდებულებებში სახელმწიფოსთან ურთიერთობისას მიუხედავად მისი მოპოვების საფუძვლებისა, ასევე წარმოშობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, აღმსარებლობის, რელიგიური მრწამსის, ენის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, საქმიანობის სახის და საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად. მოქალაქეობის დამახასიათებელ თვისებად მიჩნეულია მისი შენარჩუნება პირის მიერ, მიუხედავად მისი საცხოვრებელი ადგილისა, ასევე მოქალაქის საკუთარი ქვეყნიდან გაძევების დაუშვებლობა, საკუთარი მოქალაქის დაცვა და მფარველობა, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ.

მსოფლიო პრაქტიკა მოქალაქეობის მოპოვების ორ ძირითად ფაქტორს გამოყოფს: დაბადების ფაქტი, ანუ ფილიაცია და ნატურალიზაცია. მსოფლიოში ქვეყანათა უმრავლესობა ორივე ფაქტორს იყენებს და ექსპერტები ასეთ მიდგომას დასაშვებ კრიტერიუმებად მიიჩნევენ.⁴⁷

მსოფლიოში ადამიანთა გარკვეული რაოდენობა არის ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქე და ეს ანიჭებს მათ გარკვეულ პრივილეგიებს და შესაბამისად უფლებებს. ხალხი მსჯელობს მოქალაქეობაზე უკვე ათასობით წელია და დღესაც არ არსებობს რაიმე აბსოლუტური შეთანხმება იმაზე, თუ რას ნიშნავს მოქალაქეობა ზუსტად, რადგან ამ ცნების გარშემო სხვადასხვა დეფინიციები არსებობენ.

⁴⁵ საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ტ. I. პას. რედ. გონაშვილი ვ. ქრონოგრაფი. თბ. 2004წ. გვ.35.

⁴⁶ ცნობილადე პაატა. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი. უნივერსალი. თბ. 2004წ. გვ.236

⁴⁷ Mervyn J. British Nationality Law and Practice (1956), 10-11; Guggenheim, I. 315; Makarov, 74 hague Recueil (1949). 364.

კანონიერი მოქალაქეობის კონცეფცია შედარებით მარტივი ჩანს: ის ჩვეულებრივ დაკავშირებულია ეროვნულ სახელმწიფოსთან და განისაზღვრება ამ სახელმწიფოს კანონების მიხედვით. ალბათ, ამიტომაც არის, რომ ბევრისთვის მოქალაქეობის ცნება პირდაპირ არის დაკავშირებული პატრიოტიზმთან.

მოქალაქეობის საკითხთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობის საკითხი. მრავალ ქვეყანაში დიდი ხნის განმავლობაში მოქმედებდა დისკრიმინაციული ნორმები, რომლებიც მხოლოდ მამებს აძლევდა საშუალებას, თავისი შთამომავლობისათვის გადაეცა მოქალაქეობა. ზოგიერთი კონსტიტუცია არ ანიჭებდა დედას და მამას თანაბარ სტატუსს მოქალაქეობის გადაცემასთან დაკავშირებით, როდესაც ბავშვი იზადებოდა საზღვარგარეთ.⁴⁸

მოქმედი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის“ მე-3 მუხლი განმარტავს, რომ მოქალაქეობა არის საქართველოსთან პირის სამართლებრივი კავშირი. როგორც ვხედავთ, 1993 წლის 25 მარტის მოქალაქეობის შესახებ კანონისგან განსხვავებით, აქ აღარ გვაქვს ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობებზე მითითება, რასაც თავის დროზე სამართლიანად აკრიტიკებდა პროფესორი არჩილ ლორია და აღნიშნავდა, რომ სახელმწიფოს და მოქალაქეს არანაირად შეიძლება ჰქონდეთ ურთიერთსანაცვლო ურთიერთობები, რადგან სახელმწიფოს უფლებები მოქალაქის მიმართ შეიძლება გამოიხატოს სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოთხოვნაში, გადასახადების დაკისრებაში და სხვ. ყოველივე ეს სახელმწიფოს უფლებებია და მოქალაქის ვალდებულებები, ურთიერთსანაცვლო ურთიერთობებზე საუბარი აქ გამორიცხებულია.⁴⁹

შესაბამისად ამისა, მოქალაქესაც გააჩნია რიგი უფლებები. მაგალითად, მოითხოვოს თავისი სახელმწიფოსაგან ფიზიკური, სოციალური, თუ ზნეობრივი ხელყოფისაგან დაცვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა, პირადი თავისუფლების დაცვა, ასევე ცხოვრების, შრომის, ჯანდაცვის და სხვადასხვა უფლებების განხორციელებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა.

თუ ჩავთვლით, რომ ყველა ჩამოთვლილი უფლება სახელმწიფოს სანაცვლოდ მიგვაჩნია, მაშინ მოქალაქეს კანონით მინიჭებული უფლებებიდან აღარაფერი დარჩება და სახელმწიფო განუსაზღვრავს მოქალაქეს როგორც უფლებათა სახეებს, ასევე მათი განხორციელების მექანიზმებსაც.

⁴⁸ The French Constitution of 1791 National Assembly. September 3, 1791. History With Primary Source. Title II, Article 2. <http://wp.stu.ca/worldhistory/wp-content/uploads/sites/4/2015/07/French-Constitution-of-1791.pdf>

⁴⁹ ლორია ა. ფილიაცია და ნატურალიზაცია საქართველოში. მერიდიანი. თბ. 2009წ. გვ.44

მოქალაქეობის ლიბერალური გააზრება ხაზს უსვამს უფლებების მნიშვნელობას ყველა მოქალაქისათვის. როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, მოქალაქეობა არის პიროვნების პრივილეგირებული მდგომარეობა სახელმწიფოში მოქალაქეობის არმქონე პირთან ან უცხო ქვეყნის მოქალაქესთან შედარებით, რაც, პირველ რიგში, კონკრეტული უფლებების მინიჭებაში გამოიხატება. ჯერ კიდევ რომის სამოქალაქო წყაროებიდან ჩანს, რომ საკუთრების უფლება ჰქონდათ მხოლოდ რომის მოქალაქეებს. „გარიგებას შეძენის დროს უნდა დასწრებოდა ხუთი მოწმე, ხუთივე სრულწლოვანი რომის მოქალაქე.“⁵⁰

აქედან გამომდინე, აშკარაა, რომ ქონების შემძენი და მნიშვნელოვანი სამართლებრივი ურთიერთობების (გარიგების) მონაწილე აუცილებლად უნდა ყოფილიყო მხოლოდ რომის მოქალაქე.

ასეთი პრივილეგირებული მდგომარეობის თანდათანობით განვრცობასთან ერთად პოლიტიკური უფლებები და სამართლიანობა მოსახლეობის მზარდი ნაწილისათვის რეალობა გახდა.⁵¹

მე-20 საუკუნეში „სოციალური მოქალაქეების“ მხარდამჭერები უფრო შორს წავიდნენ და აღიარეს, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები მხოლოდ ნაწილია იმისა, რასაც მოქალაქეები უნდა მოელოდნენ სახელმწიფოსაგან. სოციალურად უზრუნველყოფილი სახელმწიფოს ფორმირება გასულ საუკუნეში დიდად უმადლოდა მოაზროვნეებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მოქალაქეების უფლებები უნდა გავრცელებულიყო ცხოვრების და მუშაობის პირობებზეც და არ უნდა შემოფარგლულიყო მხოლოდ „დიდ პოლიტიკაში“ მონაწილეობით.

მოქალაქეობის კონცეფციის საბოლოო სტანდარტი, რომლის მნიშვნელობაც თანდათანობით იზრდება, მოიცავს განათლების იდეასაც. თუ მოქალაქეობა ტრადიციული გაგებით, მოიცავს უფლებებით სარგებლობას და ასევე მოვალეობების შესრულებას.

მოქალაქეობა მოიცავს უფლება-მოვალეობათა პაკეტს, რომელიც განსაზღვრავს მოქალაქეობის სამ ძირითად კომპონენტს:

- 1.სამოქალაქო კომპონენტი, რომელიც მოიცავს პიროვნული თავისუფლებების უფლებებს;
- 2.პოლიტიკურ კომპონენტს (მაგალითად, პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელებაში მონაწილეობის უფლება და საპარლამენტო სტრუქტურებში კენჭისყრასა და არჩევნებში მონაწილეობის უფლება);
- 3.სოციალურ კომპონენტს, რომელიც დაკავშირებულია ღირსეული ცხოვრების უფლებასთან, და განათლების, სამედიცინო მომსახურების,

⁵⁰ ნადარეიშვილი გ. რომის სამოქალაქო სამართალი. ბონა კაუზა. თბ. 2001 წ. გვ.71

⁵¹ ბრანდერი პ. რუი გ. ელლი კ. სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით. თბ. 2004 წ. გვ.430

საცხოვრებელი პირობებისა და მინიმალური შემოსავლების მიღების თანაბარ უფლებებთან.⁵²

ამრიგად, მოქალაქეობა არის რთული და მრავალგანზომილებიანი, მრავალასპექტიანი რეალობა, რომელიც უნდა განიხილებოდეს ისტორიულ და პოლიტიკურ, ასევე სოციალურ, ზნეობრივ და ფსიქოლოგიურ კონტექსტში.⁵³ არ შეიძლება მოქალაქეობაზე საუბარი იზოლირებულად, რადგანაც ამ იდეას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როდესაც ის კავშირშია საზოგადოების ან პოლიტიკური სისტემის რეალურ მოთხოვნებთან. დემოკრატიული მოქალაქეობა კონკრეტულად ნიშნავს ინდივიდების აქტიურ მონაწილეობას უფლებების და ვალდებულებების სისტემაში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობები არის ერთგვარი სამართლებრივი შეუსაბამობა, რადგან ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობები წარმოიშობა კერძო სამართლებრივი ურთიერთობისას, რაც გულისხმობს, რომ ერთი მხარის უფლება განაპირობებს მეორის მოვალეობას და პირიქით, ანუ როდესაც ერთი მხარე ვალდებულია გარკვეული საქმიანობის სანაცვლოდ მეორე მხარეს გადაუხადოს შესაბამისი ანაზღაურება. მოქალაქეობა კი საჯარო-სამართლებრივი ინსტიტუტია და სწორედ ამიტომ არ წარმოიშობს სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთსანაცვლო უფლებებსა და მოვალეობებს.

ასეთ შემთხვევაში უფლებებისა და მოვალეობების ერთიანობა უფროა, სადაც სახელმწიფოს ბევრად მეტი მოვალეობები, ხოლო მოქალაქეს უფრო მეტი უფლებები ენიჭება, მაგრამ ეს უფლებები და მოვალეობები არანაირად შეიძლება ჩავთვალოთ ურთიერთსანაცვლოდ.

ამდენად, ადამიანის სახელმწიფოსთან კავშირი გამოიხატება ორმხრივ უფლებებში, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებში, რომელიც დაფუძნებული ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა აღიარებასა და ღირსების პატივისცემასთან.

„სახელმწიფოთა პრაქტიკის, საარბიტრაჟო და სასამართლო გადაწყვეტილებებისა და ავტორთა შეხედულებათა თანახმად, მოქალაქეობა არის სამართლებრივი კავშირი რომელსაც საფუძვლად უდევს ერთგულების სოციალური ფაქტი, არსებობის, ინტერესებისა და გრძნობების ჭეშმარიტი კავშირი და ორმხრივი უფლებებისა და მოვალეობების არსებობა.“⁵⁴

⁵² ბრანდერი პ. რუი გ. ელი კ. სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით. თბ. 2004 წ. გვ.432

⁵³ Эвзеев Б. С. Гражданство и права человека: некоторые методологические вопросы. - В кн: Актуальные проблемы гражданства. Москва. 2013 г. с. 21.

⁵⁴ ბრაუნლი ი. საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპები. 2010წ. გვ. 433

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამჟამინდელი დეფინიცია უფრო დახვეწილია, მაგრამ საჭიროა მასში მინიმუმებულ იქნეს სახელმწიფოსა და ფიზიკურ პირს შორის მყარ სამართლებრივ კავშირზე და არა უბრალოდ სამართლებრივ კავშირზე, როგორც თანამედროვე ტექსტშია დაფიქსირებული, რადგან სწორედ სამართლებრივი კავშირის სიმყარე წარმოშობს იმ ურთიერთობას, რაც დამახასიათებელია მოქალაქეობისათვის.

თავი II. მოქალაქეობის არქონის შემთხვევები (აპატრიზმი)

2.1. მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსი

დღესდღეობით ერთ-ერთ უდიდეს პრობლემას მსოფლიოში წარმოადგენს მოქალაქეობის არმქონე პირთა არსებობა. მათი რიცხვი დაახლოებით ათობით მილიონია. ყოველთვიურად ათასობით ბავშვი იბადება აპატრიდად, რადგან მათი მშობლებიც ამ სტატუსის მატარებელი არიან.

პირისათვის აპატრიდის სტატუსის დასადგენად აუცილებელია კვალიფიციური პერსონალი, ვინც იქნება მიუკერძოებელი და შეძლებს ობიექტურად განაცხადისა და თანდართული მტკიცებულებების განხილვას. ამ სტატუსის დადგენაზე პასუხისმგებელი ცენტრალური უწყების არსებობა მნიშვნელოვნად შეამცირებდა ურთიერთსაპირისპირო გადაწყვეტილებების მიღების რისკს. მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენა მოითხოვს სხვადასხვა სახელმწიფოების კანონების, ამ სტატუსთან დაკავშირებული რეგულაციების და შესაბამისი პრაქტიკის შეგროვებასა და ანალიზის გაკეთებას. ამასთან, საჭიროა აქტიური თანამშრომლობა სხვა სახელმწიფოებთან, ვისაც აღნიშნულ სფეროში საკმარისი ცოდნა და გამოცდილება გააჩნია.

აპატრიდი არის პირი, რომელსაც არ გააჩნია არც ერთი ქვეყნის მოქალაქეობა და ეს პრობლემა ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე, მათ დამოკიდებულებაზე ოჯახთან, საზოგადოებასა თუ სახელმწიფოსთან, რადგან, როგორც ვიცით, მხოლოდ მოქალაქეობა აძლევს პიროვნებას როგორც ინდივიდუალიზაციის, ასევე საზოგადოებასთან ინტეგრაციის საშუალებას.

აპატრიზმის გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს სხვადასხვა გარემოებანი. კერძოდ: დისკრიმინაცია, მოქალაქეობის დაკარგვა, სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობა, მოუწესრიგებელი სამოქალაქო რეგისტრაციის პრაქტიკა, სახელმწიფოთა დაშლა და ის სირთულეები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მოქალაქეობის დამამტკიცებელი საბუთების მოპოვებასთან და, რაც ყველაზე მთავარია, ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აპატრიზმის მასობრივი საკითხი დადგა, მაგალითად, 1991 წლის 26 დეკემბერს საბჭოთა კავშირის ოფიციალურად დაშლის შემდეგ, რამაც გამოიწვია მის უზარმაზარ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა მოქალაქეობის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის პრობლემა. შეიქმნა ერთგვარი გამოუვალი მდგომარეობა, როდესაც იურიდიული გაგებით და საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, კავშირში მცხოვრები მილიონობით საბჭოთა მოქალაქე ვეღარ ჩაითვლებოდა საბჭოთა კავშირის ერთიან მოქალაქედ, რადგან აღარ არსებობდა ქვეყანა, რომლის მოქალაქეებიც ისინი იყვნენ.

ამავე დროს, იმ ქვეყნებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყვნენ, არ ჰქონდათ შემუშავებული საკუთარი მოქალაქეობის ინსტიტუტი, რათა ეთნიკური ნიშნით მისი ქვეყნის მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობა განესაზღვრათ.

მიუხედავად იმისა, თუ სად დაიბადა და სად ცხოვრობდა საბჭოთა კავშირის ნებისმიერი რესპუბლიკის მოქალაქე, იგი საბჭოთა კავშირის მოქალაქედ ითვლებოდა.⁵⁵ ამიტომ, არ ჰქონდა მნიშვნელობა ეთნიკური ქართველი, სომეხი, ლიტველი, თუ რუსი რომელ ამ ქვეყანაში იცხოვრებდა მუდმივად ან დროებით - იგი ერთიანი საბჭოთა კავშირის მოქალაქედ ითვლებოდა და არა საქართველოს, სომხეთის, ლიტვის და რუსეთის, სადაც ისინი დაიბადნენ და მათი რეალური წარმოშობის ქვეყნებად ითვლებოდნენ.

რეალურად შეიქმნა მდგომარეობა, როდესაც ეს პირები ვერც საბჭოთა კავშირის მოქალაქეებად ვეღარ ჩაითვლებოდნენ და ვერც საკუთარი ეთნიკური წარმოშობის რესპუბლიკისა, რადგან მოქალაქეობის ინსტიტუტი ადგილებზე შემუშავებული არ იყო მისი საჭიროების არსებობის გამო. ამრიგად, საბჭოთა კავშირის 250 მილიონიანი მოსახლეობა, ფაქტობრივად, ერთ დღეს გახდა მოქალაქეობის არმქონე პირი და, აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად უუფლებონი დარჩნენ პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური თვალთახედვით.

ყველაზე მეტი სიმწვავით ეს პრობლემა საბჭოთა კავშირის ყველაზე დიდ რესპუბლიკაში-რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ რესპუბლიკაში დადგა, რადგან მასში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ეთნიკური წარმომადგენლების უმეტესობა ცხოვრობდა, მუდმივად მუშაობდა, სწავლობდა და ა.შ.

საკითხის მოგვარება რუსეთმა მოქალაქეობის შესახებ კანონის მიღებით სცადა, რომელიც შეიმუშავა 1991 წლის 28 ნოემბერს და სამოქმედოდ

⁵⁵ Чистяков О. И. Конституция СССР 1924 г. Учебное пособие. Москва. ИКД Зерцало-М. 2004г. гл.2. стр.268.

შემოიღო 1992 წლის 6 თებერვალს.⁵⁶ ამ კანონმა ერთის მხრივ, ნაწილობრივ მოაგვარა მოქალაქეობის გარკვევის პრობლემა, ხოლო მეორე მხრივ, წარმოშვა სხვა პრობლემა, კერძოდ, ორმაგი მოქალაქეობისა, რომელიც უფრო მეტად შეეხო იმ რესპუბლიკებს, რომელთაც ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტი კანონით აკრძალეს. აღნიშნულ საკითხი დაწვრილებით განხილულია წარმოდგენილი ნაშრომის ერთ-ერთ თავში, რომელიც ორმაგ მოქალაქეობას ეხება.

მოგვიანებით, კავშირში შემავალი ქვეყნების მიერ მოქალაქეობის ინსტიტუტების შემოღებამ მეტ-ნაკლებად მოაწესრიგა ეს საკითხი, მაგრამ ხშირად ისინი იმდენად დაუხვეწავი იყო, რომ მათი ნორმები და პრინციპები მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგებოდნენ საერთაშორისო სამართლით მოქალაქეობის სფეროში საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

როგორც ვნახეთ, მოქალაქეობის ინსტიტუტის არარსებობას ან მის ცუდ რეგულაციას ზიანი მოაქვს თითქმის მთელს მსოფლიოში, მიუხედავად მათი გამომწვევი მიზეზებისა და წინაპირობებისა.

აპატრიდებს ხშირად უარს ეუბნებიან ელემენტარული უფლებებით სარგებლობაზე. მაგალითად: საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მოპოვება, დასაქმება, განათლება, ჯანდაცვა და ა.შ. ასევე აპატრიზმმა შეიძლება გამოიწვიოს იძულებით გადაადგილება, რამაც თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს ადამიანთა მიგრაციული პროცესების დაწყება, რასაც მოჰყვება ქვეყნებს შორის პოლიტიკური დაძაბულობა, რაც თავისთავად მავნე ზეგავლენას ახდენს ქვეყნების სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების სტაბილურობაზე.

ნებისმიერი მოქალაქე სარგებლობს იმ უფლება-მოვალეობათა ფართო პაკეტით, რასაც მათ სახელმწიფო ანიჭებს, კერძოდ, უფასო სამედიცინო დახმარება, შეღავათიანი სწავლის უფლება, თანამდებობების დაკავების უფლება და ა.შ. განსხვავებით მოქალაქეობის არმქონე პირებისაგან, რომელთაც, ფაქტობრივად, ამ სიკეთეებით სარგებლობის უფლება და პრივილეგიები არ გააჩნიათ.

მსოფლიო მასშტაბით, არ არსებობს ქვეყანა, რომელსაც აპატრიზმის პრობლემა არ აქვს. დაუზუსტებელია აპატრიდთა რაოდენობაც, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ყველა სახელმწიფო ერიდება ზუსტი მონაცემების გახმაურებას, რადგან ეს ანომალია სუვერენულ სახელმწიფოთა დიდ ნაკლოვანებად მიიჩნევა. ზოგმა ქვეყანამ გააცნობიერა ამ ანომალური მოვლენის უარყოფითი მხარეები და გადადგა ნაბიჯები პრობლემის გადასაწყვეტად.

⁵⁶ Закон о гражданстве Российской Федерации. Москва. Меридиан. 1991 г. <https://www.zakonrf.info/doc-13233685/>

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოები აქტიურად თანამშრომლობენ გაეროს ლტოლვილთა სააგენტოსთან (UNHCR), აპატრიდთა რაოდენობის დადგენა საკმაოდ რთულ პროცედურებთან არის დაკავშირებული და მსოფლიოში მილიონობით ადამიანი ცხოვრობს მოქალაქეობის უფლების გარეშე.

მე-20 საუკუნის დასწყისში აპატრიზმი პირველად იქნა გლობალურ პრობლემად აღიარებული. აპატრიზმის წარმოშობა დაკავშირებულია სახელმწიფოთა ეროვნულ კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებთან, სახელმწიფოების დაშლასთან, სახელმწიფოში მცხოვრები პირების ან პირთა ჯგუფებისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევასთან დისკრიმინაციული საფუძვლით.

„ჩვეულებრივ, მოქალაქეობის არქონა ასოცირდება საერთაშორისო ურთიერთობებში ძირეული ცვლილებების პერიოდებთან. საერთაშორისო საზღვრების ხელახალი გადანაწილება, სახელმწიფო ლიდერების მიერ პოლიტიკური სისტემით მანიპულირება სადავო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ან/და მოქალაქეობის მინიჭებაზე უარი ან მოქალაქეობის ჩამორთმევა რასობრივი, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების გამორიცხვისა და იზოლირების მიზნით - მოქალაქეობის არქონის მიზეზი აღმოჩნდა მსოფლიოს ყველა ნაწილში.⁵⁷

უკანასკნელი 20 წლის მანძილზე, განსაკუთრებით შეინიშნება იმ ადამიანთა რიცხვის ზრდა, რომელთაც ჩამოერთვათ მოქალაქეობა ან ვერ შეძლეს მოქალაქეობის მიღება. სახელმწიფოებს აქვთ შესაძლებლობები დაადგინონ თუ ვინ არიან მათი მოქალაქეები, განსაზღვრონ ის პირობები, რის საფუძველზეც ხდება მოქალაქეობის მიღება, დაკარგვა, შენარჩუნება და აღდგენა.

იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფოები აქტიურად არიან ჩაბმულნი აპატრიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მსოფლიოში მილიონობით ადამიანი მაინც რჩება მოქალაქის სტატუსის გარეშე.

გაეროში არსებობს სპეციალური სააგენტო, რომელიც აქტიურად ებრძვის მოქალაქეობის არმქონე პირთა რიცხვის შემცირებას და ცდილობს დაეხმაროს მათ მოქალაქეობის მოპოვებაში.

როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, მოქალაქეობა საკმაოდ დელიკატური საკითხია, რომელიც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის სუვერენიტეტსა და მის თვითმყოფადობასთან; მაგრამ მაინც ჩნდება კითხვა - რატომ რჩებიან ადამიანები მოქალაქეობის არმქონე პირებად?

⁵⁷ავტორთა კოლექტივი. მოქალაქეობა და მოქალაქეობის არქონა. სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის N22. ჟენევა. 2014. გვ.25

ადმინისტრაციული პროცედურა ითვალისწინებს დისკრეციას მოქალაქეობის მინიჭებისას. პირები, რომელთაც სურთ მოქალაქეობის მიღება, არ ჩაითვლებიან მოქალაქეებად, ვიდრე არ დასრულდება კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურული საკითხები და არ მიენიჭებათ კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეობა. ადამიანები, რომლებსაც კანონი აძლევს უფლებას მოქალაქეობის მისაღებად შეიტანონ განაცხადი, მაგრამ რაღაც მიზეზთა გამო უარი ეთქვათ განაცხადის დაკმაყოფილებაზე, მოცემულ სახელმწიფოში მოქმედი კანონის თანახმად, ვერ იქნებიან აღიარებული ამ სახელმწიფოს მოქალაქეებად.

1954 წლის ჟენევის კონვენცია შეიცავს აპატრიდის საერთაშორისოდ აღიარებულ დეფინიციას: „პირი, რომელსაც არც ერთი სახელმწიფო არ მიიჩნევს თავის მოქალაქედ, კანონის მოქმედების შესაბამისად“. ⁵⁸

ეს კონვენცია ხელს უწყობს მათ სამართლებრივ იდენტიფიცირებას და უზრუნველყოფს, რომ მოქალაქეობის არმქონე პირები დისკრიმინაციის გარეშე სარგებლობდნენ ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ პირებისათვის მინიჭებული თუნდაც „ფართო უფლებები“ ვერანაირად გაუთანაბრდება მოქალაქეობას.

არსებობენ ქვეყანათა მხოლოდ მცირე რაოდენობა, რომელთაც ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი აქვს მოქალაქეობის არქონის დადგენის პროცედურები. აპატრიზმი, თავისი სამართლებრივი შინაარსით, არის იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი, შესაბამისად „...მოქალაქეობის არქონის აღიარება მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოქალაქეობის არმქონე პირის უფლებების პატივისცემის კუთხით, განსაკუთრებით, დაცული სამართლებრივი სტატუსის ხელმისაწვდომობის გზითა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის 1954 წლის კონვენციით მინიჭებული უფლებების სარგებლობით“.⁵⁹

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ზოგადად, მოქალაქეობის არქონის დადგენის შემუშავების წესები თითოეული ქვეყნის ინტერესებში უნდა შედიოდეს, რადგან იქ, სადაც აპატრიზმი შერეული მიგრაციის პროცესს უკავშირდება, მოქალაქეობის არქონის დადგენის პროცედურები მთავრობებს ეხმარება მოახდინონ მოქალაქეობის არმქონე მოსახლეობის რაოდენობის დადგენა და შეიმუშავონ მათი დახმარების განსაზღვრული ფორმები.

⁵⁸ Convention relating to the status of stateless persons. 1954 Convention. Article 1. <http://www.unhcr.org/protection/statelessness/3bbb25729/convention-relating-status-stateless-persons.html>

⁵⁹ ავტორთა კოლექტივი. სახელმძღვანელო მოქალაქეობის არმქონე პირთა დაცვის შესახებ. მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ 1954 წლის კონვენციის შესაბამისად. გაეროს ლტოლვილთა საკითხების უმაღლესი კომისრის ოფისი. ჟენევა. 2014 წ. გვ.5.

ზოგადად, და არსებული რეალობიდან გამომდინარე, „საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრდა წესი, რომლის თანახმადაც, მოქალაქეობის არმქონე პირთა მფარველად ითვლება ის სახელმწიფო, სადაც ისინი მუდმივად ცხოვრობენ.“⁶⁰

1954 წლის კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირებს ეხმარება მნიშვნელოვანი ძირითადი უფლებების მინიჭებაში. „1954 წლის კონვენციის წევრი სახელმწიფოები მინიმალურ უფლება-მოვალეობებს ადგენენ მოქალაქეობის არმქონე პირთათვის. წევრ სახელმწიფოებში მოქალაქეობის არმქონე პირთათვის მინიჭებული სტატუსი, რაც გულისხმობს მათთვის ეროვნული კანონმდებლობით მინიჭებულ უფლება-მოვალეობებს, უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს.“⁶¹

საქართველოში აპატრიდის სტატუსის დადგენა ხორციელდება საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებით, რომლის მიხედვითაც სტატუსი ენიჭება პირს, რომელსაც არ უდგინდება საქართველოს მოქალაქეობა და არც ერთი სახელმწიფო არ მიიჩნევს მას თავის მოქალაქედ საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად. სტატუსის დადგენის მოთხოვნის უფლება აქვს საქართველოში მყოფ ნებისმიერ პირს, საქართველოში მისი ყოფნის კანონიერების მიუხედავად, რომლის მიმართ არ არის გამოტანილი საქართველოდან მისი გაძევების თაობაზე გადაწყვეტილება.⁶²

აღნიშნული დადგენილების მე-7 მუხლში ჩამოყალიბებულია სტატუსის მაძიებლის სამართლებრივი გარანტიები, უფლებები და მოვალეობები, კერძოდ, პირველ რიგში, იგი სარგებლობს თარჯიმნის უფასო მომსახურებით სააგენტოს მხრიდან, ასევე, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი დახმარებით.

მოქალაქეობის არმქონე პირის და უცხოელის სამართლებრივი მდგომარეობა რეგულირდება საქართველოს კანონით „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, რომლის მიხედვითაც „საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი სარგებლობს ამ კანონის მე-6 თავით დადგენილი უფლებებით და აკისრია იმავე თავით დადგენილი მოვალეობები“⁶³

⁶⁰ ავტორთა კოლექტივი. კონსტიტუცია და ქართული სამართლის პრობლემები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ. 2002წ. გვ.195.

⁶¹ ავტორთა კოლექტივი. სახელმძღვანელო მოქალაქეობის არმქონე პირთა დაცვის შესახებ. მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ 1954 წლის კონვენციის შესაბამისად. ქენევა. 2014 წ. გვ.6.

⁶² საქართველოს მთავრობის დადგენილება N523, 2014 წლის 1 სექტემბერი. საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის წესის დამტკიცების შესახებ. თბ. Matsne. Gov.ge.

⁶³ საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. მუხ.24. Matsne. Gov.ge.

აღნიშნულ თავში დაწვრილებით არის ჩამოყალიბებული ყველა ის უფლებები და მოვალეობები, რითაც სარგებლობენ აპატრიდები საქართველოში.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად აპატრიდთა არასასურველი სტატუსისა, ისინი მაინც ითვლებიან სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად და სარგებლობენ გარკვეული უფლებებით და მოვალეობებით. ამ მოვლენის აღმოფხვრისათვის საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა მეთოდების დანერგვა, რაზეც დაწვრილებით შემდეგ თავშია საუბარი.

2.2. მოქალაქეობის არქონის შემთხვევის თავიდან აცილების საშუალებები

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, სრულიად სამართლიანად შეიძლება დავსვათ კითხვა: რა მექანიზმები შეიძლება ავამოქმედოთ და რა წესები შეიძლება დავნერგოთ ამ ანომალიის თავიდან ასაცილებლად? მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოების დამოკიდებულება მოქალაქეობის დაკარგვასთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარია, მაინც ვერ ახერხებენ ამ პრობლემის თავიდან აცილებას.

ერთ-ერთი უნივერსალური დოკუმენტი, რომელიც ნათლად ასახავს და გვთავაზობს აპატრიზმის თავიდან აცილების საკმაოდ მოქნილ და ეფექტურ საშუალებებს, არის „1961 წლის კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ“, რომელიც მიღებულ იქნა 1961 წლის 30 აგვისტოს, გაეროს გენერალური ასამბლეის # 217 A რეზოლუციით.

კონვენციის ძირითადი მიზანია მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირება მსოფლიოს მასშტაბით, რაც დაფუძნებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მეთხუთმეტე მუხლზე, სადაც ნათქვამია, რომ „ნებისმიერ ადამიანს გააჩნია მოქალაქეობის უფლება“.⁶⁴ ამ დებულებით საერთაშორისო საზოგადოებამ აღიარა, რომ ნებისმიერი ადამიანი ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქე უნდა იყოს. მიუხედავად საერთაშორისო ვალდებულებებისა, მოქალაქეობის არ მქონე პირები მაინც არსებობენ. ამ პრობლემის გადაჭრა 21-ე საუკუნის პრობლემას წარმოადგენს.

ყველა სახელმწიფო ვალდებულია გაითვალისწინოს ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო შედეგები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც კანონის განხორციელება შეიძლება გახდეს აპატრიზმის მიზეზი. „ხელშემკვრელი სახელმწიფო მიანიჭებს მოქალაქეობას პირს, რომელიც, სხვა შემთხვევაში, მოქალაქეობის არმქონე

⁶⁴ <http://www.un.org/en/universal-declaration-human-rights/>

იქნება და არ შეუძლია იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღება, რომლის ტერიტორიაზეც დაიბადა.⁶⁵

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ქვეყანა, რომელიც არაა მიერთებული 1961 წლის კონვენციას, ან არ გააჩნია სრულფასოვანი შიდა კანონმდებლობა, მოქალაქეობის არ მქონე პირთა შემცირებას ახერხებს სხვა საერთაშორისო დეკლარაციების ან ქარტიების მეშვეობით, როგორცაა, მაგალითად „ბავშვის უფლებების და კეთილდღეობის აფრიკული ქარტია“, „ადამიანის უფლებების ამერიკული კონვენცია“ და ა.შ. აქედან გამომდინარე, ბევრი ქვეყანა აღარ უერთდება 1961 წლის კონვენციას, რადგან ის ვალდებულებები რაც განსაზღვრულია ამ კონვენციით, მსგავსია ზემოთ ნახსენები ქარტიის თუ კონვენციის. ამ კონვენციების და ქარტიების თანახმად, მსოფლიოს 100 ქვეყანას აქვს აღებული ვალდებულება, რომ მის ტერიტორიაზე დაბადებულ ბავშვს მისცეს მოქალაქეობა, თუ ამის გარეშე ბავშვი მოქალაქეობის არ მქონე პირი გახდება.⁶⁶

ასევე, კონვენციის თანახმად, ნებისმიერ პირს უნდა მიენიჭოს მოქალაქეობა, თუ ამის გარეშე ის მოქალაქეობის არ მქონე პირი გახდება. თუმცა, ზოგიერთმა ქვეყანამ, კონვენციაზე მიერთება განახორციელა საკუთარ დათქმასთან ერთად. მაგალითად, საქართველომ გამოიყენა კონვენციის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად მინიჭებული უფლება. ეს უფლება გამოიყენა ასევე ავსტრიამ, ბრაზილიამ, საფრანგეთმა, ირლანდიამ, იამაიკამ, ლიტვამ, ახალმა ზელანდიამ, ტუნისმა, გაერთიანებულმა სამეფომ.⁶⁷

აღნიშნული კონვენციის რატიფიცირება საქართველოს პარლამენტმა მოახდინა 2014 წლის 2 აპრილს.⁶⁸

კონვენცია მოიცავს კონკრეტულ და დეტალურ აღწერას, თუ როგორ უნდა მოახდინონ კონვენციაზე მიერთებულმა სახელმწიფოებმა მოქალაქეობის არმქონეთა რიცხვის შემცირება. კონვენციის 1-4 მუხლებში ჩამოთვლილია

⁶⁵ Convention on the Reduction of Statelessness. 1961. Article 1, paragraph 1. http://www.unhcr.org/ibelong/wp-content/uploads/1961-Convention-on-the-reduction-of-Statelessness_ENG.pdf

⁶⁶ კონვენციის რატიფიცირებისათვის გაეროს 1961 წლის 30 აგვისტოს მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ (07-2/171, 18.02.14). თბ. საინფორმაციო ფურცელი, გვ. 1.

⁶⁷ „ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია შეინარჩუნოს მოქალაქეობის ჩამორთმევის უფლება, თუ მოქმედი კანონმდებლობით ეს გათვალისწინებულია და ხელმოწერის, რატიფიკაციის ან მიერთებისას იგი მიუთითებს ასეთი უფლების შენარჩუნების შესახებ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ ან მეტ საფუძველზე: (ა) ლოიალურობის ვალდებულების საწინააღმდეგოდ: (I) პირი, ხელშემკვრელი სახელმწიფოს აშკარა აკრძალვის მიუხედავად, სამსახურს უწევდა ან უწევს, ან შემოსავალს იღებდა ან იღებს სხვა სახელმწიფოსგან, ან (II) პირმა თავის ქმედებით სერიოზული საფრთხე შეუქმნა ამ სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს; (ბ) თუ პირმა დადო ფიცი სხვა ქვეყნის მიმართ ლოიალურობის შესახებ, ან გააკეთა ფორმალური განცხადება, ან წარადგინა მნიშვნელოვანი მტკიცებულება, რომ განზრახული აქვს ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიმართ ლოიალურობაზე უარის თქმა.“

⁶⁸ საქართველოს პარლამენტის დადგენილება. ქუთაისი. 2 აპრილი 2014 წ. N2176-III.

ის ზომები, რომლის მეშვეობით მოქალაქეობის არქონა აცილებული იქნება ბავშვთა შორის.

კონვენციის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია მოქალაქეობა მიანიჭოს თავის ტერიტორიაზე ნაპოვნ უპატრონო ბავშვს, რომლის მშობლები უცნობია. გარდა ამისა, კონვენცია არ ავალდებულებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მათ ტერიტორიაზე დაბადებული ბავშვებისთვის „მიწის პრინციპით“ ან „სისხლის პრინციპით“ მოქალაქეობის მინიჭებას. კონვენციის თანახმად, ბავშვს შეიძლება მიენიჭოს მოქალაქეობა როგორც დაბადების ადგილის მიხედვით, ასევე წარმოშობის მიხედვით; 5-7 მუხლებით კონვენცია სახელმწიფოს ავალდებულებს არ შეუწყვიტოს პირს მოქალაქეობა, თუ მისი მეუღლის მოქალაქეობიდან გასვლისას მას ავტომატურად ემუქრება მოქალაქეობის დაკარგვა, სანამ არ მოხდება პირის მიერ სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღება; 8-9 მუხლები ეხება მოქალაქეობის ჩამორთმევას. სახელმწიფოებს უფლება არ აქვთ ჩამოართვან პირს მოქალაქეობა მისი ეთნიკურ, რასობრივ, რელიგიური ან პოლიტიკურ საფუძველზე. ასევე არ შეიძლება მოქალაქეობის ჩამორთმევა, თუ პირი ამის შედეგად მოქალაქეობის არმქონე გახდება. ასევე პრევენციის მე-10 მუხლი, სადაც საუბარია იმაზე, რომ ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყნისთვის ტერიტორიის გადაცემის შესახებ ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს დებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ არც ერთი პირი არ გახდება მოქალაქეობის არმქონე ტერიტორიის გადაცემის შემდეგ.

ამ პრინციპებს ეყრდნობა აგრეთვე გაეროც და აღნიშნავს, რომ „მოქალაქეობის ჩამორთმევა რასის, კანის ფერის, წარმოშობის ან ეროვნული, თუ ეთნიკური წარმოშობის ნიადაგზე, ეს არის სახელმწიფოს ვალდებულების დარღვევა უზრუნველყოფს მოქალაქეობის უფლებით დისკრიმინაციის გარეშე სარგებლობა.“⁶⁹

რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, და მათ შორის გვინდა გამოვყოთ ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც მაქსიმალურად ცდილობენ აღნიშნული საკითხის შიდასაკანონმდებლო რეგულაციას.

„ამერიკის 1969 წლის ადამიანის უფლებათა კონვენცია“ ეხება არა მხოლოდ მოქალაქეობის უფლებებს, არამედ ისეთი მნიშვნელოვან მექანიზმსაც, რომელიც იცავს ბავშვებს აპატრიზმის ანომალური მოვლენისაგან. კერძოდ: „ყველა ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება. ყველა ადამიანს აქვს იმ ქვეყნის მოქალაქეობის მიღების უფლება, რომლის ტერიტორიაზეც ის დაიბადა. თუ მას გააჩნია სხვა ქვეყნის მოქალაქეობის უფლება, არავის

⁶⁹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რასობრივი დისკრიმინაციის კომიტეტის 2004 წლის 1 ოქტომბრის რეკომენდაცია არამოქალაქეობის დისკრიმინაციის წინააღმდეგ. matsne.gov.ge.

უნდა ჩამოერთვას უსაფუძვლოდ მოქალაქეობის ან მისი შეცვლის უფლება“.⁷⁰

აღნიშნული კონვენცია შეიცავს აგრეთვე მრავალ ისეთ დებულებას, რომელთა მიზანიც მოქალაქეობის არქონის ფაქტის წარმოშობის აღმოფხვრას მოიაზრებს.

1997 წლის ევროპული კონვენცია მოქალაქეობის შესახებ, მოქალაქეობის არმქონე პირთა განმარტებისათვის იყენებს 1954 წლის კონვენციას. ბოლო ათწლეულების კვლევების შედეგად დადგინდა, რომ სახელმწიფოთა საზღვრების შეცვლამ გამოიწვია ის, რომ უამრავი ადამიანი მოქალაქეობის დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად განსაზღვრულ დოკუმენტებში მოცემულია ტერიტორიის ან სუვერენიტეტის გადაცემის წესები, ეს მოვლენები, რა თქმა უნდა, არ უნდა იწვევდეს მოქალაქეობის არქონას. ამის სილუსტრაციოდ გამოგვადგება ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის მაგალითი, რომელმაც უამრავი ადამიანი დატოვა მოქალაქეობის გარეშე.

რუსეთის ფედერაციის 1991 წლის მოქალაქეობის შესახებ ფედერალური კანონით განსაზღვრული წესებით დადგინდა ვადები, რომლის ფარგლებშიც რუსეთის ფედერაციაში მყოფ პირებს შეეძლოთ რუსეთის მოქალაქეობის მიღება.⁷¹

აპატრიზმის შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეებისათვის მოქალაქეობის მოპოვებისათვის ქვეყანაში ცხოვრების ვადების ცენზი განსაზღვრულია საქართველოს კანონითაც მოქალაქეობის შესახებ, რომლის საშუალებითაც განისაზღვრნენ პირები, რომლებიც მიიღებდნენ საქართველოს მოქალაქეობას გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ.

მიუხედავად მსოფლიო ცივილიზებული ქვეყნების მცდელობისა თავიდან აიცილონ აპატრიზმის შემთხვევები და არ იშურებენ საამისო ძალისხმევას შიდა საკანონმდებლო სივრცის დახვეწის გზით, არიან ქვეყნები, რომლებიც არ იზიარებენ მსოფლიოს სწრაფვას ამ საკითხის მოგვარების კუთხით. ამ მხრივ ყველაზე მეტად გამოირჩევიან ქვეყნები, რომლებიც ხასიათდებოდნენ და ახლაც ხასიათდებიან მმართველობის დიქტატორული ინსტიტუტით.

მაგალითად, 1980 წელს, სადამ ჰუსეინის მიერ გაცემული ბრძანებით, ერაყის პროვინციებში მცხოვრებ ქურთებს ჩამოერთვათ ერაყის

⁷⁰ American Convention On Human Rights. (Adopted at the Inter-American Specialized Conference on Human Rights. San José. Costa Rica. 22 November 1969). <https://www.cidh.oas.org/basicos/english/basic3.american%20convention.htm>

⁷¹ Закон о гражданстве Российской Федерации. 28 ноября 1991 г. ст.1 http://www.democracy.ru/library/laws/federal/1948-I_fz/index.html

მოქალაქეობა და მოახდინეს მათი დეპორტაცია ირანში. ერაყის 2005 წლის კონსტიტუციამ და 2006 წლის კანონმა მოქალაქეობის შესახებ გააუქმა ბრძანება ქურთების დენაციონალიზაციის შესახებ და მიიღო დადგენილება, რომლითაც ყველა მოქალაქეობაჩამორთმეულ ქურთს აღუდგინეს ერაყის მოქალაქეობა.⁷²

აპატრიზმის წარმოქმნის და მათი თავიდან აცილების მიზნით, ევროსაბჭომ მიიღო სამართალმემკვიდრე სახელმწიფოთა წარმოქმნის შედეგად აპატრიზმის თავიდან აცილების შესახებ 2006 წლის კონვენცია, რომელიც ეხება ახალი სახელმწიფოების წარმოქმნის პირობებში მოქალაქეობასთან დაკავშირებულ კონკრეტულ წესებს. კერძოდ, ამ კონვენციის 22-ე მუხლი ამხვილებს ყურადღებას მოქალაქეობის არქონის თავიდან აცილებაზე დაბადებისას და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის მოქალაქეობის მიღების პროცესებში დახმარებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ქვეყანა, რომელიც არაა მიერთებული 1961 წლის კონვენციას, ან არ გააჩნია სრულფასოვანი შიდა კანონმდებლობა, მოქალაქეობის არ მქონე პირთა შემცირებას ახერხებს სხვა საერთაშორისო დეკლარაციების ან ქარტიების მეშვეობით, როგორცაა, მაგალითად „ბავშვის უფლებების და კეთილდღეობის აფრიკული ქარტია“, „ადამიანის უფლებების ამერიკული კონვენცია“ და ა.შ. აქედან გამომდინარე, ბევრი ქვეყანა აღარ უერთდება 1961 წლის კონვენციას, რადგან ის ვალდებულებები რაც განსაზღვრულია ამ კონვენციით, მსგავსია ზემოთ ნახსენები ქარტიის თუ კონვენციის. ამ კონვენციების და ქარტიების თანახმად, მსოფლიოს 100 ქვეყანას აქვს აღებული ვალდებულება, რომ ტერიტორიაზე დაბადებულ ბავშვს მისცეს მოქალაქეობა, თუ ამის გარეშე ბავშვი მოქალაქეობის არ მქონე პირი გახდება.

მოქალაქეობის არქონა ადამიანებს ბევრ პრობლემას უქმნის. მათ არ შეუძლიათ ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაადგილება და ამავე დროს არ შეუძლიათ დიდი ხნით ერთ სახელმწიფოში დარჩენა, რადგან კანონგარეშე ხდებიან; მათ არ აქვთ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება, რადგან არ გააჩნიათ ხმის მიცემის უფლება; ასევე პრობლემები ექმნებათ განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში. ამ პრობლემას ყველაზე აქტიურად აგვარებს 1961 წლის კონვენცია. კონვენციას მიერთებულია 59 ქვეყანა: ალბანეთი, ავსტრალია, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბენინი, ბოლივია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბრაზილია, ბულგარეთი, კანადა, ჩადი, კოსტა-რიკა, კოტდიუარი, ხორვატია, ჩეხეთი, დანია, ეკვადორი, ფინეთი, გერმანია, გვატემალა, საფრანგეთი, სომხეთი, ჰონდურასი, უნგრეთი, ირლანდია, ისრაელი, იამაიკა, დომინიკის რესპუბლიკა, კირიბატი, ლატვია, ლესოტო, ლიბერია, ლიბია, ლიხტენშტეინი, ლიტვა, მონტენეგრო, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ნიკარაგუა, ნიგერი, ნიგერია, ნორვეგია, პანამა, პარაგვაი,

⁷² ავტორთა კოლექტივი. მოქალაქეობა და მოქალაქეობის არქონა. სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის. ქენევა. 2014 წ. გვ.31

პორტუგალია, მოლდოვა, რუმინეთი, რუანდა, სენეგალი, სერბეთი, სლოვაკეთი, სვაზილენდი, შვედეთი, ტუნისი, თურქმენეთი, უკრაინა, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, ურუგვაი.⁷³

მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის გამოკვლევის მიზნით, სახელმწიფოთა კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა მოიძიონ ყველა შესაძლო ინფორმაცია პირის მოქალაქეობის იდენტიფიკაციისთვის და მიმართონ შესაბამის სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებსაც კი აღნიშნული ინფორმაციის მოპოვების მიზნით. საჭიროების შემთხვევაში, სტატუსის დადგენით დაკავებულმა ორგანომ უნდა გაიაროს კონსულტაცია ამ სახელმწიფოებთან და მოითხოვოს მტკიცებულებანი.⁷⁴

დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ პირის აპატრიდობას და მას წარმოადგენს შესაბამისი სახელმწიფოს ხელისუფლება, რომ აღნიშნული პირი არ არის მისი მოქალაქე - ყველაზე სანდო მტკიცებულებად ითვლება. მსგავსი დოკუმენტი ყოველთვის არ არის ხელმისაწვდომი, რადგან ზოგიერთი სახელმწიფო თავს ვალდებულად არ თვლის გააკეთოს აღრიცხვა და შესაბამისი დასკვნის საფუძველზე გასცეს ასეთი საბუთი ან უბრალოდ უარს აცხადებს მოქალაქეობის არქონის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემაზე და მსგავს მოთხოვნას უპასუხოდ ტოვებს. ზოგიერთი სახელმწიფო ორგანო კი თვლის, რომ არ არის პასუხისმგებელი გააკეთოს იმ პირთა აღრიცხვა, ვის არ აქვს მასთან სამართლებრივი კავშირი.

როგორ დგინდება პირის აპატრიდობა? როგორც ვიცით, მსოფლიოში თითქმის არ არსებობს სახელმწიფო, რომელსაც ამ სტატუსის მქონე პირები არ ჰყავდეს. თითოეულ მათგანს ინდივიდუალურად აქვს შემუშავებული აპატრიდთა დადგენის სპეციალური პროცედურა და ეს პროცედურები ერთმანეთისაგან განსხვავდება.

აპატრიზმის დადგენის პროცედურები ზოგადად ეხმარება სახელმწიფოებს

მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ კონვენციით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კონვენცია განსაზღვრავს მოქალაქეობის არმქონე პირების მდგომარეობას, ის არ იძლევა მოქალაქეობის იდენტიფიცირების პროცედურას. ამ კონვენციაში ნათქვამია, რომ სახელმწიფო მიანიჭებს მოქალაქეობას პირს, რომელიც სხვა შემთხვევაში მოქალაქეობის არმქონე

⁷³ <https://treaties.un.org>

⁷⁴ მოქალაქეობა და მოქალაქეობის არქონა. სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის. N22. ქენევა. 2014წ. გვ.18

იქნება და არ შეუძლია იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღება, რომლის ტერიტორიაზეც დაიბადა.⁷⁵

მიუხედავად აპატრიდთა სიმრავლისა, ზოგიერთ ქვეყანას არ გააჩნია ერთნაირი მიდგომა მოქალაქეობის არქონის მდგომარეობის დადგენისადმი. ამ საკითხის გადაწყვეტა ევალება შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს, რომლებიც ადგენენ პირის მოქალაქეობის არქონას.

საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენა ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის #523 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის წესის“ საფუძველზე, რომელიც პირდაპირ პასუხობს აპატრიდთა რიცხვის შემცირების თაობაზე 1961 წლის კონვენციით განსაზღვრულ მოთხოვნებს. აღნიშნულ სამთავრობო აქტში გაწერილია პროცედურები, რომლის საშუალებითაც უნდა დადგინდეს პირის მოქალაქეობის საკითხი.

„აპატრიდის სტატუსის მაძიებლის ნამდვილი მონაცემების დადგენის მიზნით, სააგენტო სხვა ქვეყნისა და/ან საქართველოს უფლებამოსილი ორგანოდან გამოითხოვს სტატუსის მაძიებლის სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მონაცემებს ან/და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის შესახებ ჩანაწერს/ინფორმაციას. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო ვერ მოიპოვებს აღნიშნულ მონაცემებს/ჩანაწერს/ინფორმაციას, პირის ვინაობა, შესაძლოა, დადასტურდეს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, სამედიცინო ან საგანმანათლებლო (სააღმზრდელო) დაწესებულებების უფლებამოსილი პირის ან საერთაშორისო ან არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი ინფორმაციით, ასევე, 2 სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირის მიერ წარდგენილი, სანოტარო წესით დამოწმებული, წერილობითი ინფორმაციის საფუძველზე.“

სტატუსის მაძიებლის ვინაობის დადგენის მიზნით, სააგენტო უფლებამოსილია, სტატუსის მაძიებელი მიიწვიოს გასაუბრებაზე. გასაუბრებაზე მიწვეულ პირს გასაუბრების თარიღის თაობაზე უნდა ეცნობოს გასაუბრებამდე არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე.“⁷⁶

თუ მოქალაქეობის არქონის საკითხი თავს იჩენს ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურის დროს, ასეთ შემთხვევაში აპატრიდი პირები

⁷⁵ კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ. მიღებულია გაეროს მიერ 1961 წლის 30 აგვისტოს სახელმწიფოთა სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენციაზე. მ.1(4)

⁷⁶ საქართველოს მთავრობის დადგენილება #523, 2014 წლის 1 სექტემბერი. საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის წესის დამტკიცების შესახებ. მუხ. 6. Matsne.gov.ge

შესაძლებელია მოხვდნენ ჰუმანიტარული და სხვა დამატებითი დაცვითი პროცედურების ჩარჩოში.

აპატრიდთა რიცხვის შემცირების თაობაზე 1961 წლის კონვენციაში ძირითად დებულებად ჩამოყალიბდა, რომ მოქალაქეობა უნდა მიენიჭოს ყველას, ვისაც აქვს ეფექტური და მყარი კავშირი სახელმწიფოსთან დაბადებით ან წარმოშობით, ასევე მოქალაქეობა უნდა მიენიჭოს აპატრიდს გარკვეული ასაკის მიღწევისას, თუ ის მუდმივად ცხოვრობდა მოცემულ სახელმწიფოში. ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაბადებული, მიტოვებული ან ნაპოვნი ბავშვისთვის უპრობლემოდ მოქალაქეობის მინიჭება, ჩვენი აზრით, საკმაოდ მოქნილი დებულებაა, რაც მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობის შემცირების გარანტიას იძლევა. ყოველმა სახელმწიფომ ინდივიდუალურად უნდა შეიმუშავოს მოქალაქეობის არმქონე პირთათვის მოქალაქეობის მინიჭების მარტივი პროცედურები. მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე განაცხადის დაკმაყოფილება, რაც შეიძლება ნაკლები ადმინისტრაციული გაჭიანურების, ყოველგვარი ბარიერების და ზედმეტი ხარჯების გარეშე უნდა ხდებოდეს.

პირი, რომელიც ნებაყოფლობით უარს ამბობს თავის მოქალაქეობაზე, სხვა მოქალაქეობის მიღებამდე არის აპატრიდი. მათი სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ განმარტებას იძლევა 1961 წლის კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ. აღნიშნული კონვენცია მოუწოდებს სახელმწიფოებს გაეროს ეგიდით ისეთი ორგანოს დაარსებისაკენ, რომელსაც თხოვნით მიმართავენ ასეთი ადამიანები, რომლებიც არიან დე ფაქტო მოქალაქეები და აღმოუჩინენ დახმარებას მოქალაქეობის გამარტივებული წესით მიღების პროცედურაში.

იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული აპატრიზმი, ეროვნული კანონმდებლობით ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არც ერთ მოქალაქეს არ შეეძლოს მოქალაქეობაზე უარის თქმა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მინიჭებაზე ოფიციალური განაცხადის მიღებამდე.

ზოგიერთმა ქვეყანამ დანერგა საკმაოდ გამარტივებული მიდგომა აპატრიზმის თავიდან ასაცილებლად, რაც გულისხმობს მოქალაქეობის ხელახლა მინიჭებას იმ შემთხვევაში, თუ პირი კარგავს ან არ/ვერ იღებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას.

გაეროს ლტოლვილთა სააგენტომ შეიმუშავა გლობალური სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც, ათ წელიწადში უნდა დასრულდეს მოქალაქეობის არქონის შემთხვევები.⁷⁷ „ბავშვთა შორის მოქალაქეობის არქონის თავიდან აცილების და ასეთ შემთხვევათა შემცირების ვალდებულებები მოცემულია საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ და

⁷⁷ მოქალაქეობის არქონის დასრულების გლობალური სამოქმედო გეგმა.გამოც. გაეროს ეგიდით. ჟენევა. 2014წ.გვ.2.

ბავშვის უფლებათა კონვენციაში - ორივე მათგანი აღიარებს, რომ „ყოველ ბავშვს აქვს მოქალაქეობის მიღების უფლება.“⁷⁸

გლობალური სამოქმედო გეგმა მოიცავს ყველაზე ეფექტურ საშუალებათა ნუსხას და ისინი უნდა განხორციელდეს არა დამოუკიდებლად, არამედ სხვა მოქმედებებთან ერთად. ამ გეგმის პირველი და ყველაზე მთავარი პირობაა, ბავშვის მოქალაქეობის გარეშე დაბადების დაუშვებლობის უზრუნველყოფა, ასევე მოქალაქეობის არქონის ძირითად სიტუაციათა დროული და მართებული გადაჭრა, მოქალაქეობის შესახებ კანონებიდან გენდერული დისკრიმინაციის შემცველი დებულებების ამოღება, დისკრიმინაციული საფუძვლით მოქალაქეობის მინიჭებაზე უარის თქმა, დაკარგვა ან ჩამორთმევა, ბავშვის დაბადებისთანავე დაბადების რეგისტრაციის უზრუნველყოფა, რითაც თავიდან იქნება აცილებული აპატრიზმი და ბოლოს, გამარტივებული წესით მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემა იმ პირებზე, ვინც ამის უფლება მოიპოვა.

აღნიშნული სამოქმედო გეგმა ძირითადად მოითხოვს მოქალაქეობის არქონის პრობლემების ეფექტურად გადაჭრას. ეს გეგმა განსაკუთრებული სიფრთხილით უდგება ბავშვისთვის მოქალაქეობის მინიჭების პროცედურას. აპატრიზმის პრობლემები მომდინარეობს სახელმწიფოს შექმნისთანავე, როდესაც კონკრეტული პირთა ჯგუფი, დისკრიმინაციული ნიშნის გამო, გამოირიცხება მოქალაქეობიდან. „მოქალაქეობის არქონის თაობიდან თაობაზე გადაცემის შეწყვეტის მიზნით, ზოგიერთმა სახელმწიფომ მოქალაქეობის მიღების წესები იმგვარად შეცვალა, რომ მოქალაქეობის არმქონე პირები ავტომატურად მიიჩნევიან იმ სახელმწიფოს მოქალაქეებად, სადაც ისინი დაიბადნენ, იმ პირობით, რომ ისინი აკმაყოფილებენ კრიტერიუმებს, რომლებიც მოცემულ ქვეყანასთან მჭიდრო კავშირებზე მიუთითებს.“⁷⁹

რაც შეეხება გენდერული თანასწორობის საკითხს, გეგმაში გაწერილი მოქმედებები ამ მიმართულებით, მიზნად ისახავს გენდერული დისკრიმინაციის გაუქმებას მოქალაქეობასთან დაკავშირებული კანონებიდან და მოქალაქეობის არქონის ყველაზე მნიშვნელოვანი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას გლობალური მასშტაბით, რადგან არიან აპატრიზმით გამორჩეული უმცირესობათა ჯგუფები, მათ შორის, ბავშვებიც, რომლებიც განიცდიან დისკრიმინაციას მოქალაქეობასთან დაკავშირებით.

⁷⁸ საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. მ. 24(3). ბავშვის უფლებათა კონვენცია. მ. 7(1). გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC). CCPR ზოგადი კომენტარი N17. მ. 24 (ბავშვის უფლებები). 1989 წლის 7 აპრილი. პარ.8.

⁷⁹ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი (UNHCR). დოკუმენტი კარგი პრაქტიკის შესახებ-მოქმედება: მოქალაქეობის არქონის ძირითად სიტუაციათა გადაჭრა. 2015 წ. 23 თებერვალი. <http://www.refworld.org/docid/54e75a244.html>

ასევე, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ის ფაქტი, რასაც სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს-ყველა ბავშვისათვის დაბადების რეგისტრაციის უზრუნველყოფა. დაბადების მოწმობა ზოგადად მოქალაქეობას არ ადასტურებს, მაგრამ აღნიშნულ დოკუმენტს აქვს უდიდესი სამართლებრივი საფუძველი იმისათვის, რომ დადგინდეს ბავშვის დაბადების ადგილი, დრო და მშობელთა სტატუსი. ეს კი, თავის მხრივ არის უტყუარი მტკიცებულება, რაც საფუძველს შექმნის ბავშვის მშობლებისათვის იმ სახელმწიფოს მოქალაქეობის მისანიჭებლად, სადაც ის დაიბადა.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ქვეყანათა უმრავლესობა აღიარებს მოქალაქეობის მინიჭებას დაბადებით და ნატურალიზაციით, თუმცა ზოგ ქვეყანაში მოქალაქეობის მინიჭების მხოლოდ ერთი წესი მოქმედებს, რაც ხელს უწყობს მოქალაქეობის არქონის ფაქტების წარმოქმნას, ამიტომ სასურველი იქნება ისეთი სახის დებულებების აღმოფხვრა, რაც შეამცირებს ბავშვთა მოქალაქეობის არქონის რისკს.

მსოფლიოში სახელმწიფოთა უმრავლესობას ეროვნულ კანონმდებლობაში აქვს ისეთი რეგულაციები, რომლის საფუძველზეც მათ ტერიტორიაზე დაბადებულ ბავშვებს ანიჭებენ მოქალაქეობას, თუ ბავშვის მშობლები უცნობები ან მოქალაქეობის არმქონე პირები არიან, ან თუკი ერთ-ერთი მშობელი ამ ქვეყნის მოქალაქეა, ხოლო მეორე მოქალაქეობის სტატუსის არმქონე პირი. მსგავსი მიდგომაა განმტკიცებული საქართველოს კანონში საქართველოს მოქალაქეობის შესახებ.

მიუხედავად ამისა, „მოქალაქეობის განსაზღვრა ხშირად განსაკუთრებით სადავო საკითხია სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის ცვლილებისას, როდესაც ტერიტორიის სუვერენიტეტის ცვლილებები ხდება. საერთაშორისო სამართლის კომისია, იმ პირებთან მიმართებით, რომლებიც უკვე დაბადებულნი არიან სამართალმემკვიდრეობის ცვლილებების მომენტისათვის, რეკომენდაციას იძლევა, რომ მოქალაქეობის მინიჭება მოხდეს სუვერენიტეტის ცვლილებების მომენტისათვის მუდმივი ბინადრობის საფუძველზე, მაგრამ გარდამავალ პერიოდში, სხვადასხვა მოქალაქეობას შორის არჩევის უფლება უნდა არსებობდეს.“⁸⁰

აღნიშნული პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, უნდა დაწესდეს ისეთი რეგულაციები, რომლებიც სწრაფად და ეფექტურად გადაჭრიან მოქალაქეობის მინიჭებას იმ პირებისათვის, ვისი მოქალაქეობაც გაურკვეველია. ასეთი პირების მიმართ უნდა მოქმედებდეს მოქალაქეობის არქონისაგან დაცვის მექანიზმები.

⁸⁰ საერთაშორისო სამართლის კომისია, სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობის ცვლილებების შემთხვევაში ფიზიკურ პირთა მოქალაქეობასთან დაკავშირებული მუხლები კომენტარებით. International Law Commission, 1999. ასევე იხ.სახ. უზრუნველყოფა იმისა, რომ არც ერთი ბავშვი არ დაიბადოს მოქალაქეობის არმქონედ. ქენევა.2014წ. გვ.4

საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის შემდეგ, ლატვიამ და ესტონეთმა განახორციელა ისეთი რეფორმები, რომლებიც მიზნად ისახავდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა ბავშვებისათვის, რომელთა მოქალაქეობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, მარტივად მიეღოთ მოქალაქეობა, თუ ისინი მათ ტერიტორიაზე დაიბადებოდნენ. 2013-2014 წელს „ლატვიის არამოქალაქე“ მშობლების მიერ დაბადებული ბავშვების მაჩვენებელი 52-დან 88 %-მდე გაიზარდა⁸¹. 2016 წლის იანვრიდან ესტონეთი ნატურალიზაციით ავტომატურად ანიჭებს მოქალაქეობას „დაუდგენელი მოქალაქეობის“ მქონე მშობელთა შვილებს.

1981 წლის ბრიტანული მოქალაქეობის აქტის მიხედვით, მის ტერიტორიაზე დაბადებული ბავშვი რეგისტრირდება ბრიტანეთის მოქალაქედ, თუ იგი იყო აპატრიდი და 5 წლის მანძილზე ცხოვრობდა ამ ქვეყანაში. „აგრეთვე, არის ზოგადი დებულება, რომელიც სახელმწიფო მდივანს უფლებამოსილებას ანიჭებს, მოახდინოს ბავშვის მოქალაქედ რეგისტრირება განცხადების საფუძველზე, თუ იგი ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს.“⁸²

აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობა ითვალისწინებს მოქალაქეობის არქონის ფაქტების აღმოფხვრის მექანიზმებს, უფრო მეტად ჰუმანურია და იცავს ისეთ ბავშვებს, რომელთა მშობლებიც უცნობია, ვიდრე ბავშვთა იმ კატეგორიას, რომლებიც მოქალაქეობას საკუთარი მშობლებისაგან ვერ იღებენ. ბავშვებისათვის მოქალაქეობის არქონის თავიდან აცილების მიზნით დაცვის მექანიზმი უფრო ეფექტურია, როდესაც იგი ვრცელდება არა მხოლოდ მიტოვებულ ჩვილ ბავშვებზე, არამედ ყველა პატარაზე, ვისაც არ შეუძლია ზუსტად გადმოსცეს ინფორმაცია მისი მშობლების იდენტიფიკაციის ან მისი დაბადების ადგილის შესახებ.

აპატრიზმის პრობლემის დაძლევაში ყველა ქვეყანას ეხმარება გაეროს ლტოლვილთა სააგენტო, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოქალაქეობის არმქონე იმ პირთა დაცვა, რომლებმაც წლების მანძილზე ვერ მოახერხეს მოქალაქეობის მიღება. აღნიშნული სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფოებთან მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების, აღმოფხვრის და წარმოშობის პრევენციის მიზნით. მოუწოდებს ქვეყნებს ითანამშრომლონ გაეროს სხვა სააგენტოებთან, რათა ეს უკანასკნელნი დაეხმარონ მათ მოქალაქეობის არქონის, განსაკუთრებით გაჭიანურებული შემთხვევების შემცირებაში, ჩაუტარონ ტრენინგები მთავრობებს აპატრიდების იდენტიფიცირების, რეგისტრაციისა და სტატუსის მინიჭების სათანადო მექანიზმებზე.

⁸¹ Дячкова С. Сокращение ситуаций безгражданства среди детей Латвии. Центр права человека. презентация на Конференции ENS. 7 апреля 2015 г.

⁸² British Nationality Act 1981, CHAPTER 61. <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1981/61#top>.

ამ მიზნით UNHCR-ი ეხმარება მთავრობებს ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნაში, რომელიც მაქსიმალურად დაეხმარება აპატრიზმის პრობლემის მოგვარებაში. ამ მიმართულებით ეს სააგენტო აქცენტს ოთხ ძირითად ასპექტზე აკეთებს: მოქალაქეობის არქონის იდენტიფიცირება, პრევენცია და შემცირება და მოქალაქეობის არმქონე პირთა დაცვა. ასევე უშუალოდ ეხმარება მოქალაქეობის არმქონე პირებს შესაბამის ქვეყნებთან შუამავლობით, მათი სამართლებრივი სტატუსის, პირსა და სახელმწიფოს შორის ლეგიტიმური კავშირის დასადგენად.

აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში, გარდა გაეროს ლტოლვილთა სააგენტოსი, აქტიურად იბრძვიან ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის სამსახური, გაეროს ბავშვთა დაცვის ფონდი, გაეროს ქალთა დაცვის ორგანიზაცია და აუცილებლობის შემთხვევაში სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიც, რომელთა ერთობლივი მუშაობის და თანამშრომლობის შედეგად უახლოეს პერიოდში ნავარაუდევია მოქალაქეობის არქონის შემთხვევების აღმოფხვრა.

იმისათვის რომ აპატრიზმი, როგორც ანომალიური მოვლენა, თავიდან იქნეს აცილებული, აუცილებელია ყველა ქვეყანამ როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო სამართლის ნორმებზე და პრინციპებზე დაყრდნობით, უარი თქვას მოქალაქეობის ჩამორთმევაზე, ამასთანავე უზრუნველყონ, რომ თავის ტერიტორიაზე დაბადებულ აპატრიდი მშობლების ბავშვს მიანიჭონ მოქალაქეობა და რაც ყველაზე მთავარია მკაცრად გაკონტროლდეს შესაბამისი უწყების მიერ მოქალაქეობის ჩამორთმევის ფაქტი, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობას.

რაც შეეხება საქართველოს, მოქალაქეობის ჩამორთმევის ფაქტთან დაკავშირებით, არის მეტად ლოიალური და დემოკრატიული, რადგან ჩვენი კანონმდებლობა კრძალავს მოქალაქეობის ჩამორთმევას, როგორც სამართლებრივი პასუხისმგებლობის სახეს. მოქალაქეობის დაკარგვა არსებითად განსხვავდება მოქალაქეობის ჩამორთმევისაგან იმიტომ, რომ მას არა აქვს დამსჯელობითი ხასიათი და არ მიეკუთვნება იურიდიულ პასუხისმგებლობის და სხვადასხვა იძულებითი ღონისძიებების რიცხვს, რადგან პირმა ჩაიდინა ისეთი მოქმედება, რომელთანაც შეუსაბამოა საქართველოს მოქალაქეობა;

აპატრიზმის თავიდან აცილების მიზნით საქართველომ მოახდინა ევროპული კონვენციის რატიფიცირება, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ უახლოეს წლებში ჩვენი ქვეყანა გამოთქვამს მზადყოფნას გაუმკლავდეს აპატრიზმთან დაკავშირებულ გამოწვევებს. ამ მიმართულებით უკვე გატარებულია გარკვეული ღონისძიებები, მაგალითად, 2014 წლის 5 მარტს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“. ხოლო 2014 წლის პირველ სექტემბერს საქართველოს მთავრობის #523 დადგენილებით

დამტკიცდა საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის წესი.

დასახელებული კანონით, საქართველოში მყოფ ნებისმიერ მოქალაქეობის არმქონე პირს, თუნდაც ქვეყნის ტერიტორიაზე უკანონოდ მყოფს, უფლება აქვს საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მოპოვების მიზნით მიმართოს შესაბამის სახელმწიფო სამსახურებს. განცხადების განხილვა უნდა მოხდეს არაუმეტეს 9 თვისა და მთელი ამ ხნის განმავლობაში პირს საქართველოში ყოფნა ჩაეთვლება საპატიოდ. სტატუსის მოპოვების შემდეგ პირი მოიპოვებს როგორც საქართველოში კანონიერად ყოფნის უფლებას, ისე ევროპული კონვენციით და ქვეყნის კონსტიტუციით გათვალისწინებულ უფლებებს.

კონვენციის და ორგანული კანონის მიხედვით, მოქალაქეობის არქონის თავიდან აცილების მიზნით, იმ პირის მოქალაქეობა, რომლის მშობლების უცნობი იყო და ფაქტობრივად აპატრიზმის საშიშროებას შეიცავდა, საქართველო 1993 წლის მოქალაქეობის კანონის მიხედვით თვლიდა, რომ მის ტერიტორიაზე ნაპოვნ ბავშვს, რომლის მშობლები უცნობი იყო, მიენიჭებოდა საქართველოს მოქალაქეობა. იგივე მიდგომა დატოვა 2014 წლის მოქალაქეობის ახალმა კანონმაც, მაგრამ მცირედ განსხვავებული ფორმულირებით. კერძოდ, სიტყვა „ბავშვი“ შეიცვალა ტერმინით „არასრულწლოვანი“, ხოლო ტერიტორიაზე პოვნის ნაცვლად ხაზი გაესვა ფორმულირებას ტერიტორიაზე ცხოვრების სასარგებლოდ.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებობს რამოდენიმე ისეთი პირობა, რომელთა შესრულება აუცილებლად გამოიწვევს მოქალაქეობის არქონის სრულად აღმოფხვრას თუ არა, ამ პრობლემის შემცირებას მაინც. აუცილებელია ყველა ქვეყანამ თავის ეროვნულ კანონმდებლობაში დანერგოს ის ძირითადი დებულებები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებთან და მოქალაქეობის არქონის პრობლემების დაძლევაში საკუთარ წვლილს შეიტანს ამ აქტუალური საკითხის მოგვარებაში.

თავი III. ორმაგი მოქალაქეობა (ბიპატრიზმი)

3.1. ორმაგი მოქალაქეობა და მისი წარმოშობის მიზეზები

ორმაგი მოქალაქეობა, ანუ ბიპატრიზმი, წარმოადგენს ისეთ სამართლებრივ მოვლენას, როდესაც პირი გვევლინება ერთდროულად ორი სახელმწიფოს მოქალაქედ. „ბი“ - ორმაგი, „პატრიდოს“ - ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სამშობლოს. სხვადასხვა სახელმწიფოში ბიპატრიზმის დაშვების და ამ სტატუსის მოგვარების საკითხი სხვადასხვაგვარად წესრიგდება. არ არის დადგენილი ერთიანი წესი, რომელიც აიძულებს სახელმწიფოებს ერთნაირ ჩარჩოებში მოაქციონ ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების პროცედურა.

ორმაგ მოქალაქეობას ხშირ შემთხვევაში თან სდევს კითხვა: მეორე მოქალაქეობა, თუ ორმაგი მოქალაქეობა? ამ ორ განსხვავებულ ცნებას ხშირად აიგივებენ ადამიანები. იმისდა მიხედვით, თუ როგორ არეგულირებს სახელმწიფო ორმაგი მოქალაქეობის საკითხს საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობით, შეიძლება განვსაზღვროთ, თუ რა შემთხვევებში წარმოიქმნება მეორე მოქალაქეობა და რა შემთხვევაში ორმაგი. რადგან საქართველოს ამ კუთხით არ გააჩნია მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება, ვეცდებით სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე ავხსნათ ამ ორი განსხვავებული ცნებისადმი მიდგომა.

ორი მოქალაქეობა წარმოიქმნება, როდესაც პირი იღებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას, მაგრამ ამ დროს საკუთარი ქვეყანა მას აღიარებს მხოლოდ თავის მოქალაქედ და მეორე მოქალაქეობის ქვეყანასთან არ გააჩნია ორმაგი მოქალაქეობის შესახებ ორმხრივი ხელშეკრულება. ასეთ დროს პირს ვალდებულებები ორივე ქვეყნის მიმართ გააჩნია, მაგ; ორივე ქვეყანას შეუძლია მოსთხოვოს მას სამხედრო სამსახურის გავლა.

ორმაგი მოქალაქეობის შემთხვევები შეიძლება დადგეს რომელიმე სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური ინტერესების გატარების შედეგად, როდესაც ძლიერი სახელმწიფო დაინტერესებულია საკუთარი გავლენის გაფართოებით რომელიმე ქვეყანაში და ერთ-ერთ ინსტრუმენტად სწორედ ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტს იყენებს; თუ როგორ ახერხებს სახელმწიფო ამ შედეგის მიღწევას, შეგვიძლია მოვიყვანოთ რუსეთის მაგალითი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთმა მოქალაქეობის შესახებ 1991 წლის 28 ნოემბრის კანონით, რომელიც ძალაში შევიდა სამოქმედოდ 1992 წლის 6 თებერვალს, მასობრივად დაიწყო საკუთარი მოქალაქეობის მინიჭება იმ პირთათვის, ვინც მოქალაქეობის კანონის მიღების დროისათვის მუდმივად ცხოვრობდა რუსეთის ტერიტორიაზე, თუკი

კანონის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში უარს არ განაცხადებდნენ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობაზე.⁸³

აღნიშნული გარემოებით ბევრმა ისარგებლა და მიიღო რა რუსეთის მოქალაქეობა და დაფარა აღნიშნული ფაქტი, შემდეგ მიიღო ასევე საბჭოთა კავშირში შემავალი საკუთარი ეთნიკური კუთვნილების ქვეყნის (რესპუბლიკის) მოქალაქეობაც, რომელიც, თუმცადა, კრძალავდა ორმაგ მოქალაქეობის ინსტიტუტს, მაგრამ შესაბამისი საინფორმაციო ბაზის არარსებობისა და პირის ფაქტობრივი მდგომარეობის არცოდნის გამო, ავტომატურად მიანიჭა თავისი მოქალაქეობა პირებს, რომლებიც ცხოვრობდნენ კანონის მიღებამდე ქვეყანაში, რამაც წარმოშვა ერთზე მეტი მოქალაქეობის მქონე პირთა სიმრავლე.

თუ იყო პირი ჩაწერილი იყო კონკრეტულ მისამართზე, მაგრამ საქართველოში მოქალაქეობის შესახებ კანონის მიღებისას, ფაქტობრივად იმყოფებოდა საქართველოში, შეეძლო მიეღო საქართველოს მოქალაქეობა. ის არ კარგავდა რუსეთის მოქალაქეობასაც, რამდენადაც საკმარისი იყო არ ეთქვა უარი რუსეთის მოქალაქეობაზე ერთი წლის განმავლობაში. ფაქტობრივი მდგომარეობით, ეს ადამიანები იყვნენ ორი ქვეყნის მოქალაქეები, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონით პირი კარგავს საქართველოს მოქალაქეობას, თუკი ცნობილი გახდება, რომ მან მიიღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა. იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოთა კავშირში გამეფებული კორუფცია საშუალებას იძლეოდა ადამიანს საკუთარი თავი დაეფიქსირებინა მუდმივ მაცხოვრებლად ერთზე მეტ რესპუბლიკაში და არც ქვეყანაში შემოსვლა და გასვლა კონტროლდებოდა, ორი მოქალაქეობის მიღება აღნიშნული კრიტერიუმებით იმ დროისათვის პრობლემას არ წარმოადგენდა.

აღნიშნულ ფაქტობრივ მდგომარეობას მომავალში აუცილებლად უნდა გამოეწვია და გამოიწვია კიდევ ასეთი პირების სამოქალაქო პასუხისმგებლობის პრობლემა, რადგან მოქალაქეობის ინსტიტუტით არა მარტო პირის ძირითადი უფლებები და თავისუფლებებია აღიარებული, არამედ განსაზღვრულია მოვალეობათა წრე კონკრეტული სახელმწიფოს მიმართ, რომელთა დაუცველობას გარკვეული სანქციების გამოყენება მოსდევს. ეს ზოგჯერ ქვეყნებს შორის ურთიერთობის დამაბზავს უწყობს ხელს, რაც შესაძლებელი გამწვავების ფონზე დაპირისპირებაშიც გადაიზარდება ხოლმე.

ასეთი ვითარება შეინიშნება დღესაც, თუკი განვიხილავთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ზემოთ აღნიშნულ ჭრილში. რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის (სამაჩაბლოს) ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს მასობრივად მიანიჭა საკუთარი მოქალაქეობა მათი დამოუკიდებელ

⁸³ Закон о гражданстве Российской Федерации. НПП Гарант-сервис. Москва. 28 ноября 1991г. гл. 2. стр. 13.

სახელმწიფოებად აღიარების შემდეგ და იმდენად გაამარტივა მათთვის რუსეთის მოქალაქეობის მიღების პროცედურები, რომ დღეს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები აფხაზი და ოსი მოსახლეობის უმეტესობას გააჩნიათ ორი პასპორტი: რუსეთისა და აფხაზეთის ან სამხრეთის ოსეთის რესპუბლიკების.

საქართველოს მიერ არ აღიარებული აფხაზეთის დე ფაქტო სახელმწიფოს კანონი „აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“ აღიარებს ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტს: ყველა აფხაზი ეროვნების ადამიანი, მიუხედავად მათი დაბადების ადგილისა და მოქალაქეობისა, ითვლება ასევე აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქედ,⁸⁴ ასევე აფხაზეთის მოქალაქეს აფხაზეთის მოქალაქეობიდან გასვლის გარეშე შეუძლია მიიღოს მხოლოდ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთის მოქალაქე მიიღებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას, იგი განიხილება, როგორც მხოლოდ აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქე⁸⁵.

რა თქმა უნდა, ეს ეწინააღმდეგება დღევანდელი ლეგიტიმური აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით განმტკიცებულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, აფხაზეთში მცხოვრები პირი განიხილება, როგორც საქართველოს მოქალაქე, ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქალაქეობის გაგება საერთოდ არ არის განსაზღვრული.⁸⁶

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა საქართველოს მიერ უნდა განიხილებოდეს, როგორც საქართველოს მოქალაქე და მათზე უნდა გავრცელდეს ის უფლება-მოვალეობები, რაც საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონით არის დადგენილი, თუმცადა, საკითხის ამგვარი გადაწყვეტის პრაქტიკული მექანიზმი დღეს-დღეობით დახვეწას მოითხოვს.

იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული მსგავსი რამ, სახელმწიფოები დებენ ორმხრივ ხელშეკრულებებს, რითაც, ორივე ქვეყანა ხელშეკრულების მონაწილე მეორე ქვეყნის მოქალაქეს აღიარებს საკუთარი ქვეყნის მოქალაქედაც და განსაზღვრავენ პირობებს, რომელთა მიხედვითაც ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი ისარგებლებს მოცემული ქვეყნის უფლებებით და იკისრებს ვალდებულებებს. როგორც წესი, ერთ-ერთი პირობაა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრების ხანგრძლივობა. მაგ; რუსეთის ფედერაციასა და ტაჯიკეთის რესპუბლიკას შორის ორმაგი მოქალაქეობის საკითხების რეგულირების შესახებ ხელშეკრულების მიხედვით „თუ ორივე

⁸⁴ Закон Республики Абхазия О гражданстве Республики Абхазия. Сухум, 2005 г. ст. 5-а. стр.2. http://www.emb-abkhazia.ru/konsulskie_voprosy/zakon_j

⁸⁵ იქვე. სტ. 6

⁸⁶ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია. 2000 წლის 8 დეკემბერი. თავი მე-4. <http://scara.gov.ge/ka/2010-03-17-12-48-03/2010-03-17-13-48-11.html> აფხაზეთის De Faqto კონსტიტუცია. მე-2 თავი. იხ. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი. რუხაძე ზ. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ბათუმი. 1999წ. გვ. 47

მხარის მოქალაქეობის მქონე პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს რომელიმე მათგანის ტერიტორიაზე, მუდმივად საცხოვრებლად გადადის მეორე მხარის ტერიტორიაზე, ახორციელებს უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც გამომდინარეობენ ამ მეორე მხარის მოქალაქეობიდან, მის მიერ ამ მხარის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრების სტატუსის მოპოვების მომენტიდან.⁸⁷

აღნიშნულ პრინციპს ეფექტური მოქალაქეობა ჰქვია და ძირითადია სხვა პრინციპებთან ერთად, რომლებიც აქტიური მოქალაქეობისა და ლოიალობის პრინციპებით არის ცნობილი. ამიტომ, ამ პრინციპებზე ყურადღების გამახვილება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მათზეა დაფუძნებული ორმაგ მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხების რეგულაცია, აღიარებულია საერთაშორისო პრაქტიკით და ასახულია კონვენციებშიც.

ეფექტური მოქალაქეობის პრინციპის გამოყენება განპირობებულია იმით, რომ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირის მოქალაქეობაზე პრეტენზიას აცხადებს ორი ქვეყანა. თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია პრეტენზია გამოთქვას თავისი ქვეყნის მოქალაქეობის უპირატესობაზე, რადგან ორივე ქვეყანას პირის საკუთარ მოქალაქედ მიჩნევის თანაბარი უფლებები და საფუძვლები გააჩნია.

აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში წარმოიშვა ისეთი მექანიზმები, როგორცაა ეფექტური და აქტიური მოქალაქეობის ცნებები, რომლის არსი მოკლედ შეგვიძლია ავხსნათ შემდეგნაირად: თუკი პრეტენზიით გამოდის სახელმწიფო, რომელთანაც პირს მეტი ფაქტობრივი კავშირი გააჩნია, ვიდრე მეორე სახელმწიფოსთან და რომლის მიმართაც გამოთქმულია პრეტენზია, მაშინ აღნიშნული პრეტენზია კმაყოფილდება მისი წამყვანი სახელმწიფოს სასარგებლოდ და პირიქით, თუკი პრეტენზიას აყენებს სახელმწიფო, რომელთანაც პირი ნაკლებად არის დაკავშირებული, ე.ი. არ გააჩნია „ეფექტური მოქალაქეობა“, ასეთი პრეტენზია არ დაკმაყოფილდება.⁸⁸

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეფექტური მოქალაქეობა შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგი სახით: ეფექტური მოქალაქეობა არის ორმაგი მოქალაქეობის შემთვევაში ინდივიდის უპირატესი სამართლებრივი კავშირი ორიდან ერთ-ერთ სახელმწიფოსთან, რომლის ტერიტორიაზეც ის მუდმივად ან უმეტესად ცხოვრობს და აქვს უფრო მჭიდრო სამართლებრივი კავშირი.

⁸⁷ Договор между Российской Федерацией и Республикой Таджикистан об урегулировании вопросов двойного гражданства. Ст.1. п.5. Дата подписания: 07.09.1995. Дата вступления в силу: 26.04.1997. Парламентская газета. Москва. Изд. Федерального Собрания Государственной Думы.

⁸⁸ Черниченко С.В. Международно-правовые вопросы гражданства. Москва. Восход. 1968г. стр. 106-107. Черниченко С.В. Международные отношения. Москва. Восход. стр.5

სწორედ აღნიშნული პრინციპის გამოსაყენებლად სახელმწიფოთაშორისო პრაქტიკამ გამოიმუშავა ეფექტური მოქალაქეობის განსაზღვრის მთელი რიგი კრიტერიუმები:

1. ბიპატრიდის საცხოვრებელი ადგილის კრიტერიუმი: ასე, მაგ; ყოფილი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ავსტრიას შორის ადრე მოქმედ 1975 წლის 25 მარტის საკონსულო ხელშეკრულებით დადგენილი იყო, რომ ორივე ქვეყნის მოქალაქეობის მქონე პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გააჩნია იმ სახელმწიფოს, სადაც მას აქვს საცხოვრებელი ადგილი.⁸⁹

2. ბიპატრიდების მიერ პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების განხორციელების კრიტერიუმები, რომლებიც განმტკიცებულია საერთაშორისო სამართლის კომისიის 1947 წლის 21 ნოემბრის დებულებით: „საერთაშორისო სამართლის კომისიის შემადგენლობაში არ უნდა იყოს ერთი და იგივე სახელმწიფოს ორი მოქალაქე, მაგრამ ორმაგი მოქალაქეობის შემთხვევაში კანდიდატი ითვლება იმ ქვეყნის მოქალაქედ, რომელშიც იგი ჩვეულებრივ სარგებლობს თავისი მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებით“.⁹⁰

ანალოგიური ნორმებია ჩამოყალიბებული 1945 წლის 26 ივნისის გაეროს საერთაშორისო სასამართლოს შემადგენლობის განსაზღვრის მიმართ. ამასთან, ერთია განისაზღვროს კრიტერიუმები და მეორეა მისი პრაქტიკული გამოყენების გამოცდილება. არის შემთხვევები, როდესაც მხარეები მაინც ვერ თანხმდებიან აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას და საჭირო ხდება სასამართლოს ჩარევა, იქნება ეს ეროვნული, თუ საერთაშორისო სასამართლო. სწორედ აქ ხედავენ განსხვავებას ზოგიერთი საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები. ს.ვ. ჩერნიჩენკოს, ი.რ. ბოიარსისა და სხვათა აზრით, ეფექტური მოქალაქეობის პრინციპის გამოყენება ეროვნული სასამართლოების მიერ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს, რადგან ამა თუ იმ მოქალაქეობის ეფექტურობის განსაზღვრაზე გადაწყვეტილების მიღებისას

⁸⁹ Kamann K. Probleme mehrfacher staatsangehörigkeit unter besondere Berücksichtigung des Völkerrechts.- Frankfurt am Main; Bern; New-York; Nancy; Lang, 1984.-S. 90

⁹⁰ Statute of the International Law Commission; Adopted by the General Assembly in resolution 174 (II) of 21 November 1947, as amended by resolutions 485 (V) of 12 December 1950, 984 (X) of 3 December 1955, 985 (X) of 3 December 1955 and 36/39 of 18 November 1981. Ch.1, Art. 2; <http://legal.un.org/docs/?path=../ilc/texts/instruments/english/statute/statute.pdf&lang=EF>

(საერთაშორისო სამართლის კომისია არის გაეროს გენერალური ასამბლეის დამხმარე ორგანო, რომელიც შედგება საერთაშორისო სამართლის სპეციალისტების 34 წევრი იურისტისაგან, რომელთაც გააჩნიათ აღიარებული ავტორიტეტი საერთაშორისო სამართლის საკითხებში და გამოდიან, როგორც დამოუკიდებელი სპეციალისტები და არა შესაბამისი სახელმწიფოების წარმომადგენლები. მათი მიზანია საერთაშორისო სამართლის განვითარების ხელშეწყობა და მისი კოდიფიკაცია. აღნიშნული კომისიის წევრები აირჩევიან გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 5 წლის ვადით. კომისია დაფუძნდა 1947 წლის 21 ნოემბერს. ავტ.).

შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო თავის თავს ზესახელმწიფო ორგანოს მდგომარეობაში აყენებს, რომელიც საკითს მეორე სახელმწიფოზე უპირატესობით წყვეტს; ხოლო ამ პრინციპის საერთაშორისო სასამართლოების მიერ გამოყენება დასაშვებია, რადგან სახელმწიფოები სადაო საკითხს ამ სასამართლოებს ნებაყოფლობით გადასცემენ ურთიერთშეთანხმებით.⁹¹

მიუხედავად მსგავსი მოსაზრების არსებობისა, ქვეყნები მოქალაქეობის კრიტერიუმების განსაზღვრის დროს, საკუთარი ეროვნული კანონმდებლობის ან ორმხრივი ხელშეკრულებების საშუალებით, საკითს აგვარებენ პირის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრების ფაქტობრივი გარემოების არსებობის მიხედვით და არ არის აუცილებელი გამოყენებულ იქნეს მაინდამაინც მუდმივად ცხოვრების ან უპირატესად ცხოვრების კრიტერიუმები.

ფორმულირება შეიძლება იყოს განსხვავებული, მაგ; ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, რაც გულისხმობს პირის უფრო მეტად მჭიდრო კავშირს რომელიმე ქვეყანასთან. შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ტერმინი „საცხოვრებელი“. მაგალითად, უნგრეთის 1979 წლის „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის მე-11 პარაგრაფის შესაბამისად განსაზღვრული იყო, რომ უნგრეთის მოქალაქეობის არმქონე, მაგრამ რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეობის მქონე პირის პირადი კანონია იმ სახელმწიფოს კანონი, რომლის ტერიტორიაზეც მას აქვს საცხოვრებელი ადგილი, ხოლო თუ საცხოვრებელი ადგილი უნგრეთშიც აქვს, მაშინ უნგრეთის კანონი. იმ პირის პირადი კანონი, რომელსაც საცხოვრებელი ადგილი საზღვარგარეთ რამდენიმე ქვეყანაში აქვს, არის იმ ქვეყნის კანონი, რომელთანაც მას უფრო მჭიდრო კავშირი გააჩნია.⁹²

მსგავსი მიდგომის სურვილი გააჩნია ასევე საქართველოს კანონს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, რომლის მიხედვითაც, „თუ პირი რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეა, მის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელთანაც იგი ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული, აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ეწევა ძირითად საქმიანობას. თუ ფიზიკური პირი მოქალაქეობის არმქონეა ან შეუძლებელია მისი მოქალაქეობის დადგენა, მის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მას აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ეწევა ძირითად საქმიანობას, ხოლო თუ ასეთი არ არსებობს - საქართველოს სამართალი.“⁹³ ნორმის ამ შინაარსით ყოვლად გაუგებარია, რატომ აქვს საქართველოს პრეტენზია მსოფლიოსთვის სავალდებულო ნორმატიული აქტების მიღებაზე. საქმე ისაა, რომ მითითებული ფორმულირებით, თუ დაუდგენელი მოქალაქეობის, საცხოვრებელი ადგილისა და საქმიანობის

⁹¹ Боярс Ю.Р. Вопросы гражданства в международном праве. Москва. Правоведение. 1986 г. стр.19-20

⁹² Hungarian law on private international law. Budapest, Iss.Jogtudomány. 1983. p.34;

⁹³ საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ. matsne.gov.ge მ. 22-1,2;

მქონე ფიზიკური პირი იმყოფება დედამიწის ნებისმიერ წერტილში, მაგალითად, მოზამბიკში, მასზე ვრცელდება საქართველოს კანონი. ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული სამართლის პრინციპებს. ნორმის დახვეწის მიზნით, საჭიროა მასში მინიშნებული იქნას, რომ საუბარია საქართველოში მყოფ პირზე და არა ნებისმიერ პირზე, როგორც ეს ამჟამადაა მოცემული.

ზემოთ აღნიშნული პირადი კანონის გამოყენება მიმართულია ეფექტური მოქალაქეობის პრინციპის განსაზღვრის მიზნით, კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში. უცხოური ელემენტის არსებობის დროს, მაგალითად, ბიპატრიდის მიმართ პირადი კანონის გამოყენების განსაზღვრისას, საუბარია იმაზე, თუ რომელი ქვეყნის კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ფართო სპექტრით ორი ან მეტი ქვეყნის მოქალაქის მიმართ, რომელიც არ არის მოცემული ქვეყნის მოქალაქე, ე.ი. უცხოელია.

ამ გარემოებებიდან გამომდინარე შეგვიძლია რიგი დასკვნების გაკეთება:

1.სასამართლო და სახელმეკრულებო პრაქტიკა ბიპატრიდთან დაკავშირებული დავის შემთხვევაში, მისი მოქალაქეობის განსაზღვრისას, საკითხს წყვეტს იმ ქვეყნის სასარგებლოდ, რომელთანაც პირი ყველაზე უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული. ამასთან, “მჭიდრო კავშირის” განსაზღვრის კრიტერიუმები საკმაოდ მრავალფეროვანია.

2.ამა თუ იმ მოქალაქეობის ეფექტურობის საკითხის გადაწყვეტა საერთაშორისო საჯარო სამართლის ფარგლებში უნდა მოხდეს ან საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ან ერთ-ერთი ქვეყნის სასამართლოს მეშვეობით, მაგრამ იმ პირობით, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა ეროვნული სასამართლოს მიერ გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით.

3.ეფექტური მოქალაქეობის პრინციპის გამოყენება შესანიშნავი მექანიზმია სახელმწიფოთაშორისო დავის გადაწყვეტისას, რადგან მისი მეშვეობით შესაძლებელი ხდება მრავლობით მოქალაქეობასთან დაკავშირებული უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება.

4.საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში სახელმწიფოთა კანონმდებლობა და საერთაშორისო ხელშეკრულებები აღიარებენ ეფექტური მოქალაქეობის პრინციპს ბიპატრიდების პირადი კანონის განსაზღვრისას, თუმცა საკუთარი მოქალაქეების მიმართ, რომელთაც მიიღეს შემდგომ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, იყენებენ საკუთარ კანონმდებლობას, თუკი ორმხრივი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ასეთი მიდგომა კი გარკვეულწილად აკნინებს ეფექტური მოქალაქეობის პრინციპს და ზოგჯერ სადაო საკითხებსაც წარმოშობს. ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, ქვეყნებმა ცალსახად აიღონ გეზი ეფექტური

მოქალაქეობის პრინციპის უპირატესად გამოყენებაზე ეროვნული კანონმდებლობის მიხედვითაც.

რაც შეეხება მოქალაქეობის კრიტერიუმის განსაზღვრის აქტიური მოქალაქეობის პრინციპს, აქტიური მოქალაქეობის თეორიაზე წერს მრავალი უცხოელი ავტორი. თანამედროვე კვლევები აღიარებენ, რომ აქტუალური გახდა კითხვა თანამედროვე სოციალური პოლიტიკის პარადიგმის ცვლილებაზე, რომლის ფარგლებში თავი იჩინა მრავალმა პრობლემამ. მაგ; ნ.ს. გრიგორიევა თავის ნაშრომში „აქტიური მოქალაქეობა, როგორც თანამედროვე ევროპული სოციალური პოლიტიკის სტრატეგია და მექანიზმი“ განიხილავს თანამედროვე სოციალური პოლიტიკის პარადიგმის* ცვლილებებს, ანალიზებს თანამედროვე ევროპის სოციალური პოლიტიკის ახალი კონცეფციის შექმნას.⁹⁴

აქტიური მოქალაქეობა განეკუთვნება უფრო ფილოსოფიურ-სოციალურ კატეგორიას, რომელსაც, მიუხედავად ამისა, აქტიურად იყენებენ დღეს მსოფლიო ცივილიზებული ქვეყნების არა მარტო სამართლის სპეციალისტები, არამედ თავად საზოგადოებაც, რადგან თუკი საკითხი აქტიურად განიხილება სახელმწიფო მოქალაქეობის ინსტიტუტის მიმართ, იგი ეხება საზოგადოების ყველა წევრს უკლებლივ, რომელიც უკვე ახდენს ან მომავალში მაინც მოახდენს მათზე ზეგავლენას.

აქტიური მოქალაქეობა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც უფლებათა და მოვალეობათა მიმართ არსებული საკითხების წრე. თუკი რომელიმე ორგანო, მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ადამიანებს აძლევს უფლებებს, მაშინ ამავე ადამიანებს შეუძლიათ ატარონ გარკვეული ვალდებულებები, რომლებიც ამ უფლებების ადეკვატური უნდა იყოს. მხოლოდ ასეთი ვითარების პირობებშია შესაძლებელი ადამიანები, ყოველგვარი ზეწოლისა და გარეშე დაძალების გარეშე, თავიანთი პირადი სურვილით გახდნენ აქტიურები საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე. ნაგულისხმებია, რომ აქტიური მოქალაქეა ის, ვინც ბალანსირებულად ასრულებს თავის ვალდებულებებს და იყენებს თავის უფლებებს.

აღნიშნული კონცეფციის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ თუკი უფლებები მკაფიოდ არის გაწერილი კანონმდებლობაში, ვალდებულებები ზოგჯერ არც თუ ისე მკაფიოდ არის გამოკვეთილი და მოქალაქეებს შორის შესაძლებელია წარმოიშვას განსხვავებული შეხედულებები ვალდებულებების შესრულების მიმართ. მაგ; მოქალაქეებს შეიძლება

⁹⁴ Григорьева Н.С. Активное гражданство как стратегия и механизм современной европейской социальной политики // Информационно-аналитический портал. — 2007. — 18 октября стр.57 /Socpolitika.ru.

*პარადიგმა: იდეათა და შეხედულებათა ერთობლიობა, რომელიც აყალიბებს კონსენსუსურ ჩარჩოს ან მოდელს, რომლის შიგნითაც მეცნიერები ოპერირებენ. პარადიგმის საფუძველზე განისაზღვრება არსებული ცოდნის მოცულობა, საკვლევი პრობლემის ბუნება, კვლევის შესაფერისი მეთოდების არჩევა, შედეგების ანალიზისა და ინტერპრეტაციის გზები-ავტ.

გააჩნდეთ უფასო სამედიცინო მომსახურების უფლება, მაგრამ არჩევნებში ხმის მიცემა არ არის სავალდებულო ხასიათის მატარებელი, თუმცა მრავალი ადამიანი მას არა მარტო პირად პასუხისმგებლობად განსაზღვრავს, არამედ მოქალაქის მოვალეობადაც, რომელიც დაინტერესებული უნდა იყოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებით და აქტიური მონაწილეობა მიიღოს მასში, გამოხატოს თავის შეხედულებები და იბრძოდეს უკეთესი სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის.

აქტიური მოქალაქისათვის მკაფიო ვალდებულებების განსაზღვრა უფრო პრობლემატურ საკითხად მიაჩნიათ დღეს, ვიდრე უფლებათა ნუსხის განსაზღვრა. ყველას ვერ დაავალდებულებ მოქმედების განხორციელებას ერთმნიშვნელოვნად, თუ მკაფიოდ არ განსაზღვრავ ამ ვალდებულებათა შემსრულებლების წრეს, მაშინ, როდესაც უფლებებით შეუძლია ისარგებლოს ყველა მოქალაქემ.

როგორც აღვნიშნეთ, ხმის მიცემა არ არის სავალდებულო და იგი შეიძლება მრავალი ადამიანის ძირითად პასუხისმგებლობად განისაზღვროს ან ბოლოს და ბოლოს ვალდებულების რანგშიც იქნეს აყვანილი, მაგრამ ზოგიერთმა ვერ შესძლოს მისი განხორციელება სხვადასხვა ფიზიკური მიზეზების ან იმის გამო, რომ მას არ სურს მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, თუმცა ეს პირი, ყველა იმ უფლებებით სარგებლობს, როგორც სარგებლობს ყველა მოქალაქე.

ბრიტანეთის მთავრობამ მოქალაქეთა აქტივობისა და აქტიურ მოქალაქეთა რიცხვის ზრდის მიზნით, დაინახა რა არჩევნების მიმართ მოქალაქეთა მხრიდან ინტერესის დაკარგვის ბოლო პერიოდების ტენდენცია, დაიწყო „მოქალაქეობის შესწავლის“ პროგრამის დაწესება და მისი სავალდებულო სწავლება, როგორც ცალკე დისციპლინისა. იგი 14 წლამდე მოსწავლეებისათვის სავალდებულო გახდა დიდი ბრიტანეთის სკოლებში და განიხილება საკითხი, რომ აღნიშნული ასაკობრივი ცენზი კიდევ უფრო გაიზარდოს.⁹⁵

აქტიურია მოქალაქე, რომელიც საზოგადოებაში განსაზღვრულ როლს თამაშობს თავისი სოციალური აქტივობით, რომელიც, შესაძლებლობის შემთხვევაში, სთავაზობს სხვებს ან მზად არის გაუზიაროს საკუთარი გამოცდილება და ცოდნა საქმეში, რომელსაც უკეთ ფლობს და შესთავაზოს მაღალკვალიფიციური პროფესიული დახმარება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: საბანკო საქმიანობა, განათლება, სამართლებრივი საკითხები, ტექნოლოგიები, რათა დაეხმარონ მასზე ნაკლებად წარმატებულ ადამიანებს.⁹⁶

⁹⁵ https://en.wikipedia.org/wiki/Active_citizenship; Examples of active citizenship in education. ნახვა 29.04.2018 წ.

⁹⁶ Jonathan T. Active Citizenship: A New Approach to Volunteering. Huffington Post. 2010-06-16.

აქტიური მოქალაქეობა გამოიხატება ადამიანის ცხოვრების ნებისმიერ სფეროში და მან შეიძლება მოიცვას ფაქტობრივად ყველაფერი, რასაც ადამიანის საქმიანობა ეხება და გამოხატავს თავის აქტიურ პოზიციას ამა თუ იმ სფეროსა და საქმიანობის მიმართ.

დღეს სახელმწიფოები დიდ ყურადღებას აქცევენ იმას, თუ რამდენად აქტიურ მოქალაქედ შეიძლება ჩამოყალიბდეს ადამიანი, რომელიც სურვილს გამოთქვამს მიიღოს მოცემული ქვეყნის მოქალაქის სტატუსი და ხომ არ იქნება იგი მხოლოდ იმ პასიურ მდგომარეობაში, როდესაც სახელმწიფოსგან ელოდება მხოლოდ სოციალურ უპირატესობებს და არანაირი სურვილი არ გაუჩნდება გვერდში ამოუდგეს საზოგადოებას და სახელმწიფოს საკუთარი ცხოვრების წესით. ე.წ. ზედმეტი მჭამელები დღეს ევროპის განვითარებულ ქვეყნებს, მიუხედავად მათი ეკონომიკური წინსვლისა, არ სჭირდება და ყველანაირად ცდილობენ საზოგადოებაში ინტეგრაციის გარეშე არ იჩქაროს უცხოელის საკუთარ მოქალაქედ აღიარება, სანამ იგი საკუთარი ცხოვრებით არ დაამტკიცებს, რომ მზად არის გახდეს სახელმწიფოს აქტიური მოქალაქე და საკუთარი წვლილი შეიტანოს სხვათა მხარდასაჭერად საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების მიხედვით, აქტიური მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს შენების საქმეში და სხვა მოქალაქეთა საზოგადოებაში რეინტეგრაციისთვის. ამ მიზნით, პირის მოქალაქედ აღიარებამდე, ისინი სულ უფრო ზრდიან უცხოელთა ბინადრობის ვადებს სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სანამ არ დარწმუნდებიან ამ საკითხების მიმართ მისი მზადყოფნისა და ლოიალობის თაობაზე.

სწორედ ამ მიზნით, დიდ ბრიტანეთში მოქმედებს იმიგრაციის პროგრამა, რომელიც ახლად მიღებული იმიგრანტებისათვის განსაზღვრავს გამოსაცდელ პერიოდს, თუ რამდენად გამოავლენს თავს იმიგრანტი აქტიურ მოქალაქედ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში.⁹⁷ დანიაში აქტიური მოქალაქეობის საკითხის შესწავლა ზოგიერთი სასწავლებლის სასწავლო პროგრამის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და კურსი გათვლილია 36 გაკვეთილზე.⁹⁸

აქტიური მოქალაქეობის მნიშვნელობა სულ უფრო მზარდია და საკმარისად დიდ ადგილს იკავებს არა მარტო სახელმწიფოს მიერ შიდაპოლიტიკის გატარებისას მოქალაქეობის საკითხში, არამედ თავად მოქალაქეთა ცხოვრებაშიც, რომლებიც სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ საზოგადოებაში რაც შეიძლება ბევრი აქტიური წევრის აღზრდის საქმის მიმართ.

⁹⁷ Gaëlle Faure (Aug 12, 2009). "British Citizenship: Points Off for Protest?". Time Magazine, 2010-06-1, ბოლო ნახვა 22.03.2018 წ.

⁹⁸ <https://www.emu.dk/omraade/gsk>; ნახვა 22.03.2018 წ.

აქტიური მოქალაქეობა გაგებულია ძირითადად, როგორც სოციალური ფაქტორი; ეს არის ადამიანთა მზადყოფნა იცხოვრონ საზოგადოებაში, რომელიც ორიენტირებულია სოციალური ერთიანობისაკენ, სოლიდარობისაკენ, ფასეულობათა დაცვისაკენ. კოლექტიური მონაწილეობის მეშვეობით საკუთარი თავის რეალიზაციის შესაძლებლობა მობილიზებულს ხდის საზოგადოებას და მასში მცხოვრებ მოქალაქეთა უმეტესობას, რაც ყველა სახელმწიფოს ინტერესების სფეროში შედის.

პოსტინდუსტრიალიზაციის ეპოქის დასაწყისიდან ტერმინ „მოქალაქის“ გაგება მნიშვნელოვნად შეიცვალა. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო „მოქალაქის“, როგორც პასიური სუბიექტის გაგებიდან ტერმინ „აქტიური მოქალაქის“ გაგების მიმართულებით ცვლილება.

„აქტიური მოქალაქე“-ეს არის სოციალური ხასიათის მქონე ნიშნში, რომელსაც უნარი შესწევს დააკმაყოფილოს გლობალური და მაღალკონკურენტული ინფორმაციული საზოგადოების მოთხოვნილებები.⁹⁹ საერთაშორისო სამართლის სპეციალისტის, ტ. მარშალის ნაშრომშიც ხაზგასმულია მოქალაქის საზოგადოებრივ-სოციალური ფაქტორის მნიშვნელობა და აღნიშნულია, რომ ინდივიდი, როგორც მოქალაქე, მონაწილეობას იღებს სახელმწიფოს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში.¹⁰⁰

დასავლეთის ქვეყნებში სოციალურად აქტიური საზოგადოების ფორმირება განიხილება, როგორც ყველაზე საუკეთესო და მისაღები მეთოდი სიღარიბესა და სოციალურ მარგინალობასთან ბრძოლის საქმეში. „აქტიურობა“ გულისხმობს საზოგადოების წევრების ერთმანეთზე ზრუნვას თითოეული წევრის დასაქმების უზრუნველსაყოფად და ამ გზით სოციალური თანასწორობის მიღწევას. „პასიურობა“ კი ნიშნავს მოქალაქეთა მისწრაფებას მხოლოდ სოციალური გარანტიების მისაღებად ყოველგვარი აქტიურობის გარეშე.

„აქტიური“ და „პასიური“ მოქალაქეობის ტერმინოლოგია იმდენად გამყარდა, რომ სოციალური დახმარებისა და კომპენსაციის მიღება პასიური მოქალაქეთათვის სულ უფრო რთულდება და ყურადღება ექცევა არამარტო უცხოელთა, არამედ საკუთარი მოქალაქეების მიმართ მათ გამოყენებას.¹⁰¹ ამიტომაც არის, რომ დღეს აქტიური მოქალაქეობის პრინციპს იყენებს ქვეყანათა უმრავლესობა, რომლებიც მოქალაქედ პირის აღიარებამდე მას აძლევენ დროს, რათა განსაზღვროს, თუ რამდენად არის მზად

⁹⁹ Григорьева Н.С. Активное гражданство как стратегия и механизм современной европейской социальной политики // Информационно-аналитический портал. — 2007г. Стр.29 — 18 октября /Socpolitika.ru.

¹⁰⁰ Marshall T. Citizenship and social class // in T.П. Marshall and T. Bottomore. - Citizenship and social class. -London: Pluto Press, 1992.pg.71

¹⁰¹ Pfau-Effinger B. Change of family policies in the socio-cultural context of European Societies. Comparative Social Research. Vol. 18.

საზოგადოებაში ინტეგრაციისა და მის საქმიანობაში აქტიური როლის თამაშისთვის.

სახელმწიფოები თავშეკავებულ პოზიციას ინარჩუნებენ სხვა ქვეყნის მოქალაქის საკუთარი ქვეყნის მოქალაქედ აღიარებამდე და არ არიან დაინტერესებულნი, რომ უცხო ელემენტმა შემოაღწიოს ქვეყანაში და დაიწყოს მუდმივი ცხოვრება, სანამ არ დარწმუნდება საზოგადოებაში მის სრულ ადაპტაციასა და მის მზაობაში, აქტიური პოზიცია დაიჭიროს ქვეყნის ცხოვრებაში და არა პასიური, რომელიც ორიენტირებული იქნება ყოველგვარი აქტიურობისა და საზოგადოებაში საკუთარი წვლილის შეტანის გარეშე, სახელმწიფოსგან მიიღოს მხოლოდ სოციალური უპირატესობები.

აღნიშნული პრინციპების გათვალისწინების პრაქტიკული მექანიზმის დანერგვა მოითხოვს გარკვეულ სამართლებრივ, ორგანიზაციულ, ადმინისტრაციულ და სხვა რესურსებს, რომლის ადმინისტრირება არ წარმოადგენს ერთი ხელის მოსმით გადასაწყვეტ საკითხთა რიგს და სხვა საკუთარ პოლიტიკურ მიზეზებთან ერთად შესაძლებელია ესეც იყოს მიზეზი იმისა, რომ ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილი არ ცნობს ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტს, მაგრამ ვერც გვერდს უქცევს მას ბოლომდე მსოფლიოში დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე. გლობალიზაციის პროცესი თავის მოთხოვნებს აყენებს, უნდა თუ არა ეს ამა თუ იმ ქვეყანას. სწორედ ამ გარემოების გამო, ორმაგი მოქალაქეობა თანამედროვე სახელმწიფოებში საკმაოდ გახშირებულ მოვლენას წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, ეს ქვეყნები აღიარებენ თუ არა ბიპატრიზმს ეროვნულ კანონმდებლობაში, იძულებულნი ხდებიან გარკვეული შეზღუდვებითა და დათქმებით, მაინც დაუშვან ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტი, თუმცადა, გარკვეულ შემთხვევებში, „სახელმწიფოები ეწინააღმდეგებოდნენ ისეთი კანონმდებლობის მიღებას, რომელიც დაუშვებდა უცხოელთა ნატურალიზაციას, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში ცხოვრობდნენ ან რომლებმაც ამ ტერიტორიის ფარგლებში უძრავი ქონება შეიძინეს.¹⁰²

ნატურალიზაცია უფრო ვიწრო მნიშვნელობით შეიძლება განისაზღვროს, როგორც მოქალაქეობის მინიჭება უცხოელისათვის ფორმალური აქტის საფუძველზე. ის ზოგადად აღიარებულია, როგორც მოქალაქეობის შეძენის საშუალება. ნატურალიზაციის მინიჭების პირობები ქვეყნიდან ქვეყანამდე იცვლება, მაგრამ დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბინადრობა, როგორც ჩანს, საკმაოდ უნივერსალური აუცილებელი პირობაა.¹⁰³

გერმანელი იურისტი ი. კუნცი ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში აღნიშნავდა: „დებულება იმის შესახებ, რომ არავის არ უნდა ორი

¹⁰² ბრაუნლი ი. საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპები. 2010 წ. გვ.430

¹⁰³ იქვე, გვ.431

სახელმწიფოებრივი კუთვნილება, არ წარმოადგენს პოზიტიური საერთაშორისო სამართლის ნორმას და წარმოადგენს მხოლოდ სამართლებრივი პოლიტიკის პოსტულატს“.¹⁰⁴

როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, ორმაგი მოქალაქეობა არის პირის ისეთი სამართლებრივი სტატუსი, რითაც იგი ვლინდება ერთზე მეტი სახელმწიფოს მოქალაქედ და მისი სამართლებრივი მდგომარეობა განსაზღვრულია თითოეული სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით. ორმაგ მოქალაქეობას რომ ანომალიურ მოვლენას უწოდებენ, ეს არავისთვისაა უცხო, თუმცა არსებობენ მეცნიერები, რომლებიც ამ სტატუსის მქონე პირებსაც პრივილეგიურებულ მოქალაქეებად მიიჩნევენ და თამამად აცხადებენ, რომ „ორმაგი მოქალაქეები არიან რომელიმე სახელმწიფოს ძირითადი მოქალაქეების გარკვეული შემადგენელი, აქტიური ნაწილი, რომელთაც გამოყოფენ გარკვეული პრივილეგიების მიხედვით.“¹⁰⁵

ორმაგი მოქალაქეობა წარმოიშვება, თუკი კანონმდებლობა არ შეიცავს ორმაგი მოქალაქეობის აღმოფხვრის სრულ მექანიზმს ან უშვებს მას. ორმაგი მოქალაქეობის აბსოლუტური აღმოფხვრისათვის საჭიროა სახელმწიფომ უზრუნველყოს მინიმუმ სამი შემაკავებელი ფაქტორის არსებობა:

ა) ადრინდელ მოქალაქეობაზე უარის თქმის მოთხოვნა, როგორც წინაპირობა „თავის“ მოქალაქედ მიღებისა;

ბ) „თავისი“ მოქალაქეობის შეწყვეტა, თუკი პირი მიიღებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას;

გ) დაბადებით „თავის“ მოქალაქეობის მიცემაზე უარის თქმა, თუკი ბავშვი დაბადებით მოიპოვებს ნებისმიერი სხვა უცხო ქვეყნის მოქალაქეობას.

ბიპატრიზმის წარმოშობის ძირითად მიზეზებად გვევლინება კონკრეტული პირის ნება, მიიღოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა, თუმცა ამ ნების რეალიზაცია პირდაპირ არის დამოკიდებული სახელმწიფოს ნებაზე აღიაროს ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტი.

ორმაგი მოქალაქეობა შეიძლება მოიპოვოს ახალშობილმა, დაბადების ადგილის მიუხედავად, რომელიც დაიბადება შერეული ქორწინებიდან, მან ასევე შეიძლება მოიპოვოს მესამე ქვეყნის მოქალაქეობაც, თუ მისი მშობლები სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან.

ბიპატრიზმად ითვლება აგრეთვე შემთხვევა, როდესაც ქალი თხოვდება უცხოელზე, არ კარგავს თავის მოქალაქეობას და მეუღლის ქვეყნის

¹⁰⁴ Kunz J.L. Zur Problem der doppelten Staatsangehörigkeit. –Zeitschrift für Ostrecht. 1928. Apr.4.S.414

¹⁰⁵ Tilly Ch. Citizenship. Identity, and Social History (International Review of Social History Supplements). p.9. <https://www.scribd.com/document/311158514/Tilly-Citizenship-Identity>

კანონმდებლობის მიხედვით, იღებს მეორე მოქალაქეობას. ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდება ბავშვიც, რომლის მშობლები სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან და ბავშვი იღებს ორივე მშობლის ქვეყნის მიხედვით ორ მოქალაქეობას.

არც ეროვნული და არც თანამედროვე საერთაშორისო სამართალი არ იცნობს ერთიან, საყოველთაოდ აღიარებულ, მკაფიოდ გამოხატულ რეგლამენტაციას ორმაგი მოქალაქეობის პრობლემური საკითხების გადაჭრისას. ქვეყანათა უმრავლესობა უარყოფითად უყურებს ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტს და ამ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას საერთაშორისო ხელშეკრულებით ცდილობს. ასეთი პრობლემების მცდელობას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, ე. წ. „ბანკროფტული ხელშეკრულებების“ დადებით.

ბანკროფტული ხელშეკრულებები, რომელთაც ასევე ბანკროფტის კონვენციებსაც უწოდებენ, იყო სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებათა მთელი რიგი, რომლებიც დაიდო აშშ-სა და სხვა ქვეყნებს შორის. მათ აღიარეს ყოველი მხარის მოქალაქის უფლება ნატურალიზებულიყო მეორე ქვეყანაში და განსაზღვრეს გარემოებები, რომელთა დროსაც ნატურალიზებული პირები ისევ ჩაითვლებოდნენ ადრინდელი მოქალაქეობის ქვეყნის მოქალაქეებად.

ხელშეკრულებებს სახელი დაერქვათ ისტორიკოსის და დიპლომატის ჯორჯ ბანკროფტის (1800-1891) პატივსაცემად, რომელმაც პირველი მოლაპარაკება ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან მიმართებით ჩაატარა პრუსიასთან.¹⁰⁶ ბანკროფტის ხელშეკრულებები ძირითადად მიმართული იყო იქეთკენ, რომ თავიდან აეცილებინათ ნატურალიზებულ პირთა თავის არიდება სამხედრო სამსახურისათვის თავიანთ მშობლიურ ქვეყნებში.¹⁰⁷

1868 წლიდან 1937 წლამდე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 34 ქვეყანასთან დადო ბანკროფტული ხელშეკრულება.¹⁰⁸ ტიპიურ ბანკროფტულ ხელშეკრულებას გააჩნდა სამი ძირითადი დებულება. პრემბულაში მითითებული იყო პირობები, რომელთა შემთხვევაშიც ყოველი ქვეყანა აღიარებდა თავის მოქალაქის მეორე სახელმწიფოში ნატურალიზაციას (როგორც წესი, ხუთწლიანი უწყვეტი ყოფნა მიმღებ

¹⁰⁶ Convention between the United States of America and the King of Prussia. Relative to Naturalization. Concluded at Berlin. February 22. 1868, Ratifications Exchanged May 8. 1868. Proclaimed by the President of the United States, May 27, 1868. Treaties and Convention between the United States and Other Powers. Since July 4. 1776. Revised Edition. Washington. DC: Government Printing Office. 1873. p. 638

¹⁰⁷ Manfred Jonas. The United States and Germany: A Diplomatic History. Cornell University Press. 1985. pp. 25-26. ISBN 0-8014-9890-2

¹⁰⁸ Treaties and Convention between the United States and Other Powers. Since July 4. 1776. Revised Edition. Washington. DC: Government Printing Office. 1873. p. 405.

ქვეყანაში ჩვეულებრივი მოთხოვნა იყო). მეორე შემთხვევაში, მშობლიურ ქვეყანაში ჩასვლისას, ნატურალიზებული მოქალაქეები არ თავისუფლდებოდნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან, თუკი მათ დანაშაული სავარაუდოდ ჩადენილი ჰქონდათ ემიგრაციამდე. მესამე და მთავარი - ნატურალიზებული მოქალაქეების მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნებისას, ისინი ჩაითვლებიან ამ ქვეყნის მოქალაქეობა აღდგენილებად, თუ ეს პირები იქ იმყოფებიან უწყვეტი ორი წლის განმავლობაში. აღნიშნულის შემთხვევაში ისინი დაექვემდებარებიან მოუხდელი სამხედრო სამსახურის გავლის ვალდებულებას და აღარ ისარგებლებენ მეორე ქვეყნის დიპლომატიური დაცვის უფლებით. აშშ-სა და პორტუგალიას შორის 1908 წლის ხელშეკრულების მესამე მუხლით სწორედ აღნიშნული იყო გათვალისწინებული: თუ ამერიკაში ნატურალიზებული პორტუგალიის სუბიექტი აღადგენს თავის საცხოვრებელს პორტუგალიაში, ამერიკაში უკან დაბრუნების სურვილის გარეშე, იგი უარს იტყვის შეერთებული შტატების ნატურალიზაციაზე. ამასთანავე, თუკი პორტუგალიაში ნატურალიზებული ამერიკის მოქალაქე განაახლებს თავის რეზიდენციას შეერთებულ შტატებში იმ განზრახვით, რომ აღარ აპირებს პორტუგალიაში დაბრუნებას, იგი უარს იტყვის პორტუგალიის ნატურალიზაციაზე. უკან არდაბრუნების განზრახვად ჩაითვლება, თუკი ერთ-ერთ ქვეყანაში ნატურალიზებული პირი ცხოვრობს მეორე ქვეყანაში ორ წელზე მეტი ვადით.¹⁰⁹

ბიპატრიზმი, გარდა უარყოფითი მხარეებისა, ხასიათდება სხვადასხვა დადებითი მხარეებითაც. პირველ რიგში, ეს არის სარგებელი ორივე ქვეყნიდან, კერძოდ, შეღავათები და პრივილეგიები, ასევე უპრობლემოდ, უვიზოდ გადაადგილება ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე ნებისმიერ დროს, ასევე იმ ქვეყნებში, რომლებთანაც მოცემულ ქვეყნებს თავისუფალი და უვიზო მიმოსვლის რეჟიმი გააჩნიათ.

ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებისათვის სარგებელს წარმოადგენს საკუთრების უფლება ორივე მოქალაქეობის ქვეყანაში. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანას დაწესებული აქვს შეზღუდვები საკუთრების უფლებაზე უძრავი ქონების, კერძოდ, მიწის შესყიდვასთან დაკავშირებით, ყველა სხვა ქვეყნის მოქალაქისათვის, გარდა საკუთარი მოქალაქეებისა, თუკი არ არსებობს ორმხრივი ხელშეკრულება ამა თუ იმ სახელმწიფოსთან, რომლითაც რეგულირდება აღნიშნული საკითხი. საკუთრების სხვა დანარჩენ უფლებებთან მიმართებით, კანონი შეუზღუდავია და მათ შეუძლიათ ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით შეიძინონ ნებისმიერი უძრავი ქონება.

¹⁰⁹ Liability for Military Service of Naturalized Persons and Persons born with Double Nationality. Treaties and Other International Agreements of the United States 1776-1949 (compiled under the direction of Charles. I. Bevans), IX (Iraq-Muscat), Washington, DC: The Department of State, Government Printing Office, 1972, p. 690

რაც შეეხება განათლების უფლებას, აღნიშნული უფლება ორივე ქვეყანაში შეუზღუდავია, ბიპატრიდებს შეუძლიათ ორივე ქვეყნიდან მაქსიმალურად მიიღონ მათთვის სასურველი და საინტერესო განათლება და პროფესია. ეს პროცესი თავისთავად საინტერესოა იმით, რომ პიროვნება შეიძლება იყოს ორი რადიკალურად განსხვავებული ქვეყნის მოქალაქე და ეს მდგომარეობა მან თავის სასიკეთოდ გამოიყენოს საკუთარი ცხოვრების წესის გასაუმჯობესებლად.

მიუხედავად ორმაგი მოქალაქეობის დადებითი და უარყოფითი მხარეებისა, ბიპატრიზმი შეგვიძლია შევაფასოთ როგორც გარდამავალი მნიშვნელობის ნაბიჯი ეროვნული მოქალაქეობიდან რეგიონალური და უფრო მეტიც, გლობალურ მოქალაქეობამდე. რაც შეეხება ბიპატრიზმის ისნსტიტუტთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებს, განხილულია ცალკე თავში.

3.2. ორმაგი მოქალაქეობა ზოგიერთი ქვეყნის მაგალითზე

მიუხედავად იმისა, რომ დებატები ორმაგი მოქალაქეობის შესახებ დიდი ხანია მიმდინარეობს, მეცნიერებისათვის ეს პროცესი განიხილება როგორც სახელმწიფოთათვის არასასურველი მოვლენა.¹¹⁰ იმის გამო, რომ უფრო ნათლად დავინახოთ ორმაგი მოქალაქეობის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები, მიზანშეწონილად მიმაჩნია აღნიშნული საკითხები სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე განვიხილო.

ორმაგი მოქალაქეობის მიმართ რუსეთის პოზიცია გამოხატულია რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 62-ე მუხლით (რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით).¹¹¹ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს შეუძლია იმავდროულად ჰქონდეს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობაც, გათვალისწინებული ფედერალური კანონით ან რუსეთის საერთაშორისო ხელშეკრულებით.

¹¹⁰ Alarian H. and Goodman S.W. Dual Citizenship Allowance and Migration Flow: An Origin Story. 2016.

Bloemrad I. Who Claims Dual Citizenship? The Limits of Post nationalism, the Possibilities of Transnationalism, and the Persistence of Traditional Citizenship. 2004. International Migration Review. Vol. 38. No. 2. 389–426. Hansen. R. A European citizenship of a Europe of citizens? Third country nationals in the EU. Journal of Ethnic and Migration Studies. 1998. Vol. 21. No. 4. 751–768. Howard M. M. Variation in Dual Citizenship Policies in the Countries of the EU. International Migration Review. 2005. Vol. 39. No. 3. 697-720.

¹¹¹ Конституция Российской Федерации (с учетом поправок, внесенных Законами Российской Федерации о поправках к Конституции Российской Федерации от 30.12.2008 № 6-ФКЗ и от 30.12.2008 № 7-ФКЗ). ст. 62.

რუსეთის მოქალაქე, რომელსაც გააჩნია სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობაც, განიხილება რუსეთის ფედერაციის მიერ, როგორც რუსეთის მოქალაქე, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია რუსეთის საერთაშორისო ხელშეკრულებით ან ფედერალური კანონებით.

რუსეთის მოქალაქეობის მქონე პირის მიერ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მოპოვება არ იწვევს რუსეთის მოქალაქეობის შეწყვეტას. სწორედ აქედან გამომდინარე, რუსეთი არ კრძალავს ორმაგ მოქალაქეობას, მაგრამ ნებისმიერ სამართლებრივ საკითხებში ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს მიიჩნევენ მხოლოდ რუსეთის ფედერაციის მოქალაქედ, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ფედერალური კანონით.

ორმაგი მოქალაქეობის საკითხების რეგულირების თაობაზე რუსეთში მოქმედებს მხოლოდ ერთი საერთაშორისო ხელშეკრულება ტაჯიკეთის რესპუბლიკასთან.¹¹²

2014 წლის 4 აგვისტოს ძალაში შევიდა კანონი „რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლის თანახმადაც, რუსეთის მოქალაქეები, რომლებსაც გააჩნიათ მეორე მოქალაქეობა ან ბინადრობის უფლება, ან ისეთი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მათ მუდმივად ცხოვრების უფლებას უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ვალდებულნი არიან განახორციელონ წერილობითი შეტყობინება სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მოპოვების შესახებ ან წარადგინონ საბუთი, რომელიც ადასტურებს უცხო ქვეყანაში მათ მუდმივად ცხოვრებას მოქალაქეობის მოპოვებიდან 60 დღის განმავლობაში.¹¹³ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებულია როგორც ადმინისტრაციული, ასევე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობაც. ცვლილებების მიზანია იმ პირთა შესახებ ინფორმაციის მოპოვება და აღრიცხვიანობის გაუმჯობესება, რომელთაც მოიპოვეს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა და ადრე არ ჰქონდათ ვალდებულება განეცხადებინათ ამ ფაქტის თაობაზე სახელმწიფოსათვის.

გარდა ამისა, დაწესებულია გარკვეული შეზღუდვები ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთათვის. რუსეთის მოქალაქეს, რომელსაც გააჩნია სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობაც, არ შეუძლია დაიკავოს რიგი სახელისუფლებო თანამდებობები, რაც არაერთგზის გახდა განხილვის საგანი რუსეთის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში და ასეთი მიდგომა სასამართლომ გაუმართლებლად ცნო.

¹¹² Договор между Российской Федерацией и Республикой Таджикистан об урегулировании вопросов двойного гражданства. ст.1. п.5. Дата подписания: 07.09.1995г. Дата вступления в силу: 26.04.1997

¹¹³ Закон Российской Федерации о гражданстве. "О внесении изменений в статью 6 Федерального закона "О гражданстве Российской Федерации" 2014г. 04. 08. стр.62. №142- Ф3

რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს, რომელსაც გააჩნია ბინადრობის უფლება ან სხვა ისეთი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის მუდმივად ცხოვრების უფლებას სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, არ შეუძლია იყოს საარჩევნო კომისიის წევრი.

ორმაგი მოქალაქეობის პრობლემატური საკითხები არაერთხელ ყოფილა საერთაშორისო კონფერენციების განხილვის საგანი. პრობლემატურია, აგრეთვე, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთათვის სამხედრო ვალდებულების მოხდის საკითხიც, რომელიც ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტის სერიოზულ ნაკლად განიხილება. დღეს მსოფლიოს უმეტესი სახელმწიფოები მრავლობითი მოქალაქეობის თავიდან აცილებას ან მის შემცირებას ცდილობენ ეროვნული კანონმდებლობის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საერთაშორისო პრინციპებზე დაყრდნობით.

პირის მიერ მეორე მოქალაქეობის მიღება სახელმწიფოში, რომელიც არ აღიარებს ორმაგ მოქალაქეობას, ნიშნავს ძველი მოქალაქეობის დაკარგავას. „ქვეყნების უმეტესობა ახალი მოქალაქეობის მინიჭებისას ასეთ მიდგომას იყენებდა და იყენებს: პირი, რომელსაც სურს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა, ეს ნიშნავს ახალი მოქალაქეობის სახელმწიფოსადმი ერთგულების გამოხატვას და სწორედ ამიტომ უუქმდებათ ძველი მოქალაქეობა. ზოგიერთი ქვეყანა ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს, გარკვეული ასაკის მიღწევისთანავე აძლევს არჩევანის საშუალებას, ორი ქვეყნის მოქალაქეობიდან დაიტოვოს მისთვის უფრო მეტად სასურველი ქვეყნის მოქალაქეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მრავალი პრობლემის წინაშე აღმოჩნდებოდა“.¹¹⁴

ნათელია, რომ ორმაგი მოქალაქეობის საკითხის მოგვარების საუკეთესო გზაა დაინტერესებულ ქვეყნებს შორის ორმხრივი ხელშეკრულებების დადება, სადაც გაწერილია იმ უფლებათა და მოვალეობათა რეალიზაციის მექანიზმი, რომლის წინაშეც დგება ასეთი სტატუსის მატარებელი ადამიანი. მრავალი პრობლემის მიუხედავად, რაც ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს გააჩნიათ და შესაბამისად სხვადასხვა ქვეყნების მრავალმხრივი მცდელობისა, თავისი წვლილი შეეტანათ ბიპატრიზმის აღმოფხვრისათვის, ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტის ფარგლები მაინც იზრდება.

როგორც უკვე აღინიშნა, ბოლო პერიოდში ორმაგი მოქალაქეობა თანამედროვე სახელმწიფოების ერთ - ერთ მთავარ პრობლემად იქცა. ორმაგი მოქალაქეობის რიცხვის სწრაფი ზრდა და მათი გეოგრაფიული არეალის გაფართოება ძალიან ბევრ ისეთ კითხვას ზადებს, რაც პირდაპირ კავშირშია მათ ახალ მოქალაქეობასთან, თვითმყოფადობასთან, სოციალურ და პოლიტიკურ უფლებებთან და მოვალეობებთან.

¹¹⁴ Thomas F. Dual Citizenship as Overlapping Membership. School of International Migration and Ethnic Relations Malmo University, Sweden, november 2001. P.11

მიუხედავად ორმაგი მოქალაქეობის ცენტრალური როლისა უკანასკნელ გლობალურ პოლიტიკაში, ეს საკითხი დღემდე გამოუკვლეველი რჩება. „ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტის შესწავლისადმი ინტერესის არ ქონა ძირითადად დამოკიდებული იყო საერთო სამეცნიერო გულგრილობით, რომელიც 60-70-იან წლებში გამოვლინდა. ორმაგი მოქალაქეობა, ეს არის შემთხვევითი მოვლენა...სოციალურ- პოლიტიკური ან დიპლომატიური გავლენის შედეგი“.¹¹⁵

ნებისმიერი ქვეყანა დაინტერესებულია ისეთი მოქალაქით, რომელსაც ენდობა. ბიპატრიდებს ბევრი ქვეყანა ეჭვის თვალთ უყურებს, რადგან ისინი პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენენ ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობისათვის, თუკი მათ ხელი მიუწვდებათ სახელმწიფო საიდუმლოებებზე ან იკავებენ საპასუხისმგებლო თანამდებობას. იმისათვის, რომ ერთის მხრივ, არ შეზღუდონ საკუთარი ქვეყნის მოქალაქის უფლებები და მეორეს მხრივ, არეგულირონ პროცესი, მრავალი ქვეყანა იყენებს ისეთ მექანიზმს, როგორცაა ბინადრობის ცენზი, რისთვისაც საჭიროა ქვეყანაში ცხოვრების 5-დან 12 წლამდე პერიოდი, რათა პირმა მიიღოს მეორე, მისთ ვის სასურველი ი მოქალაქეობა.

„ორმაგი მოქალაქეობის მოვლენის ყოველმხრივი შესწავლა დაფუძნებულია თეორიულ და მეთოდოლოგიურ პრობლემებზე; რომ გადაილახოს მოქალაქეობის ფორმალური სამართლებრივი ასპექტები და დავაკავშიროთ იგი სოციალურ - პოლიტიკურ ტრანსფორმაციასთან, აუცილებელია კულტურული, ისტორიული და მოქალაქეობის პირობითი განსაზღვრა.“¹¹⁶

ქვეყანათა გარკვეული ნაწილი ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრავდა, რომ პირი, რომელიც მიიღებდა სხვა ქვეყნის მოქალაქეობას, დაკარგავდა თავის მოქალაქეობას. თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ, აღნიშნული მიდგომა არსებითად შეცვალა. მაგალითად, 1977 წლამდე ნებისმიერი კანადელი ავტომატურად კარგავდა მოქალაქეობას, თუ იგი მიიღებდა სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობას. ეს მდგომარეობა შეიცვალა 1977 წლის 15 თებერვალს, როცა მიღებულ იქნა ახალი კანონი მოქალაქეობის შესახებ, რომლის თანახმადაც, კანადის მოქალაქეობის დაკარგვა ხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა თვითონ მოქალაქე მოითხოვდა ამას განცხადების საფუძველზე. გარდა ამისა, აუცილებელი იყო იმ მოსამართლის თანხმობა, ვისაც უშუალოდ ეხებოდა მოქალაქეობის საკითხების გადაწყვეტა. ამჟამად მოქმედი კანონი ნებას რთავს კანადის მოქალაქეს იქონიოს ორი და მეტი სახელმწიფოს

¹¹⁵ Iordachi K. Dual Citizenship in Postcommunist Central and Eastern Europe. (Sapporo: Slavic Research Center, Hokkaido University, 2004), p. 239.

¹¹⁶ Tilly Ch. Citizenship and Social History. Press syndicate of the University of Cambridge, 1996. p.81

მოქალაქეობა, იმის მიუხედავად, რამდენი სახელმწიფო სცნობს მას თავის მოქალაქედ.¹¹⁷

შესაბამისად, კანადის მოქალაქეობის მიმღებ პირზე ვრცელდება ყველა უფლება და მოვალეობა, რაც არსებობს ამ ქვეყანაში კანადელ მოქალაქეთა მიმართ. ყველა პირი, მიუხედავად სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობისა, კანადის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნის დროს, უნდა დაემორჩილოს ამ უკანასკნელის იურისდიქციას, როგორც კანადის მოქალაქე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირი შესაძლებელია ერთდროულად ორი ან მეტი სახელმწიფოს მოქალაქე იყოს.

თუ პირი, მისი მშობლები, ასევე მისი ბებია-ბაბუა, მეუღლე (ცოლი ან ქმარი), დაიბადნენ კანადაში და მან სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოახერხა ვერც ერთი ქვეყნის მოქალაქეობის მიღება, მას მიეცემა მხოლოდ ერთი ქვეყნის-კანადის მოქალაქეობა; მაგრამ თუ რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი პირი დაიბადა კანადის ფარგლებს გარეთ, აღნიშნული პირი შესაძლებელია აღმოჩნდეს ორი ქვეყნის მოქალაქე იმ კანონის მიხედვით, რომელიც მოქმედებს შესაბამის ქვეყანაში. მაგალითად, თუ პირის დაბადების ადგილად ითვლება კანადა, მაგრამ მისი ერთ-ერთი მშობელი ან მეუღლე დაიბადა სხვა ქვეყანაში, კანადის კანონებით მას შესაძლებლობები ეძლევა გახდეს თავისი მშობლების ან მეუღლის ქვეყნის მოქალაქე, თუკი აღნიშნული ქვეყნებიც იცავენ ასეთივე პრინციპს.

ორმაგი მოქალაქეობა შეიძლება წარმოიშვას იმის გამო, რომ არსებობს არა ერთი, არამედ მოქალაქეობის მიღების რამოდენიმე გზა: დაბადების ადგილის მიხედვით, ნატურალიზაციით, მშობელთა, ბებია-ბაბუების გათვალისწინებით, ქორწინებისა და ისეთი გზითაც, როდესაც ბავშვის დაბადება ხდება ქვეყნის საჰაერო სივრცეში. ასე მაგ; 2008 წელს ამსტერდამი-ბოსტონის რეისის განმახორციელებელ თვითმფრინავში დაბადებული უგანდელი მოქალაქეობის მქონე დედის ბავშვი ავტომატურად გახდა კანადელი, როდესაც ლაინერი კანადის საჰაერო სივრცეში იმყოფებოდა.¹¹⁸

სხვადასხვა ქვეყნებში მოქალაქეობის შესახებ კანონებში არსებული მრავალი განსხვავებების გამო, მოქალაქეობის შესახებ საერთო მიდგომის გამონახვა საკმაოდ რთულია. თუ ზოგიერთი ქვეყანა აღიარებს ორმაგ მოქალაქეობას, ზოგიერთნი უბრალოდ არ ცნობენ ორმაგ მოქალაქეობას ან ადგენენ მისი მიღების განსაკუთრებულ პირობებს. კანადის მოქალაქეობის საკითხის განხილვისას მოქმედებს მხოლოდ ის კანონი, რომელიც არსებობდა ქვეყანაში დროის განსაზღვრულ პერიოდში. მაგალითად,

¹¹⁷ Citizenship Act (R.S.C., 1977, c. C-29). Forging Our Legacy: Canadian Citizenship And Immigration, 1900-1977. Immigration, Refugees and Citizenship Canada. Archived from the original on 26 June 2012. Retrieved 17 July 2012.

¹¹⁸ Baby girl born on US-bound flight. BBC. 1 January 2009. Retrieved 23 April 2017. <http://news.bbc.co.uk/2/hi/americas/7807001.stm>

დაბადების ან ქორწინების დროს და საამისოდ აუცილებელია უამრავ ფაქტთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მოპოვება და წარდგენა. სწორედ ამ მიზეზის გამო არის განსაკუთრებით რთული და ხანგრძლივი პროცესი კანადის მოქალაქეობის სტატუსის განსაზღვრა.¹¹⁹

1977 წლის 15 თებერვლამდე, კანადაში მოქალაქეობის მიღების და მოქალაქეობის სტატუსის ჩამორთმევის პირობები განისაზღვრებოდა ძველი კანონმდებლობით, ამიტომ კანადელები, რომლებმაც მიიღეს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, (1977 წლის 15 თებერვლამდე) აუცილებლად უნდა შემოწმდნენ რჩებიან თუ არა ისინი ჯერ კიდევ კანადის მოქალაქეებად მანამდე არსებული კანონის შესაბამისად.

ორმაგი მოქალაქეობის მქონე ზოგიერთი ადამიანისათვის კანადის მოქალაქეობა შეიძლება პრაქტიკული სარგებლის მომტანი გახდეს. მაგალითად, მაღალი სოციალური გარანტიები, უმაღლესი დონის სამედიცინო მომსახურება, საპენსიო პოლიტიკა, პოლიტიკურ უფლებათა და გარანტიათა ფართო სპექტრის არსებობა, სამუშაოს შოვნა და სხვა იზიდავს პოტენციურ პირს.

ორმაგი მოქალაქეობა პირს ანიჭებს ერთზე მეტი სახელმწიფოსადმი კუთვნილებისა და დაცულობის შეგრძნებას, მაგრამ ამასთანავე, ძალზე მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ორმაგი მოქალაქეობა არანაკლები პრობლემების მომტანიცაა და მთელი რიგი ნაკლოვანებებით ხასიათდება. ადამიანთა უმეტესობას ხშირ შემთხვევაში ავიწყდება, რომ სადაც არის უპირატესობა, მოთხოვნის უფლებები, იქ ვალდებულებების მთელი სპექტრიცაა, რომლებიც უნდა შესრულდეს.

განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი: ჩვეულებრივ, ადამიანი ემორჩილება იმ ქვეყნის კანონებს, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება. მაგალითად, კანადის და აშშ-ს კანონით, მოქალაქეებს, რომლებიც ცხოვრობენ მეორე მოქალაქეობის ქვეყანაში, შეუძლიათ იმოგზაურონ მხოლოდ ერთი პასპორტით, რომელიც გაცემულია მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მეორე პასპორტის აღმოჩენის შემთხვევაში, იგი კონფისკაციას ექვემდებრება ან პირს აჯარიმებენ. კანადის მოქალაქეს შესაძლებელია წარმოექმნას სამართლებრივი ან სხვა სახის პრობლემა უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე, რომლის დროსაც კანადის დიპლომატიური და საკონსულო სამსახურები მას შესაბამის დახმარებას გაუწევენ, მაგრამ თუ ეს უკანასკნელი იმ ქვეყნის მოქალაქედაც ითვლება, ზემოთ აღნიშნული სამსახურები მოკლებულნი იქნებიან მსგავს შესაძლებლობას. აღნიშნული პირი განიხილება, როგორც უკვე იმ ქვეყნის მოქალაქე, რადგან იმყოფება მის ტერიტორიაზე და ვალდებულია დაემორჩილოს მის შიდა

¹¹⁹ Canadian Citizenship And Immigration Acts. 1900–1977. p.98-100. <https://www.canada.ca/en/immigration-refugees-citizenship/corporate/mandate/acts-regulations.html>

იურისდიქციას. ამასთან, თუ პირი იმ ქვეყნის მოქალაქის პასპორტითაც მოგზაურობს, კანადა თავს იკავებს ყოველგვარი საგარეო ჩარევისაგან.

პირის მდგომარეობა უფრო გართულდება, თუ კანადა სამხედრო კონფლიქტშია ქვეყანასთან, რომლის მეორე მოქალაქეობაც გააჩნია მას და ამავდროულად იგი იმყოფება კანადაში. მას შეიძლება მოთხოვონ სამხედრო ვალდებულების შესრულება, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მოხდელი ჰქონდეს სამხედრო სამსახური მეორე ქვეყანაში. უფრო მეტიც, სამხედრო კონფლიქტის დროს, მეორე მოქალაქეობის მქონე ქვეყანაში მოქმედი განსაკუთრებული კანონების საფუძველზე, პირს ასეთი მოვალეობის შესრულება შეიძლება მოსთხოვოს ამ ქვეყანამაც, ხოლო პირის მიერ სხვადასხვა გარემოებების გამო მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში, ასეთ ქმედებას ჩათვლის როგორც ვალდებულებისაგან თავის არიდებას და მის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სისხლის სამართლის თუ ადმინისტრაციული სანქციები.

აშშ-ს ორმაგი მოქალაქეობის შესახებ შეთანხმებები არ გააჩნია არც ერთ სახელმწიფოსთან, რადგან ამერიკის შეერთებული შტატები ფორმალურად არ აღიარებს ორმაგ მოქალაქეობას. ზოგადად, ამერიკის კანონები ორმაგ მოქალაქეობას არ კრძალავენ, მაგრამ არც მიესალმებიან. ამერიკის მოქალაქეს შეუძლია გახდეს სხვა ქვეყნის მოქალაქე, მაგრამ ამერიკის ხელისუფლება არ აღიარებს მას და თვლის საკუთარი ქვეყნის მოქალაქედ. ამერიკის მოქალაქედ მიიჩნევა ნებისმიერ ადგილას დაბადებული ბავშვი, თუკი მისი მშობლები ამერიკის მოქალაქეები არიან ან თუკი მშობლები სხვა ქვეყნის მოქალაქეებს წარმოადგენენ, მაგრამ ბავშვი დაიბადება აშშ-ში.

ამერიკის მოქალაქეს შეუძლია შეინარჩუნოს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, მაგრამ მას აშშ-ს ტერიტორიაზე ვერ გამოიყენებს და იგი ამერიკის მოქალაქედ ითვლება იმ უფლებებითა და ქვეყნის მიმართ ვალდებულებებით, რაც ამერიკის მოქალაქეს გააჩნია აშშ-ს ტერიტორიაზე ცხოვრებისას.

შშ-ს მიერ 1787 წელს მიღებულმა კონსტიტუციამ განამტკიცა ადამიანის და მოქალაქის სხვადასხვა უფლება და თავისუფლება. კონსტიტუციამ აკრძალა სამოქალაქო უფლებები ჩამოერთვათ იმ პირების ოჯახის წევრებისათვის, რომლებიც გასამართლებულნი იყვნენ სახელმწიფო დალატისათვის. აღნიშნული კონსტიტუციით დადგინდა სხვადასხვა შტატის მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა. კონსტიტუციის თავდაპირველმა რედაქციამ არ დააკანონა მოქალაქეთა ბევრი პოლიტიკური და სამოქალაქო უფლება.¹²⁰

ამერიკის მოქალაქეს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში და ვალდებულია იხადოს გადასახადები. ისინი, ვინც აშშ-ს მოქალაქეები

¹²⁰ Иностранное конституционное право. под. ред. Маклакова В.В. юрист. Москва. 1997г. стр.13

ხდებიან, ვალდებულნი არიან დადონ ერთგულების ფიცი აშშ-ს მიმართ. ფიცის დადება ნიშნავს, რომ მისი დამდები უარს ამბობს შეინარჩუნოს ერთგულება სხვა ქვეყნის მიმართ, თუკი იგი ამერიკის მოქალაქე გახდა. ფიცის დადება ასევე ითვალისწინებს რიგ შეზღუდვებს ერთგულების დადასტურებასთან ერთად. მაგალითად, საზღვარგარეთ გასვლისას პირი უნდა სარგებლობდეს მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების პასპორტით და არა მეორე ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთით. მეორე ქვეყნის მოქალაქეობის პასპორტის დემონსტრირება ამ შემთხვევაში, შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მიცემული ფიცის დარღვევა, რომელიც შესაბამის უარყოფით შედეგებს გამოიწვევს.

არსებობენ ქვეყნები, რომლებიც სხვა ქვეყნისადმი ფიცის დადებას არ მიიჩნევენ ერთგულების აღიარების ფორმად და ასეთ მოქალაქეებს-„ფიცით განდგომილებს“-მაინც აღიარებენ თავის მოქალაქეებად. ამიტომ არის, რომ ამერიკაში ცხოვრობს ბევრი ფაქტობრივად შემდგარი ბიპატრიდი.¹²¹

სახელმწიფოს ერთგულებაზე ფიცის დადება ზოგჯერ განიხილება, როგორც სხვა ქვეყნის მოქალაქეობაზე უარის თქმა, მაგრამ, ამასთან ერთად, არ მოეთხოვება რაიმე კონკრეტული მოქმედების შესრულება ამის დასადასტურებლად, მაგალითად, ჩააბაროს შესაბამის ორგანოში ძველი პასპორტი ან მოქალაქეობის დამადასტურებელი რაიმე სხვა დოკუმენტი. ამასთან, გასათვალისწინებელია ის, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, მსგავსი ფიცის დადება თავისთავად არ ქმნის ახალ ვალდებულებებს და არ აუქმებს მოქალაქის ძველ ვალდებულებებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობასთან დაკავშირებით¹²²

სხვადასხვა ქვეყანაში მოქალაქეობის მოპოვების განსხვავებული წესები მოქმედებს, თუმცა ბინადრობის ცენზუს თითქმის ყველა ქვეყანა იყენებს. პრაქტიკაში იშვიათი არ არის აგრეთვე ბინადრობის ცენზუს არსებობა ქორწინებით ნატურალიზაციისათვისაც. მაგალითად, „ნორვეგიაში ქორწინების ვადა ემატება ქვეყანაში ცხოვრების ვადას და საბოლოო ჯამში, უდა შეადგენდეს 8 წელს, ამასთან, ნორვეგიაში ცხოვრების პერიოდი 2 წელზე ნაკლები არ უნდა იყოს.“¹²³

რაც შეეხება ამერიკის მოქალაქეობის მოპოვებას, არსებობს შემდეგი გზები: პირველი და ყველაზე მარტივი, დაბადება აშშ -ს ტერიტორიაზე, მეორე, დაბადება აშშ -ს ფარგლებს გარეთ ამერიკელი მოქალაქისაგან და მესამე გზა ამერიკის მოქალაქეობის მოპოვება ნატურალიზაციის გზით.

ნატურალიზაცია, ეს არის მოქალაქეობის მოპოვებასთან მიმავალი გზა, რომელიც გამოიყენება მხოლოდ ამერიკაში მუდმივად და კანონიერად

¹²¹ Любарский К. Одно или два гражданства? Российский бюллетень по правам человека. Вып. 3. Москва. 1994г. стр. 50

¹²² [http://ru: Wikipedia, org/wiki/Множественное гражданство](http://ru: Wikipedia, org/wiki/Множественное_гражданство); ბოლო ნახვა 30 მაისი, 2018წ.

¹²³ Information on Norwegian Citizenship. Oslo. 1992. p.9.

მცხოვრები პირების მიმართ. ნატურალიზაცია ამერიკაში მოითხოვს გარკვეულ წინაპირობებს, მათ შორის ერთ - ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, ხუთი წლის მუდმივი ცხოვრების ცენზი და შესაბამისად ყოფნა ქვეყნის ტერიტორიაზე, ქვეყნის ისტორიის და ენის ცოდნა, ასევე კარგი მორალური წარსულის ქონა.

„აშშ-ს მოქალაქეობის მოპოვება ბევრად უფრო რთულია, ვიდრე მისი დაკარგვა. ამერიკის უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვნად გაამარტივა წესები, რომლებიც ეხება მოქალაქეობის დაკარგვას. კერძოდ, თუ ამერიკის მოქალაქე მოიპოვებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას და იმსახურებს იმ ქვეყნის სამხედრო სამსახურში ან მთავრობაში, ან შემჩნეული იქნება ღალატში, ეს უკანასკნელი აუცილებლად დაკარგავს ამერიკის მოქალაქეობას.“¹²⁴

ამერიკის მოქალაქეობის მოპოვების ფაქტებზე და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ამომწურავად მსჯელობენ მეცნიერები მ. დები, ე.რიჩარდი, ა. კურტი ნაშრომში „იმიგრაცია და მოქალაქეობა“, სადაც ნებისმიერ კითხვაზე შევხვდებით პასუხს მოქალაქეობის ინსტიტუტთან დაკავშირებით, კერძოდ, როგორ მოიპოვება ამერიკის მოქალაქეობა შერეული ქორწინებიდან დაბადებული ბავშვისათვის, მიენიჭება თუ არა ამერიკის ფარგლებს გარეთ დაბადებულ ბავშვს, რომლის მშობლებიც ამერიკის მოქალაქეები არიან და ა.შ.¹²⁵

აშშ-ს მსგავსად, თურქეთის რესპუბლიკა არ ითხოვს ძველი მოქალაქეობის შეწყვეტას, თუკი პირი იმავდროულად მიიღებს თურქეთის მოქალაქეობას და ისევე, როგორც აშშ და სახელმწიფოების უმეტესობა ასეთ მოქალაქეებს თვლის საკუთარ მოქალაქეებად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მათზე ვრცელდება ყველა ის ვალდებულება სახელმწიფოს მიმართ, რაც განსაზღვრულია თურქეთის მოქალაქეებისათვის და მათ შორის, სამხედრო სამსახურის გავლის ვალდებულება, თუკი ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებით მხარეებს შორის არ არის დარეგულირებული მსგავსი კოლიზიები. შესაბამისად, ბიპატრიდი სარგებლობს იმ უფლებებით, რომლითაც სარგებლობს ჩვეულებრივ თურქეთის მოქალაქე. ეს ეხება ცხოვრების ყველა სფეროს: დაწყებული სოციალური დაზღვევიდან და პენსიის მიღების უფლებიდან. ბიპატრიდს შეუძლია ორივე ქვეყანაში მიიღოს სოციალური დახმარება და თურქეთი არ ეუბნება უარს არავის აღნიშნული დახმარების მიღებაზე. ნატურალიზაციისთვის აუცილებელია თურქეთში მუდმივად ცხოვრების ხუთწლიანი ვადა, მაგრამ შესაძლებელია ყველა ადმინისტრაციული ბარიერის გადალახვით მოიპოვო თურქეთის მოქალაქეობა სწრაფი პროცედურის გავლით, თუკი მოქალაქეობის კანდიდატი შეიძენს მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ქონებას თურქეთში და სამი წლის

¹²⁴ Debbi M. Richard E. Kurt A. US Immigration and Citizenship Q & A. Publisher. Sphinx Pub. 2 edition (September 8, 2006). p.200

¹²⁵ იქვე. გვ.200

განმავლობაში იქნება მისი მფლობელი. ამ შემთხვევაში, არა მარტო ამ პირს, არამედ მისი ყველა ოჯახის წევრს ეძლევა თურქეთის მოქალაქეობა.¹²⁶

ბავშვზე, რომლის ერთ-ერთი მშობელი თურქია და მეორე უცხო ქვეყნის მოქალაქე, ვრცელდება თურქეთის მოქალაქეობაზე უფლების მიღების პროცედურა და მისი დაცვის შემდეგ, ბავშვი ხდება თურქეთის მოქალაქე.

ძალიან საინტერესო მიდგომა აქვს მოქალაქეობის საკითხებისადმი ბრაზილიის კონსტიტუციას. კერძოდ, ბრაზილიის მოქალაქეობა, ისევე როგორც უმეტეს სახელმწიფოებში, მოიპოვება დაბადებით და ნატურალიზაციით. ამასთანავე, პორტუგალიურენოვანი მოსახლეობა სარგებლობს სხვადასხვა სახის შეღავათებით ნატურალიზაციით მოქალაქეობის მიღების დროს. ასევე, დაწესებულია ნატურალიზებული მოქალაქეებისათვის თანამდებობრივი შეზღუდვები. კერძოდ, მათ არ შეუძლიათ დაიკავონ პრეზიდენტის და პარლამენტის პალატების თავმჯდომარეთა თანამდებობები, გახდნენ დიპლომატები და ოფიცრები.¹²⁷ საბერძნეთი ევროკავშირის წევრ ქვეყანას წარმოადგენს და ამ ქვეყნის მოქალაქეობის მიღება მრავალი უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის სასურველია. ევროკავშირის მოქალაქეობა, მასტრიხტის 1992 წლის ხელშეკრულებით, განიხილება როგორც წმინდა სიმბოლური სტატუსი, ე.წ. „გამარტივებული მოქალაქეობა“,¹²⁸ რაც, რა თქმა უნდა, კომფორტულია თავად საბერძნეთის მოქალაქეთათვის, მაგრამ ზოგადად, საბერძნეთი დადებითად არ უყურებს სხვა ქვეყნების მოქალაქეთათვის საკუთარი მოქალაქეობის მინიჭებას. თუმცადა, საბერძნეთის კანონმდებლობით პირდაპირ არ არის აკრძალული ორმაგი მოქალაქეობა, მაგრამ იგი უფრო დადებითად უყურებს ტენდენციას, როდესაც საბერძნეთის მოქალაქე იღებს დამატებით უცხო ქვეყნის მოქალაქეობას და არა პირიქით.

საბერძნეთის კანონმდებლობა, იძულებულია რა, გაითვალისწინოს ევროკავშირის ქვეყნების ლიბერალური მიდგომა ამ საკითხისადმი, უშვებს გამონაკლისებს ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეებისთვის და თვლის მათ საკუთარ მოქალაქეებადაც და ისეთივე უფლებებს ანიჭებს, რა უფლებებითაც ბერძნები სარგებლობენ ევროკავშირის ქვეყნებში.

ეგრეთ წოდებული საინვესტიციო რეზიდენტურა არც საბერძნეთისთვის არის უცხო და თუკი უცხოელი შეიძენს არა ნაკლებ 250 000 ევროს ღირებულების უძრავ ქონებას ან არის მსხვილი ბიზნესის მფლობელი და ინვესტორი, იმ პირობით, რომ პირი ყოველ ხუთ წელიწადში

¹²⁶ <https://www.antalyahomes.com/investment-citizenship-in-turkey>; ნახვა 25.04.2018 წ.

¹²⁷ საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები.ნაწ. V. პას.რედ. ვ. გონაშვილი. თბილისელები. თბ. 2007წ. გვ.19.

¹²⁸ Treaty on European Union, official Journal of the European Communities 29.07.1992-191. Maas. W. Unrespected, unequal, hollow? Contingent citizenship and reversible rights in the European Union – Colombia Journal of the European Law, 2009, #15, p.265-280

განახორციელებს აღნიშნული თანხის ინვესტიციას. ამ კატეგორიას ასევე შეიძლება მიაკუთვნონ პირები, რომლებიც სტაბილურად იღებენ საზღვარგარეთიდან შემოსავალს 2000 ევროდან და ზემოთ. თუკი პირები აკმაყოფილებენ აღნიშნულ პირობას, შემდგომ ისინი გადიან უკვე მოქალაქეობის მიღების სტანდარტულ პროცედურას კანონმდებლობის შესაბამისად.¹²⁹

გერმანიაში ორმაგი მოქალაქეობის მიმართ კონკრეტული დამოკიდებულება არსებობს, რომელიც გამონაკლისების სახით უშვებს ორმაგი მოქალაქეობის შესაძლებლობას. თუმცადა, ამჟამად სახელმწიფო ნება უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის გერმანიის მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე მეტად თავშეკავებულია.

ნატურალიზაციის პროცესი გერმანიაში თუმცა არ წარმოადგენს მარტივს და ქმნის მთელ რიგ ბარიერებს უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის გერმანიის მოქალაქეობის არჩევისას, მაგრამ აღნიშნული პროცედურის გავლის შემდეგაც პირი ტოვებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას და ხდება გერმანიის მოქალაქე. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია დასაშვები განიხილებოდეს სხვა ქვეყნის მოქალაქეობის დატოვების საკითხი, თუკი პირი შეძლებს დაამტკიცოს, რომ პირვანდელი მოქალაქეობის დატოვება მის მდგომარეობას გააუარესებს და ზიანს მიაყენებს. ასეთ ზიანთა რიცხვს მიეკუთვნება:

1. საპროცენტო განაკვეთის გაზრდა, როდესაც ადრინდელი მოქალაქეობის ქვეყანაში მისი ბიზნესი, როგორც რეზიდენტისა, იბეგრება უფრო ნაკლები საპროცენტო განაკვეთით, ხოლო არარეზიდენტისა უფრო მეტით;
2. თუკი პირი მიიღებს გერმანიის მოქალაქეობის შეძენისას დაკარგავს საკუთრების უფლებას თავის ქვეყანაში უკვე შეძენილ უძრავ ქონებაზე.
3. პენსიის მიღება. თუ უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღებისას სახელმწიფო ართმევს პირს ამ ქვეყანაში პენსიის და სხვა სოციალური დახმარების მიღების შესაძლებლობას და მთელი ცხოვრების განმავლობაში დაგროვილი საპენსიო დანაზოგი იკარგება. ამ შემთხვევაში გერმანიის შესაბამის უწყებებს არ აქვთ უარის თქმის უფლება, მაგრამ იგი დაკარგავს დახმარების მიღების შესაძლებლობას გერმანიაში.¹³⁰

ორმაგი მოქალაქეობას შემთხვევა ასევე დასაშვებია, თუკი:

1. მეორე მოქალაქეობა დაკავშირებულია ევროკავშირის რომელიმე წევრის მოქალაქეობასთან და, გამონაკლისის წესით, შვეიცარიასთან, რომელიც არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა. ამ შემთხვევაში საჭიროა გერმანიაში

¹²⁹ <https://2ndpassports.com/greece-citizenship-by-investment/>. ნახვა 25.06.2018 წ.

¹³⁰ Amt Auswärtiges. "Federal Foreign Office - Law on Nationality". Auswaertiges-amt.de. Retrieved 1 April 2018.p.5

ცხოვრების 5 წლიანი ვადა. ყველა სხვა შემთხვევაში გერმანიის მოქალაქეობის მისაღებად პირმა უარი უნდა თქვას საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობაზე.¹³¹ არსებობს სხვა გამონაკლისებიც, რომლებიც ფასდება გარემოებისა და მიხედვით და მათი დადასტურების შემთხვევაში, პირს არ მოეთხოვება პირვანდელი მოქალაქეობის დაკარგვა გერმანიის მოქალაქეობის მისაღებად. ასეთი გარემოებები შესაძლებელია იყოს იმ ქვეყნის მოქალაქეობა, რომელიც არ უშვებს საკუთარი მოქალაქეობიდან თავისუფალი ნების გამოვლინებით დაკარგვის შესაძლებლობას (არგენტინა, ბოლივია, ბრაზილია, კოსტა-რიკა) ან მოქალაქეობიდან გასვლა დაკავშირებულია განსაკუთრებულ სირთულეებთან, ძვირადღირებულ ან დამამცირებელ პროცედურებთან (ავღანეთი, ალჟირი, ანგოლა, კუბა, ირანი, მაროკო, ერაყი, ლიბანი, ნიგერია, სირია, ტაილანდი, ტუნისი).

2. გერმანიის მოქალაქე იღებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას, რომელიც არ არის შვეიცარია ან ევროკავშირში შემავალი ქვეყანა და გერმანიის მთავრობას მიცემული აქვს შესაბამისი ნებართვა. აღნიშნული ნებართვის არქონა გერმანიის მოქალაქეობის ავტომატურად დაკარგვას იწვევს;

3. პირი წარმოადგენს ლტოლვილის სტატუსის მქონეს და გააჩნია შესაბამისი დოკუმენტი;

4. გერმანიის მოქალაქეთა ბავშვი, რომელიც მოქალაქეობას იღებს სხვა ქვეყანაში დაბადების ადგილის მიხედვით (ნიადაგის პრინციპი) ან ბავშვის ერთ-ერთი მშობელი გერმანელია;

5. 2000 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ არაგერმანელი მოქალაქეების მშობლებისგან დაბადებული ბავშვი, თუკი მშობელი გერმანიაში ცხოვრობს არანაკლებ 8 წლისა და ერთ-ერთი მშობელი მაინც ფლობს მუდმივი ბინადრობის უფლებას არანაკლებ 3 წლისა. ამ შემთხვევაში, სანამ 21 წლის ასაკს მიაღწევს, ბავშვი გერმანიაში უნდა ცხოვრობდეს არანაკლებ 8 წლისა ან სწავლობდეს გერმანულ სკოლაში 6 წლის განმავლობაში.¹³²

გერმანიისაგან განსხვავებით, საფრანგეთში ორმაგი მოქალაქეობა 1973 წლიდან არის დაშვებული. საფრანგეთში არსებობს მოქალაქეობის მოპოვების „სისხლის“ და „ნიადაგის“ პრინციპის პრაქტიკა, მაგრამ რაც შეეხება ორმაგ მოქალაქეობას, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ის დასაშვებია შემდეგი პრინციპის გათვალისწინებით: საფრანგეთის მოქალაქის მიერ სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღება არ იწვევს საფრანგეთის მოქალაქეობის დაკარგვას, მაგრამ სხვა ქვეყნის მოქალაქის

¹³¹ Treaty on the Functioning of the European Union. Article 20(2)c, p.7.

<http://www.lisbon-treaty.org/wcm/the-lisbon-treaty/treaty-on-the-functioning-of-the-european-union-and-comments.html>

¹³²Staatsangehörigkeitgesetz (StAG). Verordnung über die Zuständigkeit der Staatsangehörigkeitsbehörden, Allgemeine Verwaltungsvorschriften über Urkunden in Staatsangehörigkeitssachen (StAUrkVwV). 2017. S.32.

მიერ საფრანგეთის მოქალაქეობის მოპოვებისას, პირი კარგავს თავის მოქალაქეობას, თუ მის მოქალაქეობის ქვეყანა არ აღიარებს ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტს.¹³³

გერმანიის მსგავსად შვედეთი დიდი ხნის განმავლობაში ამბობდა უარს ორმაგი მოქალაქეობის დანარგვაზე, თუმცა დღეის მონაცემებით ქვეყნის პოლიტიკა ამ მიმართულებით, მნიშვნელოვნად შეიცვალა. 2001 წლიდან შვედეთი ორმაგი მოქალაქეობის უფლებას იძლევა და მოქალაქისათვის 2 პასპორტის მფლობელობა, განიხილება არა როგორც პრობლემა, არამედ როგორც მოქალაქეების ინტეგრაციისკენ გადადგმული ნაბიჯი.

დანიამი, ფინეთსა და ნორვეგიაში, 2014 წელს მიიღეს ახალი კანონები, რომელიც იძლევა ორმაგი მოქალაქეობის უფლებას, მაგრამ როგორც საგამონაკლისო და არა ჩვეულებრივ მიღებული წესით.

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოქალაქეობის საკითხს. აქვე გათვალისწინებულია ასევე ორმაგი მოქალაქეობის საკითხიც. „ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მოქალაქეებს უფლება აქვთ შეინარჩუნონ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა, იმ შემთხვევაში, თუ ბოსნიასა და ჰერცეგოვინას და შესაბამის სახელმწიფოს შორის ამ საკითხზე საპარლამენტო ასამბლეის მიერ დადებულია ორმხრივი შეთანხმება. კონსტიტუციაში ასევე განსაზღვრულია ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირების პილიტიკური უფლებები. აღნიშნული სტატუსის მქონე პირებს შეუძლიათ ხმა მისცენ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე, თუ ბოსნია და ჰერცეგოვინა არის მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.“¹³⁴

ძალიან საინტერესოა ესპანეთის კონსტიტუცია მოქალაქეობის საკითხებთან დაკავშირებით. ესპანეთს შეუძლია დადოს ხელშეკრულება ორმაგი მოქალაქეობის შესახებ მხოლოდ იბერიულ-ამერიკულ ქვეყნებთან, ან იმ ქვეყნებთან, რომლებსაც განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა ან აქვს ესპანეთთან. ამასთან, იმ ქვეყნებში, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით არ აღიარებენ თავისი მოქალაქეების უფლებას ორმხრივ საფუძველზე, ესპანელებს გააჩნიათ ნატურალიზაციის უფლება თავისი მოქალაქეობის დათმობის გარეშე.¹³⁵

სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე განხილული ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტისადმი, როგორც ჩანს, სახელმწიფოთა დამოკიდებულება სხვადასხვაგვარია, გარდა ერთი ფაქტისა. მიუხედავად იმისა, რომ

¹³³ Ingo von Münch. Die deutsche Staatsangehörigkeit: Vergangenheit — Gegenwart — Zukunft, 2007. S. 73

¹³⁴ საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწ.III. პას. რედაქტ. ვ. გონაშვილი. თბილისელები. თბ. 2006წ. გვ.17

¹³⁵ საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწ.III. პას. რედაქტ. ვ. გონაშვილი. თბილისელები. თბ. 2006წ. გვ.151.

სახელმწიფოები აღიარებენ ორმაგ მოქალაქეობას, ასეთი სტატუსის მატარებელ პირებს მაინც ეჭვის თვალთ უყურებენ, რაც პირველ რიგში გამოიხატება მათი საპასუხისმგებლო, სახელისუფლებო თანამდებობაზე დანიშნვისაგან თავის შეკავებაში.

ბიპატრიდთა მდგომარეობიდან გამომდინარე, უნდა დავეთანხმოთ და გვერდს ვერ აუვლით ფაქტს, რომ თუკი მოქალაქეს გააჩნია სხვა ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელი მოწმობაც, იგი ვერ ჩაითვლება მხოლოდ ერთი ქვეყნის მოქალაქედ, თუმცა ყველ ა ქვეყანა, რომელიც ორმაგ მოქალაქეობას აღიარებს, ასეთი სტატუსის მქონე პირებს მხოლოდ თავის მოქალაქეებად მიიჩნევს.

3.3. ორმაგი მოქალაქეობის რეგულირება ქართული კანონმდებლობის მიხედვით

საქართველოში, დღეს არსებული კანონმდებლობის საფუძველზე მოქმედებს ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტის გამოყენების შესაძლებლობა და მისი ხშირი გამოყენების შემთხვევები. ეს ყოველივე, ქვეყნის წინაშე ისეთივე პრობლემატურ საკითხებს აჩენს როგორცაა სხვა ქვეყნების შემთხვევაში, სადაც ორმაგი მოქალაქეობის გამოყენების პრინციპი სხვადასხვა ასპექტებით არის განპირობებული; როგორც აღვნიშნეთ, ეს ასპექტები შესაძლებელია დაკავშირებული იყოს პოლიტიკურ, სოციალურ, ეთნიკურ, კეთილმეზობლურ, ეკონომიკურ და სხვა თემებთან.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საქართველო გლობალური მსოფლიოს შემადგენელი ნაწილი და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის აქტიური მონაწილეა, ქვეყანას მოუწევს სამომავლოდ მრავალი ისეთი ასპექტის გათვალისწინება, რამაც შესაძლებელია დღის წესრიგში დასვას ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტის მიმართ სახელმწიფოს მიდგომის ცვლილების აუცილებლობა და სწორედ აქ უნდა გამოიჩინოს სახელმწიფომ სიფრთხილე, რადგან ორმაგი მოქალაქეობის მოპოვების გამარტივებას შესაძლებელია მოჰყვეს ქვეყნისათვის არასასურველი შედეგები მისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, როდესაც აუცილებლად არის გასათვალისწინებელი საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური სიტუაცია იმ ქვეყნების მიმართ, რომელთანაც მას დამაბული საგარეო პოლიტიკური ვითარება აქვს.

ზემოთ აღნიშნული უპირველეს ყოვლისა ეხება რუსეთს, რომელმაც მოქალაქეობის ინსტიტუტი საკუთარი პოლიტიკის გატარების იარაღად აქცია კავკასიის და არა მარტო კავკასიის რეგიონში, რომლის დასტურადაც გამოდგება რუსეთის მიერ მასობრივად საკუთარი პასპორტების დარიგება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის, რომელთაც

საქართველო დე იურე საკუთარ მოქალაქეებად განიხილავს, რადგან არ აღიარებს ამ ავტონომიური სუბიექტების დამოუკიდებლობას. აღნიშნული აქცია შემდგომში საფუძვლად გამოიყენა რუსეთმა, რაც 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტში გადაიზარდა, რომლის მთავარი ფორმულირება გახდა რუსეთის მოქალაქეების დაცვა საქართველოს მხრიდან განხორციელებული აგრესიისაგან.

რუსეთის კონსტიტუციის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით რუსეთის ფედერაცია მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები მოქალაქეების დაცვისა და მფარველობის გარანტიას იძლევა.¹³⁶ აღნიშნული დებულება რუსეთს განმტკიცებული აქვს არა მარტო საკუთარ კონსტიტუციასა და მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობაში, არამედ სხვა სამართლებრივ აქტებშიც, კერძოდ, 1996 წლის 31 მაისის კანონში „თავდაცვის შესახებ“, რომლითაც განსაზღვრულია რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ფორმირებების გამოყენების მიზნები და ნათქვამია: „რუსეთის ფედერაციისა და მისი მოქალაქეების, ასევე საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ფორმირებები შეიძლება გამოყენებულ იქნენ რუსეთის ფედერაციის ფარგლებს გარეთ შემდეგი ამოცანების გადასაჭრელად: რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა დაცვა შეიარაღებული თავდასხმისაგან რუსეთის ფედერაციის ფარგლებს გარეთ.“¹³⁷

მეტიც, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 2010 წლის 5 თებერვლის განკარგულებაში „რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინის შესახებ“, პირდაპირ იყო მითითებული, რომ „რუსეთის ფედერაცია კანონიერად თვლის სამხედრო ძალების გამოყენებას რუსეთის ფარგლებს გარეთ მცხოვრები საკუთარი მოქალაქეების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.“¹³⁸

უნდა აღინიშნოს, რომ შეიარაღებული ძალების გამოყენება საკუთარი მოქალაქეების დაცვის მიზნით ფართოდ გამოიყენება მსოფლიოში და იგი გათვალისწინებულია გაეროს წესდებითაც, სადაც მითითებულია ყოველი სახელმწიფოს თავდაცვის უფლებაზე აგრესიის შემთხვევაში.¹³⁹

გამომდინარე იქედან, რომ საკუთარ მოქალაქეებზე სხვა ქვეყნის მხრიდან აგრესია შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს მიმართაც აგრესიად, ამ მუხლით გათვალისწინებული დებულებების გამოყენება არ გასჭირვებია რუსეთს საკუთარი დანაშაულებრივი ქმედებების ასახნელად. გაეროში რუსეთის მუდმივი წარმომადგენლის ვ. ჩურკინის 2008 წლის 11 აგვისტოს

¹³⁶ Конституция Российской Федерации. 2018. Ст.61-2. <http://constitutionrf.ru/rzd-1/gl-2/st-61-krf>

¹³⁷ Федеральный закон об обороне. 15 мая 1996 г. Москва. ст.10. п.2-1. <http://docs.cntd.ru/document/9020348>

¹³⁸ О военной доктрине Российской Федерации. Указ Президента Российской Федерации от 5 февраля 2010 года № 146. – Москва. 2010. гл.3. п. 20. <https://www.prlib.ru/item/352098>

¹³⁹ გაეროს წესდება. მ. 51. <http://ungeorgia.ge/uploads/UNCharter.pdf>

ოფიციალურ წერილში გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მიმართ, სწორედ გაეროს წესდების აღნიშნულ მუხლზეა მითითებული და ნათქვამია, რომ „რუსეთის ფედერაციის სამხედრო მოსამსახურეებსა (ნაგულისხმებია სამხრეთ ოსეთში დისლოცირებული რუსეთის სამშვიდობო ძალები-ავტ.) და მოქალაქეებზე თავდასხმის მასშტაბი და ამ თავდასხმის შედეგად გამოწვეული მსხვერპლი ადასტურებს იმას, რომ ჩვენ საქმე გვაქვს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ შეიარაღებული ძალის უკანონო გამოყენებასთან. ასეთ პირობებში რუსეთის ფედერაცია იძულებული გახდა გამოეყენებინა თავდაცვის უფლება, რაც განმტკიცებულია გაეროს წესდების 51-ე მუხლში.“¹⁴⁰

„წარსულში და ამჟამად ზოგიერთი სამართალმცოდნის აზრით, გაეროს წესდების მიღების პერიოდშიც კი, სამართალი აღიარებდა ძალისმიერი ინტერვენციის უფლებას მოქალაქეების სიცოცხლისა და ქონების დასაცავად.“¹⁴¹

ისმის კითხვა: შესაძლებელია თუ არა ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრები საკუთარი მოქალაქეების უფლებების დარღვევა განიხილებოდეს, როგორც ქვეყანაზე შეიარაღებული თავდასხმა და არის თუ არა ეს მათ დასაცავად შეიარაღებული ძალების გამოყენების საფუძველი, რადგან ამის თაობაზე გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1974 წლის აგრესიის განმსაზღვრელ დოკუმენტში არაფერია ნათქვამი.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს სამართალმცოდნეთა უმრავლესობა, დღეს მიღებული მოსაზრებიდან გამომდინარე, ამ კითხვას დადებითად პასუხობს და ეთანხმება გამოჩენილი ბრიტანელი პროფესორის, საერთაშორისო სამართლის კომისიის წევრის დევიდ ბოუეტის აზრს, რომელიც აღნიშნავს: „არის ყველა საფუძველი, რათა ვამტკიცოთ, რომ მოქალაქეების დაცვა, მიუხედავად იმისა ისინი ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფებიან, თუ მის ფარგლებს გარეთ, თავისი არსით წარმოადგენს საკუთრივ ქვეყნის დაცვასაც.“¹⁴²

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც ვხედავთ, ორმაგი მოქალაქეობის საკითხი არც თუ ისე უსაფრთხო და ერთი ხელის მოსმით გადასაწყვეტ საკითხთა კატეგორიას განეკუთვნება, რადგან გასათვალისწინებელია ყოველი კონკრეტული გარემოება და ის რეალური მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება ესა თუ ის ქვეყანა.

სწორედ მრავალი ფაქტორის განხილვისა და საკითხის დეტალური ანალიზის შემთხვევაშია მისაღები ამ ინსტიტუციის მიმართ საკუთარი

¹⁴⁰ URL: rusmission.org/2/1/1221

¹⁴¹ Brownlie I. International Law and the Use of Force by States (1963) 289. Bowett Seif – Defence in International Law (1958). p. 87.

¹⁴² Bowett D. Self-Defense in International; The Lawbook Exchange, Ltd. ISBN-13: 9781584778554. 2003. p.92.

მიდგომის გამომუშავება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ყველა შესაძლო შედეგი, რომელთაც შეუძლიათ უარყოფითად იმოქმედოს სახელმწიფოს ნორმალურ განვითარებაზე. განხილულ უნდა იქნეს ყველა რისკი, რომელიც შესაძლებელია დადგეს ქვეყნის წინაშე ორმაგი მოქალაქეობის საკითხის გადაწყვეტისას.

ერთის მხრივ, ქვეყნის ჰუმანური სურვილი საკუთარი მოქალაქეობის გარეშე არ დატოვოს თავის ქვეყნის ეთნიკური შვილები ან ის ხალხი, რომელთაც წარსულში მჭიდრო კავშირი გააჩნდათ საქართველოსთან და ამჟამად მის საზღვრებს გარეთ ცხოვრობენ და მეორეს მხრივ, ქვეყნის უსაფრთხოების პრიორიტეტული დაცვა, ჰგავს სამართებლის ბასრ პირზე ბალანსირებას, რაც ოქროს შუალედის გამოძებნით უნდა დამთავრდეს.

დღეს საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებისთვის ის კანონმდებლობა გააჩნია, რომლითაც, ჩვენი აზრით, გათვალისწინებულია ქვეყნისათვის უარყოფითი შედეგების დადგომის შესაძლებლობა და მინიმალიზებულია რისკები. ამასთან, კანონმდებლობა მაქსიმალურად ითვალისწინებს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით დადგენილ ცივილურ მიდგომას ამ საკითხის მოგვარების მიმართ.

საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს, რომელთაც კანონის ამა თუ იმ საფუძვლით შეუწყდათ საქართველოს მოქალაქეობა, შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ თავისი სამშობლოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესის ერთ-ერთი საფუძვლით, რომელსაც მოქალაქეობის მინიჭებისას გაითვალისწინებს საქართველოს პრეზიდენტი.

ის გარემოება, რომ ამ ადამიანების რეინტეგრაცია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში სახელმწიფოს ინტერესს წარმოადგენს სწორედ ის მთავარი საფუძველია, რითაც შეიძლება იხელმძღვანელოს საქართველოს პრეზიდენტმა მოქალაქეობის მინიჭებისას. ასე, რომ აღნიშნული პირები იქნებიან როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებიც.

ორმაგი მოქალაქეობის მინიჭებისას დღეს არსებული ქვეყნის გეოპოლიტიკური რეალობიდან და იმ საფრთხეებიდან გამომდინარე, რაც ამჟამად სახელმწიფოებრიობის წინაშე დგას, კონტროლდება მოქალაქედ მისაღები კანდიდატურების პიროვნება, აღნიშნული პირები გადიან ყოველმხრივ შემოწმებას და ეს მიდგომა არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებს.

ვფიქრობთ, უახლოეს მომავალში მაინც უნდა გამოინახოს განსაკუთრებული მიდგომები საგამონაკლისო წესთან დაკავშირებით, გათვალისწინებულ იქნეს გარემოებები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საქართველოს სახელმწიფოებრიობას, მის უსაფრთხოებას და ხელისუფლების კონსტიტუციურ მოწყობას, რადგან სახელმწიფოს

უსაფრთხოება ის ქვაკუთხედაა, რომელზეც იგება ქვეყნისა და მასში მცხოვრები ხალხის მომავალი. ამასთან ერთად, გადასაწყვეტი იქნება საკითხი, თუ როგორ მოწესრიგდება ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთათვის სახელმწიფოს წინაშე არსებული ვალდებულებებისა და მისი უფლებების რეალიზაციის საკითხები, რადგან აღნიშნული პრობლემის წინაშე, როგორც უკვე განვიხილეთ, დგება ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტს აღიარებს და სავარაუდოა, რომ სახელმწიფოს ამ პრობლემების გადაჭრა და რეგულაცია ორმხრივი ხელშეკრულებების დადების საშუალებით მოუწევს.

ამიტომ არის საჭირო, რომ ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების პროცედურები და საერთოდაც, მისი დაშვების შესაძლებლობა, ზედმიწევნით იქნეს გაანალიზებული, რომელშიც შევა ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა, შექმნილი საგარეო-პოლიტიკური გარემო, სოციალური და ეკონომიკური, ასევე ეთნიკური ფაქტორები, სამეზობლო ურთიერთობები მოსაზღვრე ქვეყნებთან. დღეს საქართველოში შექმნილია ისეთი გარემოებები ამ საკითხებთან დაკავშირებით, რომ ვფიქრობთ, ამ ეტაპზე, ყოველი მათგანია გასათვალისწინებელი.

დღეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, რომელიც მოქალაქეობის ინსტიტუტს შეეხება, მოქალაქეობის მინიჭების უფლებამოსილება გააჩნია ასევე საქართველოს პრეზიდენტს, რომელსაც თავისი დისკრეციის ფარგლებში შეუძლია გადაწყვიტოს უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხი საგამონაკლისო წესით, თუკი საქართველოს წინაშე მას განსაკუთრებული დამსახურება აქვს.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის ცვლილებამდე, საქართველოში დადგენილი იყო ერთიანი მოქალაქეობა, რაც გამორიცხავდა საქართველოს მოქალაქის იმავდროულად სხვა ქვეყნის მოქალაქედ ყოფნის ფაქტს. 2004 წლის თებერვალში დასახელებულ მუხლში ცვლილების შეტანის შემდეგ, ორმაგი მოქალაქეობა დაშვებულ იქნა გამონაკლისის სახით. შესაბამისი მითითება გაკეთდა ორგანულ კანონში „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“, რომლის თანახმად: „...საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით შეიძლება მიანიჭოს სხვა ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურება აქვს ან რომლისთვისაც საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობს.“¹⁴³

საქართველოს პრეზიდენტს კანონით გათვალისწინებული ზოგადი წესის გვერდის ავლით, საქართველოს მოქალაქეობა შეუძლია მიანიჭოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეს, თუ:

¹⁴³ საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ. 2014 წ. 30 აპრილი. მ.17. matsne.gov.ge

ა) საქართველოს და კაცობრიობის წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება თავისი სამეცნიერო, საზოგადოებრივი საქმიანობით ან აქვს პროფესია და კვალიფიკაცია, რომლითაც დაინტერესებულია საქართველო;

ბ) მისი მიღება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.

როგორც ვხედავთ, მოქმედ კონსტიტუციაში 2004 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ქვეყანაში დადგინდა ნატურალიზაციის ახალი სახე - ნატურალიზაცია გამონაკლისის წესით, იგივე ორმაგი მოქალაქეობა, რაც ადრე დაუშვებელი იყო.

პროფესორი არჩილ ლორია არ ეთანხმება საქართველოში ორმაგი მოქალაქეობის დანერგვის წესს, მას ნაადრევად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ისეთი სუსტი სახელმწიფოსათვის, როგორც საქართველოა, ეს ფაქტი მძიმე ტვირთი იქნება და აქვე დასძენს, რომ ბიპატრიზმი, ისევე როგორც აპატრიზმი, ანომალური მოვლენებია, მიუხედავად მათი გავრცელების ფარგლებისა.¹⁴⁴

ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტს ძალიან ჰგავს საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული საქართველოს საპატიო მოქალაქეობა, რომელიც კანდიდატის თანხმობით შეიძლება მიენიჭოს უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს, მაგრამ თავისი სამართლებრივი ბუნებით იგი ძირეულად განსხვავდება მოქალაქეობისთვის დამახასიათებელი ნიშნებისაგან, რადგან იგი უცხოელისათვის საქართველოს მოქალაქისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პოლიტიკურ და მთელ რიგ ეკონომიკურ უფლებებსა და მოვალეობებს არ წარმოშობს. მაგალითად, საყოველთაო საარჩევნო უფლების რეალიზება სრულად არსად ხორციელდება, რადგან მოქმედებს გარკვეული შეზღუდვები - საარჩევნო ცენტრები, რომლებსაც უმეტეს შემთხვევაში თავად კონსტიტუცია აწესებს“.¹⁴⁵ საპატიო მოქალაქეობა ენიჭება პირს, „რომელსაც საქართველოს და კაცობრიობის წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება თავისი სამეცნიერო, საზოგადოებრივი საქმიანობით ან აქვს პროფესია და კვალიფიკაცია, რომლითაც დაინტერესებულია საქართველო და მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან.“¹⁴⁶ საქართველოს საპატიო მოქალაქეობას ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულებით „საპატიო მოქალაქის პრივილეგიებისა და იმუნიტეტის

¹⁴⁴ ლორია ა. ფილიაცია და ნატურალიზაცია საქართველოში.გამომც. მერიდიანი.თბ. 2004წ. გვ.132

¹⁴⁵ გეგენავა დ. ქანთარია ბ. ცანავა ლ. თევზაძე თ. მაჭარაძე ზ. ჯავახიშვილი პ. ერქვანია ქ. პაპაშვილი თ. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი. თბ. 2013წ. გვ.170

¹⁴⁶ საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ. 2014 წ. 30 აპრილი. მ.7. matsne.gov.ge

შესახებ“ განისაზღვრა საქართველოს საპატიო მოქალაქეების სამართლებრივი მდგომარეობა.

საქართველოსა და კაცობრიობის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, მაღლიერებისა და ღრმა პატივისცემის ნიშნად საქართველოს საპატიო მოქალაქეთათვის დაწესდა შემდეგი პრივილეგიები და იმუნიტეტი: საქართველოს ტერიტორიაზე შემოსასვლელ-გასასვლელი ვიზის გაცემა მოწვევის გარეშე; საპატიო მოქალაქეები გათავისუფლდნენ სავიზო მომსახურებისათვის დაწესებული გადასახადებისაგან; საქართველოში შემოსვლისა და გასვლის დროს საპატიო მოქალაქეების და მათი ოჯახის წევრების არაკომერციული საქმიანობისათვის განკუთვნილი პირადი ნივთები გათავისუფლდა საბაჟო გადასახადებისა და დათვალისათვისაგან; საქართველოში ყველა უწყებამ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ აღნიშნული ბრძანებით უნდა უზრუნველყოს საპატიო მოქალაქეთა ღირსეული და რიგგარეშე მომსახურება.¹⁴⁷

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ნორმატიული აქტი არ გულისხმობს ასეთი ტიპის მოქალაქეობის მქონე პირთათვის იმ უფლებების მინიჭებასა და ვალდებულებების დაკისრებას, რასაც ადგილი აქვს პოლიტიკური მოქალაქეობის მქონე პირების მიმართ, არამედ, კონკრეტულად განსაზღვრავს პრივილეგიებს და იმუნიტეტს, რომლებითაც შეიძლება ისარგებლოს საპატიო მოქალაქის ტიტულის მქონე პირმა. ეს ერთგვარი პატივისცემის გამოხატულების ფორმაა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მქონე პიროვნების მიმართ, რომელსაც გარკვეული დამსახურება გააჩნია საქართველოსა და კაცობრიობის წინაშე და ამ აქტით სახელმწიფომ გამოხატა თავისი მაღლიერება.

ზემოთ აღნიშნული ბრძანებულება შეიცვალა 2008 წლის 15 ივლისის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით „საქართველოს საპატიო მოქალაქეობის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“, რომელშიც უკვე ასე დაწვრილებით აღარ არის აღწერილი ის პრივილეგიები და იმუნიტეტი, რითაც სარგებლობდა ძალადაკარგული 1994 წლის ბრძანებულებით უცხო სახელმწიფოს მოქალაქე საქართველოს საპატიო მოქალაქეობის მიღებისას და, რომლითაც, გასაგები ხდებოდა კონკრეტულად რას გულისხმობდა ნორმატიული აქტი პრივილეგიებსა და იმუნიტეტში.

2008 წლის ბრძანებულების მე-10 მუხლის ფორმულირებით „საქართველოს საპატიო მოქალაქე სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პრივილეგიებითა და შეღავათებით“. ღიად რჩება საკითხი, თუ საქართველოს რომელი

¹⁴⁷ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება N 397. 1994 წ. 18 დეკემბერი. საქართველოს საპატიო მოქალაქის პრივილეგიებისა და იმუნიტეტის შესახებ. საქართველოს ეროვნული არქივი.

ნორმატიული აქტებით განსაზღვრული პრივილეგიებითა და შეღავათებით არის შესაძლებელი ისარგებლოს საპატიო მოქალაქის ტიტულის მქონე პირმა, თუკი პირდაპირ არ არის მითითებული ნორმატიული აქტი. ასეთი აქტი შესაძლებელია იყოს მხოლოდ მაშინ, თუ მასში პირდაპირ იქნება მითითებული საპატიო მოქალაქის სტატუსის მქონე პირის შესახებ.

საქართველოს საკანონმდებლო ისტორია თავისი განვითარების არც ერთ ეტაპზე ორმაგ მოქალაქეობას არ ცნობდა. თუმცა, განსაკუთრებული დამსახურებისათვის უცხოელს ანიჭებდნენ „საპატიო მოქალაქის“ სტატუსს. თუ კარგად გავანალიზებთ დამსახურების იმ ფარგლებს, რომლის მიხედვითაც ადრე საპატიო მოქალაქეობა ენიჭებოდათ, დღეს პრეზიდენტი საქართველოს მოქალაქეობას ანიჭებს სხვა ქვეყნის მოქალაქეს, თითქმის ისეთივე დამსახურებისათვის. რაც შეეხება ნატურალიზაციით მოქალაქეობის მოპოვების შემთხვევას, აქ საუბარია ისეთ განსაკუთრებულ პირობებზე, რომლებიც შეიძლება ნებისმიერი უცხოელისათვის პრეზიდენტმა „დამსახურებად“ ჩათვალოს.

ნატურალიზაცია მოქალაქეობის მოპოვების საკმაოდ გავრცელებული მეთოდია სხვადასხვა ქვეყნებში და მოქალაქედ მიღების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. მისი პირობები ყველა ქვეყნის მიერ ავტონომიურად ყალიბდება და განსხვავებული პირობების დაკმაყოფილებას გულისხმობს.

საერთაშორისო სამართლის კომისიის სპეციალურმა მომხსენებელმა ჰადსონმა თავისი მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: ზოგიერთი სახელმწიფოს სამართლის თანახმად, მოქალაქეობის მინიჭება ხდება ავტომატურად კანონის ძალით, როგორც სამოქალაქო სტატუსში მომხდარი გარკვეული ცვლილებების შედეგი: შვილება, ქორწინებაგარეშე ბავშვის შვილად აყვანა, მამობის დადგენით აღიარება, ქორწინება.¹⁴⁸

გარდა აღნიშნულისა, ადამიანები ხშირად მიმართავენ არაკანონიერად მოქალაქეობის მოპოვების ხერხებს, მათ შორის საკმაოდ გავრცელებულ „ფიქტიურ ქორწინებას“, რომელიც „არ შეიძლება წარმოადგენდეს ნატურალიზაციის საფუძველს. 1972 წლის 14 დეკემბერს გფრ-ის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო ორგანოს შეცდომით პირის მიერ გფრ-ის პასპორტის ფლობა არ წარმოადგენს ამ სახელმწიფოს სახელმწიფო კუთვნილების მოპოვების საფუძველს.“¹⁴⁹

გაეროს გენერალურმა მდივანმა 1953 წელს ჩაატარა კვლევა 70 ქვეყანაში და დაადგინა, რომ 22 ქვეყანა ცოლს ავტომატურად ანიჭებდა მეუღლის მოქალაქეობას, 44 ქვეყანაში მოქალაქეობის მოპოვება პირობითი იყო, ხოლო

¹⁴⁸ Brownlie's Principles of Public International Law. Oxford University Press. 2010. P.428

¹⁴⁹ Bleskman A. Staatsangehörigkeitserwerb Kraft Vertrauensschützes? – Zeitschrift für ausländisches öffentliches Und Privatrecht. Band 34. 1974. Nr.2, p.320-329.

4 ქვეყანაში ქორწინებას მოქალაქეობის მოპოვების მიზნით არანაირი შედეგი ჰქონდა.

გათხოვილ ქალთა მოქალაქეობის უფლებას იცავს სახელმწიფოთა უმეტესობა და აქვთ მკაფიოდ გამოხატული მიდგომა ქორწინების შედეგად ქალის მოქალაქეობის შეცვლასთან დაკავშირებით, არც ქორწინება, არც განქორწინება არ უნდა იყოს ცოლის მოქალაქეობაზე ზეგავლენის მომხდენი, თუმცა დაშვებულია, რომ თუ ქალს სურს მეუღლის მოქალაქეობის მიღება, მისი თხოვნის საფუძველზე ნატურალიზაციის მეშვეობით ის მიიღებს მეუღლის მოქალაქეობას.

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ 1979 წლის 18 დეკემბერს მიღებული კონვენცია შეიცავს შემდეგ დებულებებს:¹⁵⁰ მონაწილე სახელმწიფოები ქალს უფლებრივად უთანაბრებენ მამაკაცს მის მიერ მოქალაქეობის შექმნის, შეცვლის და შენარჩუნების დროს. ასევე, ქალს უფლებრივად უთანაბრებენ მამაკაცს, მათი შვილების მოქალაქეობის განსაზღვრისას.

მართალია, საქართველოში ნატურალიზაციით მოქალაქეთა მიღება საგამონაკლისო წესითაც შეიძლება, მაგრამ თუ გადავხედავთ სტატისტიკას, რომლის მიხედვითაც უამრავი სხვა სახელმწიფოს მოქალაქე იღებს ყოველთვიურად (რომ აღარაფერი ვთქვათ წლიურ ოდენობაზე) საქართველოს მოქალაქეობას, აღნიშნულ წესს გამონაკლისს ნამდვილად ვეღარ ვუწოდებთ.

საერთაშორისო - სამართლებრივ სივრცეში არ არსებობს ერთგვაროვანი მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით. ძნელი გასარკვევი და დაუდგენელია უცხოელის მიერ საქართველოსათვის გაწეული „ღვაწლის“ ფარგლები. როგორ და რა კრიტერიუმებით უნდა განვსაზღვროთ უცხოელის ღვაწლი და ინტერესები საქართველოს მიმართ?

აღნიშნული პირობები თითქმის ერთნაირადაა გაწერილი ორგანულ კანონში „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“, მე-3, მე-15 და მე-17 მუხლებში, ასევე მე-7 მუხლშიც, რომელიც საქართველოს საპატიო მოქალაქეობის მოპოვების წესს ადგენს.

2014 წლამდე მოქმედი მოქალაქეობის შესახებ 1993 წლის კანონის სულ ცოტა სამი ნორმა მიუთითებდა „უცხოელის მხრიდან განსაკუთრებულ დამსახურებათა“ თაობაზე, რაც მკვლევართა სამართლიან კრიტიკას იწვევდა. „აღნიშნულიდან აშკარაა, რომ ერთი ნორმატიული აქტის სამი სხვადასხვა ნორმა ფიზიკური პირისათვის მოქალაქეობის სამი სხვადასხვა სტატუსის მინიჭებისათვის, ფაქტობრივად ერთგვაროვან მოთხოვნებს ადგენს. ძირითადი სხვაობა მათ შორის მხოლოდ ისაა, რომ ორმაგი

¹⁵⁰ Brownlie I. Basic documents on human rights. Oxford University Press. 2006. Ian Brownlie & Guy S. Goodwin-Gill. V. 2006, p.176.

მოქალაქეობის მოსაპოვებლად, განსხვავებით მე-3, მე-14, მე-15, მე-17 მუხლებისაგან, აუცილებელი არაა კაცობრიობის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების არსებობა, როცა სწორედ რომ პირიქით უნდა იყოს“.¹⁵¹

კანონის ამგვარი შინაარსი, ჩვენი აზრით, საკმაოდ უხერხულ სიტუაციას წარმოშობს. ა.ლორია აღნიშნავს-გაუგებარია, სამი ადამიანის მიერ ერთი და იმავე პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, რომელს უნდა მივანიჭოთ საპატიო მოქალაქეობა, რომელს ჩვეულებრივი და რომელს ორმაგი მოქალაქეობა ან რა განსხვავებული კრიტერიუმებით უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს პრეზიდენტმა ამ საკითხის გადასაჭრელად? მიგვაჩნია, რომ ნატურალიზაციის ამ ახალი სახის შემოღება საქართველოსათვის ამ ეტაპზე მაინც, საკმაოდ ნაადრევია და დაგვიანებული არ იქნება მისი გაუქმება. ასევე, აუცილებლად მიგვაჩნია, საკანონმდებლო წესით დადგინდეს, გამონაკლისის წესით უცხოელი მოქალაქის საქართველოს მოქალაქედ მიღებისათვის საჭირო და აუცილებელი მოთხოვნების უფრო კონკრეტულად განსაზღვრა.

მოქალაქეობის ინსტიტუტთან და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, არაერთხელ გამოთქვა თავისი შეხედულებები, შენიშვნები და სარეკომენდაციო წინადადებები ა. ლორიამ თავის ნაშრომში, რომელთა გათვალისწინება კანონმდებლობის სრულყოფას გამოიწვევდა.¹⁵²

სხვადასხვა სახელმწიფოში ბიპატრიზმის დაშვებისა და ამ სტატუსის საკითხი სხვადასხვაგვარად ხდება და როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, არ არსებობს ერთიანი სამართლებრივი აქტი, რომელიც ყველა სახელმწიფოსათვის, რომელიც ორმაგ მოქალაქეობას ცნობს, საერთო იქნებოდა.

ჯერ კიდევ ერთა ლიგის მიერ მიღებული კონვენცია „ზოგიერთი საკითხის შესახებ, რომელიც მოქალაქეობის კოლიზიურ კანონებს ეხება“- განსაზღვრავს რამოდენიმე სახელმწიფოს მოქალაქეობის მქონე პირთა სტატუსს. კერძოდ, მისი მე-3 მუხლის თანახმად „კონვენციის დებულებათა შესაბამისად პირი, რომელსაც გააჩნია ორი ან მეტი მოქალაქეობა, შეიძლება მოქალაქეობის მქონე ქვეყნების მიერ განხილულ იქნეს, როგორც თავისი მოქალაქე“. ¹⁵³

კონვენციის მე-5 მუხლი კი ორმაგი ან მეტი მოქალაქეობის მქონე პირის სტატუსის განსაზღვრას სხვა მესამე ქვეყნების ტერიტორიაზე შემდეგნაირად წყვეტს: „მესამე ქვეყანაში მყოფი ორი ან მეტი მოქალაქეობის მქონე პირი განიხილება, როგორც ერთი მოქალაქეობის მქონე. მესამე ქვეყანა

¹⁵¹ ლორია ა. ფილიაცია და ნატურალიზაცია საქართველოში. თბ. მერიდიანი, 2009წ, გვ.131
¹⁵² ლორია ა. მოქალაქეობა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. თბ. 1996წ. გვ.68-77
¹⁵³ Convention on Certain Questions Relating to the Conflict of Nationality Law. League of Nations, April 1930. Article 3. Treaty Series, vol. 179, p. 89. No. 4137. <http://www.refworld.org/docid/3ae6b3b00.html> [accessed 13 June 2018]

თავის ტერიტორიაზე მყოფი ასეთი პირის მოქალაქეობას განსაზღვრავს იმ ქვეყნის მიხედვით, რომელშიც ეს პირი უპირატესად ცხოვრობს ან იმ ქვეყნის მიხედვით, რომელთანაც ყველაზე უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული, ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რომელშიც იგი იმყოფება“.¹⁵⁴

აღნიშნული კონვენციით განისაზღვრა, რომ ყოველი სახელმწიფო თავის შიდა კანონმდებლობით დამოუკიდებლად განსაზღვრავს ორმაგი მოქალაქეობის კრიტერიუმებს, მაგრამ ამავე დროს, იზღუდება ამ სახელმწიფოს შესაძლებლობა დიპლომატიური დახმარება აღმოუჩინოს თავის მოქალაქეს, თუ იგი იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე აღმოჩნდება, რომლის მეორე მოქალაქეობაც მას გააჩნია. რომელიმე მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ბიპატრიდის მოქალაქეობა განისაზღვრება მხოლოდ ერთი რომელიმე სახელმწიფოს მოქალაქეობით, რომლის პასპორტითაც მან გადაკვეთა საზღვარი.

კონვენციის მიხედვით, პირს შეუძლია უარი თქვას ორმაგ მოქალაქეობაზე მხოლოდ შესაბამისი სახელმწიფოს თანხმობის შემდეგ. ამავე კონვენციის დამატებითი ოქმის შესაბამისად, მოწესრიგებულია ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირის სამხედრო ვალდებულების მოხდის საკითხი, რომლის მიხედვით, ორი ან მეტი სახელმწიფოს მოქალაქეობის მქონე პირი, რომელიც ჩვეულებრივ ცხოვრობს ერთ-ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და უფრო მეტადაა დაკავშირებული ამ სახელმწიფოსთან, სამხედრო ვალდებულებას იხდის ამ სახელმწიფოში, ხოლო სხვა ქვეყანაში ასეთი ვალდებულებისაგან თავისუფლდება.

ორმაგი მოქალაქეობა შეიძლება წარმოიქმნას სხვადასხვა მიზეზების გამო:

ა) ბავშვის „ნიადაგის პრინციპის“ მქონე სახელმწიფოში დაბადებისას, თუ მისი მშობლების სახელმწიფოები აღიარებენ „სისხლის პრინციპს“;

ბ) ქალის ქორწინებით უცხოელთან, თუ მისი ქვეყნის კანონმდებლობით იგი არ კარგავს ავტომატურად მოქალაქეობას, ხოლო ქმრის ქვეყნის კანონმდებლობით ავტომატურად ენიჭება მოქალაქეობა (თურქეთი);

გ) ნატურალიზაციით, როდესაც ორივე ქვეყნის კანონმდებლობით ჩვეულებრივ დაშვებულია ორმაგი მოქალაქეობა და სხვ.

„ნატურალიზაცია გულისხმობს დაბადების შემდგომ სიმბოლურ და პოლიტიკურ „ხელახალ“ დაბადებას ახალ საზოგადოებაში“¹⁵⁵

¹⁵⁴ Convention on Certain Questions Relating to the Conflict of Nationality Law. League of Nations, April 1930. Article 4. Treaty Series, vol. 179, p. 89. No. 4137. <http://www.refworld.org/docid/3ae6b3b00.html> [accessed 13 June 2018]

¹⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი. ავტორთა კოლექტივი. დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბ. 2014წ. გვ. 359

ნატურალიზაციით მოქალაქეობის მოპოვების წესი გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, „როცა უცხო სახელმწიფოს მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი მოიპოვებს ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქეობას, რაც შესაბამისი კომპეტენციის მქონე სახელმწიფო ორგანოს მიერ ხორციელდება“.¹⁵⁶

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“, მე-17 მუხლი ადგენს ნატურალიზაციის განსაკუთრებულ პირობებს. ამ ნორმის თანახმად, „საქართველოს პრეზიდენტს, ცალკეულ შემთხვევებში, უფლება აქვს საქართველოს მოქალაქედ მიიღოს პირი, თუ:

ა) საქართველოს და კაცობრიობის წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება თავისი სამეცნიერო, საზოგადოებრივი საქმიანობით, ან აქვს პროფესია და კვალიფიკაცია, რომლითაც დაინტერესებულია საქართველო;

ბ) მისი მიღება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან;

გასაგებია, რომ აქ ყურადღება გამახვილებულია განსაკუთრებულ პირობებზე, რომელიც გათვალისწინებულია დიდი დამსახურების მქონე პირთათვის. „ყოველგვარი ცენზებისა და დამატებითი მოთხოვნების გარეშე მოქალაქედ მიიღება არა მხოლოდ განსაკუთრებული დამსახურების მქონე პირები, არამედ საქართველოსათვის საჭირო, მაგრამ დეფიციტური პროფესიისა და კვალიფიკაციის მქონე ადამიანებიც, რომელთაც შეუძლიათ დიდი წვლილი შეიტანონ ქვეყნის ცხოვრებაში თავიანთი განსაკუთრებული ცოდნისა თუ კვალიფიკაციის შესაბამისად, თუნდაც დეფიციტური პროფესიების განვითარების კუთხით.

მართალია, მნიშვნელოვანი პროფესიისა და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები დაფასების ღირსნი არიან, მაგრამ მათი განსაკუთრებული უნარი სახელმწიფოს წინაშე დიდ დამსახურებად მაინც არ არის მიჩნეული განვითარებული ქვეყნების მიერ. მიღებულია, რომ საჭიროების შემთხვევაში, ცალკეული სფეროს განვითარების მიზნით, შეიძლება მოწვეულ იქნენ უცხოელი სპეციალისტები, რომლებიც სათანადო გასამრჯელოს სანაცვლოდ შეასრულებენ თავიანთ სამუშაოს და მოქალაქეობის მინიჭებით მათი დაჯილდოვება სულაც არ არის აუცილებელი. ვფიქრობთ, უცხოეთის განვითარებულ სახელმწიფოებში გავრცელებული ამგვარი მიდგომა სავსებით გამართლებულია, რადგან სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურება პერსპექტივაში კი არ უნდა მოიაზრებოდეს, არამედ უკვე დამდგარი, რეალური ფაქტი უნდა იყოს.“¹⁵⁷

¹⁵⁶ საქართველოს კონსტიტუციური სამართალი. რუხაძე ზ. სამეცნ. რედ. ლორია ვ. სახელმძღვანელო გამოცემულია ამერიკის ადვიკატთა ასოციაციის ფინანსური მხარდაჭერით. ბათუმი. გვ.132. 1999წ.

¹⁵⁷ ლორია ა. ფილიაცია და ნატურალიზაცია საქართველოში. მერიდიანი. თბ. 2009წ. გვ.121

არავისთვის უცხო არ არის, რომ ნებისმიერ ქვეყანაში პირისთვის მოქალაქეობის მინიჭება არის უმაღლესი პრივილეგია და მის მისაღებად მხოლოდ მაღალი კვალიფიკაცია საკმარისი არ არის. ამასთანავე, არსად ეროვნულ კანონმდებლობაში დაზუსტებული არ არის როგორი ან რა სახის საქმიანობა ითვლება ქვეყნისათვის განსაკუთრებულ დამსახურებად, ასევე არაა განსაზღვრული, რომელი უწყება ან თანამდებობის პირი ადგენს ასეთი დამსახურების საზღვრებს, აქედან გამომდინარე ნათელია, რომ გადაწყვეტილებას შეუზღუდავად, სრულიად დამოუკიდებლად, მხოლოდ საკუთარი შეხედულებებიდან გამომდინარე, იღებს პრეზიდენტი. ეს მის სუვერენულ უფლებას წარმოადგენს.

როგორც პროფესორი ა.ლორია აღნიშნავს, „...ჯერ ერთი, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს შენარჩუნებისათვის ბრძოლაში მონაწილე აინშტაინის პოვნა ძალიან გაჭირდება, და მეორე, იმედია, ჩვენი კანონმდებელი საქართველოს კაცობრიობის ნაწილადაც მოიაზრებს. ამდენად, კაცობრიობის წინაშე გაწეული დიდი დამსახურება საკმარისი უნდა იყოს მოქალაქეობის მოსაპოვებლად და დამატებით საქართველოს წინაშე გმირობის ჩადენა აღარ უნდა მოვითხოვოთ. რასაკვირველია, ეს დამსახურება იმდენად დიდი უნდა იყოს, რომ გარკვეულწილად საქართველოსთვისაც იყოს სასარგებლო, თორემ ყველა მეტ-ნაკლებად გამოჩენილი ადამიანის მოქალაქეობის ქვეყანა საქართველო ვერ გახდება.“¹⁵⁸

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საერთო წესით დადგენილი მოთხოვნების დაუცველად, საქართველოს მოქალაქედ შეიძლება მიღებულ იქნას აგრეთვე ის უცხოელი, რომლის მოქალაქედ მიღებაც გამომდინარეობს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან.¹⁵⁹

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ განსაკუთრებული პირობებით საქართველოს მოქალაქეობის მისანიჭებლად საჭიროა დაინტერესებულ პირს ჰქონდეს განსაკუთრებული დამსახურება კაცობრიობისა და ქვეყნის წინაშე ან პროფესია და კვალიფიკაცია, რითაც დაინტერესებულია სახელმწიფო. ამიტომ კითხვა - თუ რა გარემოებებია, რაც სახელმწიფოს მხრიდან ინტერესის სფეროს წარმოადგენს, რომ ყოველგვარი პირობების დაუცველად, დაუყოვნებლივ, ყოველგვარი სამართლებრივი პროცედურების გარეშე, კერძოდ, ბინადრობის ცენზის, ენის ცოდნისა და შემოსავლის წყაროს მოთხოვნის გარეშე მიგველო უცხოელი საქართველოს მოქალაქედ.

თავისთავად ცხადია, ეს გარემოებები პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკასთან. თუკი, მაგალითად, საქართველო დაინტერესდება საზღვარგარეთ მყოფი ქართველების უკან,

¹⁵⁸ ლორია ა. ფილიაცია და ნატურალიზაცია საქართველოში. მერიდიანი. თბ. 2009წ. გვ.123

¹⁵⁹ საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ. 2014 წ. მ.17. matsne.gov.ge

სამშობლოში დაბრუნებით, რაც მათი სახით მოქალაქეთა რაოდენობის მატებასთან პირდაპირ კავშირშია და ეს პროცესი დადებითად იმოქმედებს ქვეყნის, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური და დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებაზე.

ეროვნულმა კანონმდებლობამ დღემდე ვერ მოახერხა ეთნიკური ქართველებისათვის გამარტივებული წესით საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების მექანიზმის დადგენა. მოქალაქეობის შესახებ კანონი ითვალისწინებს პირთა უკან დაბრუნების და საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მოპოვების ერთადერთ შესაძლებლობას, რომლებმაც კანონის შესაბამისად ვერ მოახერხეს მოქალაქეობის დადგენა და მოქალაქეობის დროულად მიღება.¹⁶⁰ ასეთი პირების მიმართ, ნატურალიზაციის საერთო წესის გამოყენება კი, სავარაუდოდ, არასწორი იქნებოდა, რადგან მათ ათი წელი მაინც დასჭირდებოდათ ლოდინი საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად, რაც, რა თქმა უნდა, შეამცირებდა სამშობლოში დაბრუნების მსურველთა რაოდენობას.

ნატურალიზაციის ახალი სახე - ნატურალიზაცია გამონაკლისის წესით, იგივე ორმაგი მოქალაქეობა, რაც ადრე დაუშვებელი იყო, დადგინდა საქართველოში მოქმედი მოქალაქეობის შესახებ კანონის შესაბამისად, რაც გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემდგომ მოიპოვება.

„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის თანამედროვე რედაქციაში, რომელიც ფაქტობრივად იმეორებს კონსტიტუციის მე-12 მუხლის შინაარსს, აღნიშნულია, რომ „საქართველოს მოქალაქეობის იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე, გარდა ამ კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.“¹⁶¹

საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან რომლისთვისაც საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.

ორმაგი მოქალაქეობის-ბიპატრიზმის ცნებაში როგორც წესი, იგულისხმება არა მხოლოდ ორი ქვეყნის, არამედ ორზე მეტი ქვეყნის მოქალაქეობაც, რომლის გამომწვევი მიზეზები სხვადასხვაგვარია: მოსახლეობის მიგრაცია, სახელმწიფოთა ტერიტორიების და საზღვრების ცვლილებები, შერეული ქორწინებები და მრავალი სხვა.

ორმაგი მოქალაქეების სამართლებრივ მდგომარეობას ორი მხარე აქვს. ერთის მხრივ, ისინი ემორჩილებიან საკუთარი ქვეყნის კანონებს, ხოლო

¹⁶⁰ საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ, 2014 წ. მ.18. matsne.gov.ge

¹⁶¹ საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ. 2014 წ. მ.3 (3) matsne.gov.ge

მეორის მხრივ, ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონებს, რომლის დროებით იურისდიქციაშიც ისინი ექცევიან მის ტერიტორიაზე ყოფნის დროს. მდგომარეობა რთულდება, როდესაც ორი ქვეყნის კანონმდებლობა პირის სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრისას ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ამ დროს სახეზე გვაქვს სახელმწიფოთა კონკურენტული იურისდიქციის შემთხვევის წარმოქმნა, როდესაც ნორმათა კოლიზია პირის უფლებათა და მოვალეობათა წრეს მკაფიოდ ვერ განსაზღვრავს, რადგანაც ყოველი სახელმწიფო, რომელიც ბიპატრიდს თავის მოქალაქედ თვლის, მისგან ითხოვს სამოქალაქო, პოლიტიკური, ადმინისტრაციული, სამხედრო თუ საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას.

ბიპატრიდს, რომელიც მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფება, უფლება არ აქვს უარი განაცხადოს ამ მოვალეობების შესრულებაზე იმ მოტივით, რომ იგი სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა. ამასთან დაკავშირებით წარმოიქმნება მთელი რიგი გაუგებრობები სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებში, რომელთა გადაწყვეტა გლობალურ მიდგომას საჭიროებს.

ნებისმიერი უცხო ქვეყნის მოქალაქეს შეუძლია განცხადებით მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს და მოითხოვოს თავისი ქვეყნის მოქალაქეობის პარალელურად, მიიღოს საქართველოს მოქალაქეობაც, ანუ გახდეს „ორმაგი მოქალაქეობის“ მქონე პირი, რაც რეგულირდება საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად.

ორმაგი მოქალაქეობის მისაღებად არსებობს სხვადასხვა სახის კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას, მიანიჭოს თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობაც. ორი განსაკუთრებული პირობა, რომლიდანაც ერთ - ერთის არსებობის შემთხვევაში პრეზიდენტი დადებით გადაწყვეტილებას იღებს, ეს არის განსაკუთრებული დამსახურება საქართველოს სახელმწიფოს წინაშე და გამომდინარეობს თუ არა სახელმწიფოს ინტერესებიდან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება.

ორმაგი მოქალაქეობის მოსაპოვებლად სხვადასხვა ფორმალური და სამართლებრივი პროცედურების გავლაა აუცილებელი, მნიშვნელობა არა აქვს ეთნიკურ წარმომავლობას.

ჩვეულებრივ, საქართველოში მოქალაქეობის მოსაპოვებლად აუცილებელია პირს ჰქონდეს სურვილი, გახდეს საქართველოს მოქალაქე, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ცხოვრობდეს საქართველოს ტერიტორიაზე, ფლობდეს ქართულ ენას, შესაბამისი დოზით იცოდეს საქართველოს ისტორია და სამართლის საფუძვლები, ჰქონდეს სამსახური ან უძრავი ქონება საქართველოში, არ ჰქონდეს ჩადენილი საერთაშორისო დანაშაული

მშვიდობისა და ადამიანობის წინააღმდეგ, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო დანაშაული.¹⁶²

სხვა ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების გამარტივებული გზა არის ადგილობრივ მოქალაქეზე დაქორწინება. ამ შემთხვევაში საქართველოში ცხოვრების ვადად მისთვის განსაზღვრულია არა ხუთი, არამედ ორი წელი. ორმაგი მოქალაქეობის მთავარი ხიბლი და პრივილეგია არის ის, რომ ამ სტატუსის მქონე პირებს თავისუფლად შეუძლიათ გადაადგილება ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე უვიზოდ. ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების ექსკლუზიური გადაწყვეტილების უფლება მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს გააჩნია, ასევე ყოველგვარი წინაპირობების გარეშე პრეზიდენტს შეუძლია გასცეს ორმაგი მოქალაქეობა კონკრეტული დამსახურებისათვის.

საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საქართველოს ყველა მოქალაქე, ვინც მიიღებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას, კარგავს საქართველოს მოქალაქეობას. ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ აფხაზი და ოსი ხალხის 90 %-ზე მეტს მიღებული აქვს რუსეთის მოქალაქეობა, რაც თავისთავად საქართველოს მოქალაქეობის გაუქმების საფუძველს ქმნის. ჩვენი აზრით, საქართველოს მოქალაქეებმა, რომლებმაც იძულებით მიიღეს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, საქართველოს მოქალაქეობა არ უნდა დაკარგონ, რადგან სიტუაციის დარეგულირების და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდგომ, ეს საკითხი აუცილებლად დადგება განხილვის რეჟიმში. კანონში აღნიშნული პუნქტი უფრო მეტი ყურადღებით რომ ჩაეწერათ, საქართველო თავის მოქალაქეთა ასეთ რაოდენობას არ დაკარგავდა.

არავისთვის არის უცხო, რომ სხვადასხვა მიზეზთა გამო საქართველოდან უამრავი მოქალაქეა გადახვეწილი და მიღებული აქვთ იმ ქვეყნის მოქალაქეობა, სადაც ისინი იმყოფებიან. ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით, მათ უკვე შეწყვეტილი აქვთ საქართველოს მოქალაქეობა. ბევრი მათგანი მაღავს მეორე მოქალაქეობის ფაქტს, იმის გამო, რომ არ შეუწყდეს საქართველოს მოქალაქეობა, შესაბამისად არც სხვა ქვეყნის პასპორტს აჩენენ საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის დროს.

ყველა განვითარებული სახელმწიფო, რომელიც ცნობს ორმაგ მოქალაქეობას, თავის ქვეყნის მოქალაქეებს არ უწყვეტს მოქალაქეობას, თუმცა საკუთარ ტერიტორიაზე ამ მოქალაქეებს მხოლოდ თავის მოქალაქეებად მიიჩნევს. მიუხედავად ამისა, ასეთი მოქალაქეების მიმართ, არავითარ შეზღუდვას არ აწესებს და მათ მიმართაც ისეთი რეგულაციებია დაწესებული, როგორც ჩვეულებრივი, ადგილობრივი მოქალაქეების მიმართ. სასურველი იქნებოდა საქართველოს მოქალაქეებს უფრო

¹⁶² საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეობის შესახებ. 2014 წ.30 აპრილი.მ.12 matsne.gov.ge.

მარტივად აღუდგინონ საქართველოს დაკარგული მოქალაქეობა და რაც ყველაზე მთავარია, გამარტივებული წესით მიანიჭონ საქართველოს მოქალაქეობა ეთნიკურად ქართველებს და იმ პირებს, რომელთაც წარსულში ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოსთან.

საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ ექსკლუზიურ უფლებას, ბოლო წლების განმავლობაში პრეზიდენტი საკმაოდ ხშირად იყენებს. რა დადებითი და უარყოფითი მხარეები შეგვიძლია დავინახოთ ამ უფლებიდან გამომდინარე?

ექსპერტთა ერთი ნაწილი თვლის, რომ საქართველოს მოქალაქეობის ასე უხვად დარიგება საქართველოსათვის და მისი მომავლისათვის, დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური დივიდენდების მომტანია და არ გამორიცხავენ, რომ ორმაგი მოქალაქეობა ახლო მომავალში ოფიციალურად დაკანონდეს.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს სამოქალაქო რეესტრს განცხადებით მიმართა 27 543-მა (ოცდაშვიდი ათას ხუთას ორმოცდასამი) მოქალაქემ, საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების თაობაზე. ყველა მათგანი დადებითად გადაწყდა.¹⁶³ დამეთანხმებით ალბათ, რომ ასეთი რაოდენობა უცხოელთა მიერ საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა, კატასტროფულად მაღალია, თანაც იმ მოტივით, როცა არ ვიცით, რა პირობების შედეგად მოიპოვებენ ისინი საქართველოს მოქალაქეობას. ნეტავ რა დამსახურება ან ღვაწლი აქვთ ისეთი, რომ ასე მარტივად დაურიგდათ მათ ჯილდოდ საქართველოს მოქალაქეობა, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ უახლოეს მომავალში საკუთარ ქვეყანაში ეროვნულ უმცირესობად ვიქცევით?

ექსპერტთა მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ ორმაგი მოქალაქეობა საქართველოსათვის სიკეთის მომტანი ვერანაირად იქნება. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, ისედაც გართულებული დემოგრაფიული სიტუაცია, ქვეყნის ტერიტორიული დანაწევრება და მულდმივად ამ საკითხის გადაუჭრელობა. ეს ყველაფერი დაფიქრებას და მეტ წინდახედულებას მოითხოვს.

2010 წლის 4 სექტემბერს თეა წულუკიანმა ყოველკვირეულ გაზეთ „ყველა სიახლეს“ მისცა ინტერვიუ, სადაც დააფიქსირა საკუთარი აზრი ორმაგი მოქალაქეობის შესახებ.¹⁶⁴ წულუკიანი ეთანხმება ევროსაბჭოს რეკომენდაციას, რომლითაც მისი წევრი ქვეყნები უარს ამბობენ ორმაგი მოქალაქეობის დანერგვაზე. თუმცა ერთმნიშვნელოვნად არც დადებითი და

¹⁶³ აღნიშნული მასალები მოძიებულ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საქმის წარმოებაში, კერძოდ, განცხადება # 40655, 21. 02. 2018წ. და შესაბამისი პასუხები: #01/73444, 02. 03. 2018წ. და #01/76147, 08.03. 2018წ. იხ. დანართი #1.

¹⁶⁴ გაზეთი ყველა სიახლე. თეა წულუკიანის ინტერვიუ. 2010 წ. 4 სექტემბერი.

არც უარყოფითი დასკვნა ამ საკითხზე არ გაუკეთებია. არსებობს ევროპის საბჭოს კონვენცია „მრავლობითი მოქალაქეობის შემთხვევათა შემცირებისა და სამხედრო ვალდებულების შესახებ მრავლობითი მოქალაქეობის დროს“ , სადაც აღნიშნულია, რომ ევროსაბჭოს ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში, მოქალაქეობის მიმღებმა პირმა უნდა დატოვოს თავისი პირვანდელი მოქალაქეობა.¹⁶⁵ დღეის მდგომარეობით საქართველო არ არის აღნიშნული კონვენციის მონაწილე სახელმწიფო.

ორმაგი მოქალაქეობის დაშვების შემთხვევაში ქვეყნის ხელისუფლება მრავალი პრობლემის წინაშე აღმოჩნდება, რაც დაკავშირებული იქნება ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირის სამხედრო ვალდებულების მოხდასთან, გადასახადების გადახდასთან, სოციალურ საკითხებთან და ა.შ. ყოველივე აღნიშნული კი უნდა დარეგულირდეს ან საერთაშორისო მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან (კონვენციებთან) საქართველოს მიერთებით, ან კონკრეტულ ქვეყნებთან ორმხრივი შეთანხმებების გაფორმებით, რომელთა მოქალაქეობაც გააჩნია საქართველოს მოქალაქეს.

ორმაგი მოქალაქეობის ერთ - ერთი უარყოფითი მხარე, ჩვენი აზრით არის ის, რომ უამრავი საქართველოს მოქალაქე ქმნის ოჯახს უცხოელთან, მეორე მოქალაქეობის მიღების მიზნით. ასევე ტოვებენ საქართველოს მოქალაქეობას სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მისაღებად, ეს კი, დამეთანხმებით, საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირებას იწვევს, რაც არ არის სახარბიელო ტენდენცია, რადგან არც ერთი სახელმწიფო არ არის დაინტერესებული საკუთარ მოქალაქეთა რაოდენობის შემცირებით, მაგრამ არც მოქალაქეთა ხელოვნური ზრდის მიმართ გამოხატავს ინტერესს.

როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, მოქალაქის სტატუსი პირდაპირ კავშირშია ამ სტატუსის მქონე ადამიანის უფლებებთან და შესაბამისად მოვალეობებთან. საკმაოდ პრობლემურია ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირისათვის სხვადასხვა პოლიტიკური უფლებების განსაზღვრის სფერო. ბიპატრიდეები ხშირად ხვდებიან პოლიტიკური ინტრიგების მსხვერპლნი. რადგან ისინი ორი ქვეყნის მოქალაქეები არიან, საკმაოდ აწუხებთ ამბიცია, გახდნენ სახელისუფლებო თანამდებობის პირები, რის გამოც სერიოზულ წინააღმდეგობებს აწყდებიან.

რადგან მოქალაქეობის სტატუსი ასევე პირდაპირ კავშირშია პრეზიდენტის ინსტიტუტთან, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირისათვის პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირების საკითხი მეტად პრობლემურია და განსაკუთრებით აქტუალური გახდა ე.წ. „სალომე ზურაბიშვილის საქმის“ შემდეგ.

¹⁶⁵ Конвенция о сокращении числа случаев множественного гражданства и воинской обязанности в случаях множественного гражданства. Страсбург. 6 мая 1963 года. <http://www.refworld.org.ru/topic,51dc06ab4,51dc104e3f5,55bf3b224,0,,,html>

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნისა და კანდიდატების რეგისტრაციის პროცესის შემდგომ ცესკომ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1(1) პუნქტზე მითითებით რამოდენიმე კანდიდატს, მათ შორის სალომე ზურაბიშვილს უთხრა უარი რეგისტრაციაზე. აღნიშნული პუნქტის მიხედვით „პრეზიდენტის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო სახელმწიფოს მოქალაქეა.“¹⁶⁶

შემდგომ ინსტანციებში გასაჩივრების მიუხედავად, ძალაში დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ს. ზურაბიშვილი ვერ დარეგისტრირდა კანდიდატად.¹⁶⁷

ექსპერტთა ერთი ნაწილი დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას და სრულიად სამართლიანად მიიჩნია ის ფაქტი, რომ „პრეზიდენტობის კანდიდატის გათავისუფლების დაშვება სახელმწიფოს მეთაურისათვის განსაზღვრული კონსტიტუციური მოთხოვნისაგან, ერთგვარი „უკონტროლო სივრცის“ გაჩენის შესაძლებლობაა, რაც შეიძლება კონსტიტუციის დარღვევამდე მივიდეს და საპირისპიროდ ქმედითი მექანიზმი არ იარსებებს.“¹⁶⁸

რა შემთხვევაში და როდის არის შესაძლებელი ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირისათვის საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირება?

2014 წლის 1 იანვრამდე საქართველოს კონსტიტუციის 104(4) (22.05.2012. N6238) მუხლის შესაბამისად, საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებში მოქმედებდა ორგვარი - ზოგადი და საგამონაკლისო სტანდარტი. ზოგადი სტანდარტის მიხედვით, სახელმწიფო მეთაური უნდა აკმაყოფილებდეს ეროვნული რეგულაციებით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, რაც შეეხება საგამონაკლისო სტანდარტს, ის გულისხმობდა საპრეზიდენტო არჩევნებში ევროკავშირის წევრი რომელიმე სახელმწიფოს მოქალაქის მონაწილეობას, რომელიც დაბადებულია საქართველოში და ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობს საქართველოში. ამასთანავე ეს პირი გათავისუფლებულია ორმაგი მოქალაქეობის აკრძალვის წესიდან. კონსტიტუციის ეს ნორმა, საკმაოდ ბუნდოვანია და ბადებს რამოდენიმე კითხვას: ევროკავშირის მოქალაქე, რომელიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეცაა, ექცევა თუ არა 104-ე მუხლის ზეგავლენის ქვეშ, თუ იგი მხოლოდ ევროკავშირის მოქალაქეებზე ვრცელდება? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია აღნიშნული ნორმის განმარტება და ანალიზი. 104(4)მუხლში მოხსენიებულია მხოლოდ ევროკავშირის მოქალაქე, თუმცა მე-2 პუნქტი აკრძალვის კონსტიტუციური დანაწესიდან, შესაბამისად 104(4) მუხლის მე-2 პუნქტის სუბიექტი

¹⁶⁶ საქართველოს კონსტიტუცია. მ.29 (პირველი პრიმა) matsne.gov.ge.

¹⁶⁷ იგივე

¹⁶⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი. ავტორთა კოლექტივი. თბ. მერიდიანი. 2017 წ. გვ.184

შეიძლება იყოს არამხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქე, არამედ საქართველოს მოქალაქე, რომელიც ევროკავშირში შემავალი ერთ - ერთი ქვეყნის მოქალაქეობითაც სარგებლობს.

რადგან პრეზიდენტის უფლებამოსილების განხორციელება მისი ინაუგურაციის მომენტიდან იწყება, პრეზიდენტობის კანდიდატზე არ ვრცელდება სახელმწიფო მეთაურისთვის დაწესებული კონსტიტუციური მოთხოვნები, რადგან ამ უკანასკნელს უფლებამოსილების დაწყებამდე შესაბამისი მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შესაძლებლობა გააჩნია.

თავისთავად ცხადია, პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირების მიზანი ამ თანამდებობის დაკავებაა. რა თქმა უნდა ტერმინები „კანდიდატი“ და „პრეზიდენტი“ სხვადასხვა შინაარსის მატარებელია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ კანდიდატის საბოლოო სურვილს პრეზიდენტობისკენ სწრაფვა წარმოადგენს. კარგი იქნება თუ სამართალშემფარდებელი უფრო ღრმად ჩასწვდება ამ ორი ტერმინის მნიშვნელობას და აღიარებს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვს იდენტურ ცენზებთან.

და ბოლოს, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის და არჩევის უფლება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობასთან ერთად უნდა გააჩნდეს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებსაც, რომლებიც აკმაყოფილებენ კანონით დადგენილ მოთხოვნებს (ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოში მუდმივად ცხოვრება, საქართველოში დაბადების ფაქტი).

3.4. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების სტატისტიკა

მოქალაქეობის სფეროში არსებულ პრობლემათა უფრო ღრმა კვლევის მიზნით, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ცალკეულ სტატისტიკურ მონაცემთა გაანალიზებაც. მონაცემთა მოსაპოვებლად 2018 წლის 21 თებერვალს განცხადებით მივმართეთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტოს (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 40655). დასახელებულ სამსახურს ვთხოვე მოეწოდებინა ინფორმაცია 2013–2018 წლებში საქართველოს მოქალაქეობის დაბადებით მიღების, საგამონაკლისო წესით მინიჭების, საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლისა და საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე.¹⁶⁹

¹⁶⁹ აღნიშნული მასალები შეიძლება მოძიებულ იქნეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საქმისწარმოებაში, კერძოდ, განცხადება #40655, 21. 02. 2018წ. და შესაბამისი პასუხები: #01/73444, 02. 03.2018 და #01/76147, 08.03. 2018. იხ. დანართი #1.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებში მითითებულია, რომ 2013 – 2017 წლებში საქართველოში დაიბადა 284 552 საქართველოს მოქალაქე. საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით ანუ ორმაგი მოქალაქეობა მიენიჭა 27 543 პირს. ამავე პერიოდში საკუთარი ნებით საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის სურვილი გამოთქვა 7 159-მა ადამიანმა, ხოლო საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა 33 445 პირს.

სამწუხაროდ, სააგენტოს მიერ მოწოდებული მონაცემებით არ ირკვევა მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების და მოქალაქეობის შეწყვეტის რომელი საფუძვლები იქნა გამოყენებული და რა სიხშირით. კერძოდ, ვერ ზუსტდება ორმაგი მოქალაქეობის მინიჭებისას უპირატესად იყვნენ ის პირები, რომლებსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით საქართველოს წინაშე, თუ პირები, რომელთათვისაც საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობს. ასევე დაუზუსტებელი დარჩა უმეტესად სხვა ქვეყნის სამხედრო, პოლიციის ან უშიშროების სამსახურში შესვლის, ყალბი დოკუმენტების წარდგენის გზით საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების, თუ სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების გამო დაკარგეს აღნიშნულმა პირებმა საქართველოს მოქალაქეობა.

ასევე საინტერესოა 2017 წლის მაისში ელექტრონული მედიასაშუალებების „ფაქტ-ჩეკი“-ს („ფაქტ-მეტრი“) მიერ თავის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია. ინფორმატორი ადასტურებს, რომ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები ოფიციალურად მიღებული აქვს საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან.¹⁷⁰

სამწუხაროდ, ამ მონაცემთა ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ სტატისტიკურ მონაცემებთან დეტალური შედარება და ანალიზი ვერ ხერხდება, რადგან, ჯერ ერთი, გამოკვლეული პერიოდები ერთმანეთს ზუსტად არ ემთხვევა, კერძოდ, აღნიშნულ საიტზე განთავსებული მონაცემები შეეხება 2012 წლიდან 2017 წლის აპრილის ბოლომდე პერიოდს, და მეორე, „ფაქტ-მეტრი“-ს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკა ნაწილობრივ განსხვავებულ პარამეტრებს მოიცავს, ვიდრე ჩვენს მიერ იუსტიციის სამინისტროდან მოპოვებული ინფორმაცია. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მონაცემი მაინც იპყრობს ჩვენს ყურადღებას. მაგალითად, მითითებული ვებგვერდის მასალებიდან ირკვევა, რომ 2012 წლიდან 2017 წლის აპრილის თვის ჩათვლით, საგამონაკლისო წესით ორმაგი მოქალაქეობა საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიენიჭა 31 455 პირს. ეს ციფრი სამნახევარ წელთან რომ შევაფარდოთ, მივიღებთ, რომ წლის განმავლობაში თითქმის 9 000-მდე მსურველს მიენიჭა ორმაგი მოქალაქეობის სახით საქართველოს მოქალაქეობა.


¹⁷⁰ <http://factcheck.ge/article/2012-2017-tslebshi-saqarthvelos-moqalaqeoba-32-017-ma-utskho-qveqhnis-moqalaqem-miigho-mathgan-61-ki-rusethis-moqalaqe-iqho/> ბოლო ნახვა 22. 05. 2018

სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ ჩვენთვის მოწოდებული მონაცემების მიხედვით კი 2013 – 2017 წლების შესაბამისი პარამეტრის საშუალო წლიური მაჩვენებელი დაახლოებით 5 000 ერთეულზე მეტს შეადგენს. ვფიქრობ, 9 000 ან თუნდაც 5 000 უცხოელისათვის მეორე მოქალაქეობის სახით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება ჩვენნაირი დემოგრაფიული მონაცემების მქონე ქვეყნისთვის უკვე ვეღარ ჯდება გამონაკლისის ფარგლებში.

მეტად საინტერესოა საქართველოში მოქალაქეობის საკითხებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები. ნაშრომზე მუშაობისას, მათ გასაცნობად გამოყენებულ იქნა სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსებული, ასევე, გამოთხოვილი ინფორმაციის პასუხად მიღებული მონაცემები. მიღებული სტატისტიკა იძლევა შესაძლებლობას, მონაცემები შემდეგნაირად იქნას წარმოდგენილი:


2013-2017 წლებში დადებითად დასრულებული საქმე 2018 წლის 05 მარტის მდგომარეობით შემდეგი ოპერაციის ტიპზე

საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭება




2013-2017 წლებში დადებითად დასრულებული საქმე 2018 წლის 05 მარტის
მდგომარეობით შემდეგ ოპერაციის ტიპზე

საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა




2013-2017 წლებში დადებითად დასრულებული საქმე 2018 წლის 05 მარტის
მდგომარეობით შემდეგ ოპერაციის ტიპზე

საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა



2013-2017 წლებში დადებითად დასრულებული საქმე 2018 წლის 05 მარტის მდგომარეობით შემდეგ ოპერაციის ტიპზე

საქართველოში დაბადებული საქართველოს მოქალაქე



3.5. ორმაგ მოქალაქეობასთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემები

მოცემულ თავში გვსურს განვიხილოთ ორმაგი მოქალაქეობისა და ეროვნული უსაფრთხოების ურთიერთკავშირი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების საერთაშორისო სამართლის ავტორიტეტთა მოსაზრებების მიხედვით, რათა ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ იმ მოსალოდნელ საფრთხეებსა და რისკებზე, რაც ამ ინსტიტუტს ახასიათებს.

აღნიშნულ თემას მცირედ შევეხეთ ორმაგი მოქალაქეობის თავში, მაგრამ ამ პრობლემებზე საქართველოსთან მიმართებით საერთო სიბრტყეში არ გვისაუბრია. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შევეხოთ საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებას, რომელთაც აღნიშნულ საკითხთან შეხების უფრო დიდი ისტორიული გამოცდილება გააჩნიათ და უფრო მეტად დაუგროვდათ პრაქტიკული გამოცდილება, რათა ჩვენი ქვეყნისთვის მოსალოდნელი საფრთხეები თავიდან ავიცილოთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოქალაქეობა, როგორც პირის სამართლებრივი კავშირი სახელმწიფოსთან, ერთის მხრივ, წარმოადგენს უფლებებისა და თავისუფლებების მთლიანი მოცულობის სრული რეალიზაციის აუცილებელ პირობას, რაც გამყარებულია კიდევ სახელმწიფოს კანონმდებლობაში. მეორეს მხრივ კი, მოქალაქეობა წარმოადგენს სახელმწიფოს უფლებებისა და ინტერესების დაცვის ინსტიტუტსაც, რომელიც თავისი მოქალაქეებისაგან განსაზღვრული მოვალეობების შესრულებას მოითხოვს. აღნიშნული ასპექტი თავის თავში მოიცავს ისეთ კომპონენტს, როგორც არის მოქალაქის ლოიალობა.

„ლოიალობის“ კრიტერიუმის განმარტება იურიდიულ ლიტერატურაში არაერთგვაროვანია, მაგრამ ძირითადად აღიარებულია, რომ იგი ყველა თანამედროვე ქვეყნების სამართალშია გათვალისწინებული.

„იურიდიული ლოიალობა ნიშნავს ვალდებულებას დაემორჩილო ქვეყნის მართლწესრიგს, ვალდებულება, რომელიც ასევე გააჩნიათ უცხოელებსაც და რომელიც, წარმოიშვება ერთგულების ფიცის გარეშე“.¹⁷¹

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ლოიალობის კრიტერიუმის მკაფიო სამართლებრივი განსაზღვრების არქონისა, იგი მაინც ითვლება სახელმწიფოთა მიერ აღიარებულ მოქალაქეობის განმსაზღვრელ ძირითად მახასიათებლად. ასე, მაგალითად, 1929 წლის მოქალაქეობის შესახებ ჰარვარდის კონვენციის პროექტში მითითებული იყო, რომ სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეობის მქონე პირს შორის ურთიერთობა დამყარებულია ამ პირის სახელმწიფოს მიმართ ლოიალობაზე. ამასთან, კომენტარებში არ იყო განმარტებული ლოიალობის ცნება. პროექტის ავტორები მხოლოდ უთითებდნენ, რომ ლოიალობა შესაძლებელია განიხილებოდეს, როგორც პირის მუდმივი ვალდებულებები სახელმწიფოს მიმართ, რომლის

¹⁷¹ Kelsen H. General Theory of Law and State. Cambr. Mass.1945. p. 56

მოქალაქესაც იგი წარმოადგენს, განსხვავებით უცხოელისა, რომელსაც ამ სახელმწიფოს მიმართ გააჩნია დროებითი ლოიალობა, სანამ მის ტერიტორიაზე იმყოფება.¹⁷²

აღნიშნული განმარტება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ლოიალობის მუდმივი ვალდებულება სახელმწიფოს მიმართ გააჩნია ყველა მოქალაქეს.

საბოლოოდ, შეგვიძლია ჩამოვყალიბდეთ, რომ ლოიალობა, მოქალაქეობის კონტექსტში, გაგებულ უნდა იქნეს, როგორც საკუთარი ქვეყნის მართლწესრიგის მიმართ ერთგულებისთვის მზადყოფნა, ასევე, შეასრულოს სახელმწიფოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები მის მიმართ, მიუხედავად იმისა, თუ როგორი პირადი დამოკიდებულება გააჩნია მოქალაქეს ამ მოთხოვნების მიმართ.

ასეთ მიდგომას გულისხმობს თავად „მოქალაქისა“ და „მოქალაქეობრიობის“ სიტყვების სემანტიკა. საზოგადოებრივ ცნობიერებაში ცნება „მოქალაქე“ არამარტო იურიდიული, არამედ, სოციალურ-ზნეობრივი კატეგორიაცაა. წარმოადგენს რა მოქალაქის ცნების ანტიკური გაგების მემკვიდრეს, რომელიც ძირითადად დაკავშირებული იყო პატრიოტიზმთან, მოქალაქეობრიობა გულისხმობს ინდივიდის აქტიურ და გააზრებულ ჩართულობას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებისათვის აქტიურ მოქმედებას. მოქალაქემ უნდა გამოავლინოს თავისი მოქალაქეობრივი დამოკიდებულება სახელმწიფოს მიმართ და მხარი უნდა დაუჭიროს მას ფარული, თუ ღია კონფლიქტების დროს, იზიარებდეს საყოველთაოდ მიღებულ სახელმწიფოს ძირითად ფასეულებებს. ასე, რომ სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქისგან მოთხოვნა იმისა, რომ გამოავლინოს სახელმწიფოსადმი ერთგულება, ისტორიულად არის განსაზღვრული და კანონზომიერია.

მოქალაქის მიმართ სახელმწიფოს ზემოთ აღნიშნული დამოკიდებულების ანალიზი იმის გამო მოგვიხდა, რომ კიდევ ერთხელ გაგვესვა ხაზი საკუთარი მოქალაქეების მიმართ სახელმწიფოების მოთხოვნების კანონიერი საფუძვლების არსებობის გამო, რადგან ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთა პრობლემები შესაძლებელია დადგეს ამ მოთხოვნათა რეალიზაციის პროცესში.

ორმაგი მოქალაქეობა, ისევე, როგორც მრავლობითი მოქალაქეობა, რომელიც ორზე მეტ მოქალაქეობას გულისხმობს, ხასიათდება პირის ისეთივე სამართლებრივი კავშირით სახელმწიფოსთან, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქეობის დროს, ოღონდ, მოცემულ შემთხვევაში, პირს ასეთი სამართლებრივი კავშირი და, აქედან გამომდინარე, ლოიალობის

¹⁷² Commentary on the draft Convention of Nationality. Special Supplement to the American Journal of International Law. 1985. Vol. 23. p. 23

ვალდებულება, გააჩნია უკვე რამდენიმე ქვეყნის მიმართ. ორმაგი მოქალაქეობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღევანდელი მსოფლიოს ობიექტური რეალობაა და იგი განპირობებულია მსოფლიო ინტეგრაციისა და გლობალიზაციის მზარდი ტემპით, ასევე მთელ მსოფლიოში გამწვავებული მიგრაციული პროცესებით, რაც ძალაუწევს ანგარიშგასაწევ ფაქტორებად იქცა.

ბიპატრიზმი, რა თქმა უნდა, პირისთვის შეიძლება აღმოჩნდეს დადებითი ფაქტორების მატარებელი, რაც მთელ რიგ უპირატესობებს გულისხმობს და უპირატესად იგი დაკავშირებულია მოქალაქეობის მქონე ქვეყნებში სავიზო რეჟიმის გამარტივებასთან, ასევე იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც მოქალაქეობის ქვეყანას დადებული აქვს შესაბამისი საერთაშორისო ორმხრივი, თუ მრავალმხრივი შეთანხმებები უვიზო მიმოსვლაზე. აღნიშნულის გარდა, ეს არის მეორე მოქალაქეობის ქვეყანაში შრომის მოწყობის, სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო მომსახურების შეღავათებითა და უპირატესობებით სარგებლობა.

მიუხედავად ამისა, სახელმწიფოთაშორის დონეზე ურთიერთობისას, ბიპატრიზმი წარმოშობს საკმაოდ სერიოზულ პრობლემებს, რომელთა შორისაა სამხედრო სამსახურის ორმაგი ვალდებულება, ასევე საგადასახადო ვალდებულებები ორივე ქვეყნის მიმართ, რომლის ტვირთს შესაძლებელია ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირმა, შემოსავლებიდან გამომდინარე, ვერც კი გაუძლოს.

კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ასევე ქვეყნის საზღვრებს გარეთ მისი ინტერესების დიპლომატიური დაცვის ვალდებულების მქონე ქვეყნის განსაზღვრაც. საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკაში ორმაგი მოქალაქეობა ყველაზე პრობლემატურად გადასაჭრელ საკითხთა რიგს განეკუთვნება, როდესაც პირის მოქალაქეობრივი იდენტიფიკაციის საკითხი დგება დღის წესრიგში.

ბიპატრიზმთან დაკავშირებული ყველაზე მეტად მტკივნეულ საკითხად განიხილება სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის საკითხი და აქ უკვე უნდა გავიხსენოთ მოქალაქის ლოიალობის ვალდებულების არსებობა. ისეთი შემთხვევისას, როდესაც მეზობელ ქვეყნებს ერთმანეთთან გართულებული ურთიერთობა აქვთ და პირი ორივე ქვეყნის მოქალაქეა, ორივე ქვეყანა ასეთ პირს საკუთარი ქვეყნის მიმართ ლოიალობის საკითხში განიხილავს, როგორც არასაკმარისად ლოიალურს.¹⁷³

განსაკუთრებულად თვალსაჩინო ხდება ბიპატრიდის პრობლემა საერთაშორისო ურთიერთობების გამწვავების დროს და იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგობისას, რომელთა ერთდროული მოქალაქეა ბიპატრიდი,

¹⁷³ Ковлер А.И. Двойное гражданство: панацея или ловушка? Актуальные проблемы гражданства: Материалы Международной научно-практической конференции по проблемам гражданства. Москва.1995г. стр.119

რადგან ორივე სახელმწიფო მას თავის ქვეყნის მიმართ სამხედრო ვალდებულად და სამშობლოს დამცველად განიხილავს, რომელიც ვალდებულია სამხედრო კონფლიქტის დროს მოქალაქეობის მქონე ქვეყნის მხარეს იბრძოდეს და არა მტრის ჯარში.

უნდა აღინიშნოს, რომ უამრავი მრავალმხრივი და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ორმაგი მოქალაქეობის შესახებ ბიპატრიდეების მიერ სამხედრო ვალდებულების მოხდის თაობაზე, მოქალაქეობის ქვეყნებს შორის საომარი მოქმედებების შემთხვევაში ბიპატრიდის სამსახურზე არაფერია ნათქვამი. განსაზღვრულია, თუ რომელი ქვეყნის მიმართ უნდა მოიხადოს სამხედრო ვალდებულება პირმა, მაგრამ არაფერია ნათქვამი, თუ ორ ქვეყანას შორის საომარი მდგომარეობის შემთხვევაში რომელი ქვეყნის ჯარში იბრძოლებს იგი. ასე, მაგ; მოქალაქეობის შესახებ ევროპული კონვენციის 21-მუხლით დადგენილია, რომ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა შორის ომის შემთხვევაში, ბიპატრიდის სამხედრო ვალდებულებები არ გამოიყენება სხვა მონაწილე სახელმწიფოს მიმართ. ასე, რომ თუკი ორი სახელმწიფო, რომელთა მოქალაქესაც წარმოადგენს ბიპატრიდი, ჩაებმებიან სამხედრო კონფლიქტში, შეიძლება შეიქმნას სიტუაცია, როდესაც ორმაგი მოქალაქეობის მქონე სამხედრო ვალდებული პირი დაარღვევს ვალდებულებას, რაც გამომდინარეობს ლოიალობის მოთხოვნიდან, თუკი არ დაემორჩილება რომელიმე ქვეყნის სამხედრო - სამობილიზაციო აქტის მოთხოვნას.¹⁷⁴

მსგავსი პრობლემა წარმოიშობა ასევე მშვიდობიანობის პერიოდშიც, როდესაც ბიპატრიდმა შესაძლებელია გამოიწვიოს ნეგატიური შედეგები სახელისუფლო ორგანოებში მუშაობის განმავლობაში, რაც დაკავშირებულია ინტერესთა კონფლიქტთან, რამდენადაც ერთი სახელმწიფოს ინტერესები ხშირად არ ემთხვევა სხვა სახელმწიფოთა ინტერესებს. ამ საკითხის მიმართ საქართველოსაც გააჩნია სიფრთხილე, როდესაც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პოსტის დაკავებაზე პრეტენზია გააჩნია სხვა ქვეყნის მოქალაქეს, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ (ზურაბიშვილის საქმე).

ორმაგი მოქალაქეობის მოპოვების საკითხების მიმართ უკონტროლობისას შესაძლებელია წარმოიშვას საშიშროება ბიპატრიდეების მიერ უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობების დაკავებისას, რადგან მათ თავისუფლად მიუწვდებათ ხელი სახელმწიფო საიდუმლოებებთან ან იმ ობიექტების მართვასთან, რომელთა ექსპლოატაცია დაკავშირებულია გარემომცოფთა მიმართ მაღალ რისკებთან.

¹⁷⁴ Белов А.В. Двойное гражданство и проблема лояльности. Правоведение. 2002г. №2(241). стр.157-161

ექსპერტების მხრიდან აღინიშნება, თუ რა საშიშროება შეიძლება შექმნას ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტის საყოველთაო გავრცელებამ და მისმა უპირობო მიღებამ. ისინი სამართლიანად თვლიან, რომ სახელმწიფო კრიზისის შემთხვევაში, ორმაგმა მოქალაქეობამ, დიდი ალბათობით, შესაძლებელია გაამწვავოს კრიზისი და დააჩქაროს სახელმწიფოში მიმდინარე ეროზიული პროცესები: „ნაციონალური ერთობის გაფხვიერების პროცესი, ასევე დაპირისპირება, განხეთქილება, კონფლიქტები, საზოგადოების ერთიანობის შესუსტება როგორც წესი, უფრო მეტად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, როდესაც მაცხოვრებლები წარმოადგენენ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს, რომლებიც საკუთარ თავს ლოიალურად მიაკუთვნებენ სხვა სახელმწიფოს და არა იმას, სადაც იმყოფებიან და ცხოვრობენ“.¹⁷⁵

რომელი ქვეყნის მიმართ გამოავლენს ლოიალობას ბიპატრიდი, წინასწარ ამის განსაზღვრა საკმაოდ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული მანამდე, სანამ არ შეიქმნება გარემოებები, როდესაც ნათლად გამოჩნდება მისი შინაგანი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. ნათელია, რომ ასეთ შემთხვევებში მოქალაქეობა, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს პირის ლოიალობას საკუთარი ქვეყნის მიმართ და არა მის ფორმალურ კუთვნილებას მოქალაქეობის ქვეყნის მიმართ, როგორც ეს ორმაგი მოქალაქეობის მომხრეებს მიაჩნიათ და ურთიერთობა დაყავთ მხოლოდ გარეგნულად ფორმალურ სამართლებრივ საკითხებამდე და იმის გარკვევამდე, თუ რომელ ქვეყანაში გადაიხდის გადასახადებს პირი და ყურადღებას არ აქცევენ მის სოციალურ-ზნეობრივ დამოკიდებულებას ქვეყნის მიმართ, რაც დიდი შეცდომაა და, როგორც ვხედავთ, შეიძლება სერიოზული პრობლემის წინაშე დააყენოს სახელმწიფო.

ამ და სხვა მიზეზების გამოა, რომ სახელმწიფოები უხალისოდ ეკიდებიან ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების საკითხს, მას არასასურველ მოვლენად აღიქვამენ და ყველა ღონეს მიმართავენ მის შესამცირებლად. მოცემულობა, რომ სხვა ქვეყნის მოქალაქეობის ნებაყოფლობით მიღებისას პირი კარგავს პირვანდელ მოქალაქეობას, აპრობირებულია ყველა ქვეყნის მიერ, რომლებიც არ ცნობენ ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტს. ასეთივე ვითარებაა საქართველოშიც, როდესაც პირი კარგავს საქართველოს მოქალაქეობას სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღებისას. აუცილებელია მივუთითოთ, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში არ არსებობს ერთიანი უნიფიცირებული მიდგომა ორმაგი მოქალაქეობის მიმართ: საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს არ ეწინააღმდეგება ორმაგი მოქალაქეობის არც პირდაპირი აკრძალვა, თუკი ეს არ წარმოშობს აპატრიზმის მდგომარეობას (გერმანია, შვედეთი, იაპონია,

¹⁷⁵ Шерер Р. Практика и опыт Западной Европы в решении вопросов двойного гражданства. Материалы семинара по вопросам гражданства, безгражданства и статуса иностранцев в государствах СНГ и Балтии-Хельсинки. 1994г. стр.47

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), არც მისი აღიარება ან დაშვება (ინგლისი, იტალია, აშშ, საფრანგეთი).

სახელმწიფოს შესაძლებლობა ჩამოართვას პირს მოქალაქეობა, შეზღუდულია მოქალაქეობის შესახებ ევროპის 1997 წლის კონვენციის მიხედვით, მაგრამ ისეთი შემთხვევის გარდა, როდესაც პირი ნებაყოფლობით იღებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას.¹⁷⁶

იმ სახელმწიფოებში, რომლებიც აღიარებენ ორმაგ მოქალაქეობას, ეს უფლება, როგორც დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებული სხვა უფლებები, შიძლება გარკვეულ ფარგლებში შეზღუდულ იქნეს მისი ბოროტად გამოყენების აღკვეთის ან სხვა საშიშროებების თავიდან აცილების მიზნით.

ასე, მაგ; იმიგრაციისა და მოქალაქეობის შესახებ აშშ-ს კანონი არ კრძალავს პირდაპირ ორმაგ მოქალაქეობას, მაგრამ ხელისუფალნი თვლიან, რომ ორმაგმა მოქალაქეობამ შეიძლება უარყოფითად გამოამჟღავნოს თავი სახელმწიფო დაწესებულებებში პირის სამუშაოდ დაშვებისას. ამასთან დაკავშირებით და სახელმწიფოთა შორის ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის თავიდან აცილების მიზნით, ამერიკის მოქალაქეობის მქონე პირი თავისუფალი უნდა იყოს უცხო ქვეყნის გავლენისაგან. ე.ი. მან სრული ლოიალობა უნდა გამოამჟღავნოს აშშ-ს მიმართ. კანონმდებლობით განსაზღვრულია შეზღუდვები, მაგ; საარჩევნო უფლების სფეროში, როდესაც ბიპატრიდები ვერ იქნებიან არჩეულნი ქვეყნის პრეზიდენტად ან ვიცე-პრეზიდენტად), ასევე სამხედრო სფეროში: აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს ინსტრუქცია შეიცავს აკრძალვას სამხედრო მოსამსახურის მიმართ, რომლებთაც არ შეუძლიათ ჰქონდეთ და ისარგებლონ უცხოური პასპორტით.¹⁷⁷

როგორც ვხედავთ, შესაძლებელია გონივრულად დარეგულირდეს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის საკითხი მოქალაქეობის მიმართ ყველა პრინციპის გათვალისწინებით, რომელთა შორისაა ჩვენს მიერ ნაშრომში უკვე განხილული ეფექტური და აქტიური მოქალაქეობის პრინციპები, სახელმწიფოსადმი ლოიალობის გამომჟღავნების პრინციპთან ერთად.

აშშ თანმიმდევრულად და ხისტად ახორციელებს ამ პრინციპების დაცვას იმდენად, რომ აშშ-ს მოქალაქეობის მიღებისას პირი დებს შემდეგი შინაარსის მქონე ფიცს, რომელსაც წითელ ხაზად გასდევს სახელმწიფოსადმი ლოიალობის დადასტურების მოთხოვნა: „ამით ვაცხადებ და ვფიცავ, რომ აბსოლუტურად და მთლიანად ვამბობ უარს ნებისმიერი საზღვრის გარეთ მყოფი მმართველის, ხელმწიფის,

¹⁷⁶ European Convention on Nationality. Strasbourg, 6.XI.1997. Article 7. <https://rm.coe.int/168007f2c8>

¹⁷⁷ https://en.wikipedia.org/wiki/Citizenship_of_the_United_States

სახელმწიფოს ან სუვერენული ტერიტორიის მიმართ, რომლის მოქალაქე ან ქვეშევრდომი ვიყავი ადრე; რომ მხარს დავუჭერ და დავიცავ აშშ-ს კონსტიტუციასა და კანონებს ყველა მტრისგან, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ;...რომ მე ვატარებ იარაღს აშშ-ს სახელით, როდესაც ამას კანონი მოითხოვს..." ამ ფიცის დაუცველობა შეიძლება განიხილებოდეს, როგორც მოქალაქეობის ჩამორთმევის საფუძველი.¹⁷⁸

ასევე, ისრაელის კანონმდებლობის მიხედვით, უცხოური მოქალაქეობის მქონე ისრაელის მოქალაქეს უფლება არ აქვს იყოს პარლამენტარი, დაიკავოს რიგი სახელმწიფო თანამდებობები, მაგ; ისრაელის ზანკის დირექტორის თანამდებობა.

ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთა მიმართ სიფრთხილის გამოჩენა, რა თქმა უნდა, რომ გამართლებულია ნებისმიერი სახელმწიფოს მხრიდან, მაგრამ ამისათვის მინიმუმ აუცილებელია, რომ სახელმწიფო საქმის კურსში იყოს საკუთარი მოქალაქის მიმართ მეორე სახელმწიფოს მოქალაქეობის არსებობის ფაქტის მიმართ, რადგან ხდება ისეც, რომ ბევრი ქვეყანა ვერ აკონტროლებს აღნიშნულ პროცესს ეფექტურად და ზოგჯერ შემთხვევითობის საფუძველზე ახდენს მსგავსი ფაქტის გამოვლენას. აღნიშნული საკითხის მოწესრიგების მიზნით ქვეყნები ცდილობენ დახვეწონ შიდა საკანონმდებლო ბაზა და გაამკაცრონ მოთხოვნები მეორე მოქალაქეობის მოპოვების ფაქტის გამომჟღავნების იძულების მიმართ.

უცხოური მოქალაქეობის ფაქტის გამოაშკარავება, მით უფრო, ბინადრობის უფლებისა, ამ პირთა მხრიდან შეტყობინების იძულებით რთული და ზოგჯერ, შეუძლებელი პროცედურაცაა. მაგ; ერთი ქვეყნის საელჩოს მოთხოვნა მეორე ქვეყანაში ამ ქვეყნის მოქალაქეობის ფაქტის დადასტურების მიმართ საკუთარ მოქალაქეებზე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გასცემს მსგავს ინფორმაციას საკუთარ მოქალაქეებზე კონკრეტული ქვეყანა. ასეთი ცნობა, მაგალითად არ გახმაურდება ისრაელის სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოთა მიერ, თუკი მის გაცემაზე თანხმობას არ განაცხადებს თავად მოქალაქე. ასეთივე პრაქტიკაა აშშ-სა და დიდ ბრიტანეთშიც.

როგორც ვხედავთ, ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტთან დაკავშირებულია არა ერთი პრობლემა, რომლის რეგულაციას სხვადასხვა ქვეყანა თავის შიდა კანონმდებლობით ცდილობს, რაც არ ეწინააღმდეგება საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებსა და პრაქტიკას და იმ შემთხვევაში, თუკი საქართველო გადაწყვეტს გადახედოს ამ ინსტიტუტის მიმართ ამჟამად არსებულ მიდგომას, მან აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მსოფლიო წამყვანი ქვეყნების გამოცდილება, რა თქმა უნდა, ეროვნული თავისებურებებიდან გამომდინარე და არა ბრმად, ხელოვნურად, რაც არ გამოიწვევს სასურველი შედეგების დადგომას ქვეყნისათვის.

¹⁷⁸ https://en.wikipedia.org/wiki/Citizenship_of_the_United_States

ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტის მქონე ქვეყნები ხშირ შემთხვევაში არამარტო იმკიან იმ უარყოფით შედეგებს რაც ბიპატრიზმის თანამდევია, არამედ გარკვეულ პრობლემებს უქმნიან თვით ბიპატრიდებს. ამის გამო, სამწუხაროდ, არსებობენ სხვადასხვა ფაქტობრივი და სამართლებრივი შეუსაბამობები პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობაში, რომელიც შეუთავსებელია სახელმწიფოსა და მოქალაქის უფლებებთან და მოვალეობებთან.

„ორმაგი მოქალაქეობა არ გვევლინება პოლიტიკური ერთობლიობის შინაგან ფასეულობად; ორმაგი მოქალაქეობა - ეს არის სარკე ზღვარისა, რომელიც არსებობს მოქალაქეების სოციალურ და სიმბოლურ კავშირებს შორის“.¹⁷⁹

როჯერს ბრუბეიკერის აზრით, ორმაგი მოქალაქეობა ემყარება სამ ძირითად, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ კომპონენტს, ინდივიდუალურ, ეკონომიკურს და პოლიტიკურს. „ორმაგი მოქალაქეობა, ეს არის ერთ-ერთი განსაკუთრებული ურთიერთობის სახე სახელმწიფოსა და მის მოქალაქეს შორის, რაც დაკავშირებულია განსაზღვრული პიროვნების სოციალურ - პოლიტიკურ ინტერესებთან, ასევე მისთვის მოქალაქეობის გაორმაგებასთან, რომელ ახალ სახელმწიფოსთანაც ამყარებს კავშირს.“¹⁸⁰

ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირის სამართლებრივი მდგომარეობა რეგულირდება როგორც საერთაშორისო მრავალმხრივი, ასევე ორმხრივი და შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმებით. როდესაც პიროვნებას აქვს ორი სახელმწიფოს მოქალაქეობა, მისი სამართლებრივი მდგომარეობა რთულდება იმით, რომ ორივე სახელმწიფო მთელი მოცულობით მოითხოვს მისგან ყველა ვალდებულების შესრულებას, მათ რიცხვში შედის სავალდებულო სამხედრო სამსახურიც. თავის მხრივ, ბიპატრიდს, რომელიც იმყოფება თავისი ერთ-ერთი მოქალაქეობის ქვეყანაში უფლება არ აქვს უარი თქვას თავისი ვალდებულებების შესრულებაზე.

ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირის სამართლებრივი მდგომარეობა რეგულირდება როგორც საერთაშორისო მრავალმხრივი, ასევე ორმხრივი და შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმებით.

მიუხედავად იმისა, რომ ორმაგი მოქალაქეობისთვის დამახასიათებელია მთელი რიგი პრობლემები, თავისი ნეგატიური შედეგებით, ეს ინსტიტუტი ხშირად დაფუძნებულია ნდობაზე იმ სახელმწიფოებს შორის, რომელთაც საერთო მოქალაქეები ჰყავთ. უდავოა, რომ ორმაგი მოქალაქეობა,

¹⁷⁹Faist T. Dual Citizenship as Overlapping Membership. School of International Migration and Ethnic Relations Malmo University. Sweden. 2001. p.6

¹⁸⁰Brubaker R. Nationalism Reframed: Nationhood and National Question in the New Europe, Cambridge. 2006. p.108

აღმოცენებული საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე - ეს არის ისტორიულად ერთმანეთთან დაკავშირებული საერთო ინტერესების ნიშანი.

ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები სარგებლობენ ორივე ქვეყნის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებითა და მოვალეობებით, შესაბამისად, ორმაგი ვალდებულებებით. განსაკუთრებულ პრობლემად ყოველთვის ითვლებოდა და დღესაც ითვლება სავალდებულო სამხედრო სამსახური.

სამხედრო ვალდებულების შესრულება ბიპატრიდების მიერ, ყოველთვის იყო დავის საგანი. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ყოველი პირი, რომელიც აღნიშნული სტატუსით სარგებლობს, სამხედრო სავალდებულო სამსახურს ექვემდებარება სახელმწიფოს მოქალაქეობის შესაბამისად. ამიტომ ყოველი სახელმწიფო, რომლის მოქალაქესაც წარმოადგენს პირი, საკუთარ პრეტენზიას გამოთქვამს მისი იურისდიქციის ქვეშ სამხედრო ვალდებულების შესრულების თაობაზე და უფლებამოსილად თვლის თავს, პასუხისგებაში მისცეს პირი სამხედრო ვალდებულების მოხდისაგან თავის არიდების გამო, რადგან არ სცნობს მისი მოქალაქის მიერ მეორე ქვეყანაში მოხდილ სამხედრო ვალდებულებას. ამასთან, პირველ სახელმწიფოს უფლება აქვს დაიცვას იგი, მაგრამ როგორც წესი, ხშირად იგი უძღვრება განახორციელოს ეს უფლება.

აღნიშნული პრობლემა გასული საუკუნეებიდან მომდინარეობს. ასე მაგალითად, საფრანგეთის მოქალაქე პასუხისგებაში ეძლეოდა სახელმწიფოს დალატის ბრალდებით, თუკი მისი მამა ინგლისის მოქალაქე იყო და ტყვედ ჩავარდებოდა ინგლისის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო მოქმედებების დროს. ასევე პრეტენზიები გააჩნდა დიდ ბრიტანეთს აშშ-ს მიმართ, რომელსაც ჯერ კიდევ როგორც საკუთარ მეტროპოლიას ისე უყურებდა.

მიუხედავად რთული სამართლებრივი შედეგებისა, რომელსაც ბიპატრიზმი იწვევს და ასევე ბევრ უხერხულობას უქმნის მის მფლობელს, სამხედრო სამსახურის პრობლემა ექვემდებარება საერთაშორისო სამართლებრივ რეგულირებას.

სამხედრო ვალდებულების პრობლემას ორმაგი და მრავლობითი მოქალაქეობის შემთხვევაში საერთაშორისო პრაქტიკაში წყვეტენ ორი დიამეტრიულად განსხვავებული მიდგომით. პირველი მიდგომა ისაა, რომ შესაბამისი შეთანხმებით აიკრძალოს, გამოირიცხოს ან ლიკვიდირებულ იქნას ორმაგი მოქალაქეობა ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქეებს შორის. მეორე მიდგომით კი ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში გავლილი სამხედრო სამსახური ბიპატრიდს ჩაეთვლება მოხდილად მეორე მოქალაქეობის სახელმწიფოშიც.

არსებობს უამრავი საერთაშორისო შეთანხმება, რომლებიც ორმაგი მოქალაქეობის საკითხებს აწესრიგებენ მთელი მოცულობით, აგრეთვე ორმაგი სამხედრო ვალდებულების პრობლემის მოგვარებას მრავლობითი მოქალაქეობის შემთხვევაში.

სამხედრო ვალდებულების საკითხები რეგულირდება თითქმის ყველა ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებში, რომლითაც აღიარებულია ან დაშვებულია ორმაგი (მრავლობითი) მოქალაქეობა, მაგალითად, 1963 წლის ევროპული კონვენცია „მრავლობითი მოქალაქეობის შეზღუდვისა და სამხედრო ვალდებულებების შესახებ მრავლობითი მოქალაქეობის შემთხვევაში“.¹⁸¹

ნაშრომში განხილული ყველა საერთაშორისო ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი სამხედრო სამსახურს გაივლის მხოლოდ ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე.

ზემოთ აღნიშნული 1963 წლის კონვენციის შესაბამისად, 19 წელს მიღწეული ბიპატრიდი თავად ირჩევს ქვეყანას, სადაც იგი სამხედრო სამსახურს გაივლის. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულებას მოიხდის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. პირი, რომელმაც კეთილსინდისიერად მოიხადა თავისი სამხედრო ვალი მოქალაქეობის ერთი ქვეყნის წინაშე, თავისუფლდება იგივე სამსახურისაგან მეორე მოქალაქეობის ქვეყანაში. უმრავლესობა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა ადგენს, რომ სამხედრო ვალდებულების მოხდა ერთ ქვეყანაში ათავისუფლებს ვალდებულების მოხდისაგან მეორე სახელმწიფოში მანამ, სანამ რამე ახალი შესაბამისი კონვენცია ან ხელშეკრულება შევა ძალაში.¹⁸²

ინტერესს იწვევს 1977 წლის 24 ნოემბრის ოქმის მე-2 მუხლის იდენტური დებულებები, რომლითაც ცვლილებები შევიდა 1963 წლის კონვენციაში „მრავლობითი მოქალაქეობის შეზღუდვისა და სამხედრო ვალდებულებების შესახებ მრავლობითი მოქალაქეობის შემთხვევაში“, აგრეთვე 1997 წლის 6 ნოემბრის მოქალაქეობის შესახებ ევროპის კონვენციის 22-ე მუხლის დებულებები, რომლებიც მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს, რამეთუ ეხება ბიპატრიდების გათავისუფლებას სამხედრო ვალდებულებებისაგან ან ალტერნატიული სამხედრო სამსახურის საკითხებს. ამ დებულებების მიხედვით, პირი, რომელიც ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეა, რომელშიც არ არის გათვალისწინებული სამხედრო სავალდებულო სამსახური, ითვლება სამხედრო ვალდებულებამოხდილად ამ ქვეყანაში, თუკი მუდმივად ცხოვრობს მის ტერიტორიაზე, ამასთან

¹⁸¹ Council of Europe, Convention on Reduction of Cases of Multiple Nationality and Military Obligations in Cases of Multiple Nationality. 6 May 1963. ETS 43. <http://www.refworld.org/docid/3ae6b37814.html>

¹⁸² იქვე.

ისინი ასეთად ითვლებიან მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოსათვის, რომლის მეორე მოქალაქეობაც მათ გააჩნიათ და რომელშიც სამხედრო სამსახური სავალდებულოა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუდმივი ცხოვრება გრძელდებოდა განსაზღვრულ ასაკამდე, რომელსაც ხელშემკვრელი მხარეები თავად განსაზღვრავენ კონვენციის ხელმოწერისას ან სარატიფიკაციო სიგელის შესანახად გადაცემისას ან კონვენციის მიღებისას, ან მასზე მიერთების დამადასტურებელი დოკუმენტის გადაცემისას¹⁸³

ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთა სამხედრო სამსახურის პრობლემა ნაწილობრივ შეიძლება გადაწყდეს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობითაც. მაგალითად, მრავალი ქვეყანა სამხედრო სამსახურში იწვევს მხოლოდ იმ მოქალაქეებს, რომლებიც ქვეყნის ფარგლებში ცხოვრობენ და გამონაკლისს უშვებენ მათთვის, ვინც მუდმივად ცხოვრობს საზღვარგარეთ. მაგალითად, პირი, რომელსაც გერმანული და პორტუგალიური მოქალაქეობა აქვს და ცხოვრობს ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე, არ გაიწვევა გერმანიის სამხედრო სამსახურში, სანამ იგი პორტუგალიაში იცხოვრებს. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირი დაბრუნდება გერმანიაში, ან საცხოვრებლად გადავა იქ, გერმანიის კანონმდებლობის თანახმად, იგი დაექვემდებარება სამხედრო სამსახურის გავლის წესებს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პორტუგალიაში მსახურობის ვადა ნაკლები აღმოჩნდება, ვიდრე გათვალისწინებულია გერმანიაში მსახურობისათვის.

როგორც ჩანს, მიზანშეწონილია ზემოთ აღნიშნული პრობლემის მოგვარება შესაბამისი სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებებით, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი გათვალისწინებულ იქნეს ზოგიერთი ნიუანსი, რომლებიც ხელს უშლიან ბიპატრიდეების ნორმალურ სამოქალაქო-სამართლებრივ ინტეგრაციას საზოგადოებაში.

ბიპატრიდეებისათვის ასევე პრობლემას წარმოადგენს საგადასახადო ვალდებულებები, ორმაგი დაბეგვრის პროცესი. ორმაგი მოქალაქეობის მქონე ყველა პირი ვალდებულია ორივე ქვეყანაში გადაიხადოს ის სავალდებულო გადასახადები, რასაც მას თითოეული სახელმწიფო ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში თავის ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრების დროს ანიჭებს.

ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტის ძირითად ნაკლოვანებად განიხილება აგრეთვე უკვე არსებული მოქალაქეობის პარალელურად მეორე მოქალაქეობის მისაღებად ხანგრძლივი ლოდინი და საკმაოდ ძვირადღირებული პროცესი, რომელიც დაკავშირებულია მოქალაქეობის

¹⁸³ Council of Europe, Convention on Reduction of Cases of Multiple Nationality and Military Obligations in Cases of Multiple Nationality. 6 May 1963. ETS 43. <http://www.refworld.org/docid/3ae6b37814.html>

მოპოვების თაობაზე განაცხადის შეტანასა და მუდმივი ბინადრობის მოპოვებასთან, აგრეთვე ამ პროცედურებთან დაკავშირებული პროფესიული იურიდიული მომსახურებისათვის და ხარჯები, რომლებიც პიროვნების იდენტიფიცირებასთან არის დაკავშირებული.

ფაქტია, რომ ბიპატრიდი აუცილებლად უნდა იყოს ორივე ქვეყნის კანონმორჩილი მოქალაქე. შესაძლებელია ორივე ქვეყნის კანონმდებლობა ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებოდეს, მაგრამ ვალდებულება - იყოს ორივე ქვეყნის კანონმორჩილი მოქალაქე, ძალაში რჩება.

ორმაგმა მოქალაქეობამ ასევე შეიძლება გაართულოს პირის კეთილსამედობის დადგენის პროცედურები მისი სახელმწიფო თანამდებობაზე არჩევის ან დანიშვნის თაობაზე

არსებობენ ქვეყნები, რომელთაც მკაცრი პოლიტიკა - „დიახ“ ან „არა“, არ გააჩნიათ ორმაგი მოქალაქეობის შესახებ. ექსპერტთა კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ქვეყნები, რომლებიც აღიარებენ ორმაგ მოქალაქეობას, უფრო მეტად რთული პოლიტიკური კურსის მატარებლები არიან, ვიდრე სხვა დანარჩენნი.

ბიპატრიზმი ხასიათდება სხვადასხვა დადებითი მხარეებით. პირველ რიგში ეს არის სარგებელი ორივე ქვეყნიდან, კერძოდ, შეღავათები და პრივილეგიები, ასევე უპრობლემოდ, უვიზოდ გადაადგილება ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე ნებისმიერ დროს.

ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებისათვის სარგებელს წარმოადგენს საკუთრების უფლება ორივე მოქალაქეობის ქვეყანაში. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანას დაწესებული აქვს შეზღუდვები საკუთრების უფლებაზე უძრავი ქონების, კერძოდ, მიწის შესყიდვასთან დაკავშირებით, ყველა სხვა ქვეყნის მოქალაქისათვის, გარდა საკუთარი მოქალაქეებისა. რაც შეეხება საკუთრების სხვა დანარჩენ უფლებებს, კანონი აქ შეუზღუდავია და შეუძლიათ შეიძინონ ნებისმიერი სხვა ქონება ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით.

რაც შეეხება განათლების უფლებას, აღნიშნული უფლება ძირითადად შეუზღუდავია, ბიპატრიდებს შეუძლიათ ორივე ქვეყნიდან მაქსიმალურად მიიღონ მათთვის სასურველი და საინტერესო განათლება და პროფესია. ეს პროცესი თავისთავად საინტერესოა იმით, რომ პიროვნება შეიძლება იყოს ორი რადიკალურად განსხვავებული ქვეყნის მოქალაქე და ეს მდგომარეობა მან თავის სასიკეთოდ გამოიყენოს საკუთარი ცხოვრების წესის გასაუმჯობესებლად.

მიუხედავად ორმაგი მოქალაქეობის დადებითი და უარყოფითი მხარეებისა, ბიპატრიზმი შეგვიძლია შევაფასოთ როგორც გარდამავალი მნიშვნელობის ნაბიჯი ეროვნული მოქალაქეობიდან რეგიონალური და უფრო მეტიც,

გლობალურ მოქალაქეობამდე. რაც შეეხება ბიპატრიზმის ინსტიტუტთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს, დამეთანხმებით, რომ ისინი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე მისი დადებითი მხარეები. მიუხედავად მისი უამრავი ნაკლოვანებისა, ქვეყნები თავს ვერ არიდებენ ამ მოვლენას და დღეს მსოფლიოში ალბათ არ არსებობს სახელმწიფო შესაბამისი მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც შეძლებდა აღნიშნულ ინსტიტუტისათვის თავის არიდებას.

თავი IV. მოქალაქეობასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა საქართველოში

სასამართლო პრაქტიკას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართულ სამართლებრივ სივრცეში. სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას, საინტერესო იყო წარმოდგენილ თემასთან დაკავშირებული, სასამართლოს მიერ განხილული საქმეების მოძიება. შესწავლილი და გაანალიზებული იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა. შესწავლილ იქნა ოფიციალურ საიტზე მოქალაქეობის საკითხებთან მიმართებით განთავსებულ ყველა (40-ზე მეტი) საქმეზე გამოტანილი სასამართლო აქტი. მათი ანალიზის შედეგად, საქმეთა შინაარსიდან გამომდინარე, ნაშრომში წარმოდგენილია რვა საქმეზე მიღებული ათი სასამართლო აქტი. ეს საქმეები ეხება საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე უარის თქმის, საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის, დაკარგვის, ორმაგი მოქალაქეობის, ასევე ასეთი მოქალაქეობის არსებობისას სოციალური საკითხების რეგულირების თემებს.

სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით შეგვიძლია, მივხვდეთ, რამდენად სამართლიანად და ეფექტურად გადაჭრა სასამართლომ მოქალაქეობის ინსტიტუტთან დაკავშირებული სადავო და პრობლემური საკითხები. ნაშრომში წარმოდგენილ საქმეთა შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლებელი გახდა შესწავლილ საქმეთა დაჯგუფება სამი მიმართულებით: საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე, ორმაგი მოქალაქეობის გამო საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე და ორმაგი მოქალაქეობისას სხვადასხვა სოციალური საკითხის თაობაზე.

ორი საქმე წარმოდგენილი სასამართლო პრაქტიკიდან შეეხება უარს საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე. საინტერესოა, როგორ გადაწყვიტა სასამართლომ საქართველოს მოქალაქეობის მამიებელ პირთა დავა საქართველოს პრეზიდენტთან.

ერთ-ერთ საქმეში, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, ირკვევა, რომ მოქალაქეობის

არმქონე პირმა საქართველოს მოქალაქედ მიღების შესახებ, განცხადებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს.¹⁸⁴

სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დასკვნის თანახმად, სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ მიზანშეუწონლად მიიჩნია ნ.თ-იანისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე პრიმა და 37-ე მუხლების შესაბამისად, ნ.თ-იანს უარი ეთქვა საქართველოს მოქალაქეობის მიღებაზე. პრეზიდენტის ბრძანებულება გასაჩივრდა სასამართლოში. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების საფუძვლები განისაზღვრებოდა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლით, საქართველოს მოქალაქედ მიღების პირობები და მოქალაქედ მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები კი ამავე კანონის 26-ე - 26-ე პრიმა მუხლებით. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოქალაქეობის მიცემის საკითხს წყვეტდა საქართველოს პრეზიდენტი. საქალაქო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილით სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნია ნ. თ-იანისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება.¹⁸⁵

საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, რაც გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს არგუმენტაცია და ძალაში დატოვა მისი გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა.

კასატორი მიუთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა და შესაბამისი სამართლებრივი შეფასება არ მისცა სააპელაციო საჩივარში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს. სააპელაციო სასამართლომ არ დაასაბუთა, თუ რატომ ეთქვა უარი ნ. თ-იანს საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებით მაშინ, როდესაც ნ. თ-იანი არასოდეს ყოფილა ნასამართლევნი და ადმინისტრაციული გადაცდომაც არასოდეს ჩაუდენია. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე პრიმა მუხლის მიხედვით კი პირის საქართველოს მოქალაქედ მიღებაზე უარის თქმის საფუძვლებია: ა) მშვიდობისა და ადამიანობის წინააღმდეგ

¹⁸⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #ბს-739-714(კ-10) 21.10.2010

¹⁸⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #ბს-739-714(კ-10) 21.10.2010, გვ. 2/5

მიმართული საერთაშორისო დანაშაულის ჩადენა; ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სახელმწიფო დანაშაულში მონაწილეობა. კასატორმა ასევე აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივი შეფასება არ მისცა საქართველოს პრეზიდენტის მიერ განხორციელებულ დისკრეციული უფლებამოსილების საკითხს და ვერ დაასაბუთა, თუ რაში გამოიხატებოდა ის მოსალოდნელი ზიანი, რომელიც სახელმწიფოს ნ. თ-იანისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებით მიადგებოდა.¹⁸⁶

საკასაციო სასამართლომ საქმე განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე და საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, მოქალაქეობის მიცემის საკითხს წყვეტს საქართველოს პრეზიდენტი. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოს მოქალაქედ მიღების თაობაზე. ზემოხსენებული ორგანული კანონის 37-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეობის შექმნის, შეწყვეტისა და მოქალაქეობის აღდგენის შესახებ განცხადების და წარდგინების დაკმაყოფილების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებას, ხოლო უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში - განკარგულებას.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისი რამოდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ თანამდებობის პირის (ადმინისტრაციული ორგანოს) დისკრეციული უფლებამოსილება არსებობს მაშინ, როდესაც სამართლის ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობისა და ფაქტის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, მას აქვს შესაძლებლობა, კანონმდებლობის შესაბამისი რამოდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.¹⁸⁷

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია და არც მხარეებმა გახადეს სადაოდ ის ფაქტი, რომ ნ. თ-იანი არც მშვიდობისა და

¹⁸⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #ბს-739-714(კ-10)

21.10.2010, გვ. 3/5

¹⁸⁷ იქვე, გვ. 4/5

ადამიანობის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო დანაშაულის და არც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო დანაშაულის ჩადენისათვის არ არის ნასამართლევი. ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ.თ-იანის საქართველოს მოქალაქედ მიღებაზე უარის თქმა უნდა განხორციელებულიყო არა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე პრიმა მუხლის, არამედ ამავე კანონის 33-ე და 37-ე მუხლების საფუძველზე, რადგან აღნიშნული ნორმების თანახმად, პრეზიდენტს მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება კანონის მიზნებისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, თავად მიიღოს გადაწყვეტილება პირის საქართველოს მოქალაქედ მიღების ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო რაც შეეხება 26-ე პრიმა მუხლს, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული მუხლი ნაწილობრივ ზღუდავს პრეზიდენტის დისკრეციულ უფლებამოსილებას, ვინაიდან, მასში ჩამოყალიბებული საფუძველების არსებობის შემთხვევაში პრეზიდენტი არ არის უფლებამოსილი პირს მიანიჭოს საქართველოს მოქალაქეობა.

ამასთან, საკასაციო სასამართლომ ყურადღება გააამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 2010 წლის 6 ივლისს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის თანახმად, ცვლილება განიცადა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე პრიმა მუხლმა და აღნიშნულ მუხლს დაემატა „გ“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად, პირს შეიძლება, უარი ეთქვას საქართველოს მოქალაქედ მიღებაზე, თუ სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე მისი საქართველოს მოქალაქედ მიღება მიზანშეუწონელია. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულმა საკანონმდებლო ცვლილებამ უფრო მეტად შეზღუდა საქართველოში პრეზიდენტისათვის ამავე კანონის 33-ე მუხლით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მართალია განკარგულების გამოცემის დროს არ არსებობდა ნ. თ-იანის საქართველოს მოქალაქედ მიღებაზე უარის თქმის „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებული საფუძველი, მაგრამ იმ პირობებში, როდესაც „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე პრიმა მუხლს დაემატა „გ“ ქვეპუნქტი და საქმეში წარმოდგენილი კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილი ნ.თ-იანის საქართველოს მოქალაქედ მიღების მიზანშეუწონლობასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების ბათილად ცნობა უკვე საფუძველს მოკლებული იყო, ვინაიდან აღნიშნული

აქტის ბათილად ცნობას მხარისათვის სასარგებლო სამართლებრივი შედეგი არ მოჰყვებოდა.¹⁸⁸

მითითებული მსჯელობის შედეგად, საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივრის განხილვის შემდეგ გადაწყვიტა შეეცვალა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით უარი უთხრა ნ. თ-იანს სარჩელის დაკმაყოფილებაზე, შესაბამისად, მოდავე პირმა უკვე სასამართლოს მეშვეობითაც უარი მიიღო საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე.

მეორე საქმეში, სადაც დავის საგანი ასევე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა იყო, ზ. ხ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა პირველი ინსტანციის სასამართლოს და მოითხოვა საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების (ე.წ. ვირტუალური უარი) ბათილად ცნობა და მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის ზ. ხ-ისათვის საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭების შესახებ დადებითი დასკვნის გამოცემის დავალა.¹⁸⁹

სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ სააპელაციო საჩივარიც არ დააკმაყოფილა, რაც საკასაციო წესით გასაჩივრდა. კასატორი ახალი გადაწყვეტილების მიღებას და სარჩელის დაკმაყოფილებას მოითხოვდა.

კასატორმა მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა და 53-ე მუხლებზე, საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 10 ივნისის #237 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ დებულების მე-17 მუხლზე, 22-ე მუხლის მე-7 პუნქტზე. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის პირველ პუნქტზე და განმარტა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან მიღებული სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია გახდა მისთვის მოქალაქეობის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი. სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის საფრთხის შექმნის პირობები განსაზღვრულია საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“, კერძოდ აღნიშნული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით, რომლის თანახმადაც ა) პირის საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნა საფრთხეს უქმნის საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას; ბ) არსებობს ინფორმაცია, რომელიც

¹⁸⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #ბს-739-714(კ-10) 21.10.2010, გვ. 5/5

¹⁸⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #ბს-996-992(კ-17) 25.01.2018, გვ. 1/4

ალბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებს პირის კავშირზე: ბ.ა)საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის/ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან; ბ.ბ)სხვა სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურებთან; ბ.გ)ტერიტორიულ ან/და ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან; ბ.დ)ნარკოტიკების, შეიარაღების, მასობრივი განადგურების იარაღის ან მათი კომპონენტების უკანონო ბრუნვასთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან/და სხვა სახის დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში საუბარია პირის ინდივიდუალურ მონაწილეობაზე მითითებულ ქმედებებში. შესაბამისად, საქალაქო და სააპელაციო სასამართლოები ვალდებული იყვნენ შეეფასებინათ და დაესაბუთებინათ, თუ რამდენად რეალურად არსებობდა კანონით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება და რამდენად ჰქონდა მათთან უშუალო შემხებლობა ზ. ხ-ს. აქვე გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ კასატორის ოჯახის ყველა წევრი იყო საქართველოს მოქალაქე, ამასთან, მოპასუხეებს არ ჰქონდათ წვდომა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან მიღებულ ინფორმაციაზე. სწორედ სასამართლო იყო ვალდებული, ობიექტურად შეეფასებინა, სახელმწიფოსათვის რამდენად საფრთხის შემცველი იყო კასატორისათვის მოქალაქეობის მინიჭება და ავტომატურად არ გაეზიარებინა მოპასუხეებისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პოზიცია.¹⁹⁰

საკასაციო სასამართლომ დაუშვებლად ცნო საჩივარი, თუმცა, პროცესუალურ საკითხებთან ერთად მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლსა და „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანულ კანონზე და განმარტა, რომ საქართველოს პრეზიდენტს ენიჭება დისკრეციული უფლებამოსილება კანონის მიზნებისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მიიღოს გადაწყვეტილება პირის მოქალაქედ მიღების ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ. საკასაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ თანამდებობის პირის დისკრეციული უფლებამოსილება შეიძლება შეიზღუდოს კანონის საფუძველზე.

„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძველების შესაბამისად, პირი საქართველოს მოქალაქეობას ნატურალიზაციით ვერ მოიპოვებს. ასევე, ვერ მოიპოვებს, თუ პირი შემჩნეულია სხვადასხვა სახის დანაშაულების ჩადენაში ან თუ მას კავშირი ჰქონდა დანაშაულებრივ დაჯგუფებებთან. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული მუხლით ნაწილობრივ იზღუდება პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილება, რადგან მასში ჩამოყალიბებული საფუძველების არსებობის შემთხვევაში პრეზიდენტი არ არის უფლებამოსილი, პირს მიანიჭოს საქართველოს მოქალაქეობა.

¹⁹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე#ბს-996-992(კ-17)
25.01.2018, გვ. 2/4

აღნიშნული საქმის მასალებიდან გამომდინარე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ეცნობა, რომ ზ. ხ-ისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება მიზანშეუწონელი იყო.¹⁹¹

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან წარმოდგენილი ინფორმაცია წარმოადგენდა მოსარჩელისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველს და მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელა იმ მიზნით, რა მიზნითაც მას ჰქონდა მინიჭებული ეს უფლებამოსილება.¹⁹²

ამკარაა, რომ ამ საქმეზეც, უარი ეთქვა რა პირს მოქალაქეობაზე, სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვისა და ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის მიზნებიდან გამომდინარე.

სასამართლო პრაქტიკიდან წარმოდგენილი ხუთი საქმე ეხება საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტას.

ერთ-ერთი საქმის დავის საგანი იყო მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების ბათილად ცნობა.¹⁹³ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ფ. ო-ს საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა. ბრძანებულებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ საბინაო წიგნის ამონაწერის მიხედვით, 1991წ-დან 2000წ-მდე ჩაწერილი იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკაში.

„მოქალაქეობის შესახებ“ აზერბაიჯანის რესპუბლიკის 1998 წ. კანონის მე-5 მუხლის თანახმად, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე ხდებოდა ამ კანონის ამოქმედებამდე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ჩაწერილი პირი. „მოქალაქეობის შესახებ“ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონის მე-5 მუხლის საფუძველზე, ფ. ო-ის აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის საპასპორტო სარეგისტრაციო სამმართველოს მიერ 2001 წ. 16 აპრილს გაცემული ცნობითაც დასტურდებოდა.¹⁹⁴

ფ. ო-მ სარჩელი აღძრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში საქართველოს პრეზიდენტის მიმართ და მოითხოვა მისთვის საქართველოს მოქალაქეობის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანებულების ბათილად ცნობა და საქართველოს მოქალაქეობის აღდგენა. მოსარჩელე მიუთითებდა,

¹⁹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #ბს-996-992(კ-17) 25.01.2018, გვ. 3/4

¹⁹² იქვე, გვ. 4/4

¹⁹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #3გ-ად-485-კ-02 18.06.2003

¹⁹⁴ იქვე, გვ. 1/3

რომ ბრძანებულება გამოტანილი იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევით, რადგან ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მას არ აცნობეს და შესაბამისად არც მიიწვიეს მის მიმართ დაწყებულ ადმინისტრაციულ საქმისწარმოებაში მონაწილეობის მისაღებად, რაც სავალდებულო იყო, რადგან ადმინისტრაციული აქტით მისი მდგომარეობა გაუარესდა.

ფ. ო-ი განმარტავდა, რომ დაბადებიდან სარჩელის წარდგენის დღემდე უწყვეტად ცხოვრობდა და მუშაობდა დმანისის რაიონში. არასოდეს უცხოვრია სხვა სახელმწიფოში და არც მოქალაქეობა მიუღია. საქმეში არსებული ცნობა, რომელიც ფ. ო-ის აზერბაიჯანში ჩაწერის ფაქტს ადასტურებდა, არ უნდა გამხდარიყო მისთვის მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძველი. აზერბაიჯანის რესპუბლიკის შს სამინისტროს საპასპორტო-სარეგისტრაციო სამმართველოს ცნობით კი დასტურდებოდა, რომ ფ. ო-ი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში არსად იყო რეგისტრირებული.¹⁹⁵

სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი და ძალაში დატოვა პრეზიდენტის ბრძანებულება, სასამართლომ მიიჩნია, რომ ფ. ო-ი იმყოფებოდა ორმაგი მოქალაქეობის მდგომარეობაში. ამდენად, საქართველოს პრეზიდენტის მიერ სადავო ბრძანებულების გამოცემა და მოსარჩელისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარეობდა.

მიღებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა. საკასაციო სასამართლომ პირველი ინსტანციას დაუბრუნა საქმე განსახილველად.

საკასაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს ყურადღება მიაქცია იმ გარემოებაზე, რომ წერილები, რომლებიც მოსარჩელის აზერბაიჯანის მოქალაქეობას ადასტურებენ, გაცემულია 2000-2001 წლებში, ხოლო დასაბუთებული და დამატებითი საკასაციო პრეტენზიით წამოყენებული წერილობითი მტკიცებულებები, რომლებიც გამორიცხავენ მის აზერბაიჯანის მოქალაქეობას, უფრო ახალი თარიღისაა და თან იგივე ადმინისტრაციული ორგანოების მიერაა გაცემული. ამასთანავე, მითითებულია, რომ ფ. ო-ის აზერბაიჯანის მოქალაქეობის საკითხი არაერთი გადამოწმების შედეგად გამოირიცხა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში არსებული გარემოებები საჭიროებდა დამატებით გამოკვლევასა და შეფასებას, რადგან სსკ-ს 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევასა და შეფასებას.¹⁹⁶

¹⁹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #3გ-ად-485-კ-02 18.06.2003, გვ. 1/3

¹⁹⁶ იქვე, გვ. 2/3

საკასაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ საქმის განხილვისას სასამართლოს უნდა ემსჯელა ასევე „მოქალაქეობის შესახებ“ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონის გამოყენების საკითხებზე, რათა დადგენილიყო ვრცელდებოდა თუ არა ფ. ო-ზე მოცემული კანონის მოთხოვნები.¹⁹⁷

უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მასალებში აღარ მოიპოვება მასალები ამ საქმესთან დაკავშირებით. შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ საკასაციო ინსტანციის მიერ სწორი აქცენტების გაკეთებით, მოდავე პირმა, რომელსაც მოქალაქეობა შეუწყდა ორმაგი მოქალაქეობის გამო, ქვედა ინსტანციის სასამართლოში შეძლო საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილება და აღიდგინა საქართველოს მოქალაქის სტატუსი.

მეორე საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა ასევე, საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების ბათილად ცნობა.¹⁹⁸ იგივე საქმეზე არსებობს ასევე, მეორე სასამართლო აქტიც.¹⁹⁹

პირველი ინსტანციის სასამართლომ განჩინებით უარი უთხრა მოსარჩელეს განცხადების მიღებაზე და საქმე განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საოლქო სასამართლოს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის განჩინებით დაკმაყოფილდა საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლის შუამდგომლობა და საქმის მასალები რ.გ-ოვის სარჩელის გამო მოპასუხე საქართველოს პრეზიდენტის და მესამე პირის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს - საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას. სასამართლო კოლეგიამ მიუთითა, რომ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 42-ე მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებელიყო საქართველოს უზენაეს სასამართლოში. მხარეებს აგრეთვე განემარტათ, რომ უფლებამოსილ სასამართლოში საქმის განხილვამდე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება რ.გ-ოვის მიმართ შეჩერდებოდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტით.²⁰⁰

უზენაეს სასამართლოში რ. გ-ოვის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

¹⁹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #3გ-ად-485-კ-02 18.06.2003, გვ. 3/3

¹⁹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #3გ-ად-9-01 26.03.2002

¹⁹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #3გ-ად-170-კ-02 02.09.2002

²⁰⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #3გ-ად-9-01, 26.03.2002, გვ. 2/6

სასამართლომ მიიჩნია, რომ რ. გ-ოვი 1991-99წ.წ. მსახურობდა რა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის შსს ორგანოებში სხვადასხვა თანამდებობებზე, მუდმივად ცხოვრობდა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. „აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“ 30.09.98წ. კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით კანონის ძალაში შესვლის დღისათვის აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაცია წარმოადგენდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქედ მიჩნევის საფუძველს. აზერბაიჯანის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო-სარეგისტრაციო სამმართველოს უფროსის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, რ.გ-ოვი შსს რესპუბლიკური სამსამართო ბიუროს ინფორმაციის და აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ითვლებოდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქედ. პალატა არ დაეთანხმა მოსარჩელის მოსაზრებას, რომ ის არ უნდა ჩათვალით სხვა ქვეყნის მოქალაქედ, რადგან აღნიშნული ნორმის თანახმად, მოქალაქეობის მიღება შესაძლებელი იყო, თუ იგი ამ კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან ერთი წლის განმავლობაში წერილობით მიმართავდა მოქალაქეობის შექმნის თაობაზე, რაც მას არ განუხორციელებია. პალატამ ჩათვალია, რომ ასეთი მიმართვის არარსებობა არ უარყოფდა რ. გ-ოვის აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეობას, რადგან აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი და ამავე მუხლის მე-2 ნაწილი არ ეხებოდა რ. გ-ოვს. კანონით აღნიშნული ნორმის ტექსტის თანახმად იგი ეხებოდა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრირებულ, 1992წ. 1 იანვრისათვის მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომელთათვისაც მოქალაქეობის მიღების პირობას წარმოადგენდა კანონის ძალაში შესვლის დღიდან ერთი წლის განმავლობაში მოქალაქეობის მიღების შესახებ განცხადებით მიმართვა. ამდენად, რ. გ-ოვი აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ჩათვალია აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქედ.

პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება მოქალაქეობის შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტისას საქართველოს პრეზიდენტის 09.11.98წ. 637 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვა - გადაწყვეტის შესახებ“ დებულების 31-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევის შესახებ. საკასაციო პალატამ ჩათვალია, რომ სადავო აქტის მიღებისას დაცული იქნა ადმინისტრაციული წარმოების წესები.²⁰¹

პალატამ ჩათვალია, რომ სახეზე იყო ორგანული კანონის 32-ე მუხლით გათვალისწინებული საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის ყველა საფუძველი. რ.გ-ოვი 1991 წელს მსახურობდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებში. მართალია, აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონი „პოლიციის შესახებ“, რომელიც ადგენს პოლიციის ორგანოებში

²⁰¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #3გ-ად-9-01, 26.03.2002, გვ. 4/6

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეთა სამსახურს, მიღებულ იქნა 1999 წლის ოქტომბერში, რ.გ-ოვის შსს ორგანოებიდან დათხოვნის შემდეგ (1999წ. ივლისი), მაგრამ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის 55-ე მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფო ორგანოების თანამდებობის პირები ინიშნებიან აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეთა რიცხვიდან. აზერბაიჯანის რესპუბლიკის შს ორგანოებში სამსახური თავისთავად ადასტურებს აღნიშნული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრების ფაქტს, რაც „აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, წარმოადგენს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქედ მიჩნევის საფუძველს. სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღება საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 1-ლი, 32-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საფუძველს. რ.გ-ოვი მუდმივად ცხოვრობდა რა სხვა სახელმწიფოში, არასაკაპტო მიზეზით არ დამდგარა საკონსულო აღრიცხვაზე 2 წლის განმავლობაში (32-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი). საქართველოს საელჩო აზერბაიჯანის რესპუბლიკაში დაარსდა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს 24.02.93წ. 8/29 დადგენილების საფუძველზე, „დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ“ ვენის კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის და „საკონსულო ურთიერთობის შესახებ“ ვენის კონვენციის 70-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში უფლებამოსილი იყო, შეესრულებინა საკონსულოს ფუნქციები. ამდენად, პალატამ უსაფუძვლოდ ჩათვალია რ. გ-ოვის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მას არ დაურღვევია ორგანული კანონის 32-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები, რადგანაც საქართველოს საკონსულო აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მისი საქართველოში ჩამოსვლამდე ერთი წლით ადრე გაიხსნა.

ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის 32-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძველსაც. რ. გ-ოვი მუშაობდა რა მარნეულის შსს რაიგანყოფილების უბნის ...ად 12. 02. 91წ. განცხადებით მიმართა აზერბაიჯანის რესპუბლიკის შს სამინისტროს აზერბაიჯანის რესპუბლიკის შსს ორგანოების სამსახურში მიღების შესახებ. აღნიშნულის საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 10. 07. 91წ. ბრძანებით რ. გ-ოვი გათავისუფლდა მარნეულის შსს რაიგანყოფილების პროფილაქტიკის ქვეგანყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების ...ის თანამდებობიდან და მივლინებულ იქნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის შსს განკარგულებაში. პალატა შსს 10. 07. 91წ. ბრძანებას ვერ მიიჩნევდა ორგანული კანონის 32-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ უცხო სახელმწიფოს პოლიციის სამსახურში შესვლის საქართველოს კომპეტენტური ორგანოს ნებართვად, რადგან ბრძანება გამოცემულია „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 25. 03. 93წ. ორგანული კანონის მიღებამდე, ჯერ კიდევ ერთიანი სსრ კავშირის

მოქალაქეობის არსებობის პირობებში, რ. გ-ოვის მიერ 1991-1999 წლების პერიოდში უცხო ქვეყნის შს ორგანოებში სამსახური ვერ იქნება მიჩნეული მივლინებად.

პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა არ დაიშვებოდა იუსტიციის სამინისტროს 31. 01. 01წ. დასკვნის გაუქმების გარეშე, რომლითაც რ. გ-ოვი მიჩნეულ იქნა საქართველოს მოქალაქედ. პალატამ მოსარჩელის ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობის, სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრაციის, იმიგრაციისა საკითხთა და ნოტარიატის დეპარტამენტის 31. 01. 01წ. 06/01-23 წერილი, რ.გ-ოვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ, ამავე დეპარტამენტის 08. 05. 01წ. დასკვნის მსგავსად, არ წარმოადგენდა ადმინისტრაციულ აქტს, შესაბამისად, მოქალაქეობის შეწყვეტა არ საჭიროებდა მის გაუქმებას.²⁰²

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ რ. გ-ოვი 1991 წლის აგვისტოდან მუდმივად ცხოვრობდა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, სადაც მსახურობდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის შსს ორგანოებში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ამდენად, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 25. 03. 93წ. ორგანული კანონის შემოღების დროისათვის რ. გ-ოვი მუდმივად არ ცხოვრობდა საქართველოში (მე-3 მუხ. „ა“ ქვეპუნქტი), მან 1991 წ. 21 დეკემბრამდე დატოვა საქართველოს ტერიტორია (მე-3 მუხ. „ბ“ ქვეპუნქტი), რამაც შექმნა აგრეთვე, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ კანონის 32-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან პალატამ ჩათვალა, რომ არ არსებობდა რ. გ-ოვის სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება რ. გ-ოვის ნაწილში მიღებული იყო მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, მას საფუძვლად არ ედო კანონის დარღვევა.²⁰³

ამასთან უზენაესი სასამართლოს პალატამ მიუთითა საკასაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობაზე, განმარტა რა, რომ: „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 42-ე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე, საქართველოს კონსტიტუციის 42.1 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ძირითად უფლებათა რიგს განეკუთვნება და წარმოადგენს ყველა სხვა უფლებების და თავისუფლებების დაცვის გარანტიას, აღნიშნული უფლება საქართველოს კონსტიტუციის და საქართველოს მიერ აღიარებული საერთაშორისო

²⁰² საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #3გ-ად-9-01, 26.03.2002, გვ. 5/6

²⁰³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #3გ-ად-9-01, 26.03.2002, გვ. 6/6

სამართლის ნორმების შესაბამისად, გულისხმობს და მოიცავს მისი სრულად რეალიზების კონკრეტულ გარანტიებს, მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას. საქმის სამართლიანი და ღია მოსმენის უფლების უზრუნველსაყოფად („ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ“ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი), მოსარჩელისათვის სათანადო პროცესუალურ-სამართლებრივი გარანტიების მინიჭების მიზნით, სასამართლომ პროცესუალური ანალოგიის გამოყენებით შესაძლებლად ჩათვალა პალატის გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრების უფლების დამშვება.²⁰⁴

მოსარჩელემ გამოიყენა კანონით მინიჭებული უფლება და გადაწყვეტილება გაასაჩივრა საკასაციო წესით. საკასაციო სასამართლო ზეპირი განხილვის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს და უარი უთხრა კასატორს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლომ ვერ გაიზიარა კასატორის მოსაზრება, რომ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე უდავოდ უნდა ყოფილიყო მიჩნეული ის გარემოება, რომ კასატორს საქართველოს მოქალაქეობა მოპოვებული აქვს დაბადებით. საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ აღნიშნული კანონის ამოქმედების დროს კასატორი უკვე მსახურობდა უცხო სახელმწიფოს, კერძოდ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში, რაც „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ კანონის 32-ე მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვას იწვევს. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის 55-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ორგანოების თანამდებობის პირები ინიშნებიან აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეთაგან.²⁰⁵

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო სწორად არ დაეთანხმა მოსარჩელის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იგი ვერ იქნებოდა მიჩნეული აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქედ, რადგან აღნიშნული ნორმის თანახმად, მოქალაქეობის მიღება შესაძლებელი იქნებოდა, თუ მოსარჩელე ამ კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან ერთი წლის განმავლობაში წერილობით მიმართავდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის შესაბამის ორგანოს მოქალაქეობის მიღების თაობაზე, რაც მას არ გაუკეთებია. გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ მართებულად განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული მიმართვის არარსებობა არ გამორიცხავს რ.გ-ის აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქედ ყოფნას, ვინაიდან ზემოთ

²⁰⁴ იქვე, გვ. 6/6

²⁰⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #3გ-ად-170-კ-02 02.09.2002, გვ. 3/5

აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი და ამავე მუხლის მე-2 ნაწილი არ შეეხება რ. გ-ს. მითითებული ნორმის თანახმად, იგი ეხება 1992 წლის 1 იანვრისათვის აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრირებულ მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომელთათვისაც მოქალაქეობის მიღების პირობას წარმოადგენდა კანონის ძალაში შესვლის დღიდან ერთი წლის განმავლობაში მოქალაქეობის მიღების შესახებ განცხადებით მიმართვა.

ამდენად, საკასაციო სასამართლომ გაიზიარა გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მოსაზრება, რითაც რ.გ-ი ზემოთ აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ჩაითვალა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქედ.

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღება საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის პირველი მუხლისა და 32-ე მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საფუძველს.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლომ გაიზიარა გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მოტივაცია, რომ რ.გ-ი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მუდმივად ცხოვრების პერიოდში, ორი წლის განმავლობაში, არასაპატიო მიზეზით, არ დადგა საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე საქართველოს საელჩოში, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკაში დაარსდა და ასრულებდა საკონსულოს ფუნქციებს.

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ საფუძველს მოკლებული იყო კასატორის არგუმენტიც, რომ მისი საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენდა ის, რომ მისი მეუღლე და შვილები კანონით დადგენილი წესით იყვნენ და არიან საქართველოს მოქალაქეები.²⁰⁶

ეს საქმე წარმოადგენს კლასიკურ მაგალითს, როდესაც პირი სხვა ქვეყნის მოქალაქეობის გამო კარგავს საქართველოს მოქალაქეობას, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რასაც ამყარებს სასამართლოს ვერდიქტიც.

საკითხის მეტად თავისებურ გადაწყვეტას ვხვდებით მორიგ სასამართლო საქმეში, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა დმანისის რაიონის სოფ. x-ის საკრებულოს წევრ ფ. ო-სათვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტა.

²⁰⁷

²⁰⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #3გ-ად-170-კ-02 02.09.2002, გვ. 4/5

²⁰⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #3კ/ად-48-კ-01 13.07.2001

პირველი ინსტანციის სასამართლომ მოსარჩელე ვ. ა-ს სარჩელი დააკმაყოფილა და საკრებულოს დეპუტატს ფ. ო-ს შეუწყვიტა სადეპუტატო უფლებამოსილება, იმ მოტივით, რომ იგი 1998 წლის 15 ნოემბერს ჩატარებული არჩევნების დროს არ იყო საქართველოს მოქალაქე, რადგან საარჩევნო პერიოდში, 7 დღის დაგვიანებით, 1998 წლის 21 აგვისტოს დარეგისტრირდა საკრებულოს ტერიტორიაზე. პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომ ორმაგი მოქალაქეობის გამო ფ. ო-ებს აღარ ჰქონდა საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება. პალატამ მიუთითა, მართალია, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის პირველი და 32-ე მუხლის „დ“ პუნქტის მიხედვით საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღებით იგი კარგავს საქართველოს მოქალაქეობას, მაგრამ არა ავტომატურად, არამედ ორგანული კანონის 33-ე, 35-ე, 36-ე, 37-ე მუხლებით დადგენილი პროცედურების დაცვით. ვინაიდან ფ. ო-ევისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება არ არსებობდა არც არჩევნების ჩატარებისა და არც მის შემდგომ პერიოდში, ფ. ო-ევი იყო არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე.²⁰⁸

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა საკასაციო სასამართლოშიც. საკასაციო პალატამ ასევე გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ ფ. ო-ევისათვის ორმაგი მოქალაქეობის ფაქტის დაფიქსირება თავისთავად არ იწვევდა მოქალაქეობის ავტომატურად შეწყვეტას, რადგან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია, ორგანული კანონის 33-ე მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, აქვს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის მე-4 თავით გათვალისწინებული პროცედურის დაცვით. ვინაიდან 1998 წლის საკრებულოს არჩევნების ჩატარების მომენტისათვის და შემდგომი პერიოდისთვისაც არ არსებობდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ფ. ო-ევისათვის საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე, ამიტომ საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ ფ. ო-ევი ითვლებოდა საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქედ და თემის საკრებულოს არჩევნებში მისი მონაწილეობა შეესაბამებოდა „ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების - საკრებულოების არჩევნების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მოთხოვნებს.

²⁰⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #3კ/ად-48-კ-01 13.07.2001, გვ. 2/5

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის კანონით დადგენილი სამართლებრივი საფუძვლების არ არსებობის გამო, სააპელაციო პალატამ მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, არსებითად სწორად გადაწყვიტა დავა და გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა, ხოლო საკასაციო საჩივარი უსაფუძვლობის გამო არ დააკმაყოფილა.²⁰⁹

საყურადღებოა, რომ ამ საქმით სასამართლომ კანონმდებლობის მეტად საინტერესო ანალიზი მოგვცა და მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე პრეზიდენტის ბრძანებულების არ არსებობის გამო პირი ჩათვალა საქართველოს მოქალაქედ, მიუხედავად იმისა, რომ რეალურად იგი იყო სხვა ქვეყნის მოქალაქე.

მეტად საინტერესოა კიდევ ერთი საქმე, რომელიც ორმაგი მოქალაქეობის თემას უკავშირდება. დავის საგანს ამ საქმეზეც წარმოადგენდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.²¹⁰

მოსარჩელებმა ბ.ი-მ და ე.ხ-მ სარჩელით მიმართეს I ინსტანციის სასამართლოს და მოითხოვეს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების ბათილად ცნობა, რომლითაც მათ ჩამოერთვათ საქართველოს მოქალაქეობა. საქმის სირთულე მდგომარეობდა იმაში, რომ მოსარჩელებს მოქალაქეობა შეუწყდათ მას შემდეგ, რაც მიიღეს ორმაგი მოქალაქეობა. ე. ი. მათთვის მოქალაქეობის შეწყვეტას წინ უძღოდა უკვე სხვა ქვეყნის მოქალაქეობის არსებობა.

როგორც ეს სარჩელში იყო მითითებული, მათ ბრძანებულებით მიენიჭათ საქართველოს მოქალაქეობა, რითაც მიიღეს ე.წ. „ორმაგი მოქალაქეობა“, რაც გულისხმობს არა მხოლოდ 2 ქვეყნის მოქალაქეობას, არამედ მულტიმოქალაქეობას. აღნიშნულის საწინააღმდეგო დებულებას არ ითვალისწინებს არც ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ და არც სხვა რომელიმე ნორმატიული აქტი. მოსარჩელეთა მითითებით, სადავო აქტის მომზადებისას, დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლიც, რომლის მიხედვითაც დაცულია ადმინისტრაციული წარმოებისას დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი მოსაზრებების წარდგენის უფლება. გარდა ამისა, მოსარჩელეთათვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევით, მათ ჩამოერთვათ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლით დაცული საარჩევნო უფლებაც. მოსარჩელე ე. ხ-ესთან მიმართებაში მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ როდესაც მას საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა, იგი უკვე იყო რუსეთისა და

²⁰⁹ იქვე, გვ. 4/5

²¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე # ბს-617-605(კ-12) 26.12.2013

საფრანგეთის მოქალაქე, შესაბამისად, გაურკვეველია მისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის სამართლებრივი საფუძველი.²¹¹

თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი. ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ე. ხ-სთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის ნაწილში. ბ.ი-სთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის ნაწილში ბათილად ცნობის მოთხოვნა კი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი თანაბრად ვრცელდება როგორც იმ პირებზე, რომლებიც მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები არიან, ასევე უცხო ქვეყნის იმ მოქალაქეებზეც, რომელთაც საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით აქვთ მინიჭებული, საწინააღმდეგო განმარტება სცილდება კანონის შინაარსს, მიზანს და არსს. სასამართლომ არ შეიძლება, კანონს მიაწეროს ის აზრი, რომელიც მან მხოლოდ განხორციელებული ცვლილების შედეგად უნდა მიიღოს. სასამართლო, ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, განმარტავს ნორმებს, მაგრამ არ ქმნის მათ. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საგამონაკლისო წესით საქართველოს მოქალაქეობამინიჭებული პირისათვის მოქალაქეობის შეწყვეტის სპეციალურ საფუძველებს, რაც გულისხმობს მოცემულ ურთიერთობაზე „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 32-ე მუხლის გამოყენების სავალდებულობას, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ, რომ ამ კატეგორიის პირთათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა საერთოდ არ დაიშვება, რაც სამართლებრივ ლოგიკას მოკლებულია. სასამართლომ მიუთითა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის მიხედვითაც ბ. ი-მა საფრანგეთის რესპუბლიკის მოქალაქეობა მიიღო მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემდეგ და აღნიშნა, რომ არსებული გარემოება „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძველს, რაც სადავო აქტის ბათილობის მოთხოვნას, ბ. ი-ისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის ნაწილში, სამართლებრივ საფუძველს აცლის. სასამართლომ ე. ხ-ესთან მიმართებით აღნიშნა, რომ იგი საქართველოს მოქალაქეობის მიღების მომენტში უკვე წარმოადგენდა, როგორც საფრანგეთის რესპუბლიკის, ასევე რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს. უფლებამოსილი ორგანოს მიერ ამ ფაქტის მოგვიანებით შეტყობა არ შეიძლება, სამართლებრივად გაუთანაბრდეს საქართველოს მოქალაქეობის

²¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე # ბს-617-605(კ-12) 26.12.2013 გვ, 2/6

მიღების შემდგომ საფრანგეთის მოქალაქეობის მიღებას, რადგან ამგვარ შესაძლებლობას მოქმედი კანონი არ ითვალისწინებს.²¹²

მოსარჩელე ბ. ი-მ სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ უცვლელად დატოვა I ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ბ. ი-მა.

კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლო მსჯელობა იმის შესახებ, რომ კანონი არ ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომას, ერთი მხრივ, დაბადებით ან ნატურალიზაციით საქართველოს მოქალაქესა და მეორე მხრივ, უცხო ქვეყნის იმ მოქალაქეს შორის, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა გამონაკლისი წესით მიანიჭეს, არასწორია, რადგან დიფერენცირებული მიდგომა თავად საგამონაკლისო წესის არსებობაში გამოიხატება. კანონმდებელმა კონსტიტუციით განსაზღვრა, რომ საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება, იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე, თუმცა, ამ წესიდან შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, დაუშვა გამონაკლისიც. ამ ორი წესიდან პირველი ზოგადია, ხოლო მეორე - გამონაკლისი. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი კი თავისი არსით მთლიანად ზოგად წესთანაა დაკავშირებული. ის ფაქტი, რომ კანონმდებელმა არ დააწესა ორმაგი მოქალაქეობის შეწყვეტის განსაკუთრებული პირობები, ამგვარი პირობისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის დაუშვებლობაზე მეტყველებს. გარდა ამისა, კასატორმა მიუთითა ისიც, რომ მოქალაქეობის შეწყვეტასთან დაკავშირებით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების კანონთან შესაბამისობაზე მსჯელობისას, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი, რაც მას არ განუხორციელებია. ამასთან, სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული წარმოებისას მიმდინარე დარღვევები არ იყო არსებითი, რადგან გასაჩივრებული აქტი არ შეიცავს დასაბუთებას და გამოცემულია უფლებამოსილების გადამეტებით, რითაც ირღვევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებიც. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში წარმოდგენილ იქნა შესაგებელი, რომლის თანახმად საქართველოს პრეზიდენტმა ცნო ბ. ი-ის სარჩელი (სააპელაციო და საკასაციო საჩივრები), დაეთანხმა კასატორ ბ. ი-ს საკასაციო საჩივარში მითითებულ გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივ საფუძვლებს და მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან. საქართველოს

²¹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე # ბს-617-605(კ-12) 26.12.2013, გვ. 3/6

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტს (ადმინისტრაციულ ორგანოს) შეუძლია, ცნოს სარჩელი (სააპელაციო და საკასაციო საჩივრები), თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. საქართველოს პრეზიდენტმა ჩათვალა, რომ მის მიერ ბ. ი-ის სარჩელის ცნობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს. საქართველოს პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა კასატორის მოთხოვნას - გაუქმებულიყო სადავო გადაწყვეტილება და მიღებულიყო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბ. ი-ის სარჩელი დაკმაყოფილდებოდა.²¹³

საკასაციო ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა ბ. ი-ის საკასაციო საჩივარი, გაიზიარა რა, მოსარჩელის საკასაციო საჩივარსა და მოპასუხის მიერ შესაგებელში გამოთქმული მოსაზრებები და პოზიციები.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან სარჩელის ცნობა არ სცილდებოდა მისი კომპეტენციის ფარგლებს, არ ეწინააღმდეგებოდა საჯარო ინტერესს და აკმაყოფილებდა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს.²¹⁴

საკასაციო ინსტანციის სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დააკმაყოფილა ბ.ი-ის სარჩელი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ბ. ი-ისთვის მოქალაქეობის შეწყვეტის ნაწილში.

გააუქმა რა პრეზიდენტის ბრძანებულება, სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით აღუდგინა მოქალაქეობა მანამდე საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის მქონე მოდავე პირს; თუმცა, ამასთან ერთად შექმნა უპრეცედენტო მაგალითი, რომლითაც კანონმდებლობის სასამართლო პრაქტიკისათვის მანამდე უცხო განმარტებები შემოგვთავაზა.

მოძიებული სასამართლო პრაქტიკიდან სამი საქმე ეხება სოციალურ საკითხებს. მათგან ერთ-ერთ საქმეში დავის საგანს ზიანის ანაზღაურება (დევნილის შემწეობა) წარმოადგენდა.²¹⁵

²¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე # ბს-617-605(კ-12) 26.12.2013, გვ. 4/6

²¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე # ბს-617-605(კ-12) 26.12.2013, გვ. 5/6

²¹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე # გს-142-141(კ-12) 06.12.2012

ორმაგი მოქალაქეობის მქონე მოსარჩელე რ. გ-მ სარჩელით მიმართა პირველი ინსტანციის სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დავალდებულება, მისთვის დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე. საქმის გარემოებების მიხედვით, მოსარჩელემ ხელახლა მიმართა სასამართლოს, რადგან მისი განმარტებით, სამინისტრო არ ასრულებდა სასამართლოს გადაწყვეტილებას, არ გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მისთვის დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე, რის გამოც ადგებოდა ზიანი. სარჩელით მან მოითხოვა ზიანის ანაზღაურების დაკისრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთვის, სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებიდან. პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. ეს გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლომაც.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების გასაჩივრების საფუძველზე, საქმის განხილვისას, საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქმის მასალებში არსებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან (აფხაზეთიდან) იძულებით გადაადგილების შემდეგ, კასატორმა რ. გ-ამ დატოვა საქართველოს ტერიტორია დევნილის სტატუსის მიღების გარეშე და საცხოვრებლად გადავიდა რუსეთის ფედერაციაში, იქ მიიღო რუსეთის მოქალაქეობა, რის გამოც შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქართველოში დაბადებულ, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე რ.გ-ას მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა, შესაბამისად რ.გ-ა გახდა ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი, მისივე პირადობის მოწმობით დასტურდება რ. გ-ას მისამართიც. კასატორის ოჯახის წევრებს - შვილებს და მეუღლეს მინიჭებული აქვთ დევნილის სტატუსი.²¹⁶

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციის პირველი მუხლის თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირად - დევნილად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა, დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას, უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიისა და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო, ან ამ კანონის მე-2 მუხლის მე-11

²¹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე # გს-142-141(კ-12) 06.12.2012, გვ. 4/8

პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ამავე კანონის მე-2 მუხლი კი განსაზღვრავს დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების წესს, რომლის თანახმადაც პირი, რომელიც ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილი მიზეზების გამო დატოვებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადებით მიმართავს სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოს.²¹⁷

უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლო ჩაუღრმავდა განსახილველ საკითხს და მიუთითა, რომ: კანონის განმარტებისას სასამართლომ უნდა გამოიყენოს განმარტების ის მეთოდი, რომელიც ყველაზე ნათლად და ობიექტურად ხსნის ნორმის არსს და მისი მოქმედების ფარგლებს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მნიშვნელოვანი იქნებოდა თუ ერთმანეთს შევადარებდით დევნილის სტატუსის მქონე პირს და ამგვარ სტატუსზე უფლების მქონე პირს. „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი დევნილის სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითებდა შემთხვევას, თუ პირს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეუწყდებოდა საქართველოს მოქალაქეობა და იმ პერიოდის მოქმედი კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებდა ამ სტატუსის აღდგენის შესაძლებლობას, იმ შემთხვევაში, თუ პირს აღუდგებოდა ან მიენიჭებოდა ორმაგი მოქალაქეობა. ნათელი იყო, რომ კანონმდებლობა არ იძლეოდა რა, ამგვარი სტატუსის აღდგენის შესაძლებლობას, შესაბამისად, ხსენებულს არც სტატუსის მოპოვების მსურველ პირს ანიჭებდა.

საქმის მასალებით დადგინდა, რომ საქართველოში დაბადებულ, რუსეთის მოქალაქე რ. გ-ას საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, საქართველოს კონტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა. არსებული საქმის მასალებით დადასტურდა, რომ რ. გ-ას გადაადგილება არ მომხდარა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, მან დატოვა საქართველოს ტერიტორია და მიიღო სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა. იმის გამო, რომ რ. გ გასცდა საქართველოს ფარგლებს, შესაბამისად დატოვა საქართველოს იურისდიქციის ფარგლებიც, მას შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა. ორმაგი მოქალაქეობის მიღებით კი, ის ვეღარ მოექცა პირვანდელ რეჟიმში, რითაც დაკარგა იმ სტატუსის მოპოვების უფლება, რასაც მითითებული კანონი განსაზღვრავდა. იმ პერიოდის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ამგვარი სტატუსის მიღების უფლების აღდგენის შესაძლებლობას.²¹⁸

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა

²¹⁷ იქვე, გვ. 5/8

²¹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე # გს-142-141(კ-12) 06.12.2012, გვ. 6/8

შესახებ“ საქართველოს კანონში 2011 წლის 23 დეკემბრის #5597-რს კანონით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, ახლებურად ჩამოყალიბდა დევნილის ცნება და მის აუცილებელ ელემენტად კანონი აღარ ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში გადაადგილებას, კერძოდ, ხსენებული ნორმის თანახმად, დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას, უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიისა და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო, ან ამ კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ კანონმდებელმა დაუშვა დევნილის სტატუსის აღდგენის შესაძლებლობაც იმ შემთხვევაში, თუ პირს დევნილის სტატუსი შეწყვეტილი ჰქონდა კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის ან „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მიენიჭა/აღუდგა საქართველოს მოქალაქეობა. ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ გადაადგილებულ, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს, დევნილის სტატუსის მიღების უფლება მიენიჭა მხოლოდ 2011 წლის 23 დეკემბრის #5597-რს კანონით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რ.გ-ას მსგავსად, ორმაგი მოქალაქეობის მქონე იძულებით გადაადგილებულ პირებს დევნილის სტატუსი სწორედ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2011 წლის დეკემბერში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ მიენიჭათ. ამდენად, სამინისტროს მიერ რ. გ-ას მიმართ დაცულია თანაზომიერებისა და თანასწორობის პრინციპი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის 2010 წლის 1 სექტემბრის განცხადება საფუძვლიანი გახდა მხოლოდ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2011 წლის 23 დეკემბრის #5597-რს კანონით განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, რომელიც ამოქმედდა 2011 წლის 30 დეკემბრიდან. ამდენად, მოსარჩელის ნების გამოვლენას პოზიტიური შედეგი - დევნილის სტატუსის მინიჭების სახით მხოლოდ 2011 წლის 30 დეკემბრიდან მოჰყვებოდა. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის მიერ 2012 წლის მარტში, სამი თვის დაგვიანებით მოხდა მოსარჩელისათვის დევნილის სტატუსის მინიჭება,

რის გამოც მოსარჩელეს მატერიალური ზარალი მიადგა, კერძოდ, 2012 წლის იანვრიდან ვერ მიიღო დევნილთათვის განსაზღვრული ყოველთვიური შემწეობა.²¹⁹

ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიზანშეწონილად სცნო ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭება კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების საფუძველზე და გარემოებებზე მითითებით, ნაწილობრივ დააკმაყოფილა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, დროის იმ მონაკვეთზე გათვლით, რომელიც მოიცავდა კანონში ცვლილებების შეტანის შედეგად, პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების პერიოდიდან მიუღებელი შემწეობის ოდენობას.

ბოლო ორი სასამართლო აქტი უკავშირდება საქმეს, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი აქტის გამოცემა.²²⁰

ორმაგი მოქალაქეობის მქონე ა.პ. პენსიას იღებდა საქართველოში, თუმცა მისი მომვლელის განცხადების საფუძველზე, თითქოს ის პენსიას იღებდა ასევე მეორე მოქალაქეობის ქვეყანაშიც, მას სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ შეუწყვიტა პენსიის გაცემა. ა.პ-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მისი პენსიის შეწყვეტაზე გამოცემული აქტის ბათილად ცნობა და პენსიის აღდგენის თაობაზე ახალი აქტის გამოცემა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით ა.პ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გადაწყვეტილება და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ა. პ-ს მიმართ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.²²¹

გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით, თუმცა სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

²¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე # გს-142-141(კ-12) 06.12.2012, გვ. 7/8

²²⁰ 1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #ბს-149-147(2კ-17) 20.07.2017

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #ბს-41-41(კ-18) 15.03.2018

²²¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #ბს-149-147(2კ-17) 20.07.2017, გვ. 2/8

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, პენსიის შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს პენსიის მიღებაზე უფლებამოსილი პირის განცხადება შესაბამისი მოთხოვნით. პენსიის დანიშვნის და გაცემის წესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ, პენსიის დანიშვნაზე გადაწყვეტილება მიიღება „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ წესის შესაბამისად. ამავე წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, უცხო ქვეყნის მოქალაქემ, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა, დამატებით უნდა წარადგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ ის არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც ითვლება.²²²

განჩინება გასაჩივრდა საკასაციო წესით. კასაციამ საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც განიხილა საქმე ხელახლა არსებითად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ა. პ-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. პ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის გადაწყვეტილება; ბათილად იქნა ცნობილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გადაწყვეტილება; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა ა. პ-ს მიმართ პენსიის აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.²²³

აპელაციის ხელახალი ვერდიქტი გასაჩივრდა საკასაციო წესით, თუმცა კასაციამ დაუშვებლად ცნო სააგენტოს საჩივარი და მიუთითა: სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვის შემდგომ შეაფასა ისრაელის ეროვნული დაზღვევის სამსახურის წარმომადგენლის ცნობა პენსიით უზრუნველყოფის უფლების შესახებ, რომლითაც დადასტურდა, რომ პენსიონერი ა. პ-ს პენსია ეძლეოდა მხოლოდ იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ის ისრაელში ცხოვრობდა. ა. პ-ს-ს მომვლელმა ქალმა ქ. ყ-მ განცხადება პენსიის შეწყვეტის თაობაზე, შეიტანა იმ მოტივით, რომ ა. პ-ს ოჯახთან ჰქონდა კონფლიქტური სიტუაცია. სინამდვილეში ა. პ. არანაირ პენსიას და დახმარებას არ იღებდა ისრაელიდან. სააპელაციო სასამართლომ

²²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #ბს-149-147(2კ-17) 20.07.2017, გვ. 4/8

²²³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #ბს-41-41(კ-18) 15.03.2018, გვ. 3

ქ.ყ-ს განცხადების საფუძველზე დაადგინა, რომ აღნიშნული სინამდვილეს არ შეესაბამებოდა და ემყარებოდა განმცხადებლის ცრუ ინფორმაციას.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის #46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 5.5 მუხლის თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქემ, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა, დამატებით უნდა წარადგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ისეთ ვითარებაში როდესაც სააგენტოსთვის საჩივრის განხილვის დროს ცნობილი გახდა, რომ პენსიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა არასწორ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, იგი არ იყო უფლებამოსილი ა.პ -ისათვის მოეთხოვა, კვლავ წარედგინა მეორე მოქალაქეობის ქვეყნიდან ახალი ცნობა პენსიის შეწყვეტის თაობაზე. აღნიშნული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, მეორე ქვეყნიდან პენსიის შეწყვეტის შესახებ ცნობის წარდგენის ვალდებულებას უწესებს იმ შემთხვევაში, როდესაც თავდაპირველად ხდება პენსიის დანიშვნა. აღნიშნულ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა არა პენსიის თავიდან დანიშვნას, არამედ უკვე დანიშნული პენსიის აღდგენას, რაც არ საჭიროებდა დამატებითი ცნობების წარდგენას.²²⁴

დაუშვებლად სცნო რა საკასაციო საჩივარი, საკასაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რითაც შესაძლებლობა მისცა ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს, აღედგინა დარღვეული უფლება და მიეღო კუთვნილი პენსია.

²²⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #ბს-41-41(კ-18) 15.03.2018, გვ. 5-6

დასკვნა

ნაშრომზე მუშაობისას ჩატარებული კვლევის საფუძველზე, შესაძლებელია შედეგების შეჯამება და ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტთან დაკავშირებული რიგი პრობლემებისა და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, წინადადებების წარმოდგენა.

მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეობის ინსტიტუტი მთლიანად ეროვნული სამართლის სფეროს მიეკუთვნება, მისი საერთაშორისო მნიშვნელობა იმდენად გაიზარდა, რომ ვერც საერთაშორისო მიდგომა რჩება ამ საკითხთან მიმართებაში გულგრილი. უფრო მეტიც, არსებობს უამრავი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც მოქალაქეობის და კონკრეტულად კი, ორმაგი მოქალაქეობის საკითხებს ეხება. სწორედ ამიტომ, მოქალაქეობის როლისა და მნიშვნელობის ზოგადი დახასიათება თანამედროვე საერთაშორისო სამართალში თავისი შინაარსით არსებითად წარმოადგენს ამ სფეროში საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთთანაფარდობის დახასიათებას. ამიტომ არის, რომ მოქალაქეობის ინსტიტუტი ორი ძირითადი ასპექტით ხასიათდება: ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტებით.

მოქალაქეობის ინსტიტუტის საერთაშორისო სამართლებრივი მნიშვნელობა განპირობებულია სახელმწიფოთა ურთიერთობების განვითარებით.

სწორედ ეს ურთიერთობები ახდენს ზეგავლენას მოქალაქეობის ინსტიტუტის საერთაშორისო - სამართლებრივ ხასიათზე.

მოქალაქეობის ინსტიტუტის, მათ შორის ორმაგი მოქალაქეობის, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეების წარმოსაჩენად, ნაშრომში მოკლე მიმოხილვაა გაკეთებული მოქალაქეობის ინსტიტუტის წარმოშობა - განვითარებაზე. აღნიშნული ინსტიტუტის განვითარებაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ქვეშევრდომის ინსტიტუტმა, რომელსაც ბევრი მეცნიერი მოქალაქეობის ინსტიტუტის ჩამოყალიბების წინაპირობად მიიჩნევს; თუმცა, ზოგიერთ სახელმწიფოში დღესაც შენარჩუნებულია ქვეშევრდომის ინსტიტუტი. მოქალაქის და ქვეშევრდომის საკითხთან მსგავსი მიდგომა ჰქონდა დემოკრატიულ საქართველოსაც, რომელმაც პირველი აქტით - „დებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობისა (ქვეშევრდომობისა),“ - გამოხატა ამ ორი ტერმინის იდენტურობა. როგორც ვხედავთ, მოქალაქეობას და ქვეშევრდომობას ამ შემთხვევაში ერთნაირი დატვირთვა აქვს. დღესაც, მონარქიული წყობის სახელმწიფოებში სიმბოლურად შენარჩუნებულია ქვეშევრდომის ინსტიტუტი.

მოქალაქეობა, წარმოშობიდან დღემდე, მუდმივ განვითარებაშია და დამოკიდებულია კაცობრიობის, კონკრეტული ეპოქის, სახელმწიფოს სოციალურ - ეკონომიკური წყობის და სხვადასხვა ფაქტორების განვითარებაზე.

მსოფლიოში უამრავი ქვეყანა აღიარებს, რომ მოქალაქეობა - ეს არის პირის სამართლებრივი კავშირი სახელმწიფოსთან, რასაც თან სდევს სხვადასხვა სახის უფლებები, მოვალეობები და შესაბამისი პასუხისმგებლობები. ყველა სახელმწიფო დამოუკიდებლად ადგენს თუ ვინ იქნებიან მისი მოქალაქეები და თავისი ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრავს მათ უფლება - მოვალეობებს. ამიტომ არის აუცილებელი მოქალაქეობის ცნებაში გამოიკვეთოს სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის განსაკუთრებული სახის ურთიერთკავშირი.

მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეობის ცნებამ მრავალჯერ განიცადა სახეცვლილება. დღევანდელი განსაზღვრება მის წინამორბედებთან შედარებით უფრო მისაღებია, თუმცა, უკეთესი იქნებოდა, თუ აქცენტი გაკეთდებოდა პირსა და სახელმწიფოს შორის მყარ, სამართლებრივ კავშირზე, რადგან ასეთი სახის კავშირი წარმოშობს იმ ურთიერთობას, რაც დამახასიათებელია მოქალაქეობის ინსტიტუტისათვის.

ასევე, აუცილებლად მიმაჩნია, უფრო ნათლად და დახვეწილად ჩამოყალიბდეს მოქალაქეობის შესახებ კანონში ნორმა, რომელიც საქართველოს მოქალაქეთა მიერ ქართული მოქალაქეობის დაკარგვის შემთხვევათა მნიშვნელოვნად შემცირებას შეუწყობს ხელს. კერძოდ, შესაცვლელია მიდგომა, რომლის თანახმადაც, საქართველოს მოქალაქეები

კარგავენ მოქალაქეობას სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების დროს. ამ შემთხვევაში მეტი სიფრთხილეა საჭირო, რადგან უამრავი საქართველოს მოქალაქე გადახვეწილია სამშობლოდან სხვადასხვა მიზეზების გამო და მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში სიტყვა „ავტომატური“ არ არის დაფიქსირებული, ისინი საქართველოს მოქალაქეობას მაინც კარგავენ სხვა მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში. სამწუხარო ტენდენციაა, მაგრამ დამეთანხმებით, რომ ჩვენი სახელმწიფო მოქალაქეთა ასეთი რაოდენობის დაკარგვით არ უნდა იყოს დაინტერესებული.

როგორც ვიცით, პირის მოქალაქეობის განსაზღვრის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამ პიროვნების კონკრეტული სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნის ფაქტს. ასეთ დროს გვერდს ვერ ავუვლით საქართველოს კანონს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, სადაც 22-ე მუხლის თანახმად, ცოტა გაუგებრად არის ჩამოყალიბებული საქართველოს მიდგომა იმ პიროვნების მიმართ, რომლის მოქალაქეობაც დაუდგენელია. დასახელებული კანონით, დაუდგენელი მოქალაქეობის მქონე პირისათვის, რომელსაც არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი და იმყოფება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, მის მიმართ გამოიყენება საქართველოს კანონი. ნორმის ასეთი ფორმულირებით, იკვეთება წინააღმდეგობივი დამოკიდებულება საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის პრინციპებს შორის. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველი იქნებოდა, თუ ნორმის დახვეწის მიზნით, გამოიკვეთებოდა, რომ აქ საუბარია საქართველოში მყოფ პირზე და არა ნებისმიერ პირზე, როგორც ეს არსებული ფორმულირებით არის დაფიქსირებული.

მოქალაქეობის ინსტიტუტის განხილვისას საყურადღებოა, ასევე, ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენების არსებობას, როგორცაა აპატრიზმი და ბიპატრიზმი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი მოვლენა საკმაოდ გავრცელებულია საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში, სახელმწიფოები მათ ანომალიურ მოვლენებად მიიჩნევენ. აპატრიდები არიან პირები, რომელთაც არც ერთი სახელმწიფო არ აღიარებს თავის მოქალაქედ. არსებობს ნორმები, რომლითაც მათი სამართლებრივი მდგომარეობა რეგულირდება და ისინი ნაწილობრივ გათანაბრებულნი არიან უცხოელებთან, თუმცა, იმ ყველა სიკეთით სარგებლობის უფლება არ გააჩნიათ, რითაც მოქალაქეობის სტატუსის მქონე პირები სარგებლობენ.

აპატრიდთა რაოდენობის ზუსტი რიცხვის დადგენა საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს, რადგან ყველა სახელმწიფო ერიდება აღიაროს მათი არსებობა, რადგან ეს სახელმწიფოს ნაკლად განიხილება. ამის გამო, დაიწყო ისეთი მექანიზმების ჩამოყალიბება, რაც მიმართულია მოქალაქეობის არმქონე პირთა რიცხვის შემცირებაზე. სახელმწიფოები აქტიურად თანამშრომლობენ სპეციალურად საამისოდ შექმნილ სააგენტოებთან, რომელთა მიზანიც აპატრიდთა რაოდენობის შემცირებაა. აპატრიზმი მსოფლიო პრობლემად არის ქცეული და ამ მხრივ გამონაკლისს

არც საქართველო წარმოადგენს. საქართველოში აპატრიდთა სტატუსი დგინდება „მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

იმისათვის, რომ მაქსიმალურად იქნას შემცირებული აპატრიდთა რაოდენობა, საერთაშორისო კონვენციები ამ მიზნით გვთავაზობენ საკმაოდ მოქნილ მექანიზმებს. მსოფლიო საზოგადოება ეთანხმება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, სადაც ნათქვამია, რომ ყველა ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება. ერთ - ერთი ყველაზე მთავარი ქმედება, რითაც შეიძლება თავიდან ავიცილოთ მოქალაქეობის არქონა, არის ის შემთხვევა, როდესაც აპატრიდი მშობლების შვილს დაბადებისთანავე მიენიჭოს იმ ქვეყნის მოქალაქის სტატუსი, სადაც ის დაიბადება. ამ მხრივ სასურველია საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონის მე-11 მუხლში უცნობი მშობლების გვერდით მინიშნებულ იქნას აპატრიდ მშობელთა შესახებაც, თუ ეს უკანასკნელნი მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში.

აპატრიზმის თავიდან ასაცილებლად, გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს მიერ შემუშავებულ იქნა გლობალური სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს ყველაზე ეფექტურ საშუალებათა ნუსხას. აღნიშნული გეგმით უახლოეს მომავალში სრულად უნდა აღმოიფხვრას ეს ანომალია. იმის მიხედვით, თუ რამდენად აქტუალური გახდება ქვეყნებისათვის ამ გეგმით დასახული ამოცანების ეროვნულ კანონმდებლობაში გათვალისწინება, შესაძლებელი გახდება იმის განსაზღვრა, შეძლებენ თუ არა სახელმწიფოები ამ პრობლემის დამარცხებას. ამ მიზნით, ზოგიერთმა ქვეყანამ გადადგა საკმაოდ ჰუმანური ნაბიჯები, რაც გულისხმობს მოქალაქეობის ხელახლა მინიჭებას იმ პირთა მიმართ, ვინც დაკარგა, ან ვერ იღებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას. სასურველია, ამ პროცესს არც საქართველო გამოაკლდეს და გაითვალისწინოს ასეთი პირებისთვის გამარტივებული წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პროცედურა.

თუ სახელმწიფოები ერთიანი მიდგომით შეებრძოლებიან აპატრიზმის პრობლემას, უნდა ვივარაუდოთ, რომ უახლოეს მომავალში სრულიად თუ არა, მნიშვნელოვნად მაინც შემცირდება ქვეყანაში მოქალაქეობის არმქონე პირთა რიცხვი.

ყველაზე საინტერესო საკითხი, რაც თემის ძირითად ნაწილს მოიცავს, არის ორმაგი მოქალაქეობა და მასთან დაკავშირებული როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები. ნაშრომში დაწვრილებითაა განხილული ორმაგი მოქალაქეობის წარმოშობის მიზეზები, ეს ინსტიტუტი სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე, მათ შორის აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოსახლეობის მოქალაქეობის საკითხიც, რომელთა უმეტესობას (90 %-ს), საკუთარი არაღიარებული „ეთნიკური“ მოქალაქეობის გარდა აქვს რუსეთის მოქალაქეობაც.

საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტის მიმართ, გააჩნია ისეთი მიდგომა, რაც ჩემი აზრით, უარყოფითი შედეგების დადგომის რისკს ზრდის. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საქართველოს საკანონმდებლო ისტორია თავისი განვითარების არცერთ ეტაპზე ორმაგ მოქალაქეობას არ ცნობდა და არც დღეს არსებობს მისი გავრცელების მწვავე აუცილებლობა.

მსოფლიოში მიმდინარე სხვადასხვა გლობალურ პრობლემას ვერც საქართველომ აარიდა თავი და შესაბამისად, აღმოჩნდა ბიპატრიზმის საკუთარ ქვეყანაში დანერგვის ფაქტის წინაშე. შესაბამის თავში საკმაოდ დაწვრილებითაა განხილული საქართველოში ორმაგი მოქალაქეობის შემოღების ფაქტი და მასთან დაკავშირებული პრობლემები, გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები:

სამწუხაროდ საქართველო არ არის მზად ორმაგ მოქალაქეობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს გაუმკლავდეს. არ არის ძლიერი შიდა რეგულაცია, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ამ ინსტიტუტის ჩამოყალიბება და განვითარება. შესაბამისი ნორმებიც საკმაოდ ბუნდოვანია, ამიტომ სასურველი იქნება, ნათლად ჩამოყალიბდეს ორმაგ მოქალაქეობასთან დაკავშირებული მოთხოვნები, კონკრეტულად განისაზღვროს ყველა ის აუცილებელი პირობები, რომელთა წარმატებით გადალახვის შემთხვევაში უცხოელი მზად იქნება მიიღოს ნატურალიზაციით საქართველოს მოქალაქეობა.

თუ გადავხედავთ კანონს მოქალაქეობის შესახებ, სადაც მე-7 მუხლით განისაზღვრება საქართველოს საპატიო მოქალაქეობა - უცხოელს, რომელსაც თავისი სამეცნიერო ან/და საზოგადოებრივი საქმიანობით განსაკუთრებული დამსახურება აქვს საქართველოსა და კაცობრიობის წინაშე, ან აქვს პროფესია და კვალიფიკაცია, რომლითაც დაინტერესებულია საქართველო, და მისთვის საქართველოს საპატიო მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობს, შეიძლება მიენიჭოს საქართველოს საპატიო მოქალაქეობა მისი თანხმობით.

ამავე კანონის მე-17 მუხლის თანახმად, რომელიც საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭებას ეხება, ...საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით შეიძლება მიანიჭოს სახვა ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურება აქვს ან რომლისთვისაც საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობს.

ორივე შემთხვევაში, განსაკუთრებული სიცხადით გამოკვეთილია უცხოელის მიერ საქართველოს წინაშე გაწეული ღვაწლი და დამსახურება, რაც სრულიად სამართლიანად აჩენს კითხვას: რა ითვლება დამსახურებად ან სად გვიწერია რა, ან როგორი ქმედება ჩავთვალოთ ასეთად? ასევე

დასაზუსტებელია, რა დამსახურებისთვის მიენიჭოს საპატიო მოქალაქეობა და რა დამსახურებისთვის - ორმაგი მოქალაქეობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ შესაბამისი ნორმატიული აქტით (სასურველია კანონით), განისაზღვროს საქმიანობის ის ნუსხა, სადაც გაწერილი იქნება როგორი საქმიანობა ჩაითვლება ისეთ დამსახურებად, რაც იქნება ორმაგი მოქალაქეობის ან საპატიო მოქალაქეობის მინიჭების წინაპირობა, ასევე განისაზღვროს ის პროფესიები და კვალიფიკაციები, რაც საქართველოსათვის დეფიციტურად ითვლება და პრეზიდენტსაც აღარ გაუჭირდება გადაწყვეტილების მიღება. ვფიქრობ, დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, დეფიციტური პროფესიების განსაზღვრა შედარებით იოლი იქნება ხელისუფლებისთვის. რაც შეეხება დამსახურებას, ინდივიდუალური ქმედებების პარალელურად შეიძლება მხედველობაში მიღებულ იქნას პირის თვალსაჩინო მიღწევები მეცნიერების, ხელოვნების, მედიცინის და სხვა სფეროებში.

თუ გადავხედავთ ბოლო 5 წლის განმავლობაში უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქის სტატუსის მინიჭების ფაქტებს, დავრწმუნდებით, რომ მათი რიცხვი საკმაოდ მაღალია, ამიტომ ერთ - ერთ აუცილებელ პირობად მიმაჩნია, წინასწარ განისაზღვროს იმ პირთა წლიური რაოდენობა, ვისაც უნდა მიენიჭოს თავის მოქალაქეობასთან ერთად საქართველოს მოქალაქეობაც, რასაც თავისთავად გილისხმობს კიდეც „საგამონაკლისო წესის“ შინაარსი.

თავისი შინაარსით, სახელმწიფოსათვის თითქოს არ უნდა იყოს ორმაგი მოქალაქეობა პრობლემური, მაგრამ მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, რომ ბიპატრიზმი ანომალური მოვლენად ითვლება. რადგან არ არსებობს ერთიანი მიდგომა ამ საკითხის მოგვარებისადმი, ბიპატრიზმის მთელი სიმძიმე ეროვნული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. თუ ცალკეული ქვეყნები და მათ შორის საქართველოც, შეიმუშავენ ნორმებს, რომლებიც ბიპატრიზმის ინსტიტუტს ეროვნულ კანონმდებლობაში საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით გაამყარებენ, ასევე თუ საერთო მოქალაქეობის მქონე ქვეყნები დადებენ ხელშეკრულებებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ასევე თუ ავტონომიურად განუსაზღვრავენ საერთო მოქალაქეებს კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს და პასუხისმგებლობის საზღვრებს, იქნებ თავიდან იქნას აცილებული სახელმწიფოთა შორის ამ მოქალაქეებთან დაკავშირებით წარმოქმნილი სხვადასხვა სახის კონფლიქტური სიტუაციები.

მოპოვებული მასალებით დასტურდება სულ უფრო მზარდი მოთხოვნილება უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მხრიდან, გახდნენ საქართველოს მოქალაქეები. მართალია, ექსპერტთა გარკვეული ნაწილს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ასეთი რაოდენობით შემოდინება და საბოლოოდ მათი აქ დამკვიდრება, ქვეყნის კეთილდღეობად და ეკონომიკური თვალსაზრისით საკმაოდ ნორმალურ ფაქტად მიაჩნიათ,

მაგრამ ვფიქრობ, ამ საკითხისადმი ასეთი მიდგომა საკმაოდ საგანგაშოა. თუ არ შეიძლება, ეთნიკურად ქართველი ხალხისათვის გამარტივებული წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება, რატომ უნდა მივანიჭოთ ყოველგვარი წინაპირობების გარეშე, უცხოელებს საქართველოს მოქალაქეობა? ჩვენი ქვეყანა აუცილებლად უნდა დაინტერესდეს საზღვარგარეთ გადახვეწილი უამრავი ჩვენი თანამემამულის უკან დაბრუნებით, რაც უპირველეს ყოვლისა საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობის მატებასთან არის დაკავშირებული და შემუშავდეს ეთნიკური ქართველებისათვის შედარებით გამარტივებული წესით საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების მექანიზმი. აღნიშნული კი დადებითად იმოქმედებს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და დემოგრაფიულ პროცესებზე.

კიდევ ერთ-ერთი, ვფიქრობ, სამსჯელოდ გამოსატანი პრობლემაა, რომ საქართველოს მოქალაქეების შვილი დაბადებით იღებს ამერიკის, საფრანგეთის, კანადის და სხვა ქვეყნის მოქალაქეობას; შემდეგ ჩამოდიან რა საქართველოში, საქართველოს პრეზიდენტს მიმართავენ თხოვნით, მიანიჭოს მათ შვილს ნატურალიზაციის გზით, გამონაკლისის წესით, საქართველოს მოქალაქეობაც. ეს ფაქტი, თავისთავად ნიშნავს, რომ ასეთ მშობლებს არ სურთ მათმა შვილმა დაკარგოს საქართველოს მოქალაქეობა და კავშირი სამშობლოსთან. ამდენად, საგამონაკლისო წესით ორმაგი მოქალაქეობის მინიჭებისთვის დათქმული ერთ-ერთი პირობა: „პირისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან,“ უნდა გავრცელდეს ზემოთ მითითებულ არასრულწლოვნებზეც.

როგორც უკვე აღინიშნა, ნატურალიზაციით საქართველოს მოქალაქეობის მსურველთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. გარდა სურვილისა, აუცილებელია შესაბამისი ცოდნის გამომჟღავნება, რასაც კომისია აფასებს და მნიშვნელოვანი გარემოებების გათვალისწინებით, გადაწყვეტილებას იღებს შინაგანი რწმენის საფუძველზე. „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ დებულებაში“ მე-19 მუხლის მე-3 პუნქტში, საუბარია ოთხ კაციან კომისიაზე, რომელიც აფასებს საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების მსურველი პირის ცოდნის დონეს ქართულ ენაში, ისტორიასა და სამართლის საფუძვლებში.

გაუგებარია, რა პრობლემა იყო კომისია ოთხი წევრის ნაცვლად, კენტი რაოდენობით შეედგინათ. ოთხწევრიან კომისიაში ხმების გაყოფისას გადამწყვეტი იქნება თავმჯდომარის ხმა, ე.ი. სააგენტო თავის ნებას უპრობლემოდ გაატარებს და დანარჩენი 2 წევრის ყოფნა კომისიაში ფორმალურ ხასიათს იძენს. ამიტომ, აუცილებელია, კომისია შეიქმნას არანაკლებ 5 კაცის შემადგენლობით. კომისია კი უნდა შედგებოდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტებისაგან კანდიდატის ცოდნის

შესამოწმებლად და არ უნდა სჭირდებოდეს მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალობის მქონე ადამიანები, ანუ ახალი კომისიის შექმნა, როგორც ეს ზემოთ აღნიშნული დებულების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტშია გაწერილი.

8. საინტერესოა ასევე, რა ისეთი მნიშვნელოვანი გარემოებები იგულისხმება მოქალაქეობის მიღების მსურველთათვის, რასაც კომისია ითვალისწინებს და თანაც შინაგანი რწმენის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას, ან როგორ, ან რა გარემოება უყალიბებთ კომისიის წევრებს ე. წ. „შინაგან რწმენას“? აღნიშნულ დებულებაში არაფერია ნათქვამი მნიშვნელოვანი გარემოებების

გარდა ამისა, აუცილებელია, ასევე დადგინდეს, რამდენად მყარია ნატურალიზაციით მოქალაქეობის მოპოვების მსურველი პირის მხრიდან საქართველოსთან ეფექტური კავშირი, რადგან როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ ნაშრომში, აქტიური და ეფექტური მოქალაქეობა, არის ორმაგი მოქალაქეობის მოპოვების მნიშვნელოვანი წინაპირობა. სწორედ ეს ეფექტური კავშირი არის პირის მიერ ნატურალიზაციით საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების მთავარი კრიტერიუმი სხვა დანარჩენებთან ერთად. ეფექტური მოქალაქეობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ბინადრობის ხანგრძლივობა, ოჯახური კავშირები, ბიზნესის თუ სხვა საქმიანი ინტერესები, რაც კომისიის წევრებს ჩამოუყალიბებდა შინაგან რწმენას უცხოელებისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების დროს.

მიუხედავად იმისა, რომ ორმაგი მოქალაქეობა არცთუ მცირე უარყოფით შედეგებს იწვევს და საქართველო არ არის მზად, ორმაგი მოქალაქეობის დასამკვიდრებლად, ნაშრომზე მუშაობისას გამოიკვეთა და წარმოჩინდა, რომ ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტის ჩამოყალიბება არის ობიექტური პროცესი, რამდენადაც ხალხს ყოველთვის ჰქონდა და ექნება ერთი ქვეყნიდან მეორეში საცხოვრებლად გადასვლის სურვილი, რაც გამოწვეულია სახელმწიფოთა შორის მჭიდრო ურთიერთობების დამყარებისა და შემდგომი გაღრმავების სურვილით, ასევე სახელმწიფოთა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ინტერესებით. როდესაც საუბარია ორმაგი მოქალაქეობის დამკვიდრებაზე, თუ სახელმწიფოები გადაწყვეტენ ამ ინსტიტუტის დანერგვას, აუცილებელია, თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკაში არსებული მეთოდით მოხდეს ამ ინსტიტუტის შემოღება, კერძოდ: სახელმწიფოები, რომლებიც ითვალისწინებენ ორმაგ მოქალაქეობის დაშვებას, აუცილებლად აღიარონ ეროვნულ კანონმდებლობაში. აღნიშნული ინსტიტუტის აღიარება, დააფუძნონ წინასწარ განსაზღვრული პირობებით, და ბოლოს, გამოკვეთონ და დააფიქსირონ საკუთარი დამოკიდებულება ორმაგი მოქალაქეობის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთავაზობთ შემდეგი სახის რეკომენდაციებს:

1. „კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის ფორმულირებით გაუგებარია კონკრეტულად ვისზეა საუბარი. აღნიშნული ნორმის შინაარსით იქმნება შთაბეჭდილება, რომ მასში საუბარია დაუდგენელი მოქალაქეობის მქონე პირზე, რომელიც შეიძლება იყოს ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორიაზე, ამიტომ ხაზგასმით უნდა მიეთითოს - საქართველოში მცხოვრები დაუდგენელი მოქალაქეობის მქონე პირი.

2. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანულ კანონში, მე-11 მუხლში საუბარია უცნობი მშობლების შვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე. აღნიშნულ მუხლს უნდა დაემატოს აპატრიდი მშობლების შვილიც.

3. აპატრიზმის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა კანონში ჩაიწეროს, რომ მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე, გამარტივებული წესით მიენიჭებათ საქართველოს მოქალაქეობა.

4. მიუხედავად იმისა, რომ არ ვეთანხმები საქართველოში ორმაგი მოქალაქეობის დანერგვას, მიმაჩნია, რომ აღნიშნულ პროცესს ჩვენი ქვეყანა ვერანაირად აუვლის გვერდს. ამიტომ აუცილებელია წინასწარ განისაზღვროს ის კონკრეტული პირობები, რის დაკმაყოფილების შემდეგაც მიიღებენ უცხოელები საქართველოს მოქალაქეობას: ბინადრობის ცენზი, ცოდნის დონე და სხვ.

5. მოვახდინე რა, საპატიო მოქალაქეობის და საქართველოს მოქალაქეობის ნატურალიზაციით მინიჭების პროცედურებისა და ამ სფეროში არსებული სტატისტიკის ანალიზი, ვთვლი, რომ უცხოელებს საქართველოს მოქალაქეობა ნამდვილად გამონაკლისის სახით უნდა მიენიჭოთ და არა ისე, როგორც ამჟამად ენიჭებათ. სხვა დანარჩენ შეთხვევებში კი გარკვეული დამსახურებებისთვის საპატიო მოქალაქეობა მივანიჭოთ.

6. „მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის მე-17 მუხლში მინიშნებულია უცხოელთათვის განსაკუთრებული დამსახურების გამო საგამონაკლისო წესით მოქალაქეობის მინიჭებაზე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ შესაბამისი ნორმატიული აქტით განისაზღვროს საქმიანობის ის ნუსხა, სადაც გაწერილი იქნება როგორი საქმიანობა ჩაითვლება ისეთ დამსახურებად, რაც იქნება ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების წინაპირობა. დამსახურების შეფასებისას, ინდივიდუალური ქმედებების პარალელურად

მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას პირის თვალსაჩინო მიღწევები მეცნიერების, ხელოვნების, მედიცინის და სხვა სფეროებში.

7. რადგან საქართველოში ორმაგი მოქალაქეობა გამონაკლისი სახით არის დაშვებული, კარგი იქნება თუ წინასწარ განისაზღვრება მისი წლიური კვოტა, მაგალითად, არაუმეტეს 50 ერთეულისა.

8. თემის დამუშავების პროცესში არაერთგზის აღვნიშნეთ, რომ მიუხედავად ჩემი უარყოფითი დამოკიდებულებისა საქართველოში ორმაგი მოქალაქეობის დანერგვის ფაქტზე, აუცილებელია საქართველომ დადოს სხვადასხვა ქვეყნებთან ხელშეკრულებები, რითაც კონკრეტულად იქნება განსაზღვრული საერთო მოქალაქეების უფლებები და ვალდებულებები, შესაბამისად პასუხისმგებლობები, რადგან თავიდან იქნეს აცილებული სხვადასხვა კონფლიქტური სიტუაციები.

9. იმავდროულად ჩვენი ქვეყანა აუცილებლად უნდა დაინტერესდეს საზღვარგარეთ გადახვეწილი უამრავი ჩვენი თანამემამულის უკან დაბრუნებით, რაც უპირველეს ყოვლისა საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობის მატებასთან არის დაკავშირებული და შემუშავდეს ეთნიკური ქართველებისათვის შედარებით გამარტივებული წესით საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების მექანიზმი, ან მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის მე-17 მუხლში მითითებული პირობა: “მისი მიღება გამომდინარეობს სახელმწიფოს ინტერესებიდან“ უპირობოდ და აქტიურად გავრცელდეს ეთნიკურად ქართველებზე, რაც დადებითად იმოქმედებს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და დემოგრაფიულ პროცესებზე.

10. „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვის და გადაწყვეტის შესახებ“ დებულების მე-19 მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს უფრო ნათლად, კერძოდ, სადაც მოქალაქეობის საკითხთა კომისიის შემადგენლობა ოთხის ნაცვლად განისაზღვროს ხუთი წევრით და იგი დაკომპლექტდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტებით, რათა ყოველ ჯერზე ახალი კომისიის მოწვევა საჭირო აღარ იყოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ნორმატიული აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია. თბ. 1995. matsne.gov.ge. 2018წ. მაისის მდგომარეობით
2. საქართველოს კონსტიტუცია. მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921წ. 21თებერვალი. matsne.gov.ge.
3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია. 2000 წლის 8 დეკემბერი. <http://scara.gov.ge/ka/2010-03-17-12-48-03/2010-03-17-13-48-11.html>

4. აფხაზეთის De Facto კონსტიტუცია. მე-2 თავი. იხ.საქართველოს კონსტიტუციური სამართალი. რუხაძე ზ. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ბათუმი.1999წ.
5. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რასობრივი დისკრიმინაციის კომიტეტის 2004 წლის 1 ოქტომბრის რეკომენდაცია არამოქალაქეების დისკრიმინაციის წინააღმდეგ. matsne.gov.ge.
6. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი (UNHCR), დოკუმენტი კარგი პრაქტიკის შესახებ-მოქმედება: მოქალაქეობის არქონის ძირითად სიტუაციათა გადაჭრა; 2015 წლის 23 თებერვალი. <http://www.refworld.org/docid/54e75a244.html>
7. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება. იხ. საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი. გეფერიძე დ. ხაზალია ა. მერიდიანი. თბ. 2011წ.
- 8.დებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობისა (ქვეშევრდომობისა). 1918 წ. 16 ივლისი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921წწ. სპეც. რედაქტორი ვ. შარაშენიძე. ივერთა მხარე. თბ. 1990წ.
9. კონვენციის რატიფიცირებისათვის გაეროს 1961 წლის 30 აგვისტოს მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ (07-2/171, 18.02.14). თბ. საინფორმაციო ფურცელი matsne.gov.ge
- 10.საერთაშორისო სამართლის კომისია, სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობის ცვლილებების შემთხვევაში ფიზიკურ პირთა მოქალაქეობასთან დაკავშირებული მუხლები კომენტარებით. International Law Comission, 1999.
11. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. სარატიფიკაციოდ და შესაერთებლად გენერალური ასამბლეის 1966 წლის 16 დეკემბრის 2200 (XXI) რეზოლუციით. matsne.gov.ge
12. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), CCPR ზოგადი კომენტარი N17. Matsne. Gov.ge.
13. საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეობის შესახებ.თბ.1993 წ. matsne.gov.ge.
14. ბავშვის უფლებების კონვენცია. 1989წ. 20 ნოემბერი. matsne.gov.ge.
15. საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.2018 წ. მაისის მდგომარეობით. Matsne. Gov.ge.

16. საქართველოს მთავრობის დაგენილება #523, 2014 წლის 1 სექტემბერი. საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის წესის დამტკიცების შესახებ. Matsne.gov.ge
17. საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ. თბ. 1998 წ. matsne.gov.ge.2018წ.
18. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ. თბ. 2014 წ. (2018 წლის მაისის მდგომარეობით). matsne.gov.ge
19. სახ. უზრუნველყოფა იმისა, რომ არც ერთი ბავშვი არ დაიბადოს მოქალაქეობის არმქონედ. გამოცემულია გაეროს ეგიდით. ჟენევა. 2014წ.

ბიბლიოგრაფია

1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი. ლექსიკონ-ცნობარი ლ. ალექსიძის რედაქტორობით. თბ. 2005წ.
2. ალექსიძე ლ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. იურისტების სამყარო. თბ. 2013 წ.
3. ბრანდერი პ. რუი გ. ელლი კ. სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით. თბ. 2004 წ.
4. ბრაუნლი ი. საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპები. საია-ს იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის ეგიდით. თბ. 2010 წ.
5. გაზეთი ყველა სიახლე. 2010 წ. 4 სექტემბერი.
6. გეგენავა დ. ქანთარია ბ. ცანავა ლ. თევზაძე თ. მაჭარაძე ზ. ჯავახიშვილი პ. ერქვანია ქ. პაპაშვილი თ. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი. თბ. 2013წ.
7. გიგილაშვილი ვ. მოქალაქეობის ცნება და საერთაშორისო სამართალი. ჟურნალი სამართალი. #5-6. 1993წ.
8. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. ლექსიკონი ცნობარი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ. 2003 წ.
9. კონსტიტუცია და ქართული სამართლის პრობლემები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ. 2002 წ.
10. კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო. რედაქტორი ა. დემეტრაშვილი. თბ. 2005 წ.
11. ლობჯანიძე გ. ადამიანის უფლებათა სამართალი. ინოვაცია. თბ. 2005 წ.

12. ლორია ა. ფილიაცია და ნატურალიზაცია საქართველოში. მერიდიანი. თბ. 2009 წ.
13. ლორია ა. მოქალაქეობა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ. 1996 წ.
14. ნადარეიშვილი გ. რომის სამოქალაქო სამართალი. ბონა კაუზა. თბ. 2001 წ.
15. ნემსიწვერიძე თ. უცხოელთათვის საარჩევნო უფლების მინიჭება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე- სახელმწიფოს პოლიტიკურ გარემოზე ზემოქმედების სამართლებრივი ბერკეტი? სტუდენტური ჟურნალი. 2014წ. გვ.103-115
16. ორბელიანი სულხან-საბა. სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი. საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. თბ. 1949 წ.
17. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი. ავტორთა კოლექტივი. მერიდიანი. თბ. 2017 წ.
18. სახელმძღვანელო მოქალაქეობის არმქონე პირთა დაცვის შესახებ. მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ 1954 წლის კონვენციის შესაბამისად. გაეროს ლტოლვილთა საკითხების უმაღლესი კომისრის ოფისი. ჟენევა. 2014 წ.
19. მოქალაქეობა და მოქალაქეობის არქონა. ავტორთა კოლექტივი. სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის #22. საპარლამენტაშორისო კავშირი. ჟენევა.2014წ.
20. მოქალაქეობის არქონის დასრულების გლობალური სამოქმედო გეგმა. გამოც. გაეროს ეგიდით. ჟენევა. 2014წ.
21. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ტ. I. პას. რედ. გონაშვილი ვ. ქრონოგრაფი. თბ. 2004წ.
22. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწ. III. პას. რედაქტ. ვ. გონაშვილი. თბილისელები. თბ. 2006წ.
23. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწ. V. პას. რედ. ვ. გონაშვილი. თბილისელები. თბ. 2007წ.
24. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები. ავტორთა კოლექტივი. პეტეტი. თბ. 2013 წ.
25. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი. დ. გეგენავას რედაქციით. დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბ. 2014 წ.

26. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი. რუხაძე ზ. სამეცნ. რედ. ლორია ვ. სახელმძღვანელო გამოცემულია ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის ფინანსური მხარდაჭერით. ბათუმი. 1999წ.
27. ცნობილაძე პ. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი. უნივერსალი. თბ. 2004 წ.
28. შაიო ა. ხელისუფლების თვითშეზღუდვა. თარგმანი ინგლისურიდან. მეცნ. რედ. ნინიძე თ. სეზანი. თბ. 2003 წ.
29. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება N 397. 1994 წ. 18 დეკემბერი. საქართველოს საპატიო მოქალაქის პრივილეგიებისა და იმუნიტეტის შესახებ. საქართველოს ეროვნული არქივი.
30. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული მასალები. #01/76147. #01/73444
31. ჰიტლერი ა. ჩემი ბრძოლა. ატლანტიდა. თბ. 1992 წ.

უცხოენოვანი

1. Alarian H. and Goodman S.W. Dual Citizenship Allowance and Migration Flow: An Origin Story. Comparative Political Studies. 2016.
2. Brubaker R. Nationalism Reframed: Nationhood and National Question in the New Europe. Cambridge. 2006.
3. Bloemrad I. Who Claims Dual Citizenship? The Limits of Post nationalism, the Possibilities of Transnationalism, and the Persistence of Traditional Citizenship. International Migration Review. 2004. Vol. 38.No. 2.
4. Bowett D. Self-Defense in International Law. The Lawbook Exchange. Ltd. ISBN-13: 9781584778554. 2003.
5. Brownlie I. International Law and the Use of Force by States. 1963. Bowett Seif – Defence in International Law. 1958.
6. Brownlie I. Basic documents on human rights. Oxford University Press. 2006. Ian Brownlie & Guy S. Goodwin-Gill V. 2006.
7. Brownlie I. Principles of Public International Law. Oxford University Press. 2010.
8. Debbi M. Richard E. Kurt A. US Immigration and Citizenship Q & A. Publisher: Sphinx Pub. 2 edition. 2006.

9. Faist T. Dual Citizenship as Overlapping Membership. School of International Migration and Ethnic Relations Malmo University. Sweden. 2001.
10. Faist T. Gerdes and B. Rieple. Dual Citizenship as a Path-Dependent Process International Migration Review. Sweden.2004.
11. Hansen, R. A European citizenship of a Europe of citizens? Third country nationals in the EU. Journal of Ethnic and Migration Studies. 1998.
12. Howard M. M. Variation in Dual Citizenship Policies in the Countries of the EU. International Migration Review. 2005.
13. Ingo von Münch. Die deutsche Staatsangehörigkeit: Vergangenheit — Gegenwart — Zukunft. 2007.
14. Iordachi K. Dual Citizenship in Postcommunist Central and Eastern Europe. Sapporo: Slavic Research Center. Hokkaido University. 2004.
15. Jonathan T. Active Citizenship: A New Approach to Volunteering. Huffington Post. 2010-06-10. Pfau-Effinger B. Change of family policies in the socio-cultural context of European Societies. Comparative Social Research.
16. Kamann K. Probleme mehrfacher staatsangehörigkeit under besondere Berücksichtigung des Völkerrechts. Frankfurt am Main. Bern. New-York. Nancy Lang. 1984.
17. Kelsen H. General Theory of Law and State. Cambr. Mass.1945.
18. Kunz J.L. Zur Problem der deppelten Staatsangehörigkeit. Zeitschrift fur Ostrecht. 1928.
19. Manfred J. The United States and Germany. A Diplomatic History. Cornell University Press. 1985. pp. 25-26. ISBN 0-8014-9890-2
20. Marshall T. Citizenship and social class // in T.Π. Marshall and T. Bottomore. - Citizenship and social class. London. Pluto Press. 1992.
21. Mervyn J. British Nationality Law and Practice (1956). Guggenheim. Makarov. 74 hague Recueil (1949).
22. Pfau-Effinger, B. Change of family policies in the socio-cultural context of European Societies. Comparative Social Research.
23. Shachar A. Citizenship. The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law. ed. By Rozenfeld M. Sajo A. Oxford. 2013.

24. Tilly Ch. Citizenship, Identity, and Social History (International Review of Social.HistorySupplements)<https://www.scribd.com/document/311158514/Tilly-Citizenship-Identity>
 25. Bleskmann A. Staatsangehörigkeitserwerb Kraft Vertrauensschützes? – Zeitschrift für ausländisches öffentliches Und Privatrecht. 1974.
 26. Westlake J. International Law. Part 1.Cambr. 1904.
 27. Maas. W. Unrespeded, unequal, hollow? Contingent citizenship and reversible rights in the European Union – Colombia Joirnal of the European Law, 2009, #15
1. Acts of the Conference II, Minutes of the Ist Committee. Plenary Meetings.V.14. 18-41 (1930). <http://legal.un.org/ola/>
 2. American Convention On Human Rights.(Adopted at the Inter-American Specialized Conference on Human Rights. San José. Costa Rica. 22 November 1969).
<https://www.cidh.oas.org/basicos/english/basic3.american%20convention.htm>
 3. Amt Auswärtiges. Federal Foreign Office - Law on Nationality. Auswaertiges-amt.de. Retrieved 1 April 2018. <https://www.auswaertiges-amt.de/en/einreiseundaufenthalt/staatsangehoerigkeitsrecht-node>
 4. Baby girl born on US-bound flight. BBC. 1 January 2009. <http://news.bbc.co.uk/2/hi/americas/7807001.stm>
 5. British Nationality Act 1981. <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1981/61#top>.
 6. Canadian Citizenship And ImmigrationActs.19001977. <https://www.canada.ca/en/immigration-refugeescitizenship/services/canadian-citizenship.html>
 7. Citizenship Act (R.S.C. 1977.). Forging Our Legacy: Canadian Citizenship And Immigration. 1900–1977. Immigration, Refugees and Citizenship Canada. <http://publications.gc.ca/site/eng/9.647747/similarSubjects.html?si=1>
 8. Commentary on the draft Convention of Nationality. American Journal of International Law.1985.
 9. Convention between the United States of America and the King of Prussia. Relative to Naturalization. Concluded at Berlin, February 22. 1868. Ratifications Exchanged May 8. 1868. Proclaimed by the President of the United States. May 27. 1868. Treaties and Convention between the United States and Other Powers. Since

July 4. 1776. Revised Edition. Washington. DC: Government Printing Office.1873.
http://en.wikipedia.org/wiki/List_of_United_States_treaties#1850%E2%80%931899

10. Convention on Certain Questions Relating to the Conflict of Nationality Law. League of Nations. April 1930. Article 3. Treaty Series. vol. 179. No. 4137.
<http://www.refworld.org/docid/3ae6b3b00.html>

11. Convention on the Reduction of Statelessness. 1961.
http://www.unhcr.org/ibelong/wp-content/uploads/1961-Convention-on-the-reduction-of-Statelessness_ENG.pdf

12. Convention relating to the status of stateless persons. 1954 Convention.
<http://www.unhcr.org/protection/statelessness/3bbb25729/convention-relating-status-stateless-persons.html>

13. Council of Europe, Convention on Reduction of Cases of Multiple Nationality and Military Obligations in Cases of Multiple Nationality. 6 May 1963. ETS 43.
available at: <http://www.refworld.org/docid/3ae6b37814.html>

14. European Convention on Nationality. Strasbourg. 6.XI.1997 <https://rm.coe.int/168007f2c8>

15. Gaëlle Faure (Aug 12, 2009). British Citizenship: Points Off for Protest?. Time Magazine. 2010-06-1.

16. Hungarian law on private international law. <http://www.acta.sapientia.ro/acta-legal/C6-1/legal61-08.pdf>

17. Information on Norwegian Citizenship.

<https://www.lifeinnorway.net/norwegian-citizenship/>

18. Liability for Military Service of Naturalized Persons and Persons born with Double Nationality. Treaties and Other International Agreements of the United States 1776-1949 (compiled under the direction of Charles. I. Bevans). IX (Iraq-Muscat). Washington. DC: The Department of State, Government Printing Office, 1972.

19. Portugal's Constitution of 1976 with Amendments through 2005.
https://www.constituteproject.org/constitution/Portugal_2005.pdf

20. Staatsangehörigkeitsgesetz (StAG), Verordnung über die Zuständigkeit der Staatsangehörigkeitsbehörden. Allgemeine Verwaltungsvorschriften über Urkunden in Staatsangehörigkeitssachen (StA UrkVwV). 2017.

https://im.baden-wuerttemberg.de/fileadmin/redaktion/m-im/intern/dateien/pdf/20170303_VwV_StAG_3._Fortschreibung_vom_03.03.2017.pdf

21. Statute of the International Law Commission; Adopted by the General Assembly in resolution 174 (II) of 21 November 1947, as amended by resolutions 485 (V) of 12 December 1950, 984 (X) of 3 December 1955, 985 (X) of 3 December 1955 and 36/39 of 18 November 1981
<http://legal.un.org/docs/?path=../ilc/texts/instruments/english/statute/statute.pdf&lang=EF>

22. Treaty on European Union, official Journal of the European Communities 29.07.1992. <https://eur-lex.europa.eu/homepage.html?locale=en>

23. The French Constitution of 1791 National Assembly. September 3. 1791.
<http://wp.stu.ca/worldhistory/wp-content/uploads/sites/4/2015/07/French-Constitution-of-1791.pdf>

24. Treaties and Convention between the United States and Other Powers, Since July 4. 1776. Revised Edition. Washington. DC: Government Printing Office. 1873.
<https://home.heinonline.org/titles/US-Treaties-and-Agreements-Library/>

25. Treaty on the Functioning of the European Union. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A12012E>

26. Universal Declaration of Human Rights, 1948;
<http://www.jus.uio.no/lm/en/pdf/un.universal.declaration.of.human.rights.1948.portrait.letter.pdf>

27. Council of Europe (1963), Second Protocol amending the Convention on the Reduction of Cases of Multiple Nationality and Military Obligations in Cases of Multiple Nationality, <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/isplayDCTMContent?documentId=090000168007bf4c>

28. Council of Europe (1963), Convention on the Reduction of Cases of Multiple Nationality and on Military Obligations in Cases of Multiple Nationality.
<http://www.coe.int/en/web/conventions/full-list/ /conventions/treaty/04>

1. Авакян С.А. Гражданство, иностранцы, внешняя миграция. Санкт-Петербург. Изд. Юридический центр. 2003 г.

2. Александреенко В.Н. Подданство и натурализация. Варшава. Известия варшавского университета. 2004 г.

3. Боярс Ю.Р. Вопросы гражданства в международном праве. Изд. Спарк. Москва. 1986 г.
4. Боярс Ю.Р. Гражданство в международном и внутреннем праве. Изд. Латвийский университет. Рига. 1986г.
5. Белов А.В. Двойное гражданство и проблема лояльности. Правоведение. 2002. №2(241) . <http://uristy.ucoz.ru/publ/23-1-0-1083>
6. Ванюшин Я.Л. Соотношение гражданства и подданства: некоторые вопросы теории и практики. [file:///C:/Users/UNIX/Desktop/sootnoshenie-grazhdanstva-i-poddanstva-nekotorye-vop-rosy-teorii-i-praktiki%20\(3\).pdf](file:///C:/Users/UNIX/Desktop/sootnoshenie-grazhdanstva-i-poddanstva-nekotorye-vop-rosy-teorii-i-praktiki%20(3).pdf)
7. Григорьева Н.С. Активное гражданство как стратегия и механизм современной европейской социальной политики // Информационно-аналитический портал. — 2007. — 18 октября /Socpolitika.ru.
8. Дячкова С. Сокращение ситуаций безгражданства среди детей Латвии. Центр права человека. презентация на Конференции ENS. 7 апреля 2015 г.
9. Ковлер А.И. Двойное гражданство: панацея или ловушка? Актуальные проблемы гражданства: Материалы Международной научно-практической конференции по проблемам гражданства. Изд. Орион. Москва. 1995г.
10. Козлова Е.И. Кугафим О.Е. Конституционное право Российской Федерации. Изд. Юрист. Москва. 2009 г.
11. Комаров С. А. Общая теория права. Изд. Юрист. Москва.1998 г.
12. Корж Н. Я. Гражданство Российской Федерации. Историко-правовой аспект. Санкт-Петербург. Изд. Нева. 2004 г.
13. Лапшин И.Е. Конституционное право зарубежных стран. Изд. Велби. Москва. 2004 г.
14. Любарский К. Одно или два гражданства? Российский бюллетень по правам человека. Вып. 3. Москва. 1994г.
15. Ибраимов У. С. Теоретические аспекты института гражданства и его законодательной рекомендации в странах СНГ. Автореф. Дис. на соиск уч. степени канд. Юрид. Наук. Изд. Московский Государственный Университет. Москва. 2013г.
16. Эбзеев Б. С. Гражданство и права человека: некоторые методологические вопросы. Актуальные проблемы гражданства. Журнал Юридическая Техника. Москва. 2013г.

17. Теория государства и права. Курс лекции под ред. Матузова Н. И. Малько А. В. 2-е издание перераб. и доп. Изд. Юрист. Москва. 2013г.
 18. Швайко Д. Определение гражданства. Изд. Белорусский Государственный Университет. Минск. 2008г.
 19. Шерер Р. Практика и опыт Западной Европы в решении вопросов двойного гражданства. Материалы семинара по вопросам гражданства, безгражданства и статуса иностранцев в государствах СНГ и Балтии. Журнал Вестник экономики, права и социологии, № 4. 1994 г.
 20. Чистяков О.Н. Конституция СССР. Учебное пособие. Изд. Зерцало. Москва. 2004 г.
 21. Иностранное конституционное право. под. ред. Маклакова В.В. Изд. Юрист. Москва. 1997 г.
 22. Черниченко С.В. Международные отношения. Изд. Восход. Москва. 1968 г.
 23. Черниченко С.В. Международно-правовые вопросы гражданства. Изд. Восход. Москва. 1968 г.
 24. Златопольский Д. Л. Возрождение федеративного государства: проблема государственного суверенитета. Изд. Вестник. Моск. Ун-та .Серия II. Право. Москва. 1995 г.
 25. Курашвили К.Т. Федеративная организация Российского государства. Гл.IV. Москва. 2000 г.
-
1. Договор между Российской Федерацией и Республикой Таджикистан об урегулировании вопросов двойного гражданства Дата подписания: 07.09.1995. Дата вступления в силу: 26.04.1997. Парламентская газета. Москва. Изд. Федерального Собрания Государственной Думы.
 2. Закон о гражданстве Российской Федерации. <https://www.zakonrf.info/doc-13233685/>
 3. Закон Республики Абхазия О гражданстве Республики Абхазия. Сухум. 2005 г. http://www.emb-abkhazia.ru/konsulskie_voprosy/zakon_j
 4. Закон Российской Федерации о гражданстве. О внесении изменений в статью 6 Федерального закона О гражданстве Российской Федерации 2014. <https://rg.ru/2015/01/12/grazhdanstvo-dok.html>

5. Конвенция о сокращении числа случаев множественного гражданства и воинской обязанности в случаях множественного гражданства. Страсбург. 6 мая 1963г.
<http://www.refworld.org.ru/topic.51dc06ab4.51dc104e3f5.55bf3b224.0.html>
6. Конституция Российской Федерации. <http://constitutionrf.ru/rzd-1/gl-2/st-61-krf>
7. О военной доктрине Российской Федерации. Указ Президента Российской Федерации от 5 февраля 2010 года № 146. – Москва. 2010
<https://www.prilib.ru/item/352098>.
8. Федеральный закон об обороне. 15 мая 1996 г. Ст.10, п.2-1.
<http://docs.cntd.ru/document/9020348>

ვებგვერდები

1. <https://treaties.un.org> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.07.2018 წ.
2. https://en.wikipedia.org/wiki/Active_citizenship. Examples of active citizenship in education უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.07.2018 წ.
3. <https://www.emu.dk/omraade/gsk>. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.07.2018 წ.
4. [http://ru: Wikipedia, org/wiki/http://ru: Wikipedia, org/wici/Множественное гражданство](http://ru: Wikipedia, org/wiki/http://ru: Wikipedia, org/wici/Множественное_гражданство) უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.07.2018 წ.
5. <https://www.antalyahomes.com/investment-citizenship-in-turkey> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.07.2018 წ.
6. <https://2ndpassports.com/greece-citizenship-by-investment/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.07.2018 წ.
7. <http://www.lisbon-treaty.org/wcm/the-lisbon-treaty/treaty-on-the-functioning-of-the-european-union-and-comments.html> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.07.2018 წ.
8. URL: rusmission.org/2/1/1221 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.07.2018 წ.
9. https://en.wikipedia.org/wiki/Citizenship_of_the_United_States უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.07.2018 წ.

10. <http://factcheck.ge/article/2012-2017-tslebshi-saqarthvelos-moqalaeoba-32-017-ma-utskho-qveqhnis-moqalagem-miigho-mathgan-61-ki-rusethis-moqalae-iqho/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.07.2018 წ.
11. <http://dx.doi.org/10.1080/07036337.2012.726009> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.07.2018 წ.
12. <http://www.un.org/en/documents/udhr/> The universal Declaration of Human Rights უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.07.2018 წ.
13. <http://www.refworld.org/docid/54e75a244.html> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.07.2018 წ.
14. <http://legal.un.org/docs/?path=../ilc/texts/instruments/english/statute/statute.pdf&lang=EF> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.07.2018 წ.
15. <https://www.emu.dk/omraade/gsk> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.07.2018 წ.